

114 /  
1983

ISSN 0182-500 X

570



# გნეოთოგოი



5

---

1983



# ენათმეცნიერება



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

ფილიალი 59-0

№ 5

ბანი, 1983 წ.

5971

## ინეარსი

### პროზა, პოეზია

ფანა ინენიშვილი — ძალიან უბრალო სიმღერა. მოთხრობა	3
პაპა კახაბაძე — ლექსები	15
დამალ მარტოხაძე — ზეზი. მოთხრობა	19
ვახტანგ გორგაძელი — ლექსები	53
თამარ ვარსთაძე — ლექსები	55
ხუტა ბაბუა — ლექსები	57
დავით ჩიქვიშვილი — „მზრინავთა სახლი“. მოთხრობები	60
ტაყე მუხრანბერი — ლექსები	72
ლადო სულაბერიძე — ჯღვიწყის მიხედვითი ზეზი. რომანი. პირველი წიგნის დასასრული	75
ალექსანდრე ბლოკი — ლექსები. თარგმანა ვაჟა-ფშაველამ	116

### 1783 — გომრბივესკის ტრადუტი — 1983

ბრის ანდრონიკაშვილი — ვახტანგ მიქაშის უთარგმანო ტრადუტი	119
---	-----

კონსტანტინე გამსახურდია — 90

სერგი დვინიანი — კონსტანტინე გამსახურდიას ზოგიერთი გამოცემა საბავთველოს მიხედვითა და კომენტარი	130
---	-----

### კრიტიკა, უზღუდვისტიკა

გიორგი ჯიჯიაძე — ეჭვითი თეორიები	138
მანუჩარ ღარიბი — ლია ბარათის ოთარ მელაძის	148

### მეცნიერება

აკოლუნ ტანაშა — ავტორული განმარტება	151
მანანა დუშაბაძე — სატირისა და იუმორის სოციალური ფუნქცია	162

### საერთაშორისო თემაზე

მარია რუხიანი — კონგოს ნაპირები	169
---------------------------------	-----

---

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

სარედაქციო კოლეგია:

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე),  
მ. ბერძენიშვილი, ალ. გომილაშვილი, ბ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე,  
მ. ლასურია, მ. ლეგანიძე, ე. მაღრაძე, ლ. შრამლაშვილი, ბ. ნატრო-  
შვილი, რ. პატარიაძე, ო. კაჭკაჭია (პ/მგ. მდივანი), ნ. წულეიძე, ი. ი.  
ო. ვილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე, ჯ. ჩარკვიანი.

---



რევაზ ინანიშვილი

# ძალიან უბრალო სიმღერა

ამოთხრობა

მძლოლმა მძლოლს დაუძახა:

— როგორა მყავხარ, ანგელოზო!

— შე თითონ ანგელოზო, შენა!...

ორივენი შავები იყვნენ, ღიღბიერები, ცხვირმოღრეცილები. გულიანად იცი-  
ნოდნენ და ფოლადის კბილებს აკაშკა-  
შებდნენ.

მეც შეცინებოდა და ამ სიცილ-სი-  
ცილში დავინახე.

ერთ დღიას თინა სარკესთან იდგა და  
ილიასთან რაღაცას ისინჯავდა. მე რომ  
გამოვჩნდი, ცოტა შეკრთა, ხელი სწრა-  
ფად ამოიღო და პერანგის სამხრეები  
სახეარეულმა გაისწორა.

მივედი და ვკითხე, — რა იყო, რას  
ისინჯავდა.

— არაფერს, არაფერსო, — შეეცადა  
თვალის მორიდებას, — მომეჩვენა თით-  
ქოს რაღაცა გამაგრებული მქონდაო.

პირსახოციანი ხელი კისერზე გამიჩე-  
რდა. შემომხედა და გაეცინა.

— რა უცნაური ხარ, არ შეიძლება  
ადამიანს რაიმე მოეჩვენოსო?!

— აბა, მაჩვენე-მეთქი.

— გაჩვენო კი არა, ისაო.

სწრაფად გადაიკვა სვიტერი, სწრა-  
ფად დააყენა ჩაი. ბიჭები უკვე სკოლა-  
ში იყვნენ წასულნი. ჩვენ ორმა ვისაუ-  
ზმეთ. თინა აშკარად შეფიქრიანებული  
ქამდა.

პიჯაკი რომ ჩავეცივი, დავიხარე და  
შუბლზე ვაკოცე. ასეთ რამეებს, კარგა  
ხანი იყო, აღარ ვაკეთებდი. თინამ შე-  
წუხებულმა დაიწია უკან.

— რა იყო, ე, როგორ მიყურებ, რამე  
რომ იყოს, შენ დაგიმაღავდით?!

წავედი სამსახურში. იქ გამახსენდა,  
რომ ღამით ცუდი სიზმარი ვნახე: მახუ-  
თივით შავ, ღრმა ტალახში მივდიოდით,  
თინა ვედარ მომდევდა, მხარზე მეკიდე-  
ბოდა, მერე მთლად ჩამოშრჩა, ჩაჩოქი-  
ლი თუ მუხლამდე ტალახში მდგარი,  
ცრმელებით საცხე თვალებით შემომ-  
ყურებდა შორიდან. მივედი ტელეფონ-  
თან და დავურეკე, — ახლავე, ამ წუთს-  
ვე წასულიყო და ექიმს სჩვენებოდა.

— შენ ხომ არ გადაირიე, — გამიბრა-  
ზდა თინა, — საექიმო რა მკირსო!

ყურმილი დავდე, ფანჯარაში დავიწ-  
ყე ყურებმა. ჩამოჯანღული ამინდი იყო,  
ყვავები მოფრინავდნენ. ყვავები ცუდი  
ამბის მომასწავებლად მომეჩვენენ, მაგ-  
რამ სულ ცოტა ხანში, ფრთების გახარე-  
ბული ქნევით, ყრიაშულიანი შროშნე-  
ბის მთელი გუნდი შემოვიდა. შროშ-  
ნების გამოჩენამ რაღაც სინათლიანი  
იშედი მომცა.

მართლაც, საღამოს, შინმობრუნე-  
ბულს, თინა ძალიან კარგ გუნებაზე დამ-  
ხვდა. ზომა შეეკრა, შეეღება. გემრიელი  
სადილი გაეკეთებინა, კვლავაც ხა-

ს. მარძინის სახ. საბ. ხსრ  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ლისიანი ღიღინით ფაციფუცობდა. მეც გულზე მომეშვა, მეც წავუღლიინე. მაგრამ სამი თუ ოთხი დღის შემდეგ ისევ შევასწარი თვალი, სარკესთან ისევ შეწუხებული იდგა და ზეღი უბეში ჰქონდა ჩაყოფილი. ვეხევეწი, მაინც არ მაჩვენა, რას ისინჯავდა. მაშინ გამწყრალმა ვუთხარი, — აღგებოდა და დღესვე, ახლავე წავიდოდა ექიმთან, თორემ არ ვიცოდი, რას ვიზამდი!

აუტყდა სიცილი.

— რა აუტანელი ხარ, ყველაფრის შენ როგორ უნდა გეშინოდესო.

— დღესვე წაზვალ, ახლავე, — ვიმეორებდი მე.

— კარგი, კარგი, შენი ხათრით წავალ. შენ ოღონდ ნერვებს ნუ მოიშლი და ახლავე წავალო.

შუადღემდე გაძელი, შუადღეს კი დავრეკე სამსახურიდან.

— იყავი?

— ჰოო, ჰოო, ვიყავიო. ვიყავი და არაფერიც არ არისო, გაიგე?! შენს ასაკში ქალებმა ასეთი რამეები იციანო, გაიგე?! მაინც, მიდი და, გული რომ არაფერზე გეთანაღრებოდეს, ონკოლოგიურშიც გაესინჯეო.

„ონკოლოგიურმა“ ცუდ ქრუანტელად დამიარა, ველარაფერი ვთქვი. თინა კიდევ — თითქოს ძალიან შორს წავიდა და იქიდან დამცინოდა:

— უი, შენ რა გითხრა, რა მშიშარა ხარ, რა მშიშარაო.

ყურმილი დიდხანს არ დამიდვია ტელეფონზე.

მეორე დღეს სამსახურიდან დავეთხოვე და ონკოლოგიურ საავადმყოფოში წავედით. თინა ყოჩაღად, სახეშხიარულადაც კი მოდიოდა, მე ფეხები უკან მრჩებოდა. თითქოსდა პირველად ვხედავდი ასეთს — პატარა იყო და უმწეო, უმწეოდ მოუთრთოდა თმა ნოემბრის მზეში. საავადმყოფოს კიშკარში რომ შევედით (ის წინ გავუშვი, რა თქმა უნდა). უცებ მოიხედა, თითქოს შეეშინდა, არ მიმეტოვებინა, დამინახა, იქვე რომ ვიყავი და ისევ გაელიმა, ხელი ხელზე

მომიკიდა. ხელი ძალიან ცივი ჰქონდა, ნოტიო, თანაც შესამჩნევად უტოლოდა. ახლა მე დავუწყე დაცინვა:

— აი, ვინა ყოფილა ნამდვილი მშიშარა! რისა გეშინია, ქალო, ვანა ომის დროა, ახლა უკვე რეებს აკეთებენ, იცი?!

— არაფრისაც არ მეშინიაო, — და განზე გაიწია, ყოჩაღად გააბიჯა გალიმბულმა.

საავადმყოფო დიდი შენობა იყო, რამდენიმე სართულიანი. ჩვენდა სამწუხაროდ, მაინც დაბლა, თავისებური სიბნელეში მოგვიწია ჩასვლა. ვეკითხებოდი თეთრხალათიანებს, პოლიკლინიკიდან ვართ და სად უნდა მივიდეთ-მეთქი. მიგვასწავლიდნენ — ძალიან გულმშვიდად, თითქოს საკონდიტრო ძალაზია გვეკითხოს. მივედით. წარვადგინეთ ქალაღი, თან განვაცხადეთ, თავიაშვილის ნახვა გვინდოდა. — პოლიკლინიკაში ვთქვამთ, თავიაშვილი ნახეთ, იმაზე უკეთესს ვერავის ეჩვენებითო.

რეგისტრატორმა ქალმა არც კი შემოგვხედა, თავიაშვილი თორმეტი საათისთვის იქნებამო, დავუცდით-მეთქი. საანკეტო რალაცები გვეითხა, ჩვენს ქალაღს პატარა ქალაღი დაუმატა და კაბინეტის ნომერიც გვითხრა, რომელშიც უნდა მივსულიყავით. მივდიოდით დასწომერს ეძებდით. მოვძებნეთ. გავოცდით. ხუთი სხვაც იცდიდა — ერთი კაცი, დანარჩენი ქალები. დავდექით, დავიკავეთ რიგი. ქალები ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, ვინ მერამდნედ იყო, ვის რა უჭირდა, უმეტესობა მადის დაკარგვას უჩიოდა. მაინც ყოჩაღად იყვნენ.

კაცი ჩუმად იდგა, ხელები უკან ჰქონდა შემოწყობილი, კედელს მიჰყრდნობოდა, მარცხენა ნესტოსთან ჩაშავებული იარა ჰქონდა, თვითონაც შავი იყო, რალაც ცუდად შავი. ამას, ნამდვილად კანის კიბო აქვს-მეთქი, გავიფიქრე, თინამაც ეს ჩამჩურჩულა.

თინა ხელს არ მიშვებდა. სხვებთან შედარებით ახალგაზრდულად გამოშხირალი იყო, სახედაწმენდილი, ჩვენს წინ რომ ქალი იდგა, იმან ჰკითხა, პირვე-



ლდა ხარო? თინამ თავი დატუნია. სადა გაქვსო? თინა გაწითლდა, მე არაფერიო, იცით, მე აი, აქ, სულ პატარაო. ქალს მჭრქალად გაელიმა, მეც ეგრე მქონდაო. ახლაო? — ახლა? — ქალმა უნუგეშოდ ჩაიქნია ხელი. როგორო, — შეშფოთდა თინა. — ასე. — ქალმა მარცხენა მხარეს სწორად ჩაიხეა ხელი. თინა მხრით მომეკრა. ქალი შებრუნდა, მშვიდად იყურებოდა წინ. ზორბა ქალი იყო, ავადმყოფობისა არაფერი ეტყობოდა. „სულელი“, „სულელი“, კიმეორებდი გუნებაში.

მოვიდა თავიაშვილი, დაბალი, თავწერილი, გაიარა ამაყად (მოშლოდინენა „სმენაზე“ დადგენენ), შეალო კარი, შევიდა, თითქოს ძლივს შეიტანა ვეება პორტფელი. გავიდა ალბათ, ხუთ წუთზე მეტი, პირველ ქალს უკვე მერამდენედ მიჰქონდა კეფაზე გორგლად დადებულ თმათან ხელი, მაინც ვერ ბედავდა კარის შეღებას. ბოლოს თვითონ თავიაშვილმა დაიძახა, შემოდითო. პირველმა ქალმა ერთხელაც მოისინჯა თმა და შევიდა. იყო ცოტა ხანს, გამოვიდა, ისევ თმაზე იღებდა უკვე რეცეპტიან ხელს. თავდაღუნულმა გაგვიარა წინ.

შევიდა მეორე ქალიც, შეწუხებული, დაბნეული. ის უფრო მეტ ხანს დარჩა. რომ გამოვიდა, ტირიდა. მომუქულ ხელსახოცს იჭერდა ცხვირზე. შევიდა კაცი. გამოვიდა ყურისძირის ფხანით, გაღიმებული. ერთი კაციც იყო მოსული ჩვენს შემდეგ. იმან ჰკითხა, როგოა საქმეო. — ქამარზე ცხვარგამობმულმა უნდა ვიარო ამის შემდეგო. — ვაჰო! — წამოიძახა ჩვენს შემდეგ მოსულმა კაცმა.

გამოვიდა უნუგეშო ღიმილით ზორბა ქალიც და მოდგა ჩვენი რიგიც. შედიმეთქი, ვუთხარი თინას, ჩამებლატუა ხელში, შენც შემოდითო. — შენ შედი, გოგო, უხერხულია ჩემთვის! არა, შენც შემოდითო. შევეყვი. თინამ ქალაღლები დააწყო მაგდაზე.

— წერილიო? — გვკითხა თავიაშვილმა.

— წერილი?!

— ჰო, ვინც გამოგზავნათ ჩემთან.

— ჩვენ... ჩვენ პოლიკლინიკიდან გიორგამოგზავნილი.

— წერილი არა გაქვთ? — მკაცრად გაბრაზდა თავიაშვილი.

— არა, ბატონო. არავითარი წერილი არა გვაქვს.

გააცმაცურა მკაცრად ტუჩები და მე მომაჩერდა.

— შენ ვინა ხარო?

— მეუღლეაო, — მიუგო თინამ.

— შლეიფის ააწვევად მოგყვამო?

მეც გავწითლდი და თინაც.

ერთი გაფიქრება, გავიფიქრე...

— თქვენ ჯერ ბუაქესთან მიდით, გვერდზეო, — მოაწოდა ქალაღლები თინას.

მომკიდა თინამ ხელი, შემატოკა. მე ვიდექი. თავიაშვილს ვუყურებდი. თავიაშვილი დაბნეული გამომეტყველებით ეძებდა მაგიდაზე რაღაცას. გამწია თინამ, გამოყვანა გარეთ. ტირიდა, გაწითლებული იყო. არავის გაჰკვირვებია მისი ტირილი. გავიყვანე დერეფნის ბოლოში, იქ ვიდექით.

— ვიდაცებში შევეშალეთ. — ვცდილობდი თავიაშვილის უტაქტობის შერბილებას.

თინა მაინც ცრემლებს ვერ იკავებდა.

— კარგი, — ვუთხარი უკვე მკაცრად.

— შენ თუ ყოველ წვრილმანზე ასე ღვარე ცრემლი, გარეთ აღარ უნდა გამოპყო თავი.

ძლივს დაწყყარდა.

მოვანახეთ ბუაქე. ის ბუაქე ქალი აღმოჩნდა, თანაც თვალტანადი ქალი, მშვიდად მიგვიღო. აღერსითაც კი დასვა თინა, თავზე ხელი გადაუსვა, რა მოხდა, რატომ ანაკალებთ. ვუთხარი, თავიაშვილი როგორც მოგვექცა. გაელიმა. მეტი არაფერი. ბოდიში მომიხადა, თინა თეჯირია იქით გაიყვანა. სულ მესმოდა მათი სიტყვები.

— რამდენი ხანია, რაც შეამჩნიეთ? — ეკითხებოდა თინას ბუაქე.

— ორი თვე იქნება.

— როგორ ატყობთ, იზრდება?

— იზრდება. პირველად თხილის გულია სიმსბო იყო.

- გტკივათ?
- ცოტა.
- რატომ აღრე არ მიმართეთ ექიმს?
- მეგონა, გამოვიღოდა.
- თუ გეშინოდათ?
- მეშინოდა კიდეც.
- ჩაიკვიტო.

ჭერ ბუბე გამოვიდა თეჯირის იქიდან, მერე თინა. თინა უარესად იყო აწითლებული, ხან კაბას ისწორებდა, ხან თმას.

ბუბემ რაღაც დაწერა, ქაღალდი თინას გაუწოდა და უთხრა:

— ხვალ დილას მოხვალთ და კედლის ნახავთ, სულ პატარა რამ დაგჭირდებათ. იქნებ ხვალვე გაგიშვათ.

თინა გაშტერებული, თვალგადიდებული უყურებდა.

— ნუ გეშინიათ, ეს მთლად იოლი რამაა.

დიდი მადლობა გადაუხადეთ და წამოვედით. კართან მოსულებს კიდეც ერთხელ დაგვადევნა.

— ნურათფრის გეშინიათ, ნურათფერ ცუდზე ნუ იფიქრებთ.

თინას საცოდავად გაელიმა, სიზმარში რომ ვნახე, სწორედ ისე გაელიმა, ხელი მოკვიდე მკლავზე. მომეჩვენა, რომ უცებ ძალიან გამხდარიყო, დამსუბუქებულიყო, ამ სიმსუბუქის გამო ფესარეული მოდიოდა. დავეჭირე მეორე ხელით ცივი თითები. დავიწყე რაღაც არეულად:

— ჩვენ ისეთი ხალხი ვართ, ჩვენთან ცუდ რამეს რა უნდა! თუნდაც საეჭვო რამე გვითხრან, ხომ არ გგონია, ამით იმედზე დაგტოვებ. ზღვას და ცას შევაჭერებ და ან მოსკოვში წაგიყვან, ან ლენინგრადში.

ისევ წამოუვიდა ცრემლი.

— ცოტა წამომეზარდა ბიჭები და მერე რაც უნდა მომავლოდა.

— გადაიროე, ქალო, რეებს ლაპარაკობ.

— რაღაცნაირად ცუდად შეკრთა ის ბუბე..

მოვიდა ჩემი თანაყურსელი ქალი. — რა არისო, ცუდი ხომ არაფერი არისო. გაიოლებით ვუთხარი, რა ამბავიც იყო

ჩვენს თავს. გაელიმა და დაუწყო მოფერება თინას, — რასაც თქვენ ამბობთ, ეგ კიდეც არაფერს ნიშნავს ჭერ. გაგიკეთებენ პუნქციას, დათესავენ და ღმერთია შემწე, უთუოდ არაფერი იქნებაო. თუნდაც ცოტა რამ იყოს, ახლა ისეთ ოპერაციებს აკეთებენ.. დედაჩემს კვარცხისოდენა ჰქონდა, ამოჰკვეთეს, უკვე მეთორმეტე წელიწადია და ფუი, ფუი! არაფერი!..

— მეც მაქვს, მე, თქვენ რომ თქვით, იმაზე დიდად მაქვს, მაგრამ ჭერ სულ არ ვფიქრობ ოპერაციაზე. მართო მგავემწარაებებს ვერიდები ცოტა.

დასასრულს ესაც გვითხრა, მაინც მით და ელჩინს ეჩვენეთ, ჩვენში ელაჩინზე დიდი სპეციალისტი არავინ არისო.

იმასაც დიდი მადლობა გადაუხადეთ, ჯანმრთელობა და სიკეთე ვუსურვეთ და ჩვენც ამოვეხვიეთ.

— მთავარი კი მაინც ეს არის, არ შეშინდეთ, არათფრის შეგეშინდეთ...

მოვდიოდით და ორივენი თავს ვიყოჩალებდით. ახლა უკვე თინა მანუგეშებდა.

— გული არაფერა ცუდს არ მეუბნება. რამე ვუყიდოთ რა, საჭმელი, ბიჭებს.

შევდიოდით მალაზიებში. ერთ გასტრონომში სოსისი იყო. მთელი კილო ავაწონინე, თონის პურიც ავიღე.

— ლენო არ გინდაო? — მკითხა თინამ.

ლენო ძალიან მინდოდა, მაგრამ ღიბეს ცოტა მსუბუქად ვგრძნობდი. თვითონ აიღო ორი ბოთლი. — ერთი მეყოფა, ორი რად გინდა? — ავიღოთ ორი, — მიმიხვდა თინა, — ხვალ ნინოსთან წავალ და ფულს, რამდენიც დაგჭირდება, იმას გამოვართმევო.

ხედავსეა ვით მოკრძალებით მომქონდა ბოთლები.

ბიჭები სკოლიდან დაბრუნებულიყვნენ. უფროსი მაშინ მერევე იყო, უმცროსი — მეექვსეში. გამწყრალები ისხდნენ. შევედით თუ არა, მაშინვე ეს დაიძახეს. — საჭმელი არაფერი მოიტანეთ? — მოვიტანეთ-მეთქი. — და

მაგიდაზე სოსისის ქაღალდი გადავშალე. სოსისი ორივეს ძალიან უყვარდა.  
— აბა, დედილო, ჩქარა, ჩქარაო!

თინამ რალაც სულ სხვანაირი — დაღლილი თუ დადარდიანებული თვალეზით შეხედა. სამზარეულოში შევიდა და, კაბა არ გამოუცვლია, ქურაზე ქვაბით წყალი შედგა. კაბის გამოსაცვლელად რომ წავიდა, ჩვეულებრივზე მეტ ხანს იდგა სარკესთან. მივედი, დამინახა, არაფერი არ მათქმევინა, უცებ გაყოჩაღდა. ერთი კი სთხოვა გელას, მაგნიტოფონისათვის ცოტა დაეწია. მე მეტიც მოვთხოვე; — კარგი რა, გელა, ნუთუ არ მოგწყინდა ეს გაუთავებელი საცეკვაოები?! გელას თითქოს არც კი გაეგონოს ჩვენი ხმა. სოსისი მოიხარშა. მდოგვიც გვექონდა. კმაყოფილები მივეუსხედით მაგიდას. ბიჭები მაშინ წვეთ ლენინოს არ სვამდნენ. თინამ მოითხოვა, — მე უნდა დავლიო ერთი ჭიქაო. თვითონ დაისხა, გაივსო ფეხიანი ჭიქა, ასწია მაღლა:

— ღმერთოო, ღვთისმშობელო დედაო, ჩემი ქმარ-შვილი კარგად მიმყოფეო.

ისე თქვა, მეც ბოღმა მომაწვა ყელში. ბიჭებიც რალაცას მიხედნენ, — რა იყოო, რა მოხდაო. ავდექი და ვუთხარი, რაც იყო. ახლა მაინც ცოტა გაუფრთხილდით დედათქვენს, არ ანერვიულოთ-მეთქი. ცოტა კი დაღონდნენ, მაგრამ როგორც კი ესაც დავუმატე, — იქნებ ღმერთმა მოწყალება გამოიღოს და არაფერი საშიში არ აღმოჩნდეს, — მაშინვე სახე მოუხშიარულდათ. წავიდა გელა თავის კუთხეში და მაგნიტოფონს ცოტა კიდევ ამოუწია ხმა; ცეკვაოდნენ, საოწარაკეთილნი ხაოდნენ ვიღაც ახალგაზრდები.

ლენინს ბრალი თუ იყო, იმჯერად ის მუსიკა მესიამოვნა. უფროსი ბიჭი, მამუკა, ოქროს თევზებს საჭმელს უყრიდა და ელაპარაკებოდა: — ნელა ჭამეთ, რა მოკვივიდათ, ზომ იცით, რომ ყველას გუყოფათ! თინამ ჭურჭლის რეცხვა დაიწყო. მივედი, სახელოები ავიკაპიწე, უნდა მივხმარებოდი, მაგრამ თინამ

სიცილი დაიწყო, — წადი აქედან, თავს ნამდვილ ავადმყოფად წარმოგიჩინებო. მე მაინც არ წამოვედი, მივხმარე. ჭურჭელს ვრეცხავდით და თან ელაპარაკობდით.

თინამ თქვა:

— ერთი თამუნისა უნდა დავურეკო, ჭანიშვილის ცოლს, იმას ჰქონდა ასეთი რალაც, ის იყო ლენინგრადში, ოპერაციაც გაუქვია, საინტერესოა, ის რას მერტყვისო.

ხელები გაიმშრალა, წავიდა, ტელეფონების წიგნში ჩაწყობილ ქაღალდის ნაგლეჯებში ის ნაგლეჯი იპოვნა, თამუნისა ნომერი რომ ეწერა, და დაურეკა. სულ მესმოდა თინას ლაპარაკი. თამუნისა ჯერ ის უთხრა, თითქმის კაკლის სიმსხოდ მაქვს გამაგრებულიო, მერე ის უამბო, თავიამვილმა როგორ მიგვიღო, მერე თინა დღემდა, თამუნისა ლაპარაკობდა. თინა მარტო „ჰო“, „ჰო“-ს იძახდა, მაგრამ ამ სიტყვებითაც კი მიგვხდით, თამუნისა სასიამოვნოს არაფერს ეუბნებოდა.

მე მეზობელმა დამიძახა, — თუ მმა ხარ, ერთი ჩემთან შემოდი, ელექტროდამკველი გადამეწვა და იქნებ გამიკეთოო. წავედი, გავუკეთე. შინ რომ შემოვბრუნდი, თინას ლაპარაკი დავმთავრებინა, სავარძელში იჭდა და თვალეზი დახუჭული ჰქონდა. — რა იყო, ცუდად ხარ-მეთქი? არაო, წუხელ მოუსვენრად მეძინა და ახლა ერთი წუთით წავთვლემო. ავიღე მისი ხელი, რბილი და უმწეო. მეჭირა ცოტა ხანს. თინას ძილბურანში ელიმებოდა. ფრთხილად დავუღდე მუხლზე.

აი, რა ეთქვა თამუნისა: — ახლავე, ახლავე, გაქვთ თუ არა საშუალება, სულ ერთია, ვალი აიღეთ და ლენინგრადში წადით გოლდინთანო. მეცო, შენ რომ ამბობ, ზუსტად ასე მქონდა. მაგათთანაც ხომ ვიყავი, მერე ელჩინთანაც დავდიოდი, რალაცებითაც მიმკურნალეს, მაგრამ, ლენინგრადში რომ ჩავედი, ერთი ამბავი დამაწეია, აქამდე სად იყავიო. მთელი მარცხენა მხარე მომამდღვნეს. ახლაც წელიწადში ორჯერ



დავდივარ. ოპერაცია აქ უფრო ძვირი დაგიჯდებათ, თანაც, იქ რომ ავადმყოფს უვლიან, ისე აქ ვინ მოგივლის. არც ელჩინი გინდათ, არც არავინ. აიღეთ მიმართვა ჯანმრთელობის სამინისტროდან და სასწრაფოდ წადით. გოლდინისა და მისი ასისტენტის კოორდინატებს მე მოგცემთო.

მე ცოტა დავიჯღანე, თამუნისა ნათქვამის გაქარწყლებას შევეცადე, — არც ეგრეა საქმე, ძვირფასებო. ამ საქმის სპეციალისტები აქაც მძაგრები გვყავს. წავიდეთ, ელჩინი მაინც ვნახოთ, ისე, კონსულტაციისათვის-მეთქი. თინას ცრემლები მოერიდა და მითხრა:

— შენი ჰირიმე, ხომ იცი, ძელები მადნება, შენ რომ ასე გაწუხებ, მაგრამ ეს ერთხელ, ეს ერთხელ მაპატიე, ჩემთვის არა, ჩემთვის არაფერს გთხოვ, ჩვენი შვილებისთვის. ერთი სამი-ოთხი წელიწადი, ესენი უმძლავრესი მოვაწყო და მერე, ღვთის წინაშე ვიფიცავ, იმავე წელს მოგვკვდე.

მე გავუბრაზდი, — რას სულელობ, რის სამი და ოთხი წელიწადი... შენ თუ ეგრე მოლბი და მოეშვი... და დავითანხმე, ელჩინთანაც წავსულიყავით.

— ელჩინთან შენი წამოყოლაც არ მინდა, — მითხრა თინამ, — ლალის და ხომ იმასთან მკურნალობდა, ლალის გავიყოლებ და მე და ის წავალთო.

ჩავიდა საღამოს ლალისთან, ამოვიდა, ჩაცმა დაიწყო. მეც წამოვალ-მეთქი. არაო. შენ რაზე უნდა იწვალოო. — რა წვალეზა, მე სულ არ შემოვალ, ქუჩაში გავჩერდები! ამაზე დავითანხმე. ფული გავამზადეთ. ოცი მანეთი კონვერტში, დანარჩენი ტაქსისთვის და რალაქებისთვის. ბიჭები გარეთ იყვნენ. წერილი დავუტოვეთ, — „ეჭიშთან მივდივართ, კკუთ იყავით“. ვასალები ლალის დედას დავუტოვეთ და წავედით. ლალი გვანუგეშებდა:

— კარგით, ახლა! რა შეშფოთებით იღებთ ყველაფერს! ჩემი და, აგერ რამდენი წელია, რა მძიმე ოპერაცია გაუკეთეს, მაგან გაუკეთა. ელჩინმა, და ფუი, ფუი, ღღესაც მშვენიერად არისო.

ტაქსი დავიკავეთ და რუსთაველზე გავედით. ლალიმ და თინამ მე გავჩუბ დამტოვეს, შენ, მართლა, საჭირო არა ხარო, და თვითონ ყოჩაღად წავიდნენ. მე გავდიოდი და გამოვდიოდი დიდი ჰადრების ქვეშ. დაღამებული იყო. ჰადრებზე შავად იყვნენ შეხუნძლული ბელურები, აქა-იქ თუ შეფრთხილდებოდა რომელიმე. სიცილით, ხელების ქნევით, ამოძახილებით მიმოდინდნენ ახალგაზრდები. ვუყურებდი და ბედნიერ აღამიანად ვთვლიდი ყველას. გამოვიდნენ ლალი და თინა. ლალის ელიმებოდა, თინას შიში ედგა თვალბში. — რა გითხრეს-მეთქი? თინამ არაფერი თქვა, ლალიმ მიპასუხა:

— ჯერ შესაშფოთებელი არაფერია, მაგრამ ხვალ მაინც კლინიკაში მობრძანდითო.

— ისეც ონკოლოგიურში?

— კი, რა მოხდა? მიხვალთ, პატარა რამეს გაუკეთებენ, სულ პატარას, ხვალვე გამოგიშვებენ, დათესავენ და გული დამშვიდებული გექნებათ.

თინა ისეც არაფერს ამბობდა, შიში კი არ უქრებოდა თვალებიდან. ლალის შეეხვეწა, წამოდი რა, ლალი, კინოში შევიდეთო. — დიდი სიამოვნებით წამოვიდოდი, — თქვა ლალიმ, — მაგრამ ცხელი წყალი მოდის, დედაჩემი უნდა ეაბანაო, თქვენ წადით, ცოლ-ქმარი, მაგი უფრო სასიამოვნო არ იქნებაო?! ვებვეწეთ, მაგრამ არ ქნა. არც ტაქსი გაგვაჩერებინა, — მეტრო აქ არ არის, აქ ტაქსს სად გავაჩერებინებთო! — და სიცილ-სიცილით გაგვექცა. მე და თინა უხერხულობის გამომეტყველებით ვუყურებდით, ჩვენც დაგაპირეთ გაყოლა, მერე მაინც დაერჩით. ალბათ, მართლა დედა ჰყავს მოსავლელი, ლალი ეგეთი გოგო არ არისო, და წავედით, კინოში შევედით.

მე წამოვიწყე. ასე და ასე მოვიქცეთ-მეთქი, მაგრამ თინამ შემაჩერა, — მოდი, დღეს მაგ ოხრობაზე ნულარ ვილაპარაკებთო. ნაყინი მაყიდინა. ადრე იყო. ფოიეში დავსხედით. ვისხედით. თინა ერთმანეთზე გადადებულ ფეხებს

ათამაშებდა, ასწევდა და დადებდა იატაკზე, ასწევდა და დადებდა. თითქოს პირველად ეხედავდი. ლამაზი ფეხები ჰქონდა, გრძელი არა, მაგრამ გამოყვანილი. ფეხსაცმელიც ლამაზი ეცვა, უბრალო, მსუბუქი და ლამაზი, გადასაკირებლიანი. ნაყინსაც ბავშვივით დაგემოვნებით ჰამდა, — გახსოვსო, ერთხელ, ძალიან რომ გვიჭირდა, ნაყინი რომ მიყიდე, ვილაც ბიჭი რომ დამეჭაბა და დამადგობინა. ხომ არაფერია, ნაყინი რა არის, მაგრამ რომ გამახსენდება, გული ახლაც მეკუმშება. რაზედ მეკუმშება, რომ იცოდე! ჩემი მაშინდელი უმწიობა მეცოდება... ახლა სულ სხვანაირი ვარ, ამაყიცა ვარ და ძლიერიც. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ სამი მამაკაცი მყავხართ. სამივე ჩემები ხართ, ჩემი ძმუძეების საფიცრები!

შემკრთალმა შევხედე, ასეთი გაბედული სიტყვა პირველად მესმოდა მისგან. ხელი უნებურად წაიღო მარცხენა ილიისკენ. მიხვდა, ამ მოძრაობას ყურადღება რომ მივაქციე, ხელი დაუშვა. მერე ისევ გაბედულად თქვა:

— სამი წელიწადი! სამი წელიწადი! სამ წელიწადს როგორ ვერ გავუძლებ! მე ისევ გავუბრაზდი, — ნუ სულელობ, ნუ სულელობ-მეთქი.

ფილმი დაიწყო. ომია. ერთი მთლად ახალგაზრდა ბიჭი ტყვეთა ბანაკიდან იპარება, ჯოჯოხეთის გზას გაივლის, ბოლოს მიტოვებულ სოფელს შეაფარება თავს. იმ სოფელში მარტო ერთი შტერებით შემპყრობილი ქალიღა ცხოვრობს. ქალი და ბიჭი შემადარწუნებელი სევდით უყურებენ ერთმანეთს. ქალი უფრო მეტ სითამამეს იჩენს. ბიჭთან იჩოქება, თავს მუხლებზე ადებს. მერე წევბიან. ქალი წევება. ბიჭს თავისთან ეძახის, ბიჭი მიდის, მძინარესავით იხდის, ისიც წევება. ქალი ეფერება. ბიჭს კი უკვე სძინავს. მკვდარივით სძინავს. მთვარე ანათებს საწოლს. ბიჭს სძინავს. შიშველი ქალი ტკივილიანი სახით დაჰყურებს ბიჭს, ცრემლი ჩამოსდის ღვარად.

სანტიმენტალური სისულელე! მაგ-

რამ თინაზე ძალიან იმოქმედა ფილმმა. მხარზე მეკეროდა და ხელზე მეფხურებოდა.

ფილმი რომ დამთავრდა, ხმის ამოღება არცერთს არ გვინდოდა. ფეხით მივედიოდით რუსთაველზე. ბოლოს მე მაინც ვთქვი, — არც ელჩინი გვინდა, არც ბუაძე და თავიაშვილი, ხვალვე მოვეშზადოთ და ლენინგრადში წავიდეთ-მეთქი. თინა კიდევ უფრო დამატარავდა, — ეს ერთხელ, ეს ერთხელ... ის თავიაშვილი რომ სადმე ახლოს იქნება, მე იქ წოლას ვერ შევძლებო. მე მივეფერე, — ნუ გეშინია, რკინის-შკენეტლად გადავიქცევი და შეუძლებელს შევძლებ-მეთქი. — მაშინ მე ხვალვე წავალ ნინოსთან, რამდენი დაგვეკირდება ფული? ხუთასი მანეთი ჩვენ გვქონდა ასეთი დღეებისთვის. — ათასი მანეთი გამოართვი-მეთქი. თინამ შეშინებულმა შემომხედა. ვანუგეშე. — ნუ გეშინია, მალე გადავიხდით, ერთ იდიოტურ კერძო შეკვეთას ავიღებ და მალე გადავიხდით. — მაშინ შენ, ხვალ, თუ მოახერხო, მიმართვა გააკეთებინეო. — დილითვე წავალ და გავაკეთებინებ-მეთქი.

მივედიოთ შინ. ბიჭები წყნარად ისხდნენ, ერთი ერთ კუთხეში, მეორე — მეორეში. წიგნებს კითხულობდნენ. ისე შემოგვხედეს, ამჭერადაც ამას გვეკითხებოდნენ, რა მოგვიტანეთო. კიდევ კარგი, შეფუთული ნამცხვრები ვიყიდეთ. თითო ოც კაიკად. ერთი ერთს მივეციო, მეორე — მეორეს. ცოტა აიბრიზნენ, — ეს რა არისო, — მაგრამ მერე გემრიელად შეეჭკნენ. გელამ მაგნიტოფონი ჩართო. სადღაც ვილაც გოგო-ბიჭები ისევ ცეკვავდნენ და სასოწარკვეთილნი გმინავდნენ. ვილაცებს თუ რალაცებს ემშვიდობებოდნენ, — მშვიდობით, მშვიდობითო! ფანჯარასთან მივედი. ქუჩაში აღარავინ მიდიოდა. ქვეყანაც თითქოს სევდით იყო საესე.

ღამით ეიგრძები, რომ თინა ადგა. ვიწქი და ეუბანებდი ვუწას. რომელი კარი გაიღებოდა. კარი სულ არ გაღებულა. გავიდა რამდენიმე წუთი, ავღეჭი.

ფრთხილად გავედი და ბიჭების ოთახში შევიხედე. ოთახში გარედან შემოსული შექი იდგა. თინა სკამზე იჯდა, წინ წახრილიყო და ბიჭებს რალაცას ეჩურჩულებოდა. ორივე ბიჭი გულალმა იწვა, სახნები სანახევროდ გადახდოდათ. მივედი, წამოვყენე თინა. ლაწვეები სველი ჰქონდა. — დაანებე ამგვარ სისულელებს თავი! არაფერი თქვა. დავეწყით. — შენ მაგგვარი ფიჭრებით გაგიყვები-მეთქი. მოიკუნტა. თითქოს სიცივეს აეტანოს. როდის-როდის ძლივს ჩაეძინა.

მეორე დღეს თინა დასთან წავიდა, სოფელში. მომეჩვენა, თუ მართლა ასე იყო, მეტისმეტად თბილად ჩაიკვა. ყოჩხალად კი იქცეოდა, მაგრამ თვალები მაინც ნალევლით ჰქონდა სავსე. ბიჭებს ჭერ ისევე ეძინათ. ხელჩანთა აიღო. მხრებზე მაკოცა, აქეთ-იქით. ეშინოდა, — გადამდები არ იყოს ის ოხრობო. მე ღიმილით ვუთმობდი ყველაფერს. არ გამიცილებია. საღამოსვე ჩამოვალე და ენერგულად გაიხურა კარი.

მე სამახურში წავედი. განყოფილების გამგეს მოვუყვიე, ასე და ასეა ჩემი საქმე, დღესაც უნდა გამათავისუფლო, ანდა უხელფასო შევებულება მომცეთ-მეთქი. განყოფილების გამგე ძალიან შეწუხდა. — რას ბავშვობ, რა შევებულება გინდა, ჩვენ აქ არა ვართ, წადი და შენ საქმეს მიხედე, როგორც საქირაოს.

მადლობა გადაუხადე და წამოვედი. მთავრობის სასახლეში ავედი, ერთ ჩემს ნათესავს მივადექი. იმასაც ვუამბე, რა ვასაჭიროვ ვიყავი, — ჭანჭრთელობის სამინისტროდან ლენინგრადის ონკოლოგიურ კლინიკაში მიმართვა გვინდა და იქნებ გამოხერხო-მეთქი. მაშინვე აიღო ტელეფონი და დარეკა. უთხრეს, მინისტრი აქ არ იმყოფება, მინისტრის მოადგილეს უნდა მიმართოთ. მინისტრის მოადგილეს ელაპარაკა. ეტყობოდა მაინცა და მაინც ხალისით არ შეხვდა მის თხოვნას მინისტრის მოადგილე. მაგრამ მაინც უთხრა, მოვიდესო. დღესვე? თუ მოასწრებს, პირველ

საათამდე, დღესვე. — გარეშეცა უნდა ვეყო, — ჩემმა ნათესავმა მართლა გავუტყე. მანქანა გავაჩერებინე და სამინისტროში ჩავედი.

მინისტრის მოადგილის კაბინეტთან ათნი მაინც იცდიდნენ. აქედან ხუთნი მაინც ნამდვილად რაიონებიდან იყვნენ. ერთი პირობა წავედი კარისკენ, პირველ საათამდე ვარ დაბარებულ-მეთქი. ჩვენც ეგრე ვართ დაბარებულები, ბატონოო. რალას ვიზამდი, დავიწიე დარცხვენოლმა უკან.

ჩემს იქ ყოფნაში რიგიდან მხოლოდ სამი კაცი მიიღო. დანარჩენნი — თანამშრომლები შედი-გამოდირდნენ. გახდა პირველზე მეტი. მინისტრის მოადგილე გამოვიდა, დიდ ბოდის ვიხდი, ოთხ საათამდე ვეღარ მივიღებთ, თათბირზე ვარ გამოძახებულიო. რალა უნდა მექნა! წამოვედი, მაღაზიაში ქათამი ვიყიდე. ბიჭები სკოლიდან ჭერ არ დაბრუნებულყვენ. ქათამი გაზზე მოვტუსე, გავრეცხე, გავასუფთავე, ტაფაზე დავდე. შევწვი. კარგად შევწვი.

მოვიდნენ ბიჭები. — დედა არ ჩამოსულა? უხალისოდ მიყარეს ჩანთებში. გელამ მაშინვე მაგნიტოფონი ჩართო. მამუკამ დაუყვირა, — გამორთე, გამრთავებულს, როგორ არ მოგებურდა მაგ ერთიდაიგივეს ტრიალიო. გელამ მხოლოდ ცოტათი დაუწია ხმას. სუფრა გავუშალე. დასხდნენ. ქათამი დაგლიჩეს, დატკვერეს, ძალიან მოეწონათ ჩემი შემწვარი. გელამ გაუბედავად მკითხა, — საშოშია, მამა, ეგეთი სიმსივნე? მამუკა ამაზეც გაუწერა, — კრეტინო, მაგას კითხვა უნდაო?! მე გავუთოლე, — არა, ბიჭებო, ჭერჭერობით არაფერია შესაშფოთებელი, მაგრამ არც გულდამშვიდება შეიძლება. მაგის მეტი ვინ გვყავს, გადავწვივით, ლენინგრადში წავიყვანო. იქ დიდი სპეციალისტები არიან, აპარატურაც სხვანაირი აქვთ. თქვენც, თქვენი მხრიდან ხელი შეგვიწყეთ, დედას ნუ გაანერვიულებთ, კარგად ისწავლეთ...

ადგნენ, ერთი ერთ ოთახში განაპირდა. მეორე — მეორეში, წიგნები აიღეს.

მე ტურქელი ავალაგე და ისევე ჯანმრთელობის სამინისტროში წავივდი. მინისტრის მოადგილე არ დაბრუნებულყო. მისმა მდივანმა ქალმა დიდი კმაყოფილებით გამომიცხადა, — დღეს აღარ დაბრუნდება, საგანგებო მდგომარეობის გამო ქალაქიდან გავიდაო. წამოვედი შინ. ბიჭები გარეთ გასულიყვნენ. დავეჭეი, გაზეთი ავიღე, ჩამთვლიმა, ძილბურანში ვიყავი და იმ ძილბურანში ვნახე: ისევე რაღაც მახუთიან ტალახში მივდიოდით მე და თინა. თინას უჭირდა და მხარზე მეკიდებოდა. სახე სულ სველი ჰქონდა, პრილა, თვალები თითქოს გასჩერებოდა. — ეე, შე უწნო-მეთქი. დავტაცე ხელი, ავიყვანე. თინა მიძალიანდებოდა, არ უნდოდა, ასე რომ მყავდა აყვანილი. მაინც მივდიოდი და დიდი წვალეებით ავიყვანე შემალღებულზე. იმ შემალღებულზე სიმშრალე იყო, დაბალი, რბილი, ხმელი ბალახი იყო. ბალახებში თეროები ამოღიმილებულყვნენ. ასეთ ხმელბალახიან კორდზე ვიდექი, ადრე, გაზაფხულზე, ფშავში. თინამ თავი ვერ შეიმაგრა, დაჭდა. იჭდა, დაბლიდან შემომყურებდა და უკვე თინა კი არ იყო, ჩემი პატარა და იყო — სახე ისევე სველი ჰქონდა, მხოლოდ განათებული სველი. იმ ძილ-ღვიძილშივე გავიფიქრე, რომ კარგი სიზმარი ვნახე.

გამეღვიძა. თინა შემოსულიყო და პალტოს იხდიდა. შემოვეტანა სოფლის ბაერის სუნი. თითქოს მზეც კი მოჰყიდებოდა, დაწვები უბრაწყინავდა. მიჯავრდებოდა, — ეგრე რატომ იძინებ, ვერ დაწექი და ვერ დაიხურე წესიერადო? მე ვუყურებდი და ვფიქრობდი, — აი, ამაზე ამიხდა სიზმარი, ამ აპრიალეებულ დაწვებზე. მივედი, ხელისგული დავადე. სველივით ჰქონდა, ცივი. — იქ რა, წვიმა იყო? — წვიმა არა, ნისლი იყო და უხილავი თქორი. — როგორ მიყვარს ეგეთი ამინდი! — შენ გიყვარს, ჩვენ კი კინალამ დავიღუბეთ. დაეჯახა ჩვენი ავტობუსი რაღაც ტრაქტორის მისაბმელს და, კიდევ კარგი, რომ ნელა მოდიოდა, თორემ გადაყი-

რავდებოდა და აღარ მოგიწევდა ლენინგრადში წასვლა.

ეროვნული

— „კინალამ“ აღარ ითვლებოდა მისი გულიმე და ბავშვური ცნობისმოყვარეობით დავუტრიალდი მის ჩამოტანილ გაბერილ ჩანთას, — რა ჩამოიტანე? — რა ვიცი, რაღაცები ჩამიწყო ნინოსო. გავხსენი ჩანთა, ბოთლით არაყი იღგა, ვაშლებში, მსხლებში, ბროწეულებში, ლელვის ჩირში. — ფული? — ფულიც ჩამოვიტანე. — უთხარი, რისთვისაც გვჭირდება? — აბა, რა უნდა მექნა: ნინოსაც ვუთხარი და ჩემ ძმასაც, ისიც იქ იყო. ჯერ ორივემ დააპირა წამოსვლა ლენინგრადში, მაგრამ ორივე რად გვინდა, არა? ლადო წამოგვეყვება. ხვალ აქ მოვა. ნინოსაც უნდა შევატყობინოთ, როდისთვის ავიღებთ ბილეთს. არაყს და ხილს გავგატანს, ძველი არაყი აქვთ, სულ კონიაკივითაა.

მე ცოტა თავი გამოვიდე, — სხვები რატომ უნდა შევაწუხოთ, სამსახურები აქვთ, ოჯახები! მაგრამ მერე შევეუბრედი ამ ამბავს, კარგ გუნებაზე კი დავდექი.

მოვიდნენ ბიჭები. მოუღბინეს ლელვის ჩირს. ვაკვირდებოდი და ვატყობდი, რომ მაინც რაღაც დარდითა და სიბრალულით უყურებდნენ დედას. თინა ყოჩაღობდა. ფული უკვე გვქონდა. ახლა ჩასაცემელ-დასახური უნდა მოემზადებინა. რაც დაგვეჭირდებოდა, ჩვენცა და ბიჭებსაც, პერანგები და ასეთი რამეები, აბაზანაში ჩაალბო. თან საქმიანობდა, თან მიუჯდებოდა ტელეფონს და ხან ვისთან რეკავდა, ხან ვისთან. თავის ამბავს პირდაპირ არ ეუბნებოდა, მაგრამ რაღაც გამოთხოვების კილო მაინც იგრძნობოდა მის მოკითხვაში და დამშვიდობებაში.

იმ ღამესაც ცუდად გვეძინა. სამჯერ გავახილე თვალი და თინა სამჯერვე მღვიძარი დამხვდა. რომ ვკითხე, რატომ არ ეძინა, როგორ არ მეძინა, მეძინა და ამ წუთას გავახილე თვალიო. ჩვენი ერთად ცხოვრება თერამეტი წლის წინათ დაიწყო. მეც მარტო ვიყავი დიდ ქალაქში და ისიც. ნაქირავები ბინები,

ხელმოკლეობა, ბავშვების ავადმყოფობები და ზოგიერთ მოვლენებზე სხვადასხვაგვარი შეხედულებებიც ხშირად გვაღიზიანებდა, წაგვიკიდებდა კიდევ ხოლმე ერთმანეთს. ბევრჯერ უტირია თინას, ბევრჯერ გავვარდნილვარ მეც გაცოფებული გარეთ, მაგრამ, საბოლოოდ, ჩვენ რომ ერთმანეთზე ძვირფასი არავინ გვყავდა, ამას ორივე ვგარანობდით. თინას ვერაფერს ვიტყვი — რას ფიქრობდა გულიგულში ის ჩემზე, მე კი ის ძალიან მეცოდებოდა. ნახუბარზე მოვეფერებოდი ხოლმე და ვეტყვოდი, — რაზე დაიდო ჩემი და შენი ცოდვა, მე რატომ გამომყევი, შენ ხომ კარგი, ჭკვიანი, ფულისმშოვნელი ოჯახისშვილი წაგიყვანდა, იქნებოდი ახლა გაფუფუნებული და გაფუფუნებული, გეცმებოდა... ჩამოვუთვლიდი, რა ძვირფასები ეცმებოდა. თინა მხრებში მუშტებს დამიშენდა. მე ეს რაღაცნაირად რბილი და თბილი მუშტები ძალიან მსიამოვნებდა და განვაგრძობდი, — ჩემთვის ერთი ეპიკტის ყიდვაა პრობლემა, ერთი პერანგის, ერთი წყვილი ჩულქის... თინას ხელები დაეღლებოდა და დაჭლებოდა. მართლა დაღლილი, ისე მიყურებდა, ხმის ამოუღებლად მეუბნებოდა, ნუთუ რამით ვამტლავებ, რომ ქურქის უქონლობას განვიცდიო! რა თქმა უნდა, მე მის უხმო ნათქვამს სწრაფად ვიგებდი და ვითარების კიდევ უფრო შესარბილებლად გულიანად ვიცინოდი. თინას ეს სიცილი კიდევ აღიზიანებდა და კიდევ შევბამს აძლევა. თითქოს სახის ირგვლივაც კი ნათელი ერკალეობოდა. ავდგებოდით და გაბალისებულნი წავიდოდით ჩვენ-ჩვენს საქმეზე. ახლაც, ამ დამით, წამოვიწყე ასეთი რამ, თანაც ღიმილით, მოფერებით. ამაზე მთლად გადაირია, — ნუ მეღაპარაკები ეგრე, მე ეგეთი მოსაფერებელი არაფერი მჭირსო და ზურგი მომაქცია.

ღლით თინამ სარეცხის რეცხვა დაიწყო, მე ჯანმრთელობის სამინისტროში წავედი. მინისტრის მოადგილის კაბინეტთან ეკლავაც რიგი დამხვდა. იდგნენ შეწუხებული სახის ქალები და

კაცები და იცდიდნენ. გავჩერდი მეც. მდივანმა ქალმა არ იცოდა, შიშვითოდა თუ არა მინისტრის მოადგილე. ვიღებო რი საათზე მეტ ხანს. წამოვედი, სამსახურში ავედი, ვინც კი მხედებოდა, ყველა შემბრალებლის თვალებით შემომყურებდა. ხელფასი ავედი, სამინისტროში დავბრუნდი, მინისტრის მოადგილე ისევ არ მოსულყო. მისი მომლოდინენი გაღიზიანებულნი ბორიალობდნენ დერეფანში. დაიწყო შესვენებაც. წავედი სახლში. თინამ რომ გაიგო, ვერაფერს ვხედებოდი, მოვიდა, ხელები მხრებზე დამაწყო, — როგორ გაწვალე! მე გავბრაზდი და ვუთხარი, — ნუთუ არ იცი, რომ ჩვენთან ერთი მისვლით ვერაფერს გააკეთებ?! უარესად გაუშწივოდა. შევიდა სააბაზანოში და რეცხვა განაგრძო. მე ცოტა რაღაც შევკამე, ცოტა დავისვენე\* და ისევ ჩემს საქმეზე წავედი. მომლოდინეები დაწყობილიყვნენ, გამოცოცლებულად გამოიყურებოდნენ. მინისტრის მოადგილე მოსულყო. შევიდა ერთი, მერე მეორე... მეშვიდე. საკმაოდ ჩქარა გამოდიოდნენ. ბოლოს მეც შევედი.

მინისტრის მოადგილე ახალგაზრდა კაცი იყო. თან ტელეფონის ნომრებს კრეფდა, თან მე შემომყურებდა. ბედად, არ უპასუხეს სასურველ ნომერზე. რა გნებაეთო. მე ვუთხარი, ის გახლავართ, გუშინ ამა და ამ კაცმა რომ დაგირეკათ, მიმართვა მჭირდება, რომ მეუღლე ლენინგრადის ონკოლოგიურ კლინიკაში წავიყვანო-მეთქი. — რატომ მაინცა და მაინც ლენინგრადში, ისეთი რა ვითარებაა? მე გავიღიმე, — ხომ მოგეხსენებათ ჩვენი ქალების ამბავი?! მინისტრის მოადგილის გვერდით სტელი, სანიმუშო ჰიპერტონიკი კაცი იჭდა. ისიც შემომყურებდა, იმანაც მიუთხრა, — ლენინგრადში რა, ჯადოქრები გეგულებათ? მე გავბრაზდი და იმ კაცს მივუგე, — იცით რა, ავადმყოფი ყოფილი დიდკაცის შვილია და ადგილობრივი არაფერი მოსწონს. — ვისი შვილია, რომელია? — კვლავ მკითხა ჰიპერტონიკმა. — ახლა საჭაროდ აღარ

ითქმის. მინისტრის მოადგილემ შემატყუო, რომ ცუდად ვლელავდი. მდივანს გამოუძახა, — ამ ამხანაგს ლენინგრადის მიმართვა გაუტყუეთო. დიდი მადლობა გადაუხადე. — ბედნიერად დაბრუნებულაყავითო. ისეც გადავუხადე მადლობა. პიპერტონიკი დაღონებული იჯდა. გამოვედი. მიმართვა დამიბეჭდეს, მინისტრის მოადგილეს ხელი მოაწერიხეს, მომცეს. რინგიდან გადმოსულის ნაბიჯებით დავუყვები კიბეს. შენანებოდა ჭალაღლის გაქცევა, ისე მივიტანე შინ.

თინამაც კარგი ამბავი დამახვედრა. თამუნისას ლენინგრადში დაურეკავს, ულაპარაკნია გოლდინის ასისტენტთან, ჩემი მეგობრები აპირებენ თქვენთან ჩამოსვლას, როდის ჩამოვიდნენო და გოლდინის ასისტენტს უთქვამს, თუნდაც ხვალვეო. თინამ მაჩვენა იმ ასისტენტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, კლინიკის მისამართიც. ახლა ერთი ესლა გვრჩებოდა, თვითმფრინავის ბილეთები აგველო და წავსულიყავით. ბიჭები მოლუწმულები დადიოდნენ, აღარც ჩვეულებრივ კინკლაობდნენ, მიწვებოდნენ და წიგნებს კითხულობდნენ. თინაც შემამოფრთებელი სევდით უყურებდა იმათ. მოვიდა და ჩუმად მითხრა, — ათასჯერ მირჩევნია, ერთმანეთი ჩაქამონ, ეიდრე ასე ისხდნენო. — ნამეტანი ნუ აიჩვილებ-მეთქი გულს. წავედი ბილეთების ასაღებად. შვიდი დღის იქითა ბილეთებია იყო დარჩენილი. შვიდ დღეს რა მოგვათმენინებდა! ისეც ნათესავს მივადექი. ის ნათესავი მფრინავი იყო. ჭერ კონიაკით გამიმასპინძლდა, მერე ფორმა ჩაიცვა, წავიდა, მესამე დღის ბილეთები მოგვიტანა, თინაც დიდ ბოდიშს იხდიდა. ჩვენ ძალიან კმაყოფილნი დავრჩით. მოვიდა თინას ძმა, მოჰყვა ჩემი და. მოვიდნენ ჩემი ბიძაშვილებიც, თინას ბიძაშვილებიც. ჩამოვიდა სოფლიდან თინას და ნინოც, ყველას რაღაცა მოჰქონდა, ყველა თავისებურ დახმარებას გვთავაზობდა. ჩვენ თითქოს გვაწუხებდა, ასე რომ ირჯებოდნენ. — კარგით რა, ხალხო,

ისეთი საღ მივდივართ! — ვეუბნებოდი ხან ერთთ, ხან მეორეებს. მაგრამ თან მაინც ძალიან გვსიამოვნებდა მათი ყურადღებიანობა. ფულზე ყველა შეთანხმდა, — ათასორასი მანეთი, თქვენ რომ გაქვთ, არ გეყოფათ, ჭერ უბრალო ოპერაციები რა ღირსო! ორი ათას მანეთად შეგვასრულებინეს, — როცა გექნებათ, მაშინ დაგვიბრუნეთო. თინას ძმას, მასწავლებელს, რა უნდა ჰქონოდა, მაგრამ იმანაც თავი გამოიღო და რაღაც „სამყოფი“ იმანაც მოჰქონდა.

ბიჭებს ჩემი და მოუვლიდა. აქედან ვივლი სამსახურშიო. ბიჭებმა ძალიან გაიხარეს. ყველა ქართველი მამიდა ხომ საძაგლად ანებივრებს მშისწულებს! ორი დღე სამზადისს მოვანდომეთ. უკვე ნოემბრის მიწურული იყო, ლენინგრადში ეციებოდა. თინას თბილი პალტო და ჩექმები არ ჰქონდა. ჩექმები დასამოთართვა, პალტო ბიძაშვილმა ათხოვა. მეც ვიშოვე თბილი ქურთუკი და ქუდი. გავამზადეთ ლენინგრადელთა მოსაკითხებიც. ერთი იმ კაცისთვისაც, ადგილები რომ უნდა ეშოვა სასტუმროში. ჩავაწყვეთ, ჩავაბარეთ ყველაფერი. დავლოცეთ ჩვენი გზა, დამხედურები, დამარჩომები. ღვინოში საოცრად კარგებად გულიანამაჩუყებლად კარგებად გვეჩვენებოდა ნათესავ-მახლობლების სახეები. დავლოცეთ მთელი ჩვენი მოდგმაც, ჭიში და განაგისი. თინა ღამით ისეც შემეპარა ბიჭების ოთახში. საწოლთან დაჩოქილიყო, და ისე ეფერებოდა მძინარეებს. დილით თინას ძმა მოვიდა, ამხანაგმა მოიყვანა მანქანით. თინა ახლა უკვე ფეხზე მდგარ ბიჭებს კოცნიდა ტირილით. გელამაც იტირა. — ჩვენც გაგაცილებთო, — ბიჭებმა. — არა, შვილო, თქვენ სკოლას ნუ გააცდენთ. მოვიდნენ თინას ბიძაშვილებიც, ჩვენი მეგობრებიც. ისინი გამოგვყვნენ აეროპორტში. გადაგვკოცნეს. გავფრინდით.

თინა პირველად მგზავრობდა თვითმფრინავით. შეიძლება სულაც ამის გამო — მთლად გამოცვლილი იყო, სახე-

მიმჭრალი. მე ვანუგეშებდი. — ნუ გეშინია, ისეთი სიზმარი ვნახე, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. თინა ილუმინატორს იყო მიკრული, თითქოს დაბლადარჩენილი ღრუბლებით იყო აღტაცებული, მაგრამ, ვატყობდი, შუბლის მინაზე მიჭერა უფრო სიამოვნებდა. უწყვეტად იყო გაბმული ღრუბლები. გვეგონა დაფრენა გაგვიტორდებოდა, მაგრამ დაფრინდით. ლენინგრადში თხელი თოვლი იდო, ციოდა. თინას ველარ ეცნობდი, გვერდზე მომდევნა და სხვაგან იყო. რეებს აღარ ვეუბნებოდი, მაინც გაოგნებას ველარ სძლედა.

ტაქსის მძღოლიც ენახალავათი კაცი შეგვხვდა. ეს ეს არის და ის ისო, — ხალისით უხსნიდა თვალმდადიდებულ თინას. მერე...

მერე რაღა! გოლდინის ასისტენტმა თინა წინ გაუშვა და თვითონაც შეჰყვა. გოლდინი პატარა ტანის მოხუცი აღმოჩნდა. თეთრი ესპანური წვერი ჰქონდა, მაგიდაზე დახრილი, რალაცას წერდა. ამოიხედა. ასისტენტმა კინოკადრებით ჩაგრძელებული სურათები მიაწოდა. გოლდინმა ერთი შეხედა თინას და მერე სურათებს ჩააქერდა. ასისტენტი სურათებზე თითოს უდებდა და ლათინურ რალაცებს ეუბნებოდა. გოლდინი თავს უქნევდა და ტუჩებს ბუსხავდა. — რამდენი წლისა ხარო? — ჰკითხა გოლდინმა თინას. თინამ უთხრა, რომ ოცდათვრამეტი წლის იყო. — შეილი რამდენი გყავთ? — ზორი. გოლდინი თინას მიაკერდა, — რატომ ხუთი არა, რატომ ექვსი არა, შეიდი?! თინას კბილების კაწკაწი აუტყდა. გოლდინმა სურათები ასისტენტს დაუბრუნა, — თავისუფლები ხართო, — და წერა განაგრძო. ასისტენტს გაეღიმა, თინას თავის გადაქნევით ანიშნა, — წავიდეთო. კართან მისულებს, გოლდინის ხმა მოესმათ, — თქვენს ამხანაგებსაც გადაეცით, თუ უნდათ რომ ეგრე არ იკანალონ იმათაც. ბევრი შვილები იყოლიონ — ექვსი, რვა, ათი. გესმით?! თინამ დამფრთხალმა მიიხედა და გამოღებულ კარს როგორღაც ცუდად შეე-

ჭახა. გოლდინი წამოხტა, მოიბრინა. — გეტკინათ? — შესტკეროდნენ მისი მუწუხებულები. თინას თანაც უნდა მისტკეროდა, თან ილიმებოდა. — სიცილი გიბდებათ! რაც შეიძლება ბევრი უნდა იცინოთ ცხოვრებაში! და კიდევ — მოერიდეთ ამოდენა მანძილებზე ფრენას ოჯახის პატრონი ქალებო. — გოლდინი თავის მაგიდისკენ წავიდა. იცინოდა მისი ასისტენტიც.

— შეგიძლიათ დღესვე დაბრუნდეთ შინ. გაელიმა დერეფნის კედელზე მუშიისფრად მიუღებულ თინას მასაც...

მერე გამოვედით და წამოვედით თოვლში. კლინიკა ქალაქის განაპირის ტყეწვრილში იდგა. ტყეწვრილი თეთრად იყო შებურთებული, სახეშიც გვეყრებოდა წვრილი მკვრივი ფიფქები.

მოვედიოდი მთლად მოთლოდნელად დასაჩუქრებულებივით, წინწამოხრილი, გამოჩქვრებულნი, თითქოს მოშიშარნი, რომ ის საჩუქარი უკან არ გამოერთმია ვინმეს. გვიხაროდა, რომ ისევ ერთად, წყვილად მოვადგამდით ნახევებს.

მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო. მთავარი იყო, რომ ჩვენს მალა ცა წრიულად იყო გახსნილი. მისი კიდებიდან, როგორც ქვევრის პირიდან, თავები გადმოეყოთ გალიმებულ ანგელოზებს, და ეს ანგელოზები სულ ჩვენი ნათესავეები, მახლობლები და მეგობრები იყვნენ. ისინი თან თითქოს, დამკინავად ილიმებოდნენ და თან ბალიან უბრალო, მაგრამ მელოდიურ სიმღერას მღეროდნენ: — ცხოვრება მარტივია, არის სიცოცხლე, არის სიკვდილი. სიცოცხლე — კარგი, სიკვდილი ცუდი. ვუგალობთ სიცოცხლესო.

გვრცხვენოდა თუ რა, თავი მალა არ აგვიწევია, ისედაც აშკარად ვხედავდით მათ.

ვიღაც რუსი ხნიერი კაცი ბუქნით ცეკვავდა საავადმყოფოს ყოროს იქით.

აი, რა დავინახე, როცა მძღოლმა მძღოლს დაუძახა:

— როგორა მყავხარ, ანგელოზო!

## მინის აგზავნი

ბრუნავდა მიწა ზეცამდე აღსვლად,  
იმთავით იყო მიზანი ერთი;  
მიწა მიწაში დაიძრა აზრად  
და იყო თვითონ მაღალი ღმერთი.  
გზას რომ ირჩევდა სანიშნო ხაზად  
მიწა მბრუნავი და დანარჩევი,

აზრი იყო და დაიძრა აზრად  
და იზრდებოდა აზრი ბალღით.  
იმთავით იყო გონი მიმხვდარი;  
ბრუნავდა მიწა ზეცამდე აღსვლად,  
გზა არჩეული იყო იმთავით,  
რომ იქცეს მიწა ერთიან აზრად.

• • •

შენ ძველი აზრი გინდა იცოდე,  
აზრი მძიმე და დაუნდობელი:  
მიწის კალთაში იშვა სიცოცხლე,  
თუ სიცოცხლეა მიწის შშობელი.  
მკერდგადაღლედილ, უსიტყვო საგნებს  
რამდენი მზერა დაეცა ბასრი,  
რამდენი შუბლი შეინგრა აგრე  
ნიაღვარივით მოგარდნილ აზრით.

კედლებს ანგრევდა მძვინვარ ამინდად  
და ჭრიალებდა გონი მიმხვდარი,  
რომ იყო მიწა დასაბამიდან  
და არსებობდაც იყო იმთავით.  
რამდენი ჩრდილი დაუნახავი  
კბილით მოჭლიჩეს მძიმე ბინდებს...  
კიდევ რამდენი შუბლი მაღალი  
მრისხანე აზრით დაიტვირთება.

## პაპერი მინა

მალლიდან დაჰკრავს მზე  
საჩრდილობელს,  
მზეს არწივივით სისხლი მოშვივა;  
ბებერი მიწა დახსნის ჭრილობებს,  
მიწა აუშვეებს სისხლის ოხშივარს.  
და ახსოვს მიწა: დროშა ცისფერი  
არწივის ფრთებად მოშრილებდა  
და ივსებოდა გზად მიწისპირი

ვაეკაცთ თავებით ქორიანებით.  
ბებერი მიწა სისხლის ავდარით,  
სისხლით სველია, განა ცრემლებით,  
ტყავდახეთქილი და მკერდდამსკდარი  
მიწა ჭავრისგან დანაცრებული.  
სისხლით დამთვრალი მზეა ორბივით,  
ფრთებს ჩამოიშლის და ძირს ეშვება  
და მიწის ძველი ნაჭრილობევით  
მე შიგ გადგმული მტკივა ფესვები.





ქართული  
მწერლების  
კავშირი

მძიმე სიბერის ტვირთქვეშ დავშვრები  
და წლების ფერფლი მხრებზე მაცვივა...  
ეხლა რა ვუყო, ამდენ ბავშვებში  
მე ერთადერთი ბერიკაცი ვარ.  
ხანგადასულნი როგორ ბავშვობენ,  
როგორ გაურბით თვალები მალა,

შემოსხლომიან სათამაშოებს  
და ბედნიერი ღიმილი ახლავთ.  
დამაქვს სიბერე მხრებზე დამდგარი  
და სიკვდილამდე აგრე დავრჩები,  
მე გზად მივდივარ წელში გამტყდარი  
და ქვებს მესვრიან ცელქი ბავშვები.

თვალებს ვარიდებ ყინიან ზეცას,  
წამით მოვწყდები და მოვეშვები,  
როცა ტკივილით მიგრძენია კვნესა  
მიწის სიღრმეში გადგმულ ფესვების.

მაღალი ზეცის სახელით გფიცავ,  
დაწყველილივით მიყვარხარ-მეთქი;  
შენთვის დავეშვი ზეციდან მიწად,  
რომ კაცი ვიყო და არა ღმერთი.

## ხანდაზმული ნიგნები

გულჩათხრობილი ღიმილით უმზერ  
ხანდაზმულ წიგნებს, როდესაც გაშლი...  
შემოგანათებს დაღარულ შუბლზე  
ჩაფიქრებული თვალები ბავშვის.  
ისეთი გრძნობა გქონდა ხანდისხან,  
ბებერი წიგნი რომ გაგიშლია,  
დაცვარულ მინდვრად თითქოს გადიხარ

აკვამლებული ქალაქებიდან  
მკერდგაღელილი და ფეხშიშველა.  
გარდასულ სიზმრებს დაუბრუნდები,  
წარსულის ჩრდილებს ეთამაშები...  
წიგნია — როგორც მინდვრის სურნელი  
და საუბარი ბრძენი ბავშვების.

მოთავდა დღე და დადგა დაისად,  
თვალებში გაწვა ფერი — ნაცარი...  
მზისკენ წასული მზეი დაეცა, —  
იყო სიკვდილი უზარმაზარი.  
ჩვენ იმ სიკვდილზე შაგვებს მოვისხამთ  
და იმ საფლავზე სანთლებს მივიტანთ,  
დავადგებით ფეხზე, ვიტყვიტ გლოვის  
ხმას.  
როგორც ზარები ეკლესიიდან.

დავადგებით ფეხზე — ისევ და ისევ  
ვიტყვიტ სიმღერას და ვიტყვიტ სევდას,  
რომ მიდიოდა სიცოცხლე მზისკენ  
და რომ დაეცა აღრე და მზემდე.  
აეშრიალებთ შაგვებს ფარდებად,  
დავაჭრობთ სანთლებს — მორჩა, რაც  
არის...  
და იმ საფლავზე ძეგლად დადგება  
ჩვენი წუხილი უზარმაზარი.



• • •

მზერაში მუდამ დაეინება,  
გული — ათასი ეჭვის მზიდველი...  
კაცი გგონია საშინელება,  
თუმცა ძვირფასი და მიმზიდველი.  
თითქო სხვა არი კიდევ საძებნი,  
სხვა საიდუმლო არი დაცული.

დაფარულია ყველა კაცებში  
სხვა, უფრო ნამდვილმამაკაციური.  
ძვირფასო ბალო, მე მიხარია  
ალტაცებამდე,  
თუ ჩემშიც შენთვის საოცარია,  
მუდამ რითმებით რომ გესაუბრო  
ამ სიყვარულით გატაცებამდე.

• • •

ვიცი, მიცდიდი, მელოდი დიდხანს,  
მერე წახვედი, წახვედი, რადგან  
მე არაფერი იმედი მითქვამს...  
და შენ უეცრად გათხოვდი სადღაც.  
ვიცი, დამშვიდდი თუმცა დროებით,  
გაგახსენდები გატეხილ ღამით,

როგორც ოჯახის დიდმეყდროების  
ხიფათი რამე,  
დაჩვეულ ზრუნვას როცა შორჩები,  
დაგელანდები უეცარ წამით,  
როგორც ოჯახის პატიოსნების  
ხიფათი რამე.

• • •

ამბობენ, ვითომცდა არ არსებობდე,  
ამბობენ და თანაც იცინიან...  
იქნებ ავადა ხარ, დასნეულდი.  
იქნებ სუსტი ხარ  
და უსუსური  
ახლადშობილივით.  
იტირე თუნდაც —  
ხმა მომაწვდინე,  
ხმა მომაწვდინე —

იტირე თუნდაც —  
ხმა მომაწვდინე,  
მოგებნი, ვნახავ, მოგეფერები...  
ოლონდ იცოდე,  
არ მიმტყუნო  
და იყავი მაინც,  
იყავი მაინც —  
საზიზღარ ცილისმწამებელთა  
და მეკორეთა ჯინზე.

• • •

ძველთაგანვე იტყონენ: იცვლება  
ყველაფერი  
და ამ ცვალებადში არის უცვლელი:  
დროულია ყველაფერი  
და ამ დროულში არის მარადიული,  
მარადიული არის შენშიც... —  
შენ ჩაბრუნდები საკუთარ თავში  
და წყურვილისგან დასიცხული  
თვალებით  
ეძებ მას —  
მარადიულს შენში.

ბედნიერი ხარ — როცა მიაგნებ მას —  
მარადიულს შენში — უზომოდ  
ბედნიერი  
ძილში ხარ თითქო...  
გეძახის, გეძახის, გირტყამს ცხოვრება—  
გაღვიძებს: თან წაგიყვანს...  
და შენ მიღიხარ ფეხების ბარბაცით,  
როგორც ნამთვრალევი,  
თვალებში იზრდება სინანული  
ნისლივით,

და ასეა მუდამ...  
პ. შარტინის საბ. საბ. სს  
საბჭოთავო მწერალთა  
კავშირი



• • •

უფშველესი, პირველყოფილი ინსტიტუტისა არი —  
 გიყვარდეს თავი იმიტომ, რომ  
 თვითონა ხარ.

უზარმაზარი განვითარების მოტანილია —  
 გიყვარდეს სხვა, თუნდაც რომ სხვა არი.  
 საძაგელია კაცი, დამწყვედელი საკუთარ თავში  
 და საკუთარი ვიწრო ოჯახის კედლებშუა.  
 კაცი ნამდვილად უნდა გაფართოვდეს სხვამდე,  
 სხვა მილიონებამდე, კაცობრიობამდე.  
 კაცობრიობამდე, რომელიც არის სხვა და არის თვითონ.  
 გიყვარდეს-მეთქი და მაინც დამცდა: „საძაგელია“.  
 ასე გამიგე: ადამიანი თუკი გიყვარს,  
 უნდა გძულდეს ის, რაც იქნება არაადამიანი.  
 ბევრი რამ არის ადამიანში არაადამიანის, —  
 გძულდეს იგი უზარმაზარი სიძულვილით,  
 უზარმაზარი სიძულვილი უზარმაზარი სიყვარულის  
 გამო — ასე გამიგე.

## გ უ ბ ე

### პროლოგი

აქეთ, ჩემო ბატონო, აქეთ მობრძან-  
 დი. აქ ისეთი ხალგათობაა, ორივე  
 თავისუფლად დავეტივით. ირგვლივ  
 რომ მღვრიე ბურუსი დგას, ეგ ნუ გა-  
 ფიქრებს, მალე თვალს შეაჩვევ და ყვე-  
 ლაფერი გამოჩნდება. მობრძანდი. რა-  
 ლაც განსაკუთრებულსა და უნახავ სა-  
 ნახაობას გაჩვენებ-მეთქი, ვერ შეგპირ-  
 დები. ან კი აქ განსაკუთრებული რა  
 უნდა იყოს! მაგრამ, ავადაა თუ კარგად,  
 კოსტა ადამიანია და მისი თავი არსე-  
 ბითად ადამიანის თავია. ადამიანის თავ-  
 ში კი, მოგეხსენება, ისეთი განუკითხა-  
 ვი არეულობა სუფევს, განსაკუთრებუ-  
 ლი და უჩვეულო რომც არაფერი ხდე-  
 ბოდეს, დაინტერესებული თვალი მაინც  
 მრავალ თავშესაქცევს იპოვის. რა თქმა  
 უნდა, ჩემთვისაც ჯობდა ისეთი თავი  
 ამერჩია, ზოგადსააკაცობრიო სატყე-  
 რით იყოს გახტრებული და შიგ მსოფ-  
 ლიო სევდია ნატიფი სურნელი იდგეს,  
 მაგრამ სამწუხაროდ ეს ჩემზე არ არის  
 დამოკიდებული. ჩვენ, ვინც მკლავებ-  
 დაკაბიწებულები ვდრღნით ფანქრებს  
 და ტვინს ვიჭყლებთ, რათა თქვენ,  
 თქვენს შემდეგ მოსულთ, თქვენს შემ-  
 დეგ მოსულთა შემდეგ მოსულთ და  
 ა. შ. (შეძლებისდაგვარად უსასრულოდ)  
 სულიერი საზრდო არ მოგაკლოთ, ჩვენ,  
 ჩემო ძვირფასო მკითხველო — ღმერ-  
 თმა მოგცეს მაღალი გემოვნება —

ალაღბედზე დავეხეტებით და არჩევანი  
 არა გვაქვს. რომელ თავშიც წავაწყდე-  
 ბით ხვრელს, იმ თავში უნდა შევძვრეთ.  
 მართალია ამას მერე ისეთი ბუნდოვა-  
 ნი და უფორმო სახელით ვნათლავთ,  
 როგორიცაა „მუზა“, მაგრამ ეს უწყვი-  
 ნარი ხუმრობაა. სინამდვილეში არავი-  
 თარი მუზა და ჭინკა არ არსებობს. ჩვენ  
 მთლიანად მათემატკურ ალბათობაზე  
 ვართ დამოკიდებული: ათასი თავი მა-  
 ინც უნდა გავჩხრიკოთ, რომ ერთ მათ-  
 განში ხვრელი ვიპოვოთ. შეიძლება კა-  
 ცმა არც ეძიო ხვრელი. ზოგი ასეც იქ-  
 ცევა. მაგალითად, ისინი, ვინც საზო-  
 გადოებრივ ინტერესებს საკუთარზე მა-  
 ლა აყენებენ და გმირული გულმოდგი-  
 ნებით ცდილობენ მკითხველს დროუ-  
 ლად მიაწოდონ ცხელ-ცხელი სულიერი  
 საზრდო, იმუღბებული არიან ოპერატი-  
 ულად იმუშაონ და ოქროს ფასად ღი-  
 რებული დრო ხვრელის ძებნაში არ და-  
 კარგონ.

კი, ზოგი რამ გარეგნობაშიც ჩანს.  
 თუ გაჭირდა, იმასაც შეიძლება დაე-  
 თანხმო, ვინც იტყვის, რომ გარეგნობა  
 შინაგანი ბუნების ხატია და სიმბოლო,  
 მაგრამ ერთი ესეც ვიკითხოთ: არის ვინ-  
 მე ამ სიმბოლოს ამხსნელი? მით უმე-  
 ტეს მწერალი, რომელიც ყველა სიკე-  
 თესთან ერთად იმაზეც უნდა ფიქრო-  
 ბდეს, რომ პატიოსანი კაცის შესახებდა-

ობა ჰქონდეს. ისეთ ასპარეზზე, სადაც ხირომანტებსა და ასტროლოგებს მოეცარათ ხელი და თვით ყვაზე მკითხავენსაც კი ზოგიერთი ნიშნის მიხედვით იგივე ბედი ელით, საწყალი მწერალი რას გახდება! არა, გარეგნობის ცოდნა არ ემარა. გარეგნობის მეშვეობით მხოლოდ ზოგადი ბუნების დადგენა შეიძლება. ეს არის და ეს. მაგალითად, მე და შენ რომ კოსტას თავში მიმავალი ყველა გზა გადაეტილი დაგვხვედროდა და იძულებული შევქნელიყავით, მხოლოდ გარეგნულ მონაცემებს დავყრდნობოდით, რას ვინამდით? ვთქვათ, ერთხელ შემოვეუვლოდით ირგვლივ, ორჯერ, რამდენჯერაც გაგვეხარდებოდა, ვთქვათ, უკან ავედევნებოდით, წინ გადავეუდგებოდით, თვალუბის გამომეტყველებას დავაკვირდებოდით, ხმის ეილოს დავიხსომებდით და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, ბოლოს დავახდებოდით და დავწერდით: „კოსტა არის ოცდაშვიდი-ოცდარვა წლის კაცი, ზომაზე მეტად დაბალი და ზომაზე მეტად გამხდარი, იქამდე გამხდარი, რომ მის დანახვაზე უმაღლესი სიტყვა „წერილი“ მოგვითთავში. ხელ-ფეხიც წერილი აქვს, თავიც წერილი აქვს, ყველაფერი წერილი აქვს“. ამას რომ დავწერდით, ზედ მცირე კომენტარს მივყოლებდით: „ეს ცუდია. ისეთ დაბალ კაცს, როგორც კოსტას, ურჩევნია მატეანი იყოს, რადგან სიმსუქნე, თუნდაც დონდლო სიმსუქნე, დარბაისლურ იერს შეჰმატებდა და სიმაღლა თვალმისაცემ ნაკლებობას ცოტათი მაინც ანახალაურებდა. მაგრამ, — დავძენდით იქვე. — ეს კოსტას ბრალი არ არის. ეს შეცდომა ბუნებას მოუვიდა. კოსტას ბრალი ისაა, რომ მუდამ გაპარსულია, თმა გულმოდგინდა აქვს გვერდზე გაყოფილი და ფაქიზად დავაოცხნილი, ყოველი ბეწვი მორჩილად და პასუხისმგებლობის ღობა შეგნებით წევს თავის ადგილას. ტანზე გაუთოებელი შარვალი აცვია და გაუთოებელი პერანგი ისე დაკვირვებითა აქვს ჩატანებული შიგ. ერთ ზემეტ ნაოჭს ვერაიდ უპოვო. ეს კი-

დეც უფრო ცუდია (განვავაობოდით შემდეგ ჩვენ). როდესაც ჩვენს მეტად დაბალი და ზომაზე მეტად გამხდარი კაცი ასე სათუთადაა გაჩანდული და გაუთოებელი, მის დანახვაზე თვალს არავითარი დაბრკოლება არ ეღობება, ყურადღება მთლიანად სიტყვა „წერილი“ ირგვლივ იყრის თავს და ჩვენც ჩვენდაუნებურად რაღაც მაღვალაქური შედარების ძებნას ვიწყებთ. შედარება იქნებ ვერც ვიპოვოთ, მაგრამ თავად ფაქტი, რომ შედარების მოთხოვნილება გვიჩნდება, საკმაოდ მკვერმეტყველია. კოსტამ რომ ფსიქოლოგიის ანბანი იცოდეს, რამეს იღონებდა: ან შარვლის ცალ ტოტს დატოვებდა გაუთოებელს, ან პერანგს ამოიჩაჩავდა, ან თმას გაიპურძენდა, ან სახეზე მურს წაიხვამდა. მაშინ ჩვენი ყურადღება ამ პატარა-პატარა დაბრკოლებებზე დაბანდლებოდა და მთავარ ნაკლამდე გაფანტული და შეუსატებული მიღწევდა. მაგრამ კოსტამ ეტყობა ამდენი არ იცია.

კოსტამ ის არ იცოდა, რით ეშველა, თორემ თავიანი ნაკლი შეგნებულაც ჰქონდა და მტყინეულადაც განიცდიდა. ამას გვიდაატურება თუნდაც მისი წარსულია ის ფურცელი, სადაც უღვაშზეა ლაპარაკი. კოსტამ ერთხელ უღვაში მოუშვა. კოსტა ვარაუდობდა, რომ პატარა და წერილ კაცს ერთი რამ მაინც უნდა ჰქონდეს დიდი, და რაღაც სხვა არა ჰქონდა რა, იმედი უღვაშზე დაამყარა. მაგრამ როდესაც უღვაში კარგად წამოიბინდა, ზედა ტუჩს ქვედა ტუჩამდე გადმოეფინა, ხოლო ბოლოები ნიკაპზე დაეკიდა, სადაც, საარკში, ახლოებელთა ცნობიერებაში თუ სადმე ისეთ ადგილას, რომლის გეოგრაფიული განსაზღვრა არ ხერხდება, უეცრად აღმოჩნდა, რომ კოსტა საყუთარი უღვაშის წანამატად იქცა. უღვაშმა პატრონი განდევნა და მისი ადგილი დაიკავა. მაშინ კოსტამ მოღალატე უღვაში გაიბარსა. ამის შემდეგ ერთადერთ ნუგეშად თავის დაკერა დარჩა: დინჯი მიმოზრა, ნელი. გამოზომილი სიარული, აუჩქარებელი მტყველები. რა თქმა უნდა, ეს ნუგე-

ში კი არა თავის მოტყუებაა, მაგრამ კოსტამაც რა ქნას: მან ხომ არ იცის, რომ ლირსებით ნაკლის მიჩქმალვა შეუძლებელია, ნაკლი მხოლოდ სხვა ნაკლით თუ მიიჩქმალება. სამწუხაროდ, ეს ისეთი სიბრძნეა, კიდევ დიდი ხანი გავა, სანამ კოსტას რომელიმე წვრილი შთამომავალი მის სიღრმეს ჩაწვდება).

საბოლოოდ რას დავადგენდით ამ გარეგნული დაკვირვებით? იმას, რომ კოსტა ზედმეტად წვრილია და ამ ნაკლს მტკივნეულად განიცდის? მაგრამ ეს ხომ წვეთია კოსტას ვენებათაღელვის ზღვაში! ესეც არ იყოს, ასე შეიძლება კოსტა სულაც გაგვისხლტეს ხელიდან. რამდენი ზედმეტად წვრილი კაცია ქვეყანაზე, რამდენი ზედმეტად მსხვილი, რამდენი ზედმეტად კოჰლი და რამდენი ზედმეტად კუზიანი, რამდენი ზედმეტად სულელი და რამდენი ზედმეტად ჰქვიანი! ყველა მათგანი მტკივნეულად განიცდის თავის ნაკლს. მაშ, კოსტა სადღაა?

ღვთის შადლით ჩვენთვის ეს კითხვები ლიტონი კითხვებია, რადგან ჩვენ კოსტას თავში ვართ მოკალათებული და შეგვიძლია ყოველივეს, ასე ვთქვათ, დედანში ვადვენოთ თვალი.

ასეც მოვიქცევით.

ოღონდ, სანამ რეპორტაჟს დავიწყებდეთ, საჭიროა მცირე განმარტება მიეცეთ მათ, ვინც სხვის თავში არასოდეს არაა ნამყოფი. პირველ ყოვლისა ის უნდა ვუთხრათ, რომ, როცა თავს ვამბობთ, ცნობიერებას ვგულისხმობთ. ცნობიერების ბურუსში ვართ შეპარული და ჩასაფრებული.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ თავად ცნობიერება რა არის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. სიტყვას არ შეუძლია ცნობიერების არსი გადმოსცეს, რადგან ცნობიერება უსაგნოა, სიტყვა კი ნივთიერი საგანი, რის გამოც მათ შეხების წვრილი არ გააჩნიათ. მაშ, რა გქნათ? ერთადერთი გზა ის არის,

რომ ვილაპარაკოთ იგავით, ანუ ვილაპარაკოთ არა თავად ცნობიერებაზე, არამედ იმ ნივთიერ შთაბეჭდილებებზე, რასაც ეს ცნობიერება აღგვიძრავს. ამიტომ მათ, ვისთვისაც ეს განმარტება იწერება, მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ ამ ორ მოვლენას შორის კავშირი ისევე არარეალურია, როგორც, ვთქვათ, ზეთის საღებავსა და მონა ლიზას სილამაზეს შორის. თუკი ამაზე შევეთანხმდით, შეგვიძლია ცნობიერების განსაზღვრავიც გადავიდეთ:

წარმოვიდგინოთ შემოდგომის კრიკი დღე. თეთრი, მღვრიე ნისლი. პატარა, გაუმდინარე გუბე, რომელსაც ზემოდან წვიმა დასდის. გუბის ზედაპირზე კონცენტრირებული წრეები თანაბარი სიჩქარით იშლებიან ყველა მხარეს და ცენტრიდან პერიფერიისაკენ მიისწრაფიან. გუბის სიღრმოდან გაურკვეველი შიშინი ისმის. ეს წყალქვეშა დინებებია. ისინი მოუსვენრად დაძრწიან გუბეში ნაირ-ნაირი მიმართულებით და ზედაპირზე ამოსვლას ლამობენ. ზედაპირზე ვერ ამოდიან, მაგრამ, როდესაც წვიმის წვეთების მიერ წარმოქმნილი წრეები ამ დინებათა გზას გადაკვეთენ, ჩნდება ჰავლი, რომელიც ზედაპირზე ამოიწვერება და მერე ფერებად იშლება. წითლად, ცისფრად და იისფრად. ზოგჯერ სხვა ფერებიც გვხვდება, მაგრამ ეს სამი ფერი ყოველთვის ჰარობს. ფერებად დაშლილი ჰაველები ფიქრებია. ჰავლი უმრავლეს შემთხვევაში (თუ კოსტას თავის მიხედვით ვიმსჯელებთ) სუსტია და უღონო, ოდნავ ასცდება თუ არა ზედაპირს, ერთს დაკვესავს და გაქრება. ზოგჯერ საკმაოდ სიმაღლეზე ამოდის და ფერებად შედარებით უხვად ყრის. იშვიათად ისეც ხდება, რომ რამდენიმე ჰავლი შორს ასცდება ზედაპირს, მერე ერთმანეთსკენ გადაიხრებიან, თავებს ერთმანეთს მიადებენ და ტკბილი ჩუხჩუხით ეშვებიან უკანვე გუბეში. მაგრამ ეს გუბის მხრივ დიდ დაძაბვას ითხოვს, წყალი მტკივნეულად

ნეულად აწევა ნაპირს და ყველაფერი ამ ნაპირის გამძლეობაზეა დამოკიდებული.

ახლა კი, რახან ეს იძულებითი განმარტება მოვიტყვეთ, ვახსენოთ ღმერთო და პირდაპირ საქმეს შევეუდგეთ.

## ნაწილი პირველი

### განსაცდელი

წერილი, რომელზედაც ქვემოთ კიდევ გვექნება ლაპარაკი, სამშაბათ საღამოს ამოიტანა მეზობლის ქალმა და სამშაბათ საღამოდან პარასკევ დილაამდე კოსტას თავში ფიჭრები, ფიჭრების ნაწყვეტები და ფიჭრების შორეული მინიშნებები ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყო.

უფრო დაწვრილებით ეს ამბავი ასე მოხდა: მზე რომ მთას მიეფარა და პაერს ბინდი შეერია, ჭიშკარს მეზობლის ქალი მოადგა და მართო (კოსტას ცოლი) დაიძახა. კოსტამ, რომელიც კაცის ძირას იჯდა და ჯამბულასთვის ხის ხმალს თლიდა, ერთი პირობა დააპირა გაპასუხებოდა, მაგრამ ისევ გადაიფიქრა, რადგან ამ დროს ცოლიც გამოვიდა სახლიდან. ცოლი სტუმარს აივნიდანვე შეეხმინა, შემოდი, ქალო, რა შორიდან იძახო, მეზობელმა — არა გენაცვა, შემოსასვლელად სადა მცალია, ეს წუთია ჩამოველი ქალაქიდან, სახლიც მისახედი მაქვს, საქონელიც და ქმარ-შვილიცო. ნათელა (კოსტას ცოლისდა) ვნახე და წერილი გამომატანა, ამიტომ შემოვიარეო.

წერილის ხსენებაზე კოსტას გულმა რეჩხი უყო. ცნობიერების პატარა გუბე, თითქოს მოულოდნელმა ქარიშხალმა დაუბერაო, ერთბაშად აღელდა, აწირილდა, აბუხუტუნდა. რამდენიმე ჰველი ერთდროულად წამოიქოჩრა და მუქ წითელ ნაპერწკლებად დაიშალა.

მაინც რამ ააფორიაქა ასე კოსტა? იატომ აამღვრია და ააღელვა ცოლის-დან წერილმა მისი ცნობიერების გუბე, რომელიც რამდენიმე წუთის წინ უძრავი იყო. წყნარი და მთვლემარი?

შაბათს (გუბე ნელ-ნელა დაიწმინდა, გზაბნეული წყალქვეშა დინებები თავთავიანთ კალაპოტს დაუბრუნდნენ და ზედაპირზე განაჩის ჰველები ამოიშართა) ნათელა თვითონ აპირებდა ამოსვლას: ბავშვი უნდა წაეყვანა. მაშ, რა ისეთი სიყვარულის გულდა გაუსკდა, სამი დღე ველარ მოითმინა და წერილი გამოგზავნა? „იქნებ რამე ცუდი ამბავია?“ — ცისფრად და იისფრად დაიშალა ჰველი. „არა, — წითლად დაკვესა საპასუხო ჰველმა, — მაგათ ისეთი ბედი აქვთ, ცუდი არაფერი შეემთხვევათ“.

მეზობლია ქალი რომ წავიდა, კოსტა წამოადგა.

— რაო, რა მინდაო? — დაუძახა ცოლა და თითი ბარათს მიაშვირა.

— აბა რა ვიცი, ჭერ რომ არ წამიკითხავს!

აივანზე ცოლმა წერილი გახსნა და ხმამაღლა წაიკითხა:

„ჩემო შარია! (კოსტას ცნობიერების გუბეში წამით იელვა მუქი წითელი ფერის უწმარტო ჰველმა) ამ პატარა ბარათს ნაჩქარევად ვწერ ბაზარში. აქ ერთ თქვენებურ ქალს წავაწყდი და იმას ვატან. პირველ ყოვლისა, იმედი მაქვს ყველანი კარგად და ჯანმრთელად იქნებით. ახლა კი, ჩემო დაიკო, რა უნდა გითხრა: არც მე და არც იაშას (კოსტას ქვისლი) ამ შაბათ-კვირას ამოსვლა არ გვიხერხდება (წყალქვეშა დინებათა სიგანგაშო ხმაური) ვიცი, გაწუხებთ. მაგრამ ერთი კვირკიდევ უნდა დაიტოვოთ ჩემი სერაფიტ და იქითა შაბათს უსიკვდილოდ ამოვალ თვითონაც აღმათ როგორ მოენატრ

სახლი, მოუკვდეს დედა! ისე, ყველაზე უკეთესი ის იქნება, თქვენ რომ ჩამოხვიდოდეთ. შენი ჯამბულა, ენაცელოს დედა, დიდა უკვე და მგზავრობა არ გაუჭირდება. ან რა შორს ჩვენა ვართ! სერაფიტასაც ჩამოიყვანდით, ერთმანეთსაც მოვესიყვარულებოდით, იაშა და კოსტაც დასხდებოდნენ, დაილაპარაკებდნენ. დამალებით კი ვერ დაგაძალბებთ, მაგრამ, თუ საშუალება გაქვთ და ჩამოხვალთ, მეც ძალიან გამახარებთ და იაშასაც. აბა, თქვენ იცით! კოსტა და დედამთილი მომიკითხე; ჯამბულა დამიკოცნე. აქედან იაშამ დიდი სიყვარულით მოგიკითხათ ყველანი. გკოცნით შენი ნათია“ (ისევ უწმაწური ჭველი და ისევ წყალჭვეშა დინებათა საგანგაშო ხმაური).

— წავიდეთ? — იკითხა ცოლმა.

— კილო კი ჰქონდა ისეთი, ვითომ წასვლა და წაუსვლელობა სულ ერთი იყო, მაგრამ კოსტამ თვალეში შენიშნა იმედის ნაპერწკალი და მიუგო:

— არა.

„არას“ ფეხდაფეხ დაედევნა „ჰო“. „ჰო“ ისეთი სისწრაფით მიქროდა, რომ „არამ“ სულ ერთი ნაბიჯით მიასწრო დანიშნულების ადგილას.

ცოლმა არ იცოდა „ჰოც“ თუ არსებობდა (ის ხომ ჩვენსავით კოსტას თავში არაა!), თორემ ალბათ უფრო მოქნილ ხერხს იხმარდა და, ვინ იცის, გაეტანა კიდევ თავისი. რაკი არ იცოდა, ისევ წუწუნის ნაცად გზას დაადგა:

— შენ სულ ეგრე იცი ხოლმე. მე თუ რამე მომიხდა... რა იქნება, ვითომ, რომ წავიდეთ...

— მაშ, ვეახლო? ეგებ ძღვენიც მიგვერთმია, ეამებოდათ.

ამაზე ცოლს აღარაფერი უთქვამს და უხმოდ გაშორდა, მაგრამ, დასაძინებლად რომ დაწვინენ, მაინც კიდევ ერთხელ სცადა ბედი:

— იქნებ წავსულიყავით, კაცო...

კოსტამ ვაეკატურად გაუძლო ფაშა-ფაშა სხეულის მაცთუნებელ სურნელს და თქვა:

— არა.

იმ ღამეს კოსტას წერილ თანხმობის ორომტრიალი იდგა. ირგვლივ მდებარე ყოფილი ქაოსი სუფევდა, ათასგვარი ხმები ერთმანეთში ირეოდა, ყველაფერი გუგუნებდა და ყველაფერი. ზანზარებდა. დარახტული ცხენების კიხვინისა და ფლოქვების თქარა-თქურს ჯაჭვის პერანგებში გამოწევილი მხედრების ომანიანი „ჰკა მავასა!“ ერთვოდა; მხედრების ყიფინას შეთქმულთა ჩუმი და შავი ჩურჩული შხამივით ეწვეთებოდა; შორიხლო განსწავლული დიპლომატები გამოსავალს ეძებდნენ და მათი ნაჭედი სიტყვები ფოლადივით ეღრი-ალებდა; აჭანყებული ერი ხმაშეუწყობლად გაჰყვიროდა რალაცა; ჯამუშები კვალში ედგნენ ერთმანეთს და კრიალოსანის მარცვლებივით ტრიალებდნენ წრეზე. ქარი ღმუოდა და წელში მოკა-კული ხეები გულიანომკველად ქრიალებდნენ. საღაც შორს წერტილივით ჩანდა მწირი, რომელიც თავმოდრეკილი იდგა და უხმოდ ლოცულობდა. ყველაფერი მტვრის ღრუბელში იყო გახვეული, შეშფოთებული გუბე ღელავდა და ბობოქრობდა, ტალღები ნაპირს ასკდებოდნენ და ნაპირი ტყვილისაგან კენესოდა.

კოსტას თავში მიმავალი ყველა გზა რომ გადაკეტილი დაგვხედროდა და იძულებული შევქნილიყავით, მხოლოდ გარეგნულ მდნაცემებს დავერდნობოდით, ყოველივე ზემოთქმულისა და ქვემოთ სათქმელის ნაცვლად დაახლოებით ასეთი მშრალი ცნობით შემოვიფარგლებოდით: „ის ღამე კოსტამ თეთრად გაათენა. შამფურივით ტრიალებდა ლოგინში, ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა, ხან მეორეზე, ხან პირქვე დაწეობდა, ხან გულაღმა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ“ („თქვენც არ მომიკვდეთ“ აუცილებელი არაა და შეიძლება არც დაგვეწერა), ისე დაათენდა, თვალზე რული არ მიკარებია. ჩანდა მისი არსება რალაც მძიმე საფიქრალს მოეცვა“. საბედნიეროდ, ჩვენ ეს არ გვეხრდება. ჩვენ სწორედ ამ „მძიმე საფიქრალის“ შეაგულში ვიმყოფებით, როგორც



მეტოვრები, და ყველაფერი ხელისგულზე გვიდევს. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ დიდხანს გაგრძელდა კოსტას თავში ალიაქოთი თუ ცოტა ხანს, გამთენიისას მშფოთვარე და აღელვებული გუბე შეაზზე გაიყო და ორ მძლავრ ტალღად იქცა. ერთი ტალღის წვერზე დროშასავით ყელყელაობდა „არა“, მეორეზე „ჰო“, ხოლო ტალღასა და ტალღას შუა უფსკრული გადაჭიმულიყო და შიგ საბოლოო განაჩენის მოლოდინში უძრავად იწვა კითხვა: „წავიდე თუ არ წავიდე?“ „არასაც“ და „ჰოსაც“ ირგვლივ თანამოაზრეთა, მრჩეველთა; დიპლომატთა, მჭევრმეტყველთა და ერთგულ მეომართა ლაშქარი ერთყა. სასტიკი ბრძოლა იყო მოსალოდნელი და წინასწარ ვერავინ იტყოდა, თუ ვის დარჩებოდა გამარჯვება.

როდესაც კოსტამ პირველად თქვა „არა“, ბუნდოვანად იგრძნო, რომ „ჰოს“ თქმა ერჩია. მერე ის იგრძნო ბუნდოვანად, რომ „ჰო“ რომ ეთქვა, „არას“ თქმა ერჩივნებოდა. ეს „არას“ თქმაცა და „ჰოს“ თქმის სურვილიც სტიქიური ძალები იყო, პირველყოფილი, ინსტინქტური და აურიდებელი. იგი მზის დაბნელებასავით ჩამოეშხო კოსტას ცნობიერების გუბებს და ისე დააწვა, ფიქრთა ქაველებს თავის ამოყოფის საშუალება არ მიჰცა. მერე, როდესაც ამ პირველმა ტალღამ გადაიარა და წვიმის წვეთები კვლავინდებურად აწკაპუნდნენ გუბის ზედაპირზე, კოსტა მიხვდა, რომ ნამდვილი გადაწყვეტილება აწი უნდა მიეღო. მართალია, ძილია წინ კიდევ ერთხელ თქვა არაო, მაგრამ ამჯერად ეს არა ადრე ნათქვამის ჭიუტი ინერცია იყო და სულ ახვა დანიშნულება ჰქონდა: ახლა რომ ეთქვა, ჭერ არ გადაიწყვეტია, ვნახოთო, ცოლა ეგონებოდა მისმა მუდარამ მოუღბო გული კოსტას. ასეთი ვარაუდის უფლებას კი ოჯახის უფროსი ცოლს ვერ მისცემს.

ამგვარად, ცოლს უთხრა არაო და მეორე მთელი ღამე ფიქრში გაატარა. ქანქარასავით ირწეოდა „არასა“ და „ჰოს“ შორის, მაგრამ მტკიცე აზრზე ვერ იქ-

ნა და ვერ მივიდა. როდესაც „ჰომ“ თავისი საბუთები წარმოადგინა, „არამ“ პასუხად აკანკალებული ხელით, შერვიულად დახატა სურათი, რომელზედაც კოსტას ქვისლისა და ცოლისდის ოჯახი იყო გამოსახული. კოსტას არ უყვარდა ეს ოჯახი და მის დასახასიათებლად ისეთი მრავლისმომცველი სიტყვა გამოთქმნა, როგორცაა „გატყლარქული“. ამ სიტყვას გულში ამბობდა. ერთხელ ხმამაღლაც თქვა. ცოლს უთხრა, არ მომწონს მაგათი გატყლარქული ცხოვრებაო. თან ისეთი დრო შეუტრია, როცა ცოლი რალაცის გამო ცოტა ნაწყენი იყო დასა და სიმეზე. მაგრამ ეს მცირე წყენა საკმარისი არ გამოდგა საიმისოდ, რომ ცოლს კოსტას ფორმულირებისათვის დასტური მიეცა. პირიქით, ძალიანაც იტყიცა, ის მცირე წყენა წამსვე გადავარდა გულიდან და დაუყოვნებლივ გადაწვდა დედამთილსა და ქმრის დანარჩენ ნათესაებს. ამის შემდეგ კოსტა სიტყვა „გატყლარქულს“ მხოლოდ თავის გუნებაში ამბობდა. თუ ვინმე იკითხავს, მაინც რას გულისხმობდა ამ სიტყვაშიო, პასუხი მიხალეობითი იქნება, რადგან ზუსტი პასუხი კოსტას ცნობიერების გუბეში, ყოველ შემთხვევაში მის ზედაპირზე, ვერ ვიპოვე. მიხალეობითი პასუხი კი ასეთი გახლავთ: კოსტა გულისხმობდა იმას, რომ ცოლისდა მაროს „მარიას“ ეძახდა, თავის თავს „ნათიას“. მართალია, ქმრის სახელი არ გადაუყეთებია, იაშა ერქვა და იაშა ეძახდა, მაგრამ იაშა იკლიკანტური სახელი არც სჭირდებოდა, უამისოდაც იკლიკანტური იყო: თხასავით ჰქონდა წვერი მოშვებული (მარტო ნიკაპზე, ლოყება იპარსავდა) და ხელში მუდამ ყალიონი ეჭირა, ხან ანთებული, ხან აუნთებელი. რაც შეეხება მათს სიმდიდრეს, კოსტა ცდილობდა ამაზე არ ეფიქრა, რადგან, რა უცნაურადაც არ უნდა მოეჩვენოს ეს ვინმეს (ფსიქოლოგებს ალბათ შეუძლიათ ახანან ეს ფაქტი, თუკი მოიწადინებენ), მათი სიმდიდრის გახსენებაზე აგონდებოდა არა თავისი სიღარიბე, არამედ

თავისი გარეგნობა, თავისი სიწვრილე. რაკი ახლობელი ნათესავეები იყვნენ, კოსტას უნდოდა თუ არ უნდოდა, დრო-დადრო მაინც უბნებოდა მათსა ყოფნა. და რამდენჯერაც კი ყოფილა, ყოველ-თვის ისე გრძნობდა თავს, როგორც მოწაფეობისას, მასწავლებელი რომ დაფასთან გამოიძახებდა. იაშასა და ნათელას დიდი და ბრწყინვალე ბინა ჰქონდათ. ოთახების რიცხვი კოსტამ ვერ დაადგინა, მით უმეტეს, რომ ზემო საართულში, სადაც ხვეული კიბე აღიო-და, საერთოდ არ იყო ნამყოფი. კედ-ლები მუხით იყო მოპირკეთებული და შიგ კარადები იყო დატანებული. ჭერზე ყველა ოთახში (აგრეთვე შემოსასვლე-ლში) ძველებური თუ ძველებურ ყაი-დაზე გაკეთებული (ასეთი ნიუანსები კოსტას უბირ თვალს ცხადია იოლად გა-მოებარებოდა) ჭალები ეკიდა. მთელი ბინა გამოტენილი იყო საუცხოო ავე-ჯით. ავეჯს (და საერთოდ მთელ სახლს) ბზინვა გაუდიოდა. ამ საქმეს ნათელა აგვარებდა. იგი ერთთავად ოთახიდან ოთახში დადიოდა და ყურადღებით ათ-ვალერებდა ყოველივეს, რომ ადამიანის ცხოვრების კვალი არაფერს დამჩნეოდა. იმავე მიზნით ნათელა კრიტიკულად აკ-ვირდებოდა ხოლმე ფეხსაცმელებს, რო-მლებიც მათთან მოსულ სტუმრებს ეც-ვათ. სააბაზანო ოთახი, სადაც კოსტა ერთხელ დასათვალერებლად შეიყვან-ნეს, კიდევ უფრო ბზინავდა. კედლებზე, იატაკზე და ჭერზე ფერადი კაფელი ელავდა. კაფელსა და კაფელს შუა კედ-ლებზე და ჭერზე სარკეები ისე იყო ჩადგმული, რომ, საითაც არ უნდა გა-გებედათ, ყველგან თქვენს თავს დაინა-ხავდით (როს გამოც კოსტამ, რამდენა-დაც ამის საშუალებას ზრდილობა იძ-ლეოდა, სწრაფად მოათავა აქაურობის დათვალერებდა). აი, ტუალეტში კი ხან-დახან პრაქტიკული საქმიანობისთვის უბნებოდა შესვლა. როდესაც ეს ნაბი-ჯი პირველად გადადგა (ხანგრძლივი ყოყმანისა და უკანასკნელ ზღვრამდე მისული მოთმინების შემდეგ), ნათელა, როგორც ყველგან იყო და ყველაფერს

ხედავდა, კართან წამოეწია და ლიბლით უთბრა, ხომ იცი, კოსტა, როგორ უნდა ღვე-ჩარეცხვა, ბაის სახელური ჭერზე უნდა დააწვიო და მერე დააწვიო. ჭაუის სწავლება და შენიშვნების მიცე-მა ნათელას საყვარელი საქმიანობა იყო. ოღონდ ამას ყოველთვის ხუმრობის კი-ლოთი და სიცილ-სიცილით აკეთებდა, ვითომ მნიშვნელობას არც ანიჭებდა. კოსტას ყოველ ასეთ ხუმრობაზე ტანში ბურბულავდა, შენიშვნას კარგად იმახ-სოვრებდა და მუდამ ფრთხილობდა, რომ შემდგომში მსგავსი საქციელი აღარ ჩაედინა. ჩარეცხვის საქმეში ასეთი მო-ურიდებელი ჩარევა კი მაინც მეტისმე-ტი მოეჩვენა. ქალი, რაც არ უნდა ცო-ლისდა იყოს, ფეხსაღაგში არ უნდა მოგდევდეს. კოსტას ნათელას მაგივრად შერცხვა, შეიშმუშნა, აიწურა, თავი მხრებში ჩარგო. და გულში გაბრაზდა. შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. მით უმეტეს, რომ მართლა არ იცოდა, ბა-ის სახელური თუ ჭერ გვერდზე უნდა გაეწია და მერე დააწოლოდა.

იაშასთან საერთო ენის გამოწახვა შე-უძლებელი იყო. კოსტა მასთან საუბრის გამზას ვერ ახერხებდა. კაცმა რომ თქვას არც სურვილი ჰქონდა. თვითონ იაშას კი ეს საკითხი სულაც არ აღარდებდა. ქვისლს სუფრაზე ბოლომდე ყოფნას არ აკლიდა. კოსტა რომ სმის ეშხში შევი-დოდა და ცოტა თითქოს გუნება გამო-უკეთდებოდა; ის ამ დროს ყავას მოი-თხოვდა. კოსტაც იძულებული ხდებო-და, სმა შეეწყვიტა, და გულში იბოლ-მებოდა. რაკი სულ მთლად მუნჯად ყოფნაც არ შეიძლებოდა და დალაპა-რაკება ზოგჯერ მაინც აუცილებელი იყო, იაშას ამისთვის ერთადერთი თემა ჰქონდა — სოფლის მეურნეობა. რო-გორც ჩანს, კოსტას სოფლელობას უწე-ვდა ანგარიშს, თორემ სოფლის მეურ-ნეობისა ბევრი არაფერი გაეგებოდა და ზოგჯერ გვარიან სისულელესაც წამო-როშავდა ხოლმე. კოსტა არ უსწორებ-და. იაშას ნათესაობაში და ნათესაობის იქითაც — ღმერთმა იცის, სადამდე — კაცბანი და განათლებული კაცის სახე-

ლი ჰქონდა გავარდნილი და კოსტას ვერ გაებედა, ასეთი კაცი ემხილებინა და უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა.

ერთი სიტყვით, ქვისლის სახლში სამაღლოდ შეფარებული ობოლივით გრძნობდა თავს. ზოგჯერ იაშას მეგობრები ეწვეოდნენ და ისეთ საკითხებზე და ისეთი სიტყვებით საუბრობდნენ, რაც კოსტასთვის ჩინური მეცნიერება იყო. ასეთ დროს კოსტას თვლემა ერეოდა, მაგრამ თავს იკავებდა. იჭდა და კეთილსინდისიერად ცდილობდა ისეთი სახე მიეღო, ვითომ სწორედ ამ ხალხის გვერდით იყო მისი ადგილი. ერთადერთი შემთხვევა ახსოვს, როცა საუბარში ისიც ჩაირის. რალაკაზე ლაპარაკობდნენ, რალაკ გაუგებარ სიტყვებს ამბობდნენ, განსაკუთრებით ხშირად იმეორებდნენ ორ გაუგებარ სიტყვას, რომლებიც კოსტას არ დაახსოვდა. თანდათან გახურდნენ, ხმას აუწიეს, ხელების ქნევას უმატეს, ბოლოს ერთი სათვლიანი, უღვაშებაპრებილი სტუმარი იაშას მიუბრუნდა, რას ვიკლავთ თავს, აგერაა კოსტა, ამ საქმის მცოდნე, და ამას ვკითხოთ, და ჰკითხა: წელს ვაშლს რა ფასი ჰქონდა ბაზარზეო. ყველაფერს იფიქრებდა კოსტა, მაგრამ იმ უცხო და გაუგებარი სიტყვებით თუ ვაშლის ფასზე ლაპარაკობდნენ, მოკალით და ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა. ხანდახან იაშა მოულოდნელად გამოუცხადებდა კოსტას, აბა, მე ახლა ცოტა სამუშაო მაქვს და შენ უჩემოდ არ მოიწყინოო, და თავის ყალიონიანად იმ ხვეული კიბით მალლა სართულს შეუყვებოდა. კოსტა ქვისლის დანაბარებს ვერ ასრულებდა და მოიწყენდა ხოლმე. ნათელას მისთვის არ ეცალა. ნათელა ოთახიდან ოთახში დადიოდა და სახლის ელვარებას ამოწმებდა. კოსტა ცოტას მოიწყენდა, მერე იმ ოთახს მიაშურებდა, სადაც ისა და მისი ცოლი ლამეს ათევდნენ ხოლმე, ისევე თავის მაროს მოსძებნიდა და ხმადებლა (რატომ ხმადებლა? ეს კოსტამ არ იცოდა) გაუბამდა ლაპარაკს. კოსტას ყველაზე მეტად ცოლი მაშინ

უყვარდა, როცა სტუმრად იყვნენ, განსაკუთრებით — როცა დაშასან და ნათელასთან იყვნენ სტუმრად.

არა, სხვა დროსაც უყვარდა, ეგრეც არაა საქმე. უფრო მეტიც: მოსწონდა კიდევ. ცხადია, ისე არა, როგორც სხვისი ცოლი — სხვისი მაინც სხვისია — მაგრამ საკუთარი ცოლის კვლობაზე ძალიანაც მოსწონდა. თავს არ იტყუებდა, მშვენივრად იცოდა, რომ მარო შეუხედავად ქალი იყო, გადაბმული წარბები მაინცადამაინც არ უხდებოდა და სახეც რალაკნაირი მომკავო-უგერგილო ჰქონდა, მაგრამ. სამაგიეროდ მსუქანი იყო, ფუშფუშა, ტანზე ზორცი უხვად ეყარა და გახდილს რომ დაინახავდით... თუმცა თქვენ რას დაინახავდით... ძილის წინ რომ გაიხდიდა, კოსტას მუცლის ძირში ტკბილი სიმზურვალე ბორბალივით დაუტრიალდებოდა ხოლმე. ისე, ძვალტყავა ქალების ყადრიც იცოდა. ზაფხულში, ქალაქიდან რომ დასიცხული დამსვენებლები ამოლაგდებოდნენ, კოსტა თხელ-თხელ, კნაჭა-კნაჭა გოგოებს ზოგჯერ კუდიძირში მიაჩრდებოდა ხოლმე და თვალგაშტრებული მძიმედ ყლაპავდა ნერწყვს. ერთხელ ერთ მათგანს, რომელიც ლამის ბინდ-ბუნდში მოჩვენებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალს, არშიყობაც კი წამოუწყო, კერძოდ, ამინდზე ჩამოუგდო სიტყვა. მაგრამ ყოველივე ეს დროებითი და წარმავალი რამ იყო, წამიერი გახალისება, შორ გზაზე მიმავალი კაცი რომ შიგადაშიგ შეისვენებ და ამოიქაქანებ (ჩვენ, ნასწავლ ხალხს, შეგვიძლია ამას ლირიკული გადახვევაც ვუწოდოთ), თორემ არ ჩვენნი რომ მივყავთ, კოსტა ამ ფიციარით ქალებს ისევე თავის შავ მაროს ამჯობინებდა, სავსეს, ფუშფუშულას, თბილს. თოლნდ, როცა იმ სიყვარულზეა ლაპარაკი, რომლითაც კოსტას ქვისლის სახლში უყვარდა ცოლი, უნდა ითქვას, რომ ეს სულ სხვანაირი გრძნობა იყო, რალაკ ღრუბელივით დიდი და ლამის ნისლივით ბუნდოვანი. ჩვეულებრივ სიყვარულს არ ჰგავდა, რადგან ასეთ დროს მარო თითქოს თეძოსავსე, ჩათქვირებუ-

ლი ქალი კი არ იყო, არამედ ტრიალ მინდორში ამოსული ტოტებგანიერი ხე, რომელსაც ხვატშიაც შეგიძლია შეეფარო და თავსხმაშიაც. სიმართლე რომ ითქვას, კოსტას ეს გრძნობა არ მოსწონდა, რადგან მას ქალაჩუნობის იერი დაჰკრავდა და მამაკაცურ ღირსებას გაურკვეველ, მაგრამ აშკარა ზიფათს უქმნიდა; ამიტომ ძალიან უხაროდა, რომ, შრათავედნენ თუ არა სტუმრობას და ქეისლის სახლიდან წამოვიდოდნენ, ეს ბუნდოვანი გრძნობა წამსვე იფანტებოდა, როგორც კვამლი, რომელმაც ბუხრის ვიწრო ყელს თავი დააღწია.

არა, არ უყვარდა კოსტას ნათელასა და იაშასთან სტუმრობა. მართალია, მეზობლებში და შინაურებში უნებური სიამაყით იტყოდა ხოლმე „ჩვენებია“, მაგრამ სტუმრად სიარულს, რამდენადაც კი ამის საშუალებას გარემოება და ცოლი იძლეოდა, ერიდებოდა. მით უმეტეს, რომ ყოველ ჩასვლას გვარიანი ხარჯი ახლდა თან. ავტობუსის ფულს ვინ ჩივის! კოსტა არც ასეთი წვრილმანი კაცი იყო. საქმე ისაა, რომ მართლ აზრით ქალაქელ ნათესავებთან ხელცარიელი მისვლა არ შეიძლებოდა. ან ხილი უნდა წაეღოთ, ან ღვინო, ან თონეში გამოიმცხვარი პური, ან, თუ რამე განსაკუთრებული დღე ახლოვდებოდა, ყველაფერი ერთად. კოსტას ვერ გაეგო, თუკი იმათ შეეძლოთ ხელცარიელი მოსვლა, რატომ ამათ არ შეეძლოთ. ცოლი ამას უბრალოდ ხსნიდა: ჩვენ ბალი და ვენახი გვაქვს, იმათ არა აქვთო. კოსტას აზრით ასე მარტივად არ იყო საქმე. ბალი და ვენახი მისთვის იმავეს ნიშნავდა, რასაც იაშასთვის მისი ხელფასი. მეტიც: იაშა მის ხელფასს იოლად იღებდა, კოსტას კი რამდენი უნდა ეწვალა და ეწაწალა ბაზარ-ბაზარ, რომ მისი ბალი და ვენახი ხელფასად ქცეულიყო! ერთი ხანობა აპირებდა, დაუფარავად ეთქვა ცოლისთვის, რასაც ფიქრობდა, და, თუ საჭირო შეიქნებოდა, ხანგრძლივ გაბუტვასაც არ მორიდებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც თავი შეიკავა. არა გაბუტვის გამო. გაბუტვას კი გა-

უძლებდა: ცოლის დამკინავ გამოხედვას ვერ იტანდა. გამოხედვას დამსიჯვებ „წუწურაქს“, რომელსაც მართლაც განსაკუთრებული გამოთქმით ამბობდა ხოლმე (ისევე როგორც სიტყვა „დუხჭირსა“ და სიტყვა „ბეჩავს“). მოგვიანებით თავადვე მიხვდა, რომ მთლად ხარჭშიც არ იყო საქმე. დამკინებულად გრძნობდა თავს. ჩადი, ეახლე, მიართვი! ვინ არიან ბოლოს და ბოლოს?! მაგათზე ნაკლების...

მაინცდამაინც არც იაშასა და ნათელას უყვენსოდათ გული კოსტას სიყვარულით. ეგ კი არა, ალბათ არასოდეს ფეხს არ ამოადგამდნენ, სოფელში რომ ასეთი სუფთა და ჭანსალი ჰაერი არ ყოფილიყო. კოსტას დიდად არც ამ ჰაერის სისუფთავე და სიჭანსალე სჯეროდა. სოფელში ისეთი არავინ უნახავს, განსაკუთრებით ჭანმრთელი ყოფილიყო, ან განსაკუთრებით დიდხანს ეცოცხლა. ქალაქელები უკეთესადაც გამოიყურებინ, უფრო გვიანაც ბერდებინ და უფრო გვიანაც იხოცებინ. ამიტომ, ზაფხულობით რომ თავიანთ გაჩახჩახებულ დარბაზებს შიატოვებენ, აქაურობას მოაწყდებიან და გომურებივით თთახებში ქვეყნის ფულს იხდიან, ამის მიზეზი კოსტას აზრით ჭანსალი ჰაერი კი არ იყო, არამედ ის, რომ ზედმეტი ფული აწუხებდათ და არ იცოდნენ რაში დაეხარჯათ.

ნათელას და იაშას ყოველ ზაფხულს ამოჰყავდათ სერაფიტა. ადრე ნათელაც რჩებოდა; ბოლო ორი წელიწადია ეტყობა ჩათვალეს, რომ გოგონა საკმაოდ წამოიზარდა და დედა აღარ სჭირდებოდა. ამოიყვანდნენ, დატოვებდნენ და მერე წასაყვანად ამოაკითხავდნენ.

კოსტას არავინაც არ სძულდა, თუ მაინცდამაინც თავს არ შეაძლებდნენ. დიდი არ სძულდა და პატარას სიძულვილი რა სათქმელია. ეგ კი არა, თავიდან უყვარდა კიდევ სერაფიტა. მშვენიერი ბუთხუზა გოგო იყო, მრგვალი, თეთრი, ცისფერთვალა და ქერათმიანი. ვის რას უშავებდა! დატანტალეზდა თავისთვის და თამაშობდა. ხან ყვავილს

ჩაუტუტკდებოდა და ხმადაბლა ელაპარაკებოდა, ხან პეპლებს დასდევდა ჭყვილითა და ხითხითით. სულ კარგ გუნებაზე იყო და სულ მღეროდა (რაც შეეხება სიმღერას, როგორც ქვემოთ დაეინახავთ, სამწუხაროდ იმაზე მეტს მღეროდა, ვიდრე სასურველი იყო). მაგრამ ზომაც ხომ უნდა იყოლე კაცმა! ერთი ზაფხული, ორი, სამი... აგერ ექვსი წლის გახდა, მეშვიდე წელშია და უკვე ხუთი ზაფხულია ამოჰყავთ და ამოჰყავთ. სხვისი კი არა, ამდენ ხანში საკუთარი მოგებზრდება აღამიანს. ქამა უნდა, სმა უნდა, მოვლა უნდა, პატრონობა უნდა, დარეცხვა უნდა, დაუთოება უნდა...

თავიდან, როგორც ითქვა, კოსტას უყვარდა კიდევ პატარა სერაფიტა. ეს იყო პირველი წელიწადი, პირველი ზაფხული, პირველი სტუმრობა. მაშინ მარტო სერაფიტა კი არა, ნათელაც უყვარდა, იაშაც. ისე უყვარდა, რცხვენოდა კიდევ ამ დაუოკებელი სიყვარულის. საქმე ის გახლავთ, რომ მაშინ მარო ახალი შერთული ჰყავდა. კოსტას ცნობიერების გუბე ფსიქიკის რთულ მექანიზმში ვერ ერკვევა (სიყვარული კი მრავალი სახისაა), მას მხოლოდ შიშველი განცდების მოწოდება შეუძლია. სამაგიეროდ ჩვენ ყველაფერში მშვენივრად ვერკვევით და დანამდვილებით ვიცით, რომ, როდესაც კაცი ცოლს შეირთავს, დრომდე და ვადამდე მას ცოლის ნათესავეები, ცოლის მეგობრები, ცოლის ახლობლები ისე უყვარს, თავისიანებს ურჩევნია. ამ დროს სიყვარული აღიდებულა, კალაპოტიდან გადმოსულია და ღობე-ყორეს ეღება. ცოტა ხანში ჩაწყნარდება და კალაპოტში ჩადგება. გვალვამ თუ მოუჭირა, შეიძლება სულაც დაიშრიტოს და დაშრეს.

კოსტა და მარო ოქტომბრის ბოლოს დაჭორწინდნენ. სერაფიტა ნათელამ ივლიანის დასაწყისში ამოიყვანა. შუაში რვა თვე იყო. რვა თვეში, თუ სიმე ყოჩალია და არც სხვა რაიმე ობიექტური დაპრკოლება არსებობს, წესით პატარალი კი უნდა დაორსულდეს. მაროს

ჯერჯერობით არაფერი ეტყობოდა. ამის გამო სხვა ქმარი შეიძლება შეშფოთებულიყო კიდევ და ცოლოურის სიყვარულშიც შესაბამისი შესწორება შეეტანა, მაგრამ კოსტა არ შფოთავდა. არც კი ფიქრობდა ამაზე. ჯერხნობით ქვის-ლი ჭკვიანი კაცი იყო, დაფასებული, შემკობილი, წვერი და ყალიონი დიდად შევნოდა; ნათელაც ანგელოზი იყო, სითბოს, სინაზისა და გულისხმიერების განსახიერება. კოსტა შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, რომ ეს ახალი, საამაყო წრე არ ეხსენებინა და თავისი ბნელი ნათესავეებისთვის არ დაეპირისპირებინა. სერაფიტა მაშინ ორი წლისა იყო; დაბაჯბაჯებდა ეზოში და ჭყიოდა. ყველაფერი უკვირდა და ყველაფერი უხაროდა. მაშინ კოსტასაც ყველაფერი უხაროდა. მაგრამ ერთი წელი რომ გავიდა, აღიდებული სიყვარული თავის კალაპოტში ჩადგა, იაშას წვერმა და ყალიონმა გამორჩეულობის ნიშან-თვისებები დაკარგა და ცოტა მეტიჩრობის ნიშან-თვისებები შეიძინა; აღარც ნათელას გულისხმიერება იყო შარშანდელივით უზადო და უცოდველი. ხოლო რაკი დროს მეთოდური მუშაობა უფრო დაჩქარდა იმით, რომ მარო დაორსულებას არა და არ აპირებდა, მომდევნო ზაფხულს, როდესაც ნათელამ ისევ ჩამოიყვანა სერაფიტა, კოსტას მოეჩვენა, თითქოს გოგონა ზომაზე მეტად ჭყიოდა, ისეთი რამეები აკვირებდა, რაც სამი წლის ბავშვს აღარ უნდა აკვირებდეს, და ისეთი რამეები უხაროდა (ვთქვათ, კოსტას დედას რომ ეჭვსი კბილი აკლდა), რაშიაც არაფერი არაა სასიხარულო. და რაც მთავარია, ყველაფერ ამაში — ჭყვილიშიც, გაკვირვებაშიც, სიხარულშიც — კოსტა ნიშნისმოგებას ხედავდა, თითქოს ესმოდა გოგონას გამომწვევი ხმა: მე ვარ და ის არ არისო. „ის“ კი არა და არ ჩაისახა, თუმცა კოსტა თავის მხრივ ცდას არ აკლებდა. დრო იკარგებოდა უქმად, თორემ, ჯამბულა რომ გაჩნდებოდა, ამაში კოსტა არასოდეს დაეჭვებულა. ჯამბულა ადრე თუ გვიან გაჩნდებოდა,

მაგრამ ეს იყო, იგვიანებდა, საქმეს კი უკვე ისეთი პირი უჩანდა, რომ შეიძლება ამასობაში მისი საძოვრები სხვას მოეხრებინა. სერაფიტას საკვირველი მადა ჰქონდა და ხარბი ჭამა იცოდა. ერთხელ კოსტამ ნიადაგის მოსასინჯად ამ თემაზე შორიდან დაიწყო ცოლთან ლაპარაკი. თავი ისე დაიჭირა, ვითომ ჯამბულას მომავალი ჭონების დარდი კი არ ჰქონდა, არამედ იმას წუხდა, ზედმეტ ჭამას სერაფიტას ჯანმრთელობა არ შეერყია, და მზრუნველი ბიძის კილოთი თქვა, კაცო, ეს ბავშვი რომ გაძლომას ვერ იგებს, კუჭს არაფერი აუტეხოსო. ცოლმა მისი ტაქტი არად ჩააგდო და მწყურალად მიუგო, ნუ გეშინია, მოცუქნული ბავშვი რომ ერთი კვირა შევიწახოთ, ამით არ გავლბავდებით, ოჯახში ისედაც კეთდება თითო ზედმეტი ულუფა კერძო. კოსტამ კილოზე შეატყო, რომ ცოლს უკვე ვინს წვერზე ადგა რომელიმე საშიში სიტყვა („წუწურაქი“, „ბეჩავი“ ან „დუხჭირი“), ამიტომ გაჩუმდა და სათქმელი გულში ჩაიკლა. არადა ცოლმა მის ბოლმას კიდევ ახალი ბოლმა მიუმატა: ვერ გაეგო კოსტას, რატომ ამბობს ერთი კვირით შევიწახოთო, როცა ყოველ ზაფხულს, სულ მცირე, თითო თვით ინახვენ. მით უმეტეს ვერ გაეგო ზედმეტი ულუფის საკითხი: თუ სადილად ერთი ულუფა ყოველთვის ზედმეტი კეთდება, ის ერთი ულუფა ხომ უკვე მაგ ბავშვს სჭირდება, ამიტომ კიდევ ერთი ულუფა უნდა მიამატო, რომ ისევ ერთი ზედმეტი ულუფა გამოგივიდეს. ბოლო და ბოლოს ჭვეყანა მართლა ჩაღით ხომ არაა დახურული! ან იქნებ ვინმეს ჰგონია, კოსტამ ამდენი ანგარიში არ იცის?! კოსტას თანდათან დასჩემდა შიში, რომ სერაფიტა ყველაფერს შესჭამდა და პატარა ჯამბულას, რომელიც სადღაც, შორეულსა და უცხო, სქელი ნისლით გარემოცულ თვალმიუწვდომელ სამყაროში უკვე არსებობდა, აღარაფერს დაუტოვებდა. გოგონა ისე გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ სახლში. ჩემი და შენი არ იცოდა, ყველაფერს თავი-

სად თვლიდა, ყველგან მიძვრებოდა, ყველაფერს აღებდა, ყველაფერს ჯამბულას ჯავდა, ყველაფერს აფუჭებდა. არაფერი რჩებოდა, რომ ჯამბულას უხმარი და ხელუხლებელი დახვედროდა. ერთხელ კოსტამ შიბაქი გამოთალა (რითაც ხაზი გაუსვა ჯამბულას მოსვლის გარდუვალობას) და ჩუმად ჩაკეტა უჭრასი იმ იმედით, რომ მისი პირველი მომხმარებელი ჯამბულა იქნებოდა. კოსტა თავის გულში დიდხანს ეფერებოდა და ელოლიავებოდა ამ ფიქრს, სიყვარულით წარმოდგენდა ხოლმე, როგორ ჩააწყობინებდა მომავალ ვაჟიშვილს შიგ პაწაწინტელა რალაც-რულაცებს. მაგრამ სერაფიტამ შიბაქს მიაგნო. თავიდან ყალიონს მიამგვანა, პირში გაიჩარა, მამიკო ვარო, საკუთარ თავს გამოუცხადა და ზურგსუკან ხელებდაწყობილმა დინჯად გაიარ-გამოიარა აივანზე. მერე ეზოში ჩაეიდა და ყალიონი ყვავილებსა და პეპლებს შეახარბა. ბოლოს, როდესაც ეზოს გადაღმა, ნაკადულის პირას გაისეირნა, უცებ სხვა აზრი დაებდა. ტალახი მოზილა, ნამცხვრის გაკეთება დაიწყო და ჯამბულას რალაც-რულაცების ჩასაწყობი შიბაქი ფორმების გამოსაყვანად იხმარა. კოსტამ ეს რომ გაიგო (სალამოს, შინმოზრუნებულს, თავად სერაფიტა შეეგება ეზოში და მიიხარა, ნახე, ბიძია კოსტა, მე რა მაქვსო), გაცოფდა, წამოენთო, მაგრამ ცოლის შიშით ვერაფერი თქვა, მხოლოდ კბილები გააღრჭიალა და გულში-ლა შეიგინა.

ახლა რაც შეეხება სიმღერას. ბოლო ხანებში (ჯანსაყუთრებით მას შემდეგ, რაც მშობლებმა ჩათვალეს, რომ იგი უკვე დიდი გაიზარდა, და მართო ტოკვებდნენ სოფელში) სერაფიტა სიმღერამ გაიტაცა. ხოლო რაკი გატაცება სრული და ყოვლისმომცველი იცოდა, დილით რომ გააღებდა პირს, მხოლოდ ჭამისა და ძილის გამო თუ მოკუშავდა. მღეროდა და მღეროდა. ერთ სიმღერას რომ მოათავებდა, არ ამოისუნთქავდა, იაც გადაბამდა მეორეს. როცა ცოდნა უღალატებდა და რეპერტუარი შემო-

აკლდებოდა, იქვე, ექსპრომტად თხზავდა, მელოდიასაც თვითონ იგონებდა და სიტყვებსაც. კოსტას მისი გაუთავებელი სიმღერა ყურებს უყრუებდა და ტინის უხვრეტდა, მაგრამ გოგონას ამ გატაცებას შვიდად და ცოტა სიხარულითაც შეხვდა, რადგან, ჭერ ერთი, სამუშაო დღეებში თვითონ სამსახურში იყო, რაიონის ცენტრში, იქამდე კი გოგონას ხმა ვერ აღწევდა, გარდა ამისა მთელი არსებით სიმღერაში დანთქმული სერაფიტა სხვა საქმიანობისათვის ნაკლებად იცლიდა და კოსტას იმედი მიეცა, რომ ჭამბულას მოსვლისთვის ოჯახში ცოტა რამ მაინც გადარჩებოდა და უმტვრეველი, დაუხვეული, გაუფუჭებელი, შეუქმელი.

კოსტას პატარა სახლი ედგა; ორი ოთახი და ერთი შუშაბანდი ჰქონდა. რა ხანია აპირებდა ახალი სახლის აშენებას, მასალის ნაწილი უკვე მოზიდა კიდევ. ეჭვი არ იყო, თავის დროზე ჭამბულა უკეთეს სახლში იცხოვრებდა, მაგრამ ჭერჭერობით მშენებლობის დაწყება ვერ მოხერხდა. დიდი ოთახი გაჭირავებული იყო; იქ გასაქანსაღებლად ჩამოსული ქალაქელები იდგნენ. პატარა ოთახში კოსტასა და მაროს ეძინათ, შუშაბანდში კოსტას დედას. სერაფიტას სადღა ეძინა? სერაფიტას პატარა ოთახში ეძინა დეიდასა და ბიძასთან ერთად. მართალია შუშაბანდი ოთახზე უკეთესი იყო — უფრო დიდიც, უფრო ნათელიც, უფრო ჰაერიანიც — მაგრამ სერაფიტა იქ არ იძინებდა. სერაფიტას კოსტას დედა არ უყვარდა და ღამე მასთან არ რჩებოდა. თავიდანვე არ მოუვიდა თვალში. დანახა თუ არა, „მეშინია ამისო!“ — ცივი ხმით იკივლა, დედამისს ჩაეკრო და მკლავები მაგრად შემოაჭლო კისერზე. კოსტას დედა საფრთხობელა არ ყოფილა. მართალია, შიგადაშიგ სხვა ბავშვებსაც ეშინოდათ, განსაკუთრებით პირველ ნახვებზე, მაგრამ ასეთი კივილი არავის აუტეხია. კოსტას დედას მაშინ ბავშვის საქციელი ეწყინა და გაიბუტა. ნათელამ და მარომ გაიცინეს და სცადეს ყველაფერი უწ-

ყინარ ხუმრობად ეპოუფიქრებოდათ გაიცინა. კოსტას სიყვარული მდინარე ამ დროს არ იყო კალამოტში ჩამდგარი; კოსტას ჭერხნობით სერაფიტაც უყვარდა, ნათელაც, იაშაც და ყველა, ვინც კი მაროსთან იყო დაკავშირებული. სერაფიტა ნელ-ნელა შეეჩვია კოსტას დედას. შიშით ისევ ეშინოდა, მაგრამ აღარ ტიროდა. სანამ ნათელა სოფელში რჩებოდა, დედა-შვილს შუშაბანდში ეძინა. სერაფიტა თითქოს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა კოსტას დედას, რომელიც ხის ტახტზე იწვა და შუაღამემდე ხენეშოდა, მაგრამ, მარტო რომ დატოვეს, ცივი უარი თქვა შუშაბანდში დაწოლაზე და იძულებული შეიქნენ ისიც პატარა ოთახში გადაეყვანათ. კოსტას ეს ამბავი არ ესიაშოვნა, მაგრამ დიდადაც არ განუცდია, რადგან საღამოს ცხრა საათზე გოგონას, როგორც წესი, გულურსავით ეძინა ხოლმე და არავის არაფერში ხელს არ უშლიდა. ამ დროს კოსტამ ჭერ კიდევ არ იცოდა, თუ რა განსაძღვლს უმზადებდა მუხთა-ლი ბედი.

ერთ საღამოს სერაფიტა, მთელი დღის ნამღერი და დაქანცული, ჩვეულებებისამებრ ცხრის ნახევარზე დააწვინეს. თორმეტის ნახევარზე კოსტა და მაროც დაწვინენ. სანამ მარო ტანთ იხდიდა, კოსტა უყრუებდა და მუცლის ძირში ვნების ცხელი ბორბალი უტრიალებდა. მერე თვითონაც გაიხადა, გვერდით მიუწვა ცოლს. ტკიპასავით მიეკრო, ხელი მოხვია და მოემზადა იმ ძილისწინა საქმიანობისათვის, რომელიც აღრე თუ გვიან ჭამბულას გაჩენით უნდა დაგვირგვინებულყო. „შეფიქრებიალა მგოსანმაა!“ — გაისმა ამ დროს სერაფიტას ფიზიკური, წკრიალა ხმა. კოსტას ძარღვები მოუდუნდა და სხეულში გაცივებული ვნების მღვრიე ტალამ დაუარა. გოგონას გამოხდომა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მარომაც კი ვერ მოითმინა და მწყრალი ხმით დატუქსა: „რას წიკვინებ, გოგო, გაჩუმდი და დაიძინე!“ კოსტა გულადმა დაწვა. „უნდა წაახრჩო კაცმა ეს კატის

კნუტი! — გაიფიქრა და გინებას შეუდგა. აგინებდა თავის ბედს, თავის გაჩენის დღეს, მაროს, ნათელას, იაშას, აგინებდა ყველას და ყველაფერს. ცოტა რომ დაშვიდდა, გადაწყვიტა დაეცადა, სანამ სერაფიტა დაიძინებდა. სერაფიტა მღეროდა. ცოტა კი დაუწია ხმას, დეიდა რომ გაუწყრა, მაგრამ ოთახში მაინც კარგად ისმოდა მისი სიმღერა და გაწყალებული ვნებით გაეღწნთილ სიბნელეში დიდხანს იღვრებოდა ნაირ-ნაირი მელოდიები. სერაფიტა მღეროდა, დაძინებით კი მარომ დაიძინა. ბოლოს და ბოლოს რა თქმა უნდა, სერაფიტამაც დაიძინა, მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან ცოლის გაღვიძება კოსტამ ვერ გაბედა.

ამის შემდეგ პატარა სერაფიტას დამეული კონცერტები კოსტას ცხოვრების საზაფხულო ლაიტმოტივად იქცა. გოგონა მღეროდა და წვეთწვეთობით უშხამავდა სიცოცხლეს ბიძას. კოსტა შფოთავდა, ტრიალებდა ამოგინში, კბილებს აკრაკუნებდა და ალოვდ ელოდა სერაფიტას დაძინებას; პირველი ყოველთვის მარო იძინებდა. ერთხანს კოსტა მაინც არ ჰკარგავდა იმედს, ფიქრობდა, ამდენ უძილობას ბავშვი ვერ გაუძლებს და გადაიღლებო. ეს ვარაუდი თავისთავად მართებული იყო, მით უმეტეს, რომ დილით, ადგებოდა თუ არა, კოსტა საგანგებოდ ახმაურდებოდა ხოლმე და გოგონას დილის ძილს არ აცლიდა. მაგრამ სერაფიტამ სხვა გზა გამოიხატა: თუ აქამდე დღისით ნახევარ საათს წაიძინებდა, ახლა მთელი სამი საათი ეძინა, რათა მერე, ღამით, უფრო ფიზიკურად და ხალისიანად ემღერა. ვითარება იმდენად მძიმე შეიქნა, რომ ერთი-ორჯერ მარომაც კი ქმრის მხარე დაიჭირა და შეეცადა გოგონასთვის დღე ძილის საშუალება არ მიეცა. მაგრამ ამ მცდელობას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ნაშუადღევს ორ საათზე სერაფიტა სულ ერთიანად მოდუნდებოდა, მოეშვებოდა, მოიჩმვარებოდა, ნახევრად თვალდახუჭული ბარბაკით შევიდოდა ოთახში, მოწყვეტით ჩაეშვებოდა

თავის საწოლში და სამი საათი ისე ეძინა, ფეხს არ გაატოკებდა. კაცობრივობა რბიდი, იცის, რასაც აკეთებს და რამდენბუნად იბრძვის იმისათვის, რომ ჯამბულას გაჩენას საფუძველი არ ჩაეყაროს.

მაშინ კოსტამ იმედი დაკარგა და ნელ-ნელა გაგარეულდა. სამსახურში გვიანობამდე რჩებოდა და იმის მაგივრად, რომ ხუთი საათის ავტობუსით დაბრუნებულიყო, შვიდი საათის ავტობუსით ბრუნდებოდა. ზოგჯერ შუალემდეც გადაიკარგებოდა. ცოტნება უკვე იოლად სძლევა და ერთ-ორ ძველ ამფსონთან ერთად ბუზებით გამოტენილ ბინძურ სასადილოს მიაშურებდა, რათა, როგორც ასეთ შემთხვევებზე იტყვიან, დარდი ღვინოში ჩაეხრჩო. დარდი არ იხრჩობოდა. მცირე ხნით კი ჩაყურყუმალავდებოდა ღვინოში და გაიტრუნებოდა, მაგრამ მეორე დილით სალ-სალამათი ისევე ზედამირზე ამოჰყოფდა თავს. და რაც მთავარია, ამ უკვდავ დარდს ასეთ დროს თან ახლდა მწარე განცდა იმისა, რომ ის ფული, რაც წუხელ დაიხარჯა, ჯამბულას მოაკლდა.

რა დასამალია და ვნების სიმწრით გათანაგულს ზოგჯერ ჯამბულა ავიწყლებოდა კიდევ. მხოლოდ ამით თუ აიხსნება ის, რომ გულმა რამდენჯერმე ქუჩის ქალებისაკენ გაუწია. თუმცა აქედან არა გამოვიდა რა. მართალია, ადრე, სანამ ცოლს შეირთავდა, ამ საქმეში რაღაც გამოცდილება კი ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ოჯახს მოეკიდა, ის გზა ნელ-ნელა გადაავიწყდა და ახლა, როცა დასჭირდა, ველარ გაიგნო. თანაც ეშინოდა. საკმარისია ვინმემ თვალი მოგკრას აქ, რაიონის პატარა ცენტრში, სადაც ყველა ყველას იცნობს...

მერე და მერე შაბათ-კვირებშიც დაიწყო ამფსონებში სიარული და მთლად გატყუორდა. რა ექნა? სერაფიტას დანახვას ველარ იტანდა. როცა შინ იყო, სულ იმას ცდილობდა გოგონასთვის თვალი აერიდებინა. ხანდახან ძლივს იკავებდა თავს, რომ ერთი მაგრად არ



გაესილაქებია. გასილაქებას ვერ ბედავდა, ცოლის ეწინააღმდეგებოდა; თუმცა შუარისძიების პატარ-პატარა ზომებს კი მიმართავდა. ეს ზომები სამარცხენო იყო და შესრულების შემდეგ დანაშაულის ამაფორიაქებელ გრძნობას ბადებდა, რომელსაც მოტყბო-მომყავო გემო ჰქონდა. ერთხელ, მაგალითად, სერაფიტას ეზოში ტაბურეტი გამოეტანა და ზედ ეუბიკების კოშკს აგებდა. ის იყო კოშკი თითქმის დაამთავრა, რომ კოსტამ გვერდით ჩაუარა და ტაბურეტს ვითომ უნებურად წამოედო. ტაბურეტი შეირყა, კოშკი დაინგრა, გოგონა აღრიალდა. კოსტას თან ესიამოვნა, თან ისეთი გრძნობა გაუჩნდა, ზემოთ რომ ეთქვი, თან შეეშინდა, მარო არ გამოჩენილიყო და მისი საქციელის წინასწარგანზრახულობას არ მიმხვდარიყო. მეორედ კაკლის ძირას პაწაწყინტელა ბაყაყი იპოვა და ხმამაღალი სიმღერით გართულ სერაფიტას კალთაში ჩაუგდო, თან, საქმისთვის რომ ზუმრობის ელფერი მიეცა, მოვიდა-მოვიდაო, სიცილით უთხრა. გოგონამ მაშინაც ბევრი იბღაგლა. ის კი უნდა ითქვას, რომ სერაფიტა ბიძის ამ აკაკურ გამოხდომებს მალევე ივიწყებდა. უფრო მეტიც: სერაფიტას კოსტა უყვარდა. ზოგჯერ, კოსტა რომ სადმე ეზოში ან აივანზე თავისთვის იჯდა პატარა ჭორკოზე, გოგონა უნდინდნ წამოეპარებოდა, ხელებს კისერზე მოჰხვევდა, თავს თავზე მიადებდა და გაიტრუნებოდა. კოსტა ასეთ დროს ცივად იშორებდა ხოლმე მის ხელებს.

ნათელა რომ ჩამოვიდოდა და სერაფიტას წასაყვანად მოამზადებდა, კოსტა თითქოს ცოტათი მოღებებოდა, გოგონაზე გული მოუბრუნდებოდა, უკვე აღარ ეჩვენებოდა ჯამბულას დაუძინებელ მტრად და გულში ისე შერცხვებოდა თავისი წვრილმანი მურისძიებებისა, რომ ოფლიც კი ასხამდა. მერე, როცა ისიც გაახსენდებოდა, რომ წინ თავისუფალი, უსიმღერო და უკონცერტო ლამე ედო, გამოთხოვებისას ცოტა არ

იყოს ჭარბი გულმზურვალეობითაც კი აკოცებდა ხოლმე საფეტქელზე. ამასობაში რწმენამ და მონღრომებამ თავისი გაიტანა და ერთ მშვენიერ დღეს მარო ფეხშიმედ შეიქნა. ეს მოხდა ზამთარში, როცა სოფელში წელამდე თოვლი იდო, ხოლო სამ სექტემბერს, მზის ამოსვლის ეამს, ჯამბულაც გაჩნდა. სერაფიტა სულ ერთი კვირის წაყვანილი ჰყავდა ნათელას, მაგრამ ჯამბულას დაბადება რომ შეიტყვეს, მთელი ოჯახი — სერაფიტაც, ნათელაც, იაშაც — უკანვე ამოვიდა. თან საჩუქრებიც ამოიტანეს. კოსტას საჩუქრები ესიამოვნა, თუმცა სტუმრების მოსვლა დიდად არ ეპიტნავა; ერჩინა ჯამბულას დაბადებით გამოწვეული სიხარული სხვისთვის არ გაეზიარებინა და მარტო თვითონ განეცადა. თანაც გულში სულ იმის შიში ჰქონდა, სერაფიტას ახალი ოინი არაფერი მოეგონებია და კოსტას სიხარულის ზღვაში შხამის მდინარე არ მიეშვა. ეს შიში არ ასვენებდა, რაც შეეძლო ყურადღებით იყო, თვალი მუდამ გოგონაზე ეჭირა, რათა მოსალოდნელი ხიფათი წინდაწინვე გამოეცნო და მანამ აერიდებია, სანამ შედარებით იოლი ასარიდებელი იქნებოდა.

დაკვირვებული მკითხველი ამ ადგილას, ეჭვი არაა, უკვე მიხვდა, რომ კოსტას სიფრთხილიდან არაფერი გამოვიდა, რადგან დაკვირვებულმა მკითხველმა იცის, რომ ზედმეტი სიფრთხილიდან სასიკეთო არასოდეს არა გამოდის რა. ჯამბულა და მარო რომ სამშობიაროდან გამოწერეს, მათ ამოსაყვანად რაიონის ცენტრში იაშას მანქანით წავიდნენ. იაშა საქვსთან იჯდა, კოსტა გვერდით უჭდა, ნათელა უკან იჯდა, სერაფიტა შინ დარჩა. ასეთ დროს ყოველი ნორმალური ბავშვი, თუ გულში რამე ავი განზრახვა არა აქვს, როგორც წესი, წაყვანას ითხოვს; მშობლები უარს ეუბნებიან, ის კი ჭირვეულობს და ტირის. სერაფიტას მით უფრო უნდა მოენდომებინა წასვლა, რომ შინ კოსტას დედასთან მოუწევდა დარჩენა. აქ კი ყველაფერი უკულმა მოხდა. მშობლებს



წყავანა უნდოდათ და მან დარჩენა ამ-  
ჯობინა. კოსტა ცხადია ვერ მიხვდა,  
რომ გოგონას ამ არაბუნებრივ საქცი-  
ელში უკვე ბედისწერის ხელი ერია.  
ერთი სიტყვით, წავიდნენ, ჯამბულა და  
მარო წამოიყვანეს, ჩამოვიდნენ და პი-  
პინ-პიპინით შეგრილდნენ ეზოში. ის  
იყო, იაშამ მანქანა დაამუხრუჭა, რომ  
კოსტამ გაიხედა და რას ხედავს: ახალთ-  
ახალი აკვანი, რომელიც ორი დღის წინ  
იყიდა და რომელიც პირველად ჯამბუ-  
ლასთვის უნდა დარწმუნეყო, რათა  
ამით ჯანმრთელობა, სიმდიდრე და ხან-  
გრძლივი სიცოცხლე დაბედებოდა, სე-  
რაფიტას აივანზე გამოეტანა, შიგ თა-  
ვისი საყვარელი თოჯინა ჩაესვა — ბან-  
ჭგელიანი, შავი მიიმუნე, რომელსაც  
არასოდეს იშორებდა და მუდამ და ყვე-  
ლგან თან დაათრევდა — წყნარად არ-  
წევდა, დედობრივი სიყვარულით დაა-  
ყურებდა და ტკბილად უმღეროდა. მან-  
ქანის ხმაზე გოგონამ მოიხედა, საჩვენე-  
ბელი თითი ტურბზე მიიღო და ჩაუო  
ხმადაბლა თქვა: ვითომ ჩემს მიიმუნს  
სძინავს და არ გამოიღვიძოთო. ამის და-  
ნახვაზე იაშამ გაიცინა, ნათელამ გაი-  
ცინა, მარომაც კი გაიცინა. კოსტას გუ-  
ლი ჩაწყდა და მთელი სხეული ისე მო-  
ემჩვარა, თითქოს ყველა სასიცოცხლო  
ძალა გამოსცლოდეს. ჯამბულამ აბა რა  
იყოდა, რა ამზავი ტრიალებდა მის  
თავს! კოსტამ ჩუმად გააკრაქუნა კბი-  
ლები, ტკივილი უხმოდ გადაიტანა და  
შეეცადა ისეთი სახე მიეღო, ვითომ სე-  
რაფიტას საქციელი უწყინარი და ხა-  
ლისიანი ხუმრობა ყოფილიყოს. ან კი  
რა ექნა? იცოცხლეთ, სიამოვნებით გა-  
აწნავდა სილას, სიამოვნებით დაავლებ-  
და ხელს მის ბანჭგელიან მიიმუნს, შუ-  
აში გახლებდა და ნაწილ-ნაწილ მოის-  
ვრიდა ღობის იქით. სიამოვნებით შეაყ-  
რიდა სახეში ნათელასა და იაშამ მათ  
ჩამოტანილი საჩუქრებს და მთელ ოჯახს  
ენწისკვრით გაიტატუმრებდა, მაგრამ  
ვაი რომ კაცი ათასი ჯაქვით ხარ შე-  
ბორკილი და, რაც გინდა, იმას არავინ  
გაგაყეთებინებს!

კოსტამ ეს შეურაცხყოფაც გადაყ-

3. „ნათობი“, № 5.

ლაა. გულში კი დაიქანდა, დამაცადონ.  
ჯამბულა რომ წამოიზრდება და, ვინაშენ  
თან სტუმრად ჩავიყვან, მეც დასტუმრდები  
ნებაზე მივუშვებ, რაც არ უნდა ჩაიდი-  
ნოს, არაფერს დავუშლი, ვნახოთ ერ-  
თი რა გუნებაზე დადგებიანო, მაგრამ,  
საცა ეს ჭადილი გაჩნდა, იმის ცოტა  
იქით, გულის შორეულ კუნჭულში,  
გრძობდა, რომ ამ ტრიაბას ასრულება  
არ ეწერა. ქვისლის დაწკრილებულ სახ-  
ლში, სადაც ნათელა ჩერით დადიოდა  
და მტვერსა და უწყსრივობას არ აჯა-  
ქანებდა, კოსტა ვერ გაბედავდა ნებაზე  
მიეშვა ჯამბულა: კოსტა საერთოდ ვერ  
გაბედავდა, გამუდმებით არ ეფიქრა იმ  
ჩვარზე, რომელიც ნათელას ყოველთ-  
ვის გრძელი, საუცხოო ხალათის ჯიბე-  
ში ელო...

მაროს ეძინა. ჯამბულას ეძინა. სერა-  
ფიტას ეძინა.

შუშაბანდში დედას ეძინა.

ღობის იქით მეზობლებს ეძინათ.

მთელ სოფელს ეძინა.

ამდენ ხალხში მართო კოსტა ფხიზ-  
ლობდა და თვალზე რული არ ეკარე-  
ბოდა. ყოველმა კაცმა მოილია თავისი  
დარდი და დაიძინა. ან, თუ ვერ მოილია,  
მეორე დღისთვის გადადო. კოსტამ  
ვერც მოილია და ვერც გადადო. კოსტა  
შფოთავდა, წუხდა, ოხრავდა, ტრია-  
ლებდა და ღამეს თეთრად ათენებდა.  
„მოსა“ და „არას“ ლაშქარი შეეყარათ  
და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის-  
თვის ემზადებოდნენ. ომის ასპარეზი  
კოსტას თავი იყო. აქ შუბმომარჯვებუ-  
ლი მხედრები ქურან ცხენებს დააგე-  
ლებდნენ და ფლოქვების თქარათქურს  
ყრუ ტკივილით ირეკავდა საფეთქ-  
ლები.

ყველას ეძინა კოსტას გარდა.

„არა“ თავისი ლაშქრით კოსტას თავ-  
მოყვარეობას იცავდა.

ბოლოს და ბოლოს, თუ იაშა ადამი-  
ანია, კოსტაც ადამიანია. რას მიქვია  
ამოსვლა არ გვიხერხდება და ბავშვი  
თქვენ ჩამოიყვანეთო! თქვენმა მზემ!  
ჩამოგიყვანთ, როგორ არა! სხვა ხომ  
არაფერი გნებავთ? იქნებ საყიდლებ-

ზეც გაგეგზავნო? ამ ნათელას ჰგონია, მისი ქმარი განათლებული თუა და პირში ყალიონი თუ აქვს გაჩრილი, ამით კოსტაზე უკეთესია. კი ბატონო, იყავით უკეთესი! გქონდეთ თქვენი განათლება, თქვენი ყალიონი, თქვენი წვერები, თქვენი სიმდიდრე. გქონდეთ და იყავით თქვენთვის. კოსტას თავი დაანებეთ. წარმოსადგვია ხომ იაშა, ჰევიანი, კარგი მოლაპარაკე? იყოს ბატონო, მოუკვდეს მოშურნე. ოღონდ კოსტას მოეშვიტოთ. თქვენ მოეშვიტოთ და, კოსტა წვრილია თუ მსხვილი, თავის საქმეს თვითონ მიხედავს და თავის ჯამბულას თვითონ მოუვლის. როგორც მე ვარ შენი ქვისალი, ისე შენა ხარ ჩემი ქვისლი; რა შეაშია აქ განათლება და ყალიონი! სხვის სახლში ისე გრძნობენ თავს, ვითომ თავიანთი მამაპაპის დანატოვარ კარმიდამოზე იყვნენ. ესაა მაგათი განათლება, მე მაგათი განათლება კი... ნათელა ყველაფერს თავის ჭკუაზე გადაადგილგადმოადგილებს. აქაო და თქვენზე უკეთესი გემოვნება მაქვსო. საცა უნდათ, იქ წამოგორდებიან, რასაც უნდათ, იმას შესჭამენ; ერთი არაფერზე იკითხავენ, შეიძლება თუ არაო. მაგათ მაგივრად კოსტას რცხენია და საკუთარ სახლში სტუმარივით იქცევა. ყველგან კოსტა რატომ უნდა იყოს სტუმარი! ის არ ეყოფა, რომ, როცა მათსაა, სულ ფეხის წვერებზე დადის და ერთთავად იმის შიშშია, ისეთი არაფერი ჩაიღინოს, ნათელამ შენიშვნა მისცეს? თქვენ ჩამოგვიყვანეთ ბავშვიო! მოგვკრიოთ, როგორ არა! ეტყობა მანქანა გაუფუჭდათ ან იაშას არა სცალია. უმანქანოდ კი ნათელა აბა როგორ ამოვა! ავტობუსით მგზავრობას ხომ არ იკადრებს! თქვენმა მზემ! ოღონდ ნათელა არ შეწუხდეს და კოსტა დედაბუდიანად აიყრება და წამოვა. პატარა ჯამბულა თუ ირავრავებს ავტობუსში. ამოდენა გზაზე, ეს არაფერი. მთავარია ნათელა გაუფრთხილდეს თავს. ვერ მოგართვით! ამობრძანდით და თქვენ თვითონ წაიყვანეთ თქვენი შვილი!

„არა“ მედგრად იცავდა კოსტას თავ-

მოყვარეობას. „არა“ ამაყი იყო, ზვიადი, გულმხურვალე და კოსტა კულუღი, როგორც ყველა, ვინც ამაყია, ზვიადი და გულმხურვალე.

ახლა „ქოს“ ბანაკს გადავავლოთ თვალნი.

„ქო“ თეთრ ცხენზე ამხედრებულა და წინდახედულად, ზომიერი სიფრთხილით, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიჰყავს ლაშქარი ბრძოლის ველისაკენ. „ქო“ დიდებული სანახავია. შეჯავშნულია, შეაბჯრული, შეჯავჭვისპერანგებული; თავზე ჩაქმნი ახურავს, მუზარადი, ჩაფხუტი; სამკალური შემოუკრავს, საბარძაყე, სამუხლისთავე, საწვივე. და მზადაა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს კოსტას სიმშვიდისა და კეთილდღეობისათვის.

მართლაცდა, თუ არ შეუარულებს ნათელას თხოვნას (სწორედ თხოვნა ეწერა ნათელას წერილში და არა ბრძანება. თუ მოახერხებთო, კოსტა თუ მოიცილისო, თქვენი ჰირიმეო, იმიტომ კი არა, რომ სერაფიტაა ჩამოსაყვანიო, ჯამბულა უკვე ერთი წლისა ხდება, ენაცვალოს დეიდაო), მაშინ სერაფიტა კიდევ ერთი კვირა აქ უნდა ჰყავდეს. არა, მართლა ეგრე კი არაა საქმე, მართო რომ ვითომ უმისამართოდ ჩაილაპარაკებს ხოლმე სიტყვა „წუწურაქს“. კოსტას სულაც არ ენანება ის საქმელი და სასამელი, რასაც სერაფიტა ამ ერთ კვირაში შესჭამს და შესვამს (თუმცა, რაღა თქმა უნდა, ჯობდა დაზოგილიყო და ჯამბულას მომავალს მოხმარებოდა). არა, ამას შედარებით იოლად აიტანდა, მაგრამ ის როგორღა აიტანოს, რომ კიდევ ერთი კვირა უნდა უჩადეს სახლში და თვალეში ეჩხირებოდეს? კოსტა თავს ისე გრძნობდა, როგორც ტუსალი, რომელსაც შაბათს ციხიდან უშვებენ და თავისუფლების საამო მოლოდინში გული სიხარულით უჩქროლავს. იმთავითვე რომ სცოდნოდა, პატიმრობის ვადა ამ შაბათს კი არა, იმ შაბათს ცაუდიოდა, შეჩვეული იქნებოდა ამ აზრს და გულის ჩქროლაც ერთი კვირის მერე დაეწყებოდა. თავზარი არ

დაეცემა ტუსალს. სამი დღის მერე რომ ციხიდან გამოსვლას მოელის და უცებ გამოუცხადებენ, სასჯელი ერთი კვირით გაეგრძელდაო? ეს ღლაბი კიდევ, ეს ლაწირაკი, გაუთავებლად მღერის და მღერის! კაცს მუცელში (სულ ქვემოთ, ფსკერზე) ცხელი ბორბალი გიტრიალებს, თან აგერ გვერდით გიწევს შენი ჩათქვირებული მარო; ტანთ რომ იხდიდა, ცდილობდი მისკენ არ გაგებედა, მაგრამ თვალი შენდაუნებურად გაგეჭკვა და ხინჯალივით ჭიპის დანახვაზე ცხელი ბორბალი კიდევ უფრო სწრაფად დატრიალდა; ჯამბულა, წესიერი კაცი, შენს მდგომარეობაში შედის და პატიოსნად სძინავს, და ამ დროს ეს ძალღის ლეკვი უცებ შემოსძახებს: „ჩემო კაარგო ქვეყანავე, რაზედ მოგიწყენია...“ ეს უგუნური „არა“ კიდევ წამომჯდარა თავის შავ ცხენზე, მკერდზე მჭილებს იცემს და თავმოყვარეობაო გაიძახის. ვის რაში სჭირდება შენი ცარიელი თავმოყვარეობა? თავმოყვარეობა არა ის! დაავლე ხელი ამ ცინგლიანს, ჩააგდე ავტობუსში, წაათრიე და მიაშვეე პატრონს! თავმოყვარეობა!

ხუთის ნახევარზე კოსტა დაღლილობისა და გამოფიტულობის ნაპირს მიადგა და ძილის ხრამში გადაიჩხება, მაგრამ იქ საშინელი სიზმარი დახვდა და ისევ ფაცხა-ფუცხით ამოვარდა ღვიძილის ბეჭობზე. სიზმრის აზრი თან ვერ ამოიტანა, ხრამში დარჩა, ამიტომ ამ საკითხზე ვერაფერს ვიტყვი. მხოლოდ ის ვიცი, რომ სიზმარმა შიში დაადევნა, რომელიც ზემოთ, ღვიძილის ბეჭობზე, შემადგენელ ნაწილებად დაიშალა. ეს შემადგენელი ნაწილები იყო ოფლი, გულისფრიალი, პულსის არითმია და პერის უკმარისობა.

ამასობაში გათენდა, აღმოსავლეთით მზე წითლად ამოიწვერა, მაღლით ოქროსფერი სხივები გადმოლვარა და ქვეყნიერება თბილსა და გამჭვირვალე, ნახად მოცახცახე ნათლის ბადეში გაახვიდა.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა პა-

რასკევ დილაძე გაგრძელდა. კოსტამ აქვს დილაძე კოსტა პატარა სრული ქაოსი სუფევდა. ცხენები დათარეშობდნენ, ისრები წუოდნენ. შუბები შუოდნენ, ხალიბური ფოლადის ხმლები ნაპერწკლებს ჰყრიდნენ, ტყვიები ზუზუნებდნენ, ზარბაზნები გრიალებდნენ; ყოველივე ამათ ზედ ერთვოდა დაჭრილების გამბძული კვნესა, მოიერიშე რაზმების ომახიანი დამახილი, ტურების კვილი და ყორნების ჩხავილი.

ბრძოლა მძიმე იყო. გამარჯვების სასწორი ხან ერთ მხარეს გადაიხრებოდა, ხან მეორე მხარეს.

პარასკევ დილით სისხლისმღვრელი ომი, როგორც იქნა, დამთავრდა. მოწინააღმდეგეებმა იარაღი აიყარეს, თავთავიანთი დახოცილები მიწას მიიხარეს, ტყვეები გაცვალეს და ზავი დადეს. „არამ“ დამარცხების ნიშნად თავისი დროშა გამარჯვებულ „პოს“ თეთრ ცხენს მორჩილად დაუდო ფერხით.

პარასკევ დილით, გამთენიის ხანს, კოსტამ წასვლა გადაწყვიტა. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას მთელი დღე გულში ინახავდა და ცოლს მხოლოდ ძილის წინ გაუმხილა. მაინც რატომ გადასდო კოსტამ სათქმელი შუალამემდე? რა იყო ასეთი დაგვიანების მიზეზი? თუ ამ მიზეზს ვარედან მივანათებთ ფარანს, ასე გვეგონება, თითქოს კოსტა უნდოდა გადაწყვეტილებისთვის დაღვინება ეცლია, სანამ ცოლს ეტყოდა, ჯერ თვითონ დარწმუნებულიყო, რომ ეს გადაწყვეტილება საბოლოო იყო, რათა ისეთ ხლართში არ შეერგო თავი, საიდანაც სკანდალის გარეშე უკან ვეღარ გამოტვრებოდა. მაგრამ თუ ჩვენი ფარინანად მიზეზის გულისგულში შევალთ და შიგნიდან გავანათებთ ყოველივეს, სულ სხვა სურათს დავინახავთ და ტყუილი მიზეზის უკან ნამდვილი მიზეზი გამოჩნდება. მაინც რა გამოჩნდება? ის გამოჩნდება, რომ კოსტამ ამ თავისი დაგვიანებით შურისძიების პატარა ჭია, ღვარძლიანი, მშვიერი ჭია, გაახარა. მაროს გულით უნდოდა წასვლა. საერთოდ, ნათესაებში წაწალი უყვარდა,

ნათელასთან სტუმრობა კი ნამდვილი დღესასწაული იყო. და რომ ეს დღესასწაული ძალიან ადრე არ დადგომოდა, კოსტამ დილით მიღებული გადაწყვეტილება გულში ჩაიმარხა და მხოლოდ მაშინ, როცა ტანთ გაიხადეს (როგორ ცდილობდა არ გავხედა ამ დროს ცოლისაკენ!) და დაწვინენ, თქვა:

— წავიდეთ ხვალა.

მარომ თავი მკვეთრად მოატრიალა და ქმარს უხმოდ შემოაოცქერდა. კოსტამ ჭერს მიაპყრო თვალები და ისეთი სახე მიიღო, ვითომ ცოლის შეკავებულნი გაანჩხლება სულაც არ შეუძნევიდა.

მარო ერთხანს უხმოდ უყურებდა.

— შე კაი ადამიანო, — უთხრა ბოლოს და ენის გაუგებარი ბუნების გამო ეს ნათქვამი უწმინდურ გინებასავით გაისმა, — თუკი წასვლას აპირებდი, გეთქვა ადრე, რომ წესზე და რიგზე მოვმზადებელიყავით.

— რა მომზადება გვინდა რა... — სასხვათაშორისო კილოთი მიუგო კოსტამ და თან ბოლო სიტყვაზე დაამთქნარა, რათა ცოლისთვის ეგრძნობინებია, მეძინებო, და ამით მოსალოდნელი კინკლაობა აერიდებინა.

აჩაივინ იცის, აირიდებდა თუ ვერა,

საქმეში რომ სერაფიტა არ ჩარეულიყო.

— მე უნდა წამიყვანოთ, შინძინა კოსტა? — აშკარად იმედინანი კილოთი იკითხა გოგონამ.

უპირატესობამ წამსვე კოსტას მხარეს გადმოინაცვლა. იმ ერთი ფრაზით გოგონა ვერ მიხვდებოდა რაზე იყო ლაპარაკი, დეიდამისისგან რომ არ ყოფილიყო წინასწარ შემზადებული. მაშასადამე ამ ოჯახში კოსტას სიტყვას არავითარი ფასი არა აქვს. შენ უარს ამბობ, ამათ კი მაინც წასვლის იმედი აქვთ, ჩუმჩუმად რალაც გეგმებს აწყობენ და, ვინ იცის, შეთქმულებასაც ამზადებენ!

ახლა უკვე კოსტა დააოცქერდა ცოლს და ცოლმა მიაპყრო თვალები ჭერს. მაგრამ კოსტა კინკლაობას არ აპირებდა. მას სიმშვიდე უყვარდა.

— წამიყვან, ბიძია კოსტა? — კიდეც ჰკითხა სერაფიტამ.

— წავიყვან, ჰო, წავიყვან. დაიძინე ახლა! — იმ ზომამდე გაუწყყრა კოსტა გოგონას, რომ ცოლს ეს მისთვის შეთავაზებულ ზეად მიეღო.

ცოლმა გაუგო და ზავი დაიღო. სერაფიტამ კი ხმამაღალი „ვაშა“ დასაწყვილა და მერე შეუღამემდე იმღერა.

## ნაწილი მეორე

### განსაცდელი

ასე და ამგვარად, სამი ღამისა და სამი დღის განმავლობაში კოსტა სამკედრო-სასიციოცხლოდ ებრძოდა კოსტას. საბოლოოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, კოსტამ გაიმარჯვა, ხოლო კოსტა დამარცხდა (ერთმა ნაცნობმა ბრძენმა მითხრა, დამარცხება ქარქაშია, გამარჯვება ხმალი, ანდა პირიქითო). დამარცხებული კოსტა ხვალ დილით (თუ წარმოვიდგენთ, რომ დღეს პარასკევია) მოგონილი ღიმილითა და უჩუმი ბოლოთ ეახლება ნათესავებს და სერაფიტა

ტას მიჰგვრია. ეს მიძიმე და დამამცირებელი სასჯელია, მაგრამ სამაგიეროდ გამარჯვებული კოსტა, შინ რომ მობრუნდება, თავის ფაშფაშა მაროს დაიმარტოხელებს (ალარაფერს ვამბობ მატერიალურ რესურსებზე, რაც სერაფიტას დროული წასვლით გამოთავისუფლდება და ჯამბულას მოხმარდება), თავის ფაშფაშა მაროს დაიმარტოხელებს და ამდენი ხნის მარტვილობისა და მარხულობის შემდეგ ბოლოს და ბოლოს ისე იქნება, როგორც იალაღზე გაშვე-

ბული თოხარცი, რომელსაც წინ ვოკალური დაბრკოლება არ ელოდება.

მაგრამ, სანამ თოხარცი თავისუფლებას მოიპოვებს, ვინ იცის კიდევ რამდენი განსაცდელის გამოვლა მოუწევს!

მაგალითად, უცხო ხალხში (უფრო რე უცხო კაცებში) რომ მოხვდებოდა, მარომ თვალების ცეცება და უსიამოვნო კისკისი იცოდა, რის გამოც კოსტას ზოგჯერ გული ეკუმშებოდა. ცხადია, მაროს პატიოსნებაში ეჭვი არასოდეს შებარვია (ნურც მკითხველს შეეპარება ეჭვი, თუ არ უნდა მძიმე შეცდომა მოუვიდეს), მაგრამ ეს არ იყო საკმარისი; ზომ შეიძლებოდა უცხო კაცებს, რომლებიც მასავით არ იცნობდნენ მაროს, მისი კისკისი და თვალების ცეცება სხვანაირად გაეგოთ?! ამიტომ ეკუმშებოდა გული კოსტას. მით უფრო მწარედ ეკუმშებოდა, რომ ამ საგანზე კრინტი დაძვრას ვერ ბედავდა. ჯერ ერთი, ეჭვი არაა, თავს სასაცილოს გაიხდიდა, და მეორეც, ცოტა უწინოდა კიდევ, ემანდ ისეთი აზრი არ მიეწოდებინა მაროსთვის, რომ ამ უკანასკნელს მართლა ჭკუაში დაჯდომოდა.

სანამ კოსტა თავის პირველ განსაცდელში იყო გახლართული, დანარჩენ განსაცდელებს მშვიდად ეძინათ. შიში მხოლოდ მაშინ შეიშმუშნა (ცნობიერების გუბეში წითლად დაკვესა ჯერ კიდევ შორეულმა ჭკვლმა), როცა ბრძოლა დამთავრდა და კოსტამ წაუსვლელობას წასვლა არჩია.

მეორე დღეს, გზაზე გამოსულები რომ ავტობუსს ელოდნენ (კოსტას მარჯვენა ხელში სამგზავრო ჩანთა ეჭირა, მარცხენა კი ბედის მსუბუქი ირონიის გამოიპობით სერაფიტასთვის ჩაეკიდა; გვერდით ედგა მომცრო ჩემოდანი, რომელშიაც სერაფიტას ავლადიდება ეწყო, და ვაშლით, მსხლითა და ატმით სავსე მოზრდილი კალათი, ტილოგადაფარებული და თავმოკრული; სერაფიტას თავისუფალ ხელში განუყრელი მიიმუნი ეჭირა; მაროს ჯამბულა მკლავზე ჰყავდა გადაწვენილი), შიშს უკვე ეღვიძა. მართალია, წამოდგომით ჯერ

არ წამომდგარიყო, მხოლოდ ცალი თვალი გაეხილა და იზმორებოდა. მაგრამ წინდახედულმა კოსტამ უკვე შიშით შესაბამისი ზომები და საიმედო გეგმა შეადგინა: „იკარუსი“ ისეთი ავტობუსია, წინიდან წინა სკამის მაღალი ზურგი გფარავს, უკნიდან საკუთარი სკამის მაღალი ზურგი; ცოლს თუ ჯამბულასთან ერთად ფანჯრის მხარეს დასვამ და აქეთა მხრიდან შენ მიუჭდები, მშვენივრად გეყოლება მოქცეული ბუნებრივ ალყაში და საიკისკისო და თვალების საცეცებელი ასპარეზიც აღარ ექნება.

ასე ბჭობდა თავის გულში კოსტა. ღმერთი კი იღიმებოდა და შემხვედრ გეგმას აწყობდა.

ავტობუსში ორად ორი თავისუფალი ადგილი აღმოჩნდა; თანაც ერთმანეთისაგან კარგა მოშორებით. ერთი სადღაც შუა წელში იყო, ვიღაც ძალიან გამხდარი და ძალიან სათვლიანი ქალია გვერდით, ხოლო მეორე კიდევ უფრო უკან და საპირისპირო მხარეს, დიდსახიანი წითური ბიჭის გვერდით. „ეს გამხდარი ქალი და ეს წითური ბიჭი რომ ერთად დამხსდარიყვნენ...“ — ოცნება შემოიპარა კოსტას ცნობიერების გუბეში, რომელმაც უკვე ბორჯბა დაიწყო. კოსტამ იცოდა, ოცნება სასიკეთოს არაფერს მოუტანდა, ამიტომ წამსვე უკუაგდო და გულში ვითარების საქმიან განსჯას შეუდგა: „ამ ქალის გვერდზე მაროს და ჯამბულას დასვამ, იმ ბიჭის გვერდზე სერაფიტას. მე კი, მე ჩემი ბედი... ფეხზე ვიღვები. მაგრამ, სანამ კოსტა ძველ გეგმას სახელდახელოდ გადააეეთებდა, მარომ საეუთარი გეგმა დააწყო:

— მე და ჯამბულა აქ დავჯდებით. ჯამბულას მაინც წინ ურჩევნია.

ჯამბულას სად ერჩივნა, კაცმა არ იცის. რაც შეეხება კოსტას, გუნებაში რომ ადგილებს ანაწილებდა და თავის თავს ფეხზე დგომა გადაუწყვიტა, ვარაუდობდა, რომ, საცა მაროსა და ჯამბულას დასვამდა, თავადაც იქ დადგებოდა. მაროს არჩევანმა კი ვითარება შეცვალა. ახლა ცოლ-შვილთან განშო-

რება გარდაუვალი ჩანდა. მართალია, მაროს არჩეული ადგილი ადგილად კარგი იყო („იკარუსში“ მძღოლის კაბინის გვერდით მოზრდილი ყუთია. ყუთის ყვეთელი ტყავი აქვს გადაკრული. შეგიძლია ზედ მოიკალათო და მშვენიერად იმგზავრო). ჯამბულა იქ თავისუფლად იქნებოდა, წინა დიდი შუშიდანაც მთელი ქვეყნიერება ჩანდა, მაგრამ კოსტა ბუნდოვნად გრძნობდა (მიზეზი წყალქვეშა დინებებში იყო გახალისებული), რომ ისეთი ადგილი, რომელიც მგზავრებისათვის არაა გათვალისწინებული და არ იყიდება, საშიში ადგილია, აქ გინდა თუ არა ყველას თვალში ეჩხირები. „ჯამბულა რომ ეკდება კალთაში. ეს კარგია, — ამოაყო თავი გუბიდან იმედის იისფერმა ჭავლმა, — რაც არ უნდა იყოს, ბავშვიანი ქალი მაინც ბავშვიანი ქალია“. მაგრამ იისფერი ჭავლი სუსტი იყო და უღონო. იგი სწრაფადვე დაიშალა და კოსტა მიხვდა, რომ მოგონილ ნუგეშს ებღაუჭებოდა. არადა, იმაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, რომ მაროსთვის გადაწყვეტილება გადაეთქმევიწინებინა. ან კი როგორ გადაეთქმევიწინებდა? ნამდვილი მიზეზი რომ ეთქვა. პასუხად მაშინვე რამე შხამიან სიტყვას მიიღებდა, სხვა მიზეზი კი ვერაფერი მოიფიქრა.

კოსტამ მძღოლს გახედა. მძღოლი ხანში შესული იყო. „სამოციას იქნება, — გაიფიქრა, კოსტამ, — ორმოცდათვრამეტის მაინც“. ამან კოსტა დაამშვიდა, მართალია სამოციას კი არა მთლად გადაღრძობებული ბერიკაცები ენახა, ქალის დანახვაზე რომ ამძუნებულან, მაგრამ მძღოლი მაინც მოხუცი სჯობდა. ასაკს თავისი მიაქვს. სამოცი წლის კაცს ის ჯანი აღარ მოსდევს, მანქანაც მართო და...

— კარგი. მაშ, მე და სერაფიტა უკან გადავალთ.

კოსტამ მარცხენა ხელში ჩანთა დაიჭირა (ჩემოდანი და კალათი საბარგულში შეინახეს) და სერაფიტა წინ გაიქლოლა. გოგონა სათვალისიანი ქალის გვერდით დასვა, ქალს ახალგაზრდა

უფრო ეთქმოდა, ვიდრე ხნიერი. უზომოდ გამხდარი იყო, ძველები შარავალში მქიდროდ გამოეკვართა, მოკლედ შეკრეპილი თმა ჰქონდა და ბრტყელი შუბლი. საერთოდ, კაცს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალს, მაგრამ ქალი იყო. ხელში გაშლილი წიგნი ეჭირა და ცხვირ-პირი შიგ ჰქონდა ჩარგული. გოგონა რომ დასვა, კოსტამ მეორე თავისუფალი ადგილისაკენ გასწია და თვითონაც დაჯდა. ჩანთა გვერდით მიიღო. დიდსახიან ბიჭს ეძინა. ცხრამეტა-ოცი წლისა იქნებოდა და სულ ერთიანად წითური იყო; სახეც წითური ჰქონდა, თმაც, წარბებიც, წამწამებიც. საზურგეს გადასწოლოდა, პირი ოდნავ გაეღო და დაბალ ხმაზე ფშვინავდა. გრძელი და მალალი ცხვირი ისე გადმოჰყუდებოდა ზემოდან ვალეებულ პირს, როგორც კლდის წიბო გადმოეყუდება ნაპარლს.

კოსტა ჯერ კარგად მოკალათდა სკამზე. მერე ნელ-ნელა გადაიწია გვერდზე, გაასავლელისაკენ. და შეეცადა მარო და ჯამბულა დაენახა. თან ცოტა რცხვენოდა, მგზავრებს არ ეფიქრათ, რას უთვალთვალეებს და რას დარაჯობს ეს კაცი ამ თავის ცოლსო. იმიტომ რომ, კაცი თუ ცოლს დარაჯობს, მაშასადამე სჭირს კიდევ რალაც სადარაჯო. რაკი ბუნებრივი და ზომიერი გადაწყვეთა საკმარისი არ აღმოჩნდა, გადაიხარა, ჩანთა გახსნა და შიგ ყასიდად დაიწყო ხელის ფათური, რათა ამით მგზავრებისთვის თვალი აეხვია. მარო წყნარად იჯდა, ჯამბულა კალთაში ესვა და, როგორც ჩანს, გზას გასცქეროდა. მძღოლი არ ჩანდა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ისიც გზას გასცქეროდა, რადგან ტრასა გადატვირთული იყო და შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვდა. კოსტა დამშვიდდა, ისევ გაიმართა, წამით წითურ მუხობელზე შეაჩერა მუხრა და ერთბაშად შეეხარბა მისი არხეინი ფშვინვა. თავდაც საზურგეს გადააწვა და თვალეზი მიიღულა.

— ბიძია კოსტა! — გაისმა ამ დროს სერაფიტას წკრიალა ხმა.

კოსტამ თვალი გაახილა.

— რა გინდა, გოგო? — ჰკითხა. საკუთარმა ხმამ თვითონვე შეაკრთო და შემოფოთებით მოავლო თვალი ახლო-მახლო მსხდომ მგზავრებს. მოეჩვენა, რომ ცოტა მკვახე კილოთი გამოუვიდა ნათქვამი, და შეეშინდა, მგზავრებს არ ეფიქრათ, ე რა ბოლომანად ელაპარაკება, კაცო, პატარა ბავშვს, აბა, ეგეთ კაცსაც ბიძა უნდა ერქვას, შეხეთ ერთი, როგორ მობეზრებია ცოლიდიშვილი და როგორ ამოსვლია ყელიში.

სერაფიტას მისი ხმის მკვახე კილო აინუნშიაც არ ჩაუგდია.

— სავარცხელი არა გაქვს?

კოსტამ შარვლის ჯიბისკენ წაიღო ხელი, მაგრამ ჩაყოფით არ ჩაუყვია, გზაშივე შეაჩერა.

— რად გინდა სავარცხელი?

— მაიმუნს დავეარცხნი. შეხედე რას გავს! ერთი კვირაა ამის თავს სავარცხელი არ მიკარებია. სად გამოვაჩინო ასეთი გაბურძნული! — ამ სიტყვებით გოგონამ თან მწყურალად და თან სიყვარულით ჩაჰკრა თავში ხელი მაიმუნს.

გვერდით მჯდომმა ქალმა სათვალის ზემოდან ცალი თვალით გამოხედა გოგონას, გაუგებრად გაიღიმა და ისევ წიგნს მიუბრუნდა. კოსტამ ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო, მალა ასწია, სინათლეზე გახედა და, თუმცა სუფთა იყო, ორჯერ მაინც მძლავრად შეუბერა სასული. წინა რიგში, ფანჯრის მხარეს მჯდომმა კაცმა უკმაყოფილოდ მოატრიალა თავი. კაცი სულ მთლად ჭაჩალი იყო, მუჭი ლურჯი პიჯაკი ეცვა და დიდი, ჭრელი პალსტუხი ეკეთა. კოსტამ თვალი აარიდა, მაგრამ გრძნობდა, რომ კაცი მცირე ხანს შუბლშეჭმუხვნილი უყურებდა. მერე ისევ ისე უხმოდ შეტრიალდა.

„რა ფეხები უნდა! — უკმაყოფილოდ გაიფიქრა კოსტამ, — ჩემს სავარცხელს მინდა შეეუბერავ, მინდა ვუტეხნი!“ ამ დროს შენიშნა, რომ სერაფიტა სკამიდან გადმობობლებას აპირებდა, და

ცნობისმოყვარეობის გუბიდან ერთი კარგი ჰავლი ამოუტივტივდა.

— დიაცა მანდა, არ გადმოხვეიდე!

— რატომ?

— მე მოგიტან.

„ცოტა ხნის მერე კიდევ მივუტან რამეს. თვითონ თუ არ მომთხოვია, ჩემით მივუტან“.

კოსტა წამოდგა და სერაფიტასკენ გაემართა.

მარო ყვიაელ ყუთზე იჭდა მგზავრებისაკენ ზურგშექცევიტ. გავა, ისედაც გვარიანად სქელი, სხეულის სიმძიმეს დაეწინება და კიდევ უფრო განიერი ჩანდა. განიერი და ცოტა ფორმადაკარგული. კოსტას ეს სანახაობა არაფრად ეჭაწნიკა. ორი საათისა თუ ორსაათნახევრის მანძილზე ასე უნდა იყოს მოშვერილი და თვალეშში ეჩხირებოდეს მთელ აეტობუსს. „საზურგეს უნდა უკეთებდნენ ეგეთ ყუთებს, რომ კაცი ზედ გულდანდობით დაქდე, — გაიფიქრა კოსტამ, — ისე დიდი კი არაფერი საყურებელია, — სცადა მერე თავის დაშვადება, — მე რო ამითი ვიყო, არც დავუწყებდი ცქერასა. მაგრამ კაცის თვალი ხარბია, ყველაფერს სჭამს“.

სავარცხელი სერაფიტას მიაწოდა და მცირე ხანს მის სკამთან შეჩერდა. გოგონა დაუყოვნებლივ შეუღდა მაიმუნის ვარცხნას. კოსტამ კიდევ ერთხელ გახედა ცოლს და გაიფიქრა: „მივიღე თუ არ მივიღე?“ მერე სერაფიტას უთხრა:

— დავარცხნას რო მორჩე, დამიძახე და წავიღებ.

— კარგი, ბიძია კოსტა, — მიუგო გოგონამ და მადლიერი თვალები შემოანათა.

„ლამაზია, ხო იცი, ეს მამაძალი!“ — გაიფიქრა კოსტამ.

მერე ერთხანს ადგილზე იწრიალა.

— ხოო...—თქვა ბოლოს. კიდევ მეტ-ხანს უნდოდა აქ დარჩენა, მაგრამ სათქმელი ველარაფერი მოიფიქრა, რადგან სერაფიტასთვის თითქმის არასოდეს გაუცია ხმა და არ იცოდა, რაზე შეიძლებოდა მასთან ლაპარაკი.



მაშინ ისევ თავის ადგილას დაბრუნდა და სერაფიტას დაუწყა თვალთვალს, აბა ერთი როდის მოათავეებს მიიმუნის დავარცხნას, რომ სავარცხლის წამოსაღებად მივიდეთ. მაგრამ გოგონა არ ჩქარობდა. ერთხელ რომ დავარცხნა, მეორედ მიუბრუნდა, მეორედ რომ დავარცხნა, მესამედ მიუბრუნდა. ვარცხნიდა და ვარცხნიდა. კოსტას უკვირდა. „ამდენი ვარცხნა რა არი, კაცო! ემანდ სულ არ დაწიწკნოს თმა!“ გოგონა კი ვარცხნიდა და ძალიან კმაყოფილი სახე ჰქონდა. წითლური მეზობელი მშვიდად ფშვინავდა. კოსტამ ცერად გახედა და მიიღიწი, უზრუნველი სახე რომ დაინახა, გულში შეაგინა. გინებაზე წინა რიგში მჯდომი ქაჩალი კაცი მოაგონდა, წელან რომ წარბშეყრილი მოსჩერებოდა, და ახლა იმას შეაგინა გულში. სერაფიტა კი ვარცხნიდა და ვარცხნიდა თავის მიიმუნს. „მგონი ეს ბავშვი ცოტა ავადმყოფია, — გაიფიქრა კოსტამ, — აბა, ამდენი ვარცხნა ვის გაუგია!“ ბოლოს ველარ მოითმინა და ხმადაბლა გასძახა:

— სერაფიტა!

— ბატონო!

ერთი კი გაუკვირდა, რისთვის დავუძახეო, და იმ წამსვე ჰკითხა:

— კანფეტი გინდა?

გოგონას სახე გაებადრა და დასტურის ნიშნად თავი დაუქნია. კოსტამ ჩანთა გახსნა, ხელი ღრმად ჩაჰყო, მუჭით კანფეტები ამოიღო და გაიფიქრა: „ორი ცალი კანფეტი ოჯახს არ დამიქცევს“. კანფეტები ჯიბეში ჩაიყარა. წამოდგა და სერაფიტასკენ გაემართა. მარო ისევ ისე იჯდა და სიმშობისაგან ფორმადკარგული გავა მაყურებლებსაკენ მოეშვირა.

— აბა, ჰამე, — უთხრა კოსტამ სერაფიტას და ორი ცალი კანფეტი მიაწოდა.

გოგონამ ძღვენი ჩამოართვა, კაბის პაწაწკინტელა ჯიბეში ჩაიღო და გაბრწყინებული თვალეზი შეანათა ბიძას. კოსტა გაუბედავად იდგა მის სკამთან.

— ბიძია კოსტა! — წამოიძახა გოგონამ.

— რა?

— არაფერი. — სერაფიტა ილიმებოდა და გაბადრული სახით ამოსცქეროდა. მერე უცებ მიიმუნე კალთაში ჩაისვა, ორივე ხელით კოსტას მკლავს წაეჭანა, მიიზიდა და ზედ ლოყა მიადო.

კოსტას კინლამ გული აუჩუყდა. „ოჯახში ბავშვი არ უნდა გამოილიოს“, — გაიფიქრა და, თუმცა იცოდა, რომ ეს აზრი ვილაცისგან გაეგონა, მაინც ისე გაიფიქრა, ვითომ მისი საკუთარი ყოფილიყოს.

— ჰამე კანფეტი, — უთხრა სერაფიტას და, სერაფიტამ რომ მკლავში ხელები გაუშვა, ერთბაშად მოწყდა ადგილს და ავტობუსის თავისკენ გაემართა.

მარო ფანჯარაში იყურებოდა. მძლოლს ორივე ხელით საკე ჩაებლუჯა და ყურადღებით გასცქეროდა გზას. ჯამბულას ეძინა.

— სძინავს? — თქვა კოსტამ.

— კი, — მოკლედ მიუგო ცოლმა.

— კანფეტი არ გინდა?

— არა.

— არაფერი გინდა?

— არა.

— დაცხა, — მცირე დუმისის შემდეგ თქვა კოსტამ.

ცოლს პასუხი არ გაუცია.

— ხომ არაფერი გაწუხებს? — შედარებით ხანგრძლივი დუმისის შემდეგ თქვა კოსტამ.

ცოლმა შემოხედა.

— რა ექიმივით დამიწყე, კაცო, გასინჯე? რა უნდა მაწუხებდეს!

კოსტას შერცხვა და ცოტა ეწყინა კიდევ, მერე თვალი მძლოლისკენ გააპარა. მძლოლი ყურადღებით გასცქეროდა გზას. ტრასა გადატვირთული იყო.

— კარგი, — თქვა კოსტამ, — თუ რამე მოგინდეს, აქა ვარ.

ცოლს არაფერი უთქვამს. კოსტა შებრუნდა და წავიდა. სერაფიტას სკამს რომ მიალწია, ცოტა ხანს შეჩერდა.

— შეჰამე კანფეტი?

— ერთი შევექამე, ერთი კიდევ მაქვს!  
 — ამის დასამტკიცებლად გოგონამ მუ-  
 ჯა გახანა და კანფეტი დაანახვა.

— თუ კიდევ მოგინდეს, დამიძახე,  
 — უთხრა კოსტამ და თავისი ადგილი-  
 აკენ გააწია.

მისი დაქდობა და წითური ბიჭის გა-  
 ლვიძება ერთი იყო. წითური შერიშმუშ-  
 ნა, თვალი გაახილა და ზემოდან ჩამოპ-  
 ხედა კოსტას. მზერა უტყვი ჰქონდა და

კოსტამ მისი შინაარსი ვერ ამოიკნო.  
 „შე ხომ არ გავალვიძე?“ — გაიფიქრა;  
 მაგრამ შიშით არ შეშინებია. ამ დროს

წითურმა მკლავები ერთბაშად მალლა  
 შეჰყარა და მძლავრად გახშობრა. სქე-  
 ლი ენთები ჰქონდა და ვეებერთელა

მუშტები. კოსტას ახლა მისი სახე (მი-  
 უხედავად იმისა, რომ წითური იყო)  
 ავი ეჩვენა და გაიფიქრა: „მეც რას

ვწრიალე და ვწრიალე! იქნებ კაცს  
 როგორ უნდა სილი!“ თან კოსტა გვერ-  
 დზეც მიიწია. გახშობრა რომ მოათავა,

წითური წამოდგა (რამოდენა ყოფილა  
 ე შობელაილი!), ახლა ერთი ასე წამომ-  
 დგარმა გაიხშობრა. მერე ზემოდან, სა-

დაც წვრილმანი ბარგის შესაწყობი  
 ბადეა, ჩანთა ვადმოიღო. ჩანთა სპორ-  
 ტული იყო, ყავისფერი და გრძელთას-

მიანი. ძირს იომ ჩამოჰქონდა, ჩანთა  
 წინა აავარძლია საზურგეს წამოედო.  
 ეა ქაჩალი კაცის საზურგე იყო. ქაჩალ-

მა თავი მოაბრუნა, კოპები შეჰყარა და  
 შეკავებული ბრაზით მოაჩერდა კოს-  
 ტას. „გიყ ხომ არაა! — გაიფიქრა კოს-  
 ტამ. — შე რას მიბღვერის?!“ და თვა-

გაქრა და გამოჰყრა, გაქრა და გა-  
 მოჰყრა. იგრე ქსოვდა, როგორც კი  
 კი დედაკაცი. კოსტა დაეჭვდა, სქენე

ქალია და მე კაცად მომეჩვენო, და  
 ქურდულად გააპარა თვალი. რა შეატ-  
 ყო, წითური მთლად საქმეში იყო დანთ-

ქმული, უფრო თამამად დააკვირდა. მი-  
 რითადად მკერდის არეს უმოწმებდა.  
 მკერდი დიდი და ამობურცული კი ჰქო-

ნდა, მაგრამ საფუძვლიანი შესწავლის  
 შედეგად კოსტა მაინც იმ დასკვნამდე  
 მივიდა, რომ წითური კაცი იყო და არა

ქალი. ამან გაუგებარი შეება მოჰგვა-  
 რა, თითქოს ცნობიერების გუბებს მუ-  
 რაბა შეურჩესო, და გულმოცემულმა

გაიფიქრა: „გავალვიძე და გავალვიძე!  
 ერთი მაგის! მე ჩემს სკამზე ვზივარ და,  
 რასაც მინდა, იმას ვიზამ. მინდა ავდგე-

ბი, მინდა დავჯდები; მინდა შევეტრიალ-  
 დები, მინდა შემოვეტრიალდები!“ სა-  
 ზურგეს ნებიერად გადააწვა. „კოსტა

თვალს მოვატყუებ“, — გაიფიქრა. მარ-  
 თლა მოტყუება გამოუვიდა. ის იყო  
 ცნობიერების გუბებს ნისლი ჩამოაწვა და

კოსტა მსუბუქად შეცურდა თბილ ბუ-  
 რუსში, რომ ავტობუსი გაჩერდა.  
 „ჩადის ალბათ ვინმე“. — გაიფიქრა

კოსტამ, თვალი გაახილა, გვერდზე გა-  
 დაიწია და გაიხედა. წინ ჩამსვლელი  
 არავინ ჩანდა. „კი არ ჩადის, ეტყობი

ამოდის ვილაცა, — მწყრალად გაიფიქ-  
 რა კოსტამ, — რას აჩერებს ეს ვირი-  
 შვილი, ხომ ხედავს ადგილი არ არის!  
 — მერე კიდევ უფრო გადაიხარა და  
 კიდევ უფრო გაიფიქრა: — ქალი ამო-  
 დის ნეტა თუ კაცი?“

ავტობუსში ორი გამზდარი კაცი ამო-  
 ვიდა. ერთი დაბალი იყო, გადმოჰარ-  
 ლული თვალები ჰქონდა და მოლრეცი-

ლი ცხვირი. თხემზე თმა ისე გასცვიფ-  
 ნოდა, თითქოს ვილაცას სავანგებოდ  
 გამოუხშირავსო, აჭა-იქ უფრიალებდა

მოკლე, თეთრი ბეწვები. რუხი ფერის  
 კიტელი ეცვა. კიტელის სახელოები და-  
 ეკაპიწებინა და ბანჯგლიანი მკლავები

მოუჩანდა. ხელში თეთრი ბაღა ეჭო-  
 ლა და შიგ რალაც ედო გახეთში გახვეუ-

ლი. მეორე მგზავრი ახალგაზრდა იყო

და მალალი: შავი, ხუტუქა თმა ბუჩქად ეყარა შუბლზე. ცხვირი ამასაც მოღრეცილი ჰქონდა. მრგვალი პირი ისე გამოზურცოდა, გეგონებოდათ შიგ ენა ვერ ეტევაო. ხელში ისეთივე თეთრი ბაღია ეჭირა და ბაღიაში ისეთივე რაღაც ედო გაზეთში გახვეული.

ავტობუსმა გზა განაგრძო.

დაბალმა ავტობუსი დაკვირვებით მოათვალიერა და მალალს უთხრა:

— აქ ადგილი არ ყოფილა, ჩემო ჩიტირეკია, და სად დაეხსნეთ მე და შენ? პირი რომ გაალო, დაბალს მარცხენა მხარეს ოქროს კბილი გამოუჩნდა. ოქროს კბილი მდებარედ უელავდა პირში.

მალალმა ჭერ ამხანაგს შეხედა, მერე იმანაც მოათვალიერა ავტობუსი და მძლოლა მიუბრუნდა:

— ადგილი არა გაქვს. კაცო?

ლაპარაკის დროს პირი კიდევ უფრო მოუშრგვალდა, კიდევ უფრო გამოებურცა და ამიტომ „ადგილი“ კი არ გამოუვიდა, არამედ „ოდგილი“, „ოდგილი არა გაქვს, კაცო?“

— ასაკეცი სკამია მაგერ, კიბესთან. ერთი დაჯდებით. — თქვა მძლოლმა და ხელით აჩვენა.

ჩიტირეკიამ ასაკეცი სკამი გადმოშალა და ამხანაგს უთხრა:

— აბა, ღმერთსაც მოუციო და კაცსაც. ისე იჯდები, როგორც რო ხელმწიფე.

— შენ რაღას იხამ? — ჰკითხა დაბალმა, როცა მოკალათდა.

„უკან მაინც ყოფილიყო ადგილები!“

— გაიფიქრა კოსტამ, რომელიც უკვე მიმხედარო იყო, რომ ახლადამოსულები ნასვამები იყვნენ.

— მეც რამეს მოვქებნი. — თქვა ჩიტირეკიამ, — აგერ, კიბის თავში ჩამოვჭდები. ჭერ ე ბადები დავაბინავო.

ჩიტირეკიამ დაბალს ბაღია ჩამოართვა და თავის ბაღიასთან ერთად წინ, რაფაზე დააწყო მინია ძირას. მეორე მაროსა მიუბრუნდა და ჰკითხა:

— შენ ხომ არ შეგიშლის ხელს. ჩემო დამო?

„წესიერი ხალხია, გაიფიქრა კოსტამ. — ნასვამები ვინაა, მაგრამ ზრდილობიანად იქცევიან.“

ჩიტირეკია კიბის თავში დაჯდა მაროსა და თავის ამხანაგს შუა.

„უფრო მაროს ყუთისკენ დაჯდა, ვიდრე თავის ამხანაგის სკამისკენ. — გაიფიქრა კოსტამ. მერე თავის თავს შემოსწყრა: — მეც რა მომივიდა! ზომვას ხო არ დაუწყებდა, როგორც მოუხდა ისე დაჯდა (რატომ მაინცდამაინც ყუთისკენ მოუხდა და არა ასაკეცი სკამისკენ? — ყრულ ბუხუბუხებდა გუბე). აქი, ჩემო დამო, უთხრა. ბევრი კი არაფერია ეგა, ყველა ჩემო დამოთი იწყებს უშნო მაიმუნობასა, მაგრამ, რაც არ უნდა იყოა, ბავშვიანი ქალია... მგზავრები არიან, ის ხო არ არიან...“

წითური ბიჭი ისევ ისე იყო სავარსებლზე გადაწოლილი და დინჯად, დაკვირვებით ქსოვდა. ისე ჩაფლულიყო სკამში და ისეთი სახე ჰქონდა, კოსტას ძალიან ახლობელი ეჩვენა. რაღაც თბილი, ნათესაური გრძობა გაუჩნდა, წამით გულიდან დარდი გადაეყარა და ალაღად გაუღიმა.

— რაა იღრიჯები? — მშვიდი ბანით ჰკითხა ბიჭმა და კოხები ოდნავ შეიკრა. მოხედვით არ მოუხედავს და ჩხირებისთვის თვალი არ მოუშორებია.

„გიცია?“ — გაიფიქრა კოსტამ და სკამის კუთხისკენ მიიწია.

— გიქ მოგცემ მე შენ. — ისევ ისე მშვიდი ბანით თქვა წითურმა და ახლკი გადმოჰხედა. თავი არ აუღია. მარტო თვალეზი მოატრიალა და ცერად ჩამოაკერდა. კოსტამ უნებურად თავი მხრებში ჩარგო; ამის გამო შერცხვა და თან საკუთარ თავზე გაბრაზდა. წითურმა თვალი ისევ აარიდა და ქსოვა განაგრძო. ცოტა ხანს უხმოდ ქსოვდა. მერე თქვა:—მე რომ ვქსოვ, შენ არ შეგეშალოს და რამე ისეთი არ იფიქრო. — აქ მცირე ხანს შეიცადა. მაგრამ, რაკ კოსტამ პასუხი არ გასცა, დაუმბათა:

— იცო, რატომ ვქსოვ?

— აბა, მე რა ვიცი! — ცალი მხარო აიჩჩია კოსტამ და, თუმცა რაღაც გაუ-



გებარი, დამორგუნველი გრძნობა მიძიმედ დააწვა, თავს ძალა დაატანა და დაუმატა: — ან რაში მეკითხება!

— როგორ არ გეკითხება! — თქვა წითურმა, — იმიტომ ვქსოვ, რომ შენი სიფათი არ მომეწონა.

„ჩემო ქვისლო იაშა და ჩემო ცოლის-და ნათელა! მე თქვენი დედა და მამა, თქვენი ავი და კარგი, თქვენი ცოცხალი და მკვდარი...“ — ანგარიშმიუცემლად ფიქრობდა კოსტა.

— შეხედე ამას! — წითურმა ცალი ხელი საქსოვ ჩხირს გაუშვა და ახლო მიუტანა კოსტას. ნიჩაბივით ხელი იყო. — ახლა მუშტი ნახე! — წითურმა ის ხელი მომუშტა. კოსტა ძალაუნებურად დააკვირდა. მის თავზე დიდი თუ იქნებოდა, თორემ პატარა არამც და არამც. — ეს მუშტი რომ თავში ჩაგკრა, — ფიქრიანი ხმით მსჯელობდა წითური, — თუ იცი, რა მოგივა?

კოსტამ ამაზე წაყრუება ამჯობინა. მაშინ წითურმა ჰკითხა:

— შენ ნერვიული ხარ?

კოსტამ მხრები აიჩეჩა.

— რა... რა მჭირს... ვითომ რა...

— გინდაც ნერვიული იყო, შენს ნერვიულობას მაინც არა აქვს მნიშვნელობა.

— რატომ? — უნებურად იკითხა კოსტამ.

— ვის რა ფეხებს მოსჭამ, — მიუგო წითურმა, — მე თუ გავნერვიულდი, შეიძლება ეს ამოდენა ავტობუსი ხელში შემომეფშენას. ავტობუსი არაფერი, მაგრამ ენერგია დამეხარჯება უქმად. იმიტომ მწვრთნელმა ქსოვა მიჩრჩია. აწყნარებს კაცს და ამშვიდებს. მაგალითად, წელან რომ გამეღვიძა და დაგინახე, შენი სიფათი არ მომეწონა, გაწუმპულ კნუტს ჰგავდი; კნუტები არ მიყვარს. საქსოვი რომ არ მქონოდა წამოღებულდი, ხომ დავხარჯავდი უქმად ენერგიას?

„რა ოხრად მინდა სახლი! — გაიფიქრა კოსტამ, — ცოტა ფული თუ მოვაქვთ, მანქანას ვიყიდი. ჩაკვდები შიგ, ჩავსვამ ჩემს ცოლ-შვილს და ამ-

დენ ოხერს მაინც არ გადავწყობ, იაშა და ნათელა. მე თქვენს წინააღმდეგ ვიქნები, რომ იცოდე, კინალამ ვინაა განაგრო წითურმა, — დამჩრა კიდეც. კიშკარს რომ გამოვცდი, მაშინლა გამახსენდა.

კოსტას გააერუოლა. უნებურად წარმოიდგინა, რა იქნებოდა, წითურს რომ შინდარჩენილი საქსოვი არ გახსენებოდა და ეს ამოდენა ღლავი ასე უსაქსოვოდ და უჩხირებოდ გადააყროდა. „ზოგჯერ კაცის ბედი საქსოვზედა ჰქილია“, — გაიფიქრა კოსტამ.

ამ დროს ავტობუსის თავში სიცილმა იფეთქა. სიცილი ერთბაშად, ყუმბარასავით გასკდა და ტალღა-ტალღა წამოვიდა უკანა რიგებისაკენ. კოსტა შეკრთა, ანგარიშმიუცემლად წამოვარდა, წამით გაეშეშა და შერე წინ დაიძრა, იქით, საიდანაც სიცილი წამოვიდა. ცნობიერების გუბე მღვრიედ ღელავდა და გაურკვევლად ბუზბუზებდა. ფიქრების ურიცხვი ჭავლი ერთად ლამობდა ამოტივტივებას, მაგრამ ერთმანეთს ხელს უშლიდნენ და ააბოლოოდ კერც ერთი ვერ ამოდიოდა ზედაპირზე. ამას გონების დაბინდვა ჰქვია და კოსტა გონებადაბინდული მიიწევდა წინ. სერაფიტას სკამს რომ გაუსწორდა, ბინდი ცოტა გადაიყარა, შედარებით მარჯვე ჰავლებმა ზედაპირს მოაღწიეს, თავები ამოჰყვეს და კოსტა შედგა.

— კიდე გინდა? — ჰკითხა სერაფიტას და პასუხს არ დალოდებია, ისე გაუწოდა ორი ცალი კანფეტი.

— კი, — გოგონამ თბილად შემოსცინა და თვალები სიყვარულით მოუჭურჭურა.

დაბალი იცინოდა, მაღალი იცინოდა, მძლოლიც იცინოდა. მარო იცინოდა თუ არა, კოსტამ ვერ დაადგინა; ხმა არ ისმოდა და ისე ძნელი იყო რაიმეს შეტყობა. მთავარი ცვლილება, რაც კოსტამ შეამჩნია, ის იყო, რომ ჯამბულას გაღვიძებოდა („გააღვიძეს ამ ვირიშვილებმა“). — ივარაუდა კოსტამ; დედის მარჯვენა მხარზე მოთ სანახევროდ მოჩანდა მისი საყვარელი სახე. კოსტას

წამით მოეჩვენა, თითქოს ჯამბულაც იცნობდა. „ჩემზე რა უნდა ეთქვათ... — ფიქრობდა კოსტა, — არ მიცნობენ და არაფერი... ვითომ მარო იტყობა რამეს? არა, უცნობებთან... უნდა მივიდე“. კოსტამ თავზე ხელი გადაუსვა სერაფიტას, რათა გოგონას მისი მოსვლა და წასვლა უცნაური არ მოჩვენებოდა, და გზა განაგრძო. სიცილი ნელ-ნელა ჩაცხრა და, კოსტა რომ მივიდა, უკვე შემწყვდარი იყო. კოსტამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ არავითარი სიცილი არ გაუფრთხილა, ვითომ საერთოდ ვერ ამჩნევდა ჩიტირეკიასა და მის ამხანაგს. მივიდა და ხელი ნელა დაადო ცოლს მხარზე.

— ხომ არაფერი გინდა? — ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ და დინჯად, ქმრის მზრუნველი უფლებამოსილებით ჰკითხა. ოღონდ, რაჯი დარწმუნებული არ იყო, რომ ცოლისგან რაიმე ღირსების შემლახველ პასუხს არ მიიღებდა. სასწრაფოდ ჯამბულას მიუბრუნდა, — გაიღვიძე, მაშეიკო?

დაბალმა კოსტას შეხედა და ხმამალა გაიცინა.

— აგერა, კაცო, — და ხელიც მიამოვირა, — აქ არა ჰყოლია მამა!

ჩიტირეკიასაც გაეცინა. იცნობდა და თან გვერდზე იყურებოდა. თითქოს რალაცი რცხვენიაო. მძლოლიც ახვიზვინდა. მაროს შეეტყო, რომ ძლივს შეიკავა თავი; გაიცინებოდა არ გასცინებოდა. მაგრამ წამიერმა ღიმილმა კი გადაურბინა სახეზე. კოსტა დაიბნა. დაბალია ნათქვამის შემდეგ შეუძლებელი იყო იგი დაეჭირა თავი. ვითომ ეს ახალი მგზავრები არ შეუშინებია. ამიტომ სერიოზული, ოღნავ სიმკაცრეაქენ გადახრილი კილოთი იკითხა (შეკითხვა იპარი უფრო ცოლისკენ ჰქონდა მიმართული):

— რა იყო?

პასუხი დაბალმა გააცა:

— ე შენი ბალო. კაცო, რას ერჩის ამ ჩვენს ჩიტირეკიასა. რო მამას ეძახის?

ჩიტირეკიას კიდევ უფრო შერცხვა. მძლილმა ხვიზვინს უმატა. მაროსაც უფ-

რო მკაფიოდ და უფრო დიდხანს დააჩნდა ღიმილი. კოსტა წამოქნინდა — მაგრამ თავი შეიკავა. არ იცნობდა რა უფრო მართებული იქნებოდა ახლა: ყბაში ელენა ამ ყბედისა და მაიმუნისათვის თუ ისე დაეჭირა თავი, ვითომ ყველაფერი ხუმრობად მიიღო. „გავარტყამ და ისევ მე გამოვალ სასაცილო, — გაიფიქრა კოსტამ, — ან რატომ უნდა გავარტყამ? დაამავა რამე?“ მართლაცდა რა უფლებით უნდა გავარტყამ? ეს კაცი იმას ამბობდა, ჯამბულამ ასე და ასე თქვაო, და თუ ჯამბულამ მართლა თქვა ასე და ასე, მაშინ რალას ერჩი? საბოლოოდ კოსტამ შუათანა გზა გამოიხატა. ჩხუბის ატება სწორი არ იქნებოდა, მაგრამ არც ხუმრობაში აყოლა ივარგებდა. ასეთ ხალხს თავი თუ გაუყადრე, ხელად დაუკრფავებში გადავლენ. ამიტომ წელანდელივით სერიოზული და ცოტა ცივი კილოთი თქვა:

— პატარაა ჯერ. არ იცის.

დაბალმა სიცილი შემწყვიტა და რალაც უცნაურად შემოჰხედა კოსტას. პირიც კი გააღო. მერე შედარებით ხმადაბლა და თითქოს ცოტა გაკვირვებულმაც თქვა:

— მეც მანდა ვარ, რო პატარაა. ავი მაგიტომაც ვიკინით. თორე, ვინმე რო მართლა პირზე დაადგეს ამ ჩვენს ჩიტირეკიასა, გინდა თუ არა ემაგ ბალოს მამა ხარო, განა სასაცილო იქნებოდა!

მძლოლი იავე ახვიზვინდა. ჩიტირეკია მთლად ჰარხალივით გაწითლდა. მარომ ერთი წაიზმუკუნა. „ნეტა კი დედა შეეგინებია!“ — გაიფიქრა კოსტამ. დედა რომ შეეგინებია, ყველაფერი გარკვეული იქნებოდა და კოსტაც მაშინვე ყელში ეცემოდა. ახლა კი რა გინდა ქნა? ეცემა და, რომ ეცემა, შეიძლება მაგიტომ შეიქნე სასაცილო: არ ეცემა და, რომ არ ეცემა, შეიძლება მაგიტომ შეიქნე სასაცილო. ეს მაროც ხომ, ხალხი თუ ახვევია, არასოდეს მხარში არ დაგიდგება, რასაც არ იტყვი, ყველაფერს გაგიტოზიხვება, გეგო-

ნება სხვების გულის მოგებას ლამობს.

მაროს ჭერჭერობით არაფერი გაუტრინხავებია და კოსტა გრძნობდა, რომ მისი ბრაზი უმისამართო იყო. ეს კი უფრო მეტად აბრაზებდა.

ერთხანს უხერხული სიჩუმე იდგა. ბოლოს დაბალმა იკითხა.

— რა ხნისაა?

— წლის გახდება მალე, — მიუგო კოსტამ. მას ვითარების შეცვლა დიახაც რომ ესაიამოვნა, მაგრამ ამ ცვლილებას ბოლომდე ვერ ენდობოდა და ამიტომ ისეთი კილო შეინარჩუნა, რომ ზედმეტი შინაურულობა არ დაეშვა.

— ე რა ადრე დაუწყია ლაპარაკი! — თქვა დაბალმა.

— ამათი ჭიშია ეგეთი, — მიუგო მარომ და კოსტას მოხედა, — ადრე იდგამენ ენას.

კოსტას ეამა. დიდი არაფერია, ადრე აღდგამ ენას თუ გვიან, მაგრამ მინც ისა სჯობს ადრე აღდგა.

— სახელი რა ჰქვია? — იკითხა დაბალმა.

— ჯამბულა, — მიუგო კოსტამ და გაიფიქრა: „აგე! რა კარგი ვქენი, რომ მოვედი! რო ეცოდინებათ, ქმარი ახლავს, ზედმეტებს მოერიდებიან“.

დაბალი ჯამბულას მიუტრიალდა.

— აბა, ერთი ჩემთან მოდი, ახლოდან ვაგაინჯო, თუ რა ვაქცი ხარ, — და ამ სიტყვებით ხელები გაიწოდა.

ჯამბულამ შეხედა, გაუღიმა და ფართალით წაივინა მისკენ. დაბალმა წელში ხელები მოჰკიდა და, როდესაც კოსტამ დაინახა, რა ახლო იყო ეს ხელები მაროს ძუძუ-მკერდთან, ტანში გაბურღლა. მერე გაიფიქრა: „შეხებით არ შეხებია“.

— ბავშვს არაფერი სჯობს, კაცო! — თქვა დაბალმა და ამხანაგს მიუბრუნდა,

— აბა, ერთი მანდედან მოგვეცალე, ძია ჩიტირეკიავ. აგე, იქ დაჭექი, ჩემს ადგილას. — და როცა ჩიტირეკია ასაკეც სკამზე გადაჯდა, თვითონ კიბის თავში მოკალათდა. ფეხები გაშალა და ჯამბულა გაშოლ ფეხებზე დაიყენა:

თან იღლიებში ხელები ეკიდა. — გართლა კი ვაქცი ყოფილხარე შენე, ჩემო ძმაო! — და იკითხა: — ფეხზე დადგება?

— დგება, მაშ! — ამაყად მიუგო მარომ, — ოღონდ ჭერ ხელს არ ვუშვებთ.

— სულ სიარული უნდა, — თქვა კოსტამ, რათა თავისი აქ ყოფნა გაემართლებია.

— აბა, დადექი! — უთხრა ჯამბულას დაბალმა, ფეხები გასწი-გამოსწია და ჯამბულა შუაში ჩაიყენა, — დგა-დგა-დგა!..

ჯამბულა დადგა. ერთხანს ინარჩუნებდა წონასწორობას, მერე წინ გადმოიხარა, ფეხის გადმოდგმა სცადა, იგრძნო წონასწორობას ჰკარგავდა და ორივე ხელი წინ გამოიშვირა. დაბალმა მაშინვე თავისი ხელები შეაგება და დაიჭირა.

— კაცი ხარ, კაცი!

მარო გაიბადრა.

— ახლა როგორი ცეკვა იცი, აჩვენე ძიას! — უთხრა ჯამბულას, — აბა, დედა, ტაში! ტაში! ტაში! კვანწი, დედა, კვანწი!

კოსტას არ მოეწონა მაროს აცუნდრუქება. თანაც დაბალი იმ ასაკში იყო, რომ იგი ჯამბულას მხრიდან უფრო პაპად უნდა მოეხსენებია, ვიდრე ძიად.

ჯამბულამ მკლავები გაშალა და როგორც შეეძლო იცეკვა. დაბალი იცინოდა. მაღალიც იცინოდა, ოღონდ რალაც სულელურად.

— ბავშვს არაფერი სჯობს — გაიმეორა დაბალმა ადრე ნათქვამი, ჯამბულა მაროს დაუბრუნა (არ შეხებია!) და ჩიტირეკიას მიუბრუნდა, — სულ მაგას ჩაგჩიჩინებ, შეირთე ცოლი, აღმა-დაღმა რომ დაყილობ და სმის მეტი არაფერი გახსოვს.

ჩიტირეკიამ სულელურად გაიცინა. მერე ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. დაბალს თვალები მიეღულა და მალე ყვინთვა დაიწყო.

— შენ თუ არაფერი გინდა, წავალ, აეოაფიტას მივხედავ, — უთხრა კოსტამ

ციოს და, წასვლა რომ ლალი და ძალ-  
დაუტანებელი გამოსვლოდა, ჯერ ჯამ-  
ბულაა გაეთამაშა: დედის მხრებზე და-  
წყობილ მის პაწაწინტელა ხელებს  
თავისი ხელები რამდენჯერმე მოუცა-  
ცუნა. მერე შეტრიალდა და წავიდა.  
სერაფიტას რომ მიუახლოვდა, შეჩერ-  
და. სათქმელი არაფერი ჰქონდა და  
და არც არაფერი უთქვამს, უბრალოდ  
აუ ჩავლა და წასვლა უხერხული ეჩვე-  
ნა. გოგონა თავად გამოელაპარაკა:

— ბიბია კოსტა!

— ბატონო!

1. გოგონამ საყვარულით შემოსცინა  
და თვალები მოუქუტა. მერე სავარცხე-  
ლი გამოუწოდა.

— აბა, სავარცხელი.

— აღარ გინდა?

— არა, უკვე დავეარცხე. აი, შეხე-  
დე, ხომ ლამაზია?

— ლამაზია. მაშ! თუ რამე დაგჭირ-  
დეს, დამიძახე.

— კარგი. — ისევ შემოსცინა გოგო-  
ნამ.

წითული აღარ ქსოვდა. საქსოვი შე-  
ენახა, სავარცხლის საზურგეს გადასწო-  
ლოდა, ნიჩბებივით ხელები მკერდზე  
დაეკობა და თვალები დაეხუტა. თვა-  
ლები კი დაეხუტა, მაგრამ კოსტას ვა-  
რაუდით არ ეძინა, რადგან ფშვინვა არ  
ისმოდა. ასეთი გველეშაპი, თუ არ სძი-  
ნავს და არც საქსოვი აქვს ხელთ, კაც-  
მა არ იციოს, რაა გიზამს. კოსტა სკამთან  
შეჩერდა და სუნთქვა შეიკრა, რათა  
რაც შეიძლება უხმაუროდ დამჯდარი-  
ყო.

— დაჩქეო, კაცო, რას იწურები და  
რისა გეშინია! — თვალგაუხელელად  
თქვა წითურმა.

— რისა უნდა მეშინოდეს რა! —  
მიუგო კოსტამ და დაჩქა.

დაჯდომა მთლად მოხერხებულად  
ვერ მოუვიდა, ქვედა საცვალიცა და  
შორვალაც ორივე ერთდროულად ამო-  
ეჩარა. ლაჭებში, მაგრამ ამ გიგის გადამ-  
კიდე განძრევას ვერ ბედავდა. იჭდა გა-  
ტრუნული და გაფაციკებული აყურა-  
ლებდა, როდის ამოუშვებდა ფშვინვას

წითური. წითურმა კი, იმის წაცვლად  
რომ ფშვინვა ამოეშვა, უკუტეხუნდა. შე-  
მდეგ თვალი გაახილა. მკვლამს მსმ და-  
უნახავს. კოსტამ იგრძნო, რადგან მკლა-  
ვეებზე ბალანი აებურძგლა. მერე ეს ეჭ-  
ვად ნავგრძნობი ცხადი შეიქნა: წითური  
წამოიწია. კოსტამ თვალი გააპარა მის-  
კენ და ცდილობდა მისი არც ერთი მო-  
ძრაობა არ გამოპაროდა. წითური გაიზ-  
მორა, დაიხარა და, ფეხებთან რომ ჩან-  
თა ედო, იმ ჩანთაში ხელი ჩაჰყო. „საქ-  
სოვს იღებს“, — გაეხარდა კოსტას. წი-  
თურმა კი დიდი, ლოყაწითელი ვაშლი  
ამოიღო. ხელით გაწმინდა, პირი ისე  
დაალო, გეგონებოდათ უჯრა გამოსწიესო.  
ვაშლი ხმამაღალი ტყაცანით ჩაქბიჩა და  
ხრამუნით დაიწყო ჰამა. ხრამუნზე ქა-  
ჩალმა მოიხედა და კოსტას ზიზლით შე-  
მოაკეჭრდა. კოსტამ გუნებაში იაშასა  
და ნათელა შეაგინა.

— ბიბია კოსტა! — დაიძახა ამ დროს  
სერაფიტამ.

— რა იყო, სერაფიტა?

— პინცეტი მიწადა.

— რა პინცეტი?

— პინცეტი.

— აბა, რომ არა მაქვს?

— ჩანთაშია.

— ჩანთაში?

— კი, გარე ჯიბეში. მე ჩავდე. —  
გოგონა სკამის მკლავსაყრდენს მოეჭი-  
და და გადმოავლა დააპირა.

— იჩქეო, იჩქეო. მე მოგიტან. — გაა-  
ძახა კოსტამ და იგრძნო, როგორ შეწ-  
ყვიტა წითურმა ვაშლის ჰამა და რო-  
გორ მოხედა. თავის მიტრიალება ვერ  
გაბედა და ამიტომ ვერც ის გაიგო, თუ  
რას აპირებდა წითური. ყოველი შემთ-  
ხვევისათვის რაც შეეძლო სწრაფად  
გაღმოვიდა სკამიდან, ჩანთასთან ჩა-  
ცუტქდა, ჯიბე გახსნა და პინცეტი ამო-  
იღო. „ნეტა პინცენტი რალად უნდა?“  
— გაიფიქრა.

— რად გინდა პინცეტი? — ჰკითხა  
გოგონას, როცა მის სკამთან მივიდა.

— წარბები უნდა გამოვქნა. შეხედე  
როგორი გახანჯვლულია! — სერაფი-  
ტამ შიშვენი ასწია და დაანახვა.

წიგნიანმა ქალმა თავი აიღო, ცალი თვალით გადმოხედა გოგონას, გაუგებრად გაიღიმა და ისევ წიგნს მიუბრუნდა. სერაფიტამ მაიმუნს წარბების გამოქნა დაუწყო.

დაბალს ცალი ხელი იმ ყუთზე ედო, რომელზედაც მარო იჯდა.

ჯამბულა არ ჩანდა, ეტყობა კალთაში უჯდა დედამისს. მაროს თავი მოებრუნებია და დაბალს უსმენდა. დაბალი ლაპარაკობდა. ჩიტირეკია სკამიდან შორს გადმოხრილიყო და ისიც დაბალს უსმენდა. დროდადრო სულელურად იცინოდა. დაბალი როგორც ჩანს რალაცას ყვებოდა. მარცხენა ხელი მაროს ყუთზე ედო. ლაპარაკის დროს ის ხელი რამდენჯერმე აიღო და ისევ დადო. როცა აიღებდა, კოსტა შევებით ამოისუნთქავდა, როცა დადებდა, კოსტა ისევ აფორიაქდებოდა. „მივიდე თუ არ მივიდე?“ — ფიქრობდა კოსტა. რომ მისულიყო, რა ეთქვა? იმას ხომ ვერ ეტყოდა, ხელი ყუთზე ნუ გიდევსო? შენ რა გინდა, ძმაო? შენს ცოლს ვეხები? მა რალას მედავეები? ეგ ყუთი არც თქვენია და არც ჩემი. სახელმწიფოსია. სახელმწიფო არ მიშლის ხელის დადებას და, შენ რომ მიშლი, შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარ?! მართალი არ იქნებოდა, ამას რომ ეტყოდა? მართალი იქნებოდა. ბილეთი რომ ჰქონოდა ნაყიდი და ის ყუთი მისი ადგილი ყოფილიყო, კიდევ ჰო, და...

„ისა სჯობს, არ ვუყურო. ბოლოს და ბოლოს რა...“ — გაიფიქრა კოსტამ და, თუმცა ძალიან კი უჭირდა, უკან მიბრუნდა, თავისი სკამისაკენ. წითურს ისევ ჩხირები აეღო და ქსოვდა. „ქსოვოს, კაცო, ჰკვიანად მაინც იქნება, მე მაგის...“ — გაიფიქრა კოსტამ. და მაინც, სანამ დაჯდებოდა, ცდილობდა წითური მხედველობის არეში ჰყოლოდა. რომ დაჭდა, იმ წამსვე შემკრთალი ზეზე წამოვარდა; რალაცას მყარსა და თითქოს ცოტა სველს დააჭდა. რომ დახედა და ვაშლის ნარჩენი დაინახა, წითურის სიცილიც გაისმა:

-- ეეე-ჰე-ჰე-ჰე!

იხუმრა თავისი ჰკუთით. რას იზამ? მოკლავ კაცს სულელური ხუმრბნის გულისთვის? კი მოკლავ, თუ მოკრეფვის კოსტამ ხაზგასმული ზიზლით წაჰკრა თითი ვაშლის ნარჩენს და ძირს გადმოაგდო. მერე ცხვირსახოცი ამოიღო, შარვალზე მოისვა, სავარძელს მოუსვა, ისევ ჭიბეში ჩაიღო და დაჭდა.

— გეწყინა? — ჰკითხა წითურმა. თან ქსოვას განაგრძობდა.

— არა, — მიუგო ყოყმანით კოსტამ. — წყნეთი კი არა... მაგრაბა...

— რა „მაგრაბა“? — წარბი აზიდა და მკაცრად გადმოხედა წითურმა.

— არაფერი, არა, — თქვა კოსტამ და გულზე გაუვალი უმწეობის რალაც საზარელი, დამბლადამცემი განცდა შემოეჭარა.

წითური დამწვიდდა. კოსტას გული ძალუმაღ უცემდა და ცოტა თავი ტყიოდა. „იქ რა ხდება ნეტა?“ — გაიფიქრა და მერე ეს ფიქრი აღარ მოშორებია. მისულიყო — როგორ მისულიყო, არ მისულიყო და — როგორ არ მისულიყო. დიდხანს იჯდა ასე, ვერაფერი გადაეწყვიტა და გული ყელში ებჯინებოდა. ბოლოს ჩანთა გახსნა, იქიდან ბოთლი ამოიღო, რომელსაც თავზე საწოვარა ჰქონდა ჩამოკმული, დაიჭირა ხელში და წავიდა. სერაფიტას რომ ჩაუარა, ჰკითხა:

— ხომ არაფერი გინდა?

— არა, — შემოსცინა გოგონამ.

დაბალს ცალი ხელი ისევ ისე ედო და ლაპარაკობდა. მარო და ჩიტირეკია უსმენდნენ. ჯამბულა არ ჩანდა. ახლო რომ მივიდა კოსტა, მაშინდა დაინახა: დედამისს ეჯდა კალთაში, ზურგითა და კეფით მის მუცელსა და მკერდს მიყრდნობილი და დიდი კაცივით გასცქეროდა გზას დაფიქრებული და სერიოზული. ფეხის ხმაზე დაბალმა მოიხედა, ლაპარაკი შეწყვიტა და კოსტას შემოაჩერდა. ყუთიდან ხელი არ აუღია. მისი სახის გამომეტყველებაზე კოსტა მიხვდა, რომ ასე საწოვარათი ხელში მთლად ღირსეულად ვერ გამოიყურებოდა.



— ტკბილი წყალი არ უნდა ბავშვს?  
— რაც შეეძლო მხნე და მზრუნველი, ოლონდ არა გრძნობებს აყოლილი, მამის კილოთი ჰკითხა ცოლს.

— რა ღროს ტკბილი წყალია! — მიუგო ცოლმა, — ჰკამის ღრო მოსდის. კოსტას დასცეცხლა. „ჰკამის ღრო“ იმას ნიშნავდა, რომ მაროს ამდენი ხალხის თანდასწრებით ხელი უბეში ჩაეყო და ტუტე ამოეღო.

— ეგებ ტკბილი წყალი მიგვეცა. ჰკამით მერე ვაჰამოთ, იქა.

— ტკბილ წყალზე გადავტარო მოშეებული ბავშვი?! — შორს დაიჭირა ცოლმა.

— ბავშვს თუ შიამ, უნდა ჰკამოს, — მცოდნე კაცის კილოთი თქვა დაბალმა. ამათ რა ენაღვლებათ! მაგრამ მაროს ახლა თოფით რომ დადგომოდი, ვერ გადაათქმევინებდი. ერთადერთი იმედი ისლა იყო, იქნებ რამე თავსაფარი მაინც მოეფარებინა და ისე ეჭმია.

— მოიტა ეგ ბოთლი, აქ ჩავდებ ჩანთაში, — უთხრა მარომ და კოსტა ახლალა მიხვდა, რომ მკლავი ბოლომდე ჰქონდა გაშლილი და ბოთლი ღროშასავით ეჭირა ხელში.

— ჰოდა, იმას ვამბობდი, — თქვა დაბალმა მას შემდეგ, რაც მარომ კოსტას ბოთლი გამოართვა და თავის ხელჩანთაში ჩადო, — მე ვერ მიცნობ? — კოსტას მიუბრუნდა უცებ.

კოსტა დაიბნა და ვერაფერი უპასუხა.

— ჩვენებური კაცის მოყვარე ყოფილა, — წამოეშველა მარო, — არკადი ჰქვიან სახელად.

— შენ არც მე მახსოვხარ, — უთხრა დაბალმა, — ე შენი დედაკაციც ძლივ მეცნო. შენს სიმამრ თომას კი კარგად ვიცნობდი. იცი, ვისი მოყვარე ვარ?

— ვისი? — კოსტა ჯერ ისევ დაბნეული იყო და მეჭანოყურად ლაპარაკობდა.

— ავკალასი.

— ავკალასი?

— არ იცნობ, კაცი? — თითქოს უსაყვედურა დაბალმა, — ცოლის სამშობლოში არ დადიხარ?

— ისე ხანდახან.

— აი, გითხრა. ეს ხოლმე შენ სიმამრი თომას სახლია, არა? — ყუთიდან ხელი აიღო, ყველა თითი მოკეცა, გარდა სალოკისა, მერე ეს მოუკეცავი სალოკი იქ ჩაჰკრა, საცა წელან მთელი ხელი ეღო. — აქა, — მეორე ხელის სალოკი თითი მოიშველია და პირველი თითის მახლობლად, მაროს კაბასთან ოდნავ უფრო ახლო დადო, — გაბიტაშვილები ცხოვრობენ. აქა, — ცოტა უკან გამოსწია ის თითი და მაროს დააშორა, — სისაურები. აი, აქ ცხოვრობს ავკალას ოჯახი, — ისევე გადაანაცვლა თითი. ავკალას ოჯახი აღმოჩნდა ყუთის წინა წიბოსთან, მარჯვენა კუთხის მახლობლად, მაროს მუხლის სახსარქვეშ, იქ, სადაც კაბა თავდებოდა კიდეც.

კოსტა თვალს ადევნებდა არკადის თითის მოძრაობას. მოსმენით არ უსმენდა. მარტო იმას უყურებდა, რა მანძილზე უახლოვდებოდა ხოლმე თითი მაროს ჩაბრტყელებულ გავასა და ბარბაქსს, და ერთი-ორჯერ მუცელში რატომღაც ის ნაცნობი ბორბალი დაუტრიალდა. კოსტას ეს ამბავი თან გაუყვირდა და თან ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს რაღაც სასირცხო საქმეში გარეუღიყოს.

— მაშ, არ იცნობ ავკალასა? — განაგრძო დაბალმა, — გაგონილი კი მაინც უნდა გქონდეს. მაგარი ბიჭია. ახლა სადღა არიან ეგეთი ბიჭები! ჰოდა, იმას გიყვებოდით, რომა რვა წელი იჯდა გაუპატიურებახედა. მააშ! საბჭოს თავმჯდომარე იყო ერთი... შენ არ გეხსოვება, — მაროს მიუბრუნდა, — მაშინ ბალდი იქნებოდი. ორი გოგო ჰყვანდა. ერთხელ თურმე ამ ჩემმა სიძე ავკალამა — მაშინ ჯერ სიძე არ იყო — ძმაბიჭებს სანაძლეო დაუღო და საღამოს თავმჯდომარის უფროსი გოგო ტყეში წააწიალა. მაგარ ხათაბალაში კი გაჰყო თავი. ეხუმრები შენა თავმჯდომარის ქალის გაუპატიურებასა! აი, მაშინ შეიქნა ამბავი, თუ შეიქნა! ეს ავკალა კი ვაქცაი იყო და თავმჯდომარეს უფიჭია, ბარემ ცოლად შვერ-

თავ და ამით მოერჩებიო. ავკალამა კიდევ ჰქვია ააგდო და თავი შეუშვია. არ უნდოდა და მოკალი! დაეხვიენენ ნათესავეები. თავს რად იღუპავო, ციხეში წასვლას თავმჯდომარის სიტყვა არა სჯობიაო?! ვერ მოიშორა ნათესავეები ავკალამა. არადა იმ ქალის შერთვაც არ უნდოდა. რა ექნა? ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო და, ერთ მშვენიერ დღეს ამ ჩვენმა ავკალამა მეორე გოგოც არ მოსტაცა და არ გაუშვატიურა თავმჯდომარესა! ეხლა რაღას იზამთ, ორთავეს ხომ არ შამრთავთო! მაშ, კაცო! ადგა და ციხეში წავიდა.

მარომ თქვა, ნწუ, ნწუ, ნწუო. ჩიტობიანი გაიცინა. კოსტამ ისე, რაღაც რომ ეთქვა, იკითხა:

— ახლა სადღაა?

— ისევ იქ არის, — კმაყოფილი ღიმილით მიუგო დაბალმა, — ახლა მკვლელობაზე ზის.

კოსტა უცებ მიხვდა, რომ არაბუნებრივ პოზაში იდგა: მარტო მარჯვენა ფეხს ეყრდნობოდა, თავი ისე გადაეგდო გვერდზე, ლამის ბეჭზე დაედო, პირი ოდნავ გაეღო და ასე მისჩერებოდა დაბალს. ეს რომ შენიშნა, გასწორდა. მარცხენა ფეხიც მოიშველია, თავიც გააწორა, პირიც მოკუმბა. მერე იფიქრა, ხომ არ მატყუებენო. იქნებ ამათ აქ ამასობაში რაღაც და ახლა კოსტას ერთად ატყუებენ, ვიღაც ავკალათი აშინებენ. „მაშინებენ რა, ის კი არ არის... — გაიფიქრა კოსტამ, — აქ ციხეში ზისო!“ ბოლოს და ბოლოს, კინა გდია ეგ ავკალა თუ დარღუბალა! თვალთ არ უნახავს კოსტას, ხმა არ გაუყვია, არაფერი დაუშავებია და რა აქვს შესაშინებელი! თანაც ციხეში ზის და კაცმა არ იცის გამოვია თუ არა იქიდან. ეგვეც არ იყოს, სიძე თუ ყაჩაღია, რა აუცილებელია ცოლისძმა ყაჩაღი იყოს!

კოსტას უცებ მოეჩვენა, თითქოს დიდი, ძალიან დიდი ხანია იყოდა, რომ ცალ მხარეს ასე მდაბიურად ავკაცებს უელავთ ოქროს კბილი. „შიში არა ფეხები!“ — გაიფიქრა კოსტამ და არკადისკენ გააპარა თვალი. თავიდანვე არ

მოეწონა მისი გამოხედვა. არც გამოხედვა და არც ოქროს კბილი! „მეტიერა! — გაიფიქრა კოსტამ, — ახლა, სურათი გაბედოს და...“

— ბიბია კოსტა! — გაისმა ამ დროს.

— ბატონო!

— დამეკარგა.

— რა დაგეკარგა? — ეს უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა კოსტამ, სერაფიტა ვერ გაიგონებდა, — ვნახო ერთი რა უნდა, — უმისამართოდ თქვა მერე.

გაეზარდა, სერაფიტამ რომ დაუძახა. თვითონაც უნდოდა წასვლა, მაგრამ ასე სულ უმიზეზოდ ვერ მოეხერხებინა. ახლა, რაკი გოგონამ დაუძახა, სწრაფად შეტრიალდა და წავიდა.

— რა დაკარგე, სერაფიტა?

— პინცეტი გადამიგარდა, — შეწუხებულნი, თითქმის ცრემლნარევი ხმით შესჩვილა გოგონამ, — და ვეღარ ვიპოვე. ყველგან ვეძიე და არსად არ არის.

— არაფერია. ქალაქში რომ ჩავალთ, ახალს გიყიდი, — უთხრა კოსტამ და მოულოდნელად გაიფიქრა: „მართლა ვუყვიდი“. ამის გაფიქრებაზე ცოტა გულისი აუჩუყდა.

გოგონა მყისვე გახალისდა.

— აი, ცოტა კი გამოუტყენი წარბები. შეხედე. ეს წარბი სულ მოვათვე ესლა დამრჩა.

„გუყვიდი“, — გაიფიქრა კოსტამ და გოგონას თავზე გადაუსვა ხელი. გოგონამ შემოსცინა და სახე კიდევ უფრო გაუბრწყინდა. მერე კოსტას თვალი უკან გაექცა. მაროს, არკადისა და ჩიტობიანის კარტის თამაში წამოწყეთ. მარო ბოლომდე მიწეულიყო მარცხნივ და მარჯვენა მხარეს, ყუთის კიდებზე რამდენადაც შეიძლებოდა ადგილი მოეთავისუფლებია. სწორედ აქ თამაშობდნენ. მარო მარჯვნივ იყო მიტრიალებული, მარცხენა ხელი თან ჯამბულასთვის შემოეხვია, რომელიც კალთაში ეჭდა, თან შიგ კარტი ეჭირა. მარჯვენა ხელით ამ კარტს სათითაოდ იღებდა და ჩადიოდა. სამივეს ხალისიანი სახე ჰქონდა.

ცნობიერების გუბეს ეკლავ ნისლი ჩამოაწეა. ავტობუსი წამით თითქოს სიბნელეში დაინთქა. კოსტა იდგა და ერთადერთი, რასაც ახლა გრძნობდა, იყო შიში იმისა, რომ შეიძლებოდა თვალში ცრემლი ჩაჰგუბებოდა. ვინ იცის, იქნებ ჩაჰგუბებოდა კიდევ, ამ დროს რომ წიგნიანი ქალი არ წამომდგარიყო. კოსტას არ გაუგია, როდის დახურა წიგნი წიგნიანმა ქალმა, როდის შეინახა და როდის გაემზადა ჩასასვლელად. ახლა ფეხზე იდგა და ხელში ჩანთა ეჭირა.

— აბა, ერთი, გამატარე, გოგონი, — უთხრა ქალმა სერაფიტას.

კოსტაც გაიწია და ქალი გაატარეს. ძალზე გამხდარი იყო, მაგრამ შემოკვართულ შარვალიში უყანა ნაწილი მაინც მრგვალად და მიმზიდველად ამობურცოდა. „არ უნდა მიუჩერებოდე, წეი ახაა“. — გაიფიქრა კოსტამ. ქალი გამართული მიდიოდა და სიარულისას გავა მალბუქად აჭიცივებდა. უწინდან უფრო ასალგაზრდა ჩანდა. ვიდრე წინიდან. თავში რომ გავიდა, მძღოლს რაღაც უთხრა და თან თითი გაიშვირა. არცადი წამოდგა, განზე გადგა და ქალს გზა მისცა. ჩიტირეკიაც წამოდგა და გვერდზე გაიწია. ავტობუსი გაჩერდა და ქალი ჩავიდა. „არ უნდა მეტყვირა, — გაიფიქრა კოსტამ, — შენ რო სხვიანა უტყვირა, სხვა შენსას დაუწყებეს ცქერასა“. მანქანა ისევ დაიძრა და კარტი თამაშიც განახლდა. კოსტა მწუხარედ და ჭურღულად გასცქეროდა მოთამაშეებს.

— ბიძია კოსტა! — უთხრა სერაფიტამ, — ჩემთან დაჭევი რა! ის ქალი ხომ ჩავიდა.

— კარგი, — მიუგო კოსტამ, — ჩაიწე.

სერაფიტა ქალის ადგილას გადავიდა. აერაფიტა ადგილას კოსტა დაჭდა. აქედან მოთამაშეები კარგად ჩანდნენ. მხიარულად თამაშობდნენ და ღროდადრო ხმამალა იცინოდნენ. მარო უსიამოვნო ხმით კიკისებდა. სახლში ასე არასოდეს არ იცინოდა. ასე მხოლოდ მაშინ იცინოდა, როცა უცხო ხალხში

მოხვდებოდა. კოსტა ცდილობდა არ ეტყვირა. ამ მიზნით დარღვევებს თვალს ხუტავდა, მაგრამ ვერც ერთ-მენდა და მალევე ისევ ახელდა. კარგახანს ითამაშეს. ერთხელაც, ჩიტირეკიამ რომ ხელახლა დაიწყო კარტის ჩამორიგება, მარო რაღაც უთხრა. ჩიტირეკიამ ჩამორიგება შეწყვიტა; რაც უკვე დარიგებული ჰქონდა, ისიც აკრიფა. „ნეტა რატომ დაანებეს თამაშს თავი?“ — გაიფიქრა კოსტამ. ჩიტირეკია, რომელიც თამაშის დროს კიბის საფეხურზე იჯდა, წამოდგა და ასაკეც სკამზე გადაჭდა. მარო და არცადი შებრუნდნენ და ახლა მხოლოდ ზურგები უჩანდათ. რამდენიმე წამის შემდეგ კოსტამ მაროს მარჯვენა იდაყვი დაინახა. იდაყვი ცოტათი გამოსცდა სხეულს. ერთხანს ასე ჩანდა და ოდნავ ირხეოდა. მერე მეორე იდაყვი გამოჩნდა მარცხენა მხრიდან. იმავ წამს მარჯვენა ბარბაქუზე ჯამბულას პატარა ფეხები გადმოეფინა და მარცხენა იდაყვთან ჯამბულას თავმა გაიღვია. მერე მარცხენა იდაყვი მალე წავიდა და სხეულისკენ მიიწია, რის გამო თავი ისევ გაქრა. კოსტა ერთბაშად მიხვდა. „...თუეს აწოვებს!“ — გაუღვია თავში. სახეზე აღმურმა გადაუარა. იმავ წამს ცნობიერების გუბე გახვედა და გაიყინა. წყალქვეშა დინებებიც ადგილზე გაქვავდნენ. არსად არაფერი აღარ მოძრაობდა და არსაიდან არავითარი ხმა არ ისმოდა. გუბეს ზემოდან დიდი, ბლანტი სიბნელე აწეა. კარგახანს იყო კოსტა გახვეებული. მერე რაღაცამ შეაკრთო. ჭერ ეგონა, ფეხის ხმა მოესმა, მერე მიხვდა, რომ ფეხის ხმა კი არ მოესმა, კლიც დაყინებთ უყურებდა. კოსტამ თვალი გააპარა. ჭრელ-ჰალსტუხიანი ქაჩალი კაცი მოდიოდა, ხელში პორთფელი ეჭირა და კოპებმეკრული, მრისხანედ მოსჩერებოდა კოსტას. „რა უნდა ჩემგან ამ შობელძალს!“ — გაიფიქრა კოსტამ. ქაჩალს თვალი არ მოუშორებია. სანამ მის სკამს არ გააცდა. შექვი ლურჯი კოსტუმი ეცვა, თეთრი, ქათქათა პერანგი და შავი, ლაპლაპა ფეხსაცმელები. ავტო-

ბუსის თავში გავიდა, მძლოლს რალაც უთხრა, ბილეთი მიაწოდა, თავი ოდნავ შეატრიალა მარცხნივ და მაროს ჩაპხედა. კი. ნამდვილად ჩაპხედა. ჩაპხედა და ასე ჩაპყურებდა, ვიდრე ავტობუსი არ გაჩერდა. კოსტას გულ-მუცელი ეწვოდა. მერე ქაჩალი ჩაეიდა და ავტობუსმა გზა განაგრძო.

კოსტამ თვალეები დახუჭა. გულ-მუცელი ისევ ეწვოდა.

როცა თვალეები ხელახლა გაახილა და გაიხედა, დაინახა, რომ მარო, არკადი და ჩიტირეკია კვლავ ადრინდელ პოზაში დამსხდარიყვნენ და ისევ კარტს თამაშობდნენ.

კოსტა მიხვდა, რომ სრულიად მარტო იყო. ყოველთვის მარტო იყო. დედამისი რა ხანია გამოსულელდა და მისი სათვალავში ჩაგდება აღარ შეიძლებოდა. ჯამბულას ჭერ ამ ცხოვრებისა არაფერი გაეგებოდა. მარო იყო ერთადერთი, ვინც კოსტას მარტოობას უფანტავდა და წუხილზე მალამოდ ედებოდა. კოსტასაც მუდამ მისკენ მიუწევდა გული. ის იყო ვაჭირების ტალკვესი, იმედი და ნუგეში. მარო კი ზოგჯერ აგე, როგორ იქცეოდა! კოსტასთან ყოფნას სხვებთან ყოფნა ერჩივნა. კოსტასთან ბუზღუნებდა, წუწუნებდა, ჩიოდა, სხვებთან კიდეც სულ იცინოდა, სულ კისკისებდა (უსიამოვნო ხმითა), სულ კარგ გუნებაზე იდგა. ნეტა თუ იცოდა მაინც, რა მარტო იყო ხოლმე ამ დროს კოსტა?..

კოსტას სერაფიტას მშვიდი, თანაბარი სუნთქვა ჩაესმა და გაკვირვებულმა მიიხედა. არ გაუგია, ან თვითონ როდის მოჰხვია მხარზე ხელი გოგონას, ან გოგონა როდის მიეკრო და როდის ჩაეიწინა. „არ უნდა გამედევნებინა თვალი იმ ქალისთვის!“ — გაიფიქრა კოსტამ. წიგნიან ქალს გულისხმობდა

მერე არკადი და ჩიტირეკიაც ჩავიდნენ. ჩასვლის წინ არკადი კიდეც გაეთამაშა ჯამბულას, მოვიდა-მოვიდაო, თითებით შეუღიტირა მკერდზე. ჩიტირეკია იცინოდა. მერე ორთავემ თავიანთი ერთნაირი ბადიები აიღეს, რომ-

ლებშიაც რალაც ეწვოთ გაზეთებში ერთნაირად გახვეული და ჩავედნენ კოსტამ შვებით ამოისუნთქა. კოსტა დაამაშვრალმა და დაქანცულმა ტვირთი მოიხსნა და მკირე ხნით დასასვენებლად ჩამოჯდა. „განა რა მოხდა ისეთი? — იმედიანად გაიფიქრა, — ნასვამი კაცები ამოვიდნენ, ბალსს მიუთალერსეს, კარტი ითამაშეს და ჩავიდნენ“. გუბე კი ტორტმანებდა, გაუგებრად ბუზბუყებდა, რალაცას მალავდა, რალაცას ზედპირზე ამოსვლის საშუალებას არ აძლევდა და მიუხედავად შვებისა, ტვირთის მოხსნისა და დასასვენებლად ჩამოჯდომისა, კოსტას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ყელში ძვალი გაჩხეროდეს. მარო ახლა ძველებურად იჯდა, როგორც არკადისა და ჩიტირეკიას ამოსვლამდე: მგზავრებისა-კენ გაფა ჰქონდა მოქცეული, ჩამობრტყელებული, განდღრეული და ფორმადაკარგული. კოსტა უყურებდა ცოლს და ვერ გაეგო, ის ნიაღვარივით გრძნობა, რომელსაც მთელი მისი სხეული უღიდესი ძალით აევისო და დაემუხტა, საშინელი სიძულვილი იყო თუ საშინელი სიყვარული.

ბოლოს და ბოლოს ავტობუსმა დაინიშნულების ადგილს მიაღწია. კოსტამ სერაფიტა გააღვიძა და ჩასასვლელად მოემზადა. ის იყო თავის სკამს უნდა გამოსცდენოდა, რომ ჰაერის მძლავრი ტალღა დაეტაკა და უკანვე შემოაგდო. იმავ წამს გვერდით ჩაუქროლა წითურმა ბიჭმა. თავით ჰერს ეხებოდა, მხრებით კედლებს, გასასვლელში ძლივს ეტეოდა. მიდიოდა და ცალი ხელით ჩანთას მიაკონწიარებდა. „თუ სხვამ არ მოაგონა, ამას ერთხელაც იჭენება დაავიწყდება საქსოვის წამოღება“. — გაიფიქრა კოსტამ. მერე ჩანთა აიღო, სერაფიტას ხელი ჩაპკიდა და გზას გაუდგა. ნელა მიდიოდნენ, რადგან ბოლო გაჩერებაზე ყველანი წამოიშლნენ და გასასვლელი ხალხით იყო სავსე. კოსტასა და სერაფიტას წინ ორი კაცი მიდიოდა.

— მოკვდები და დაიბადები, მოკვდები და დაიბადები, მოკვდები და დაიბადები, — თქვა ერთმა.

მეორე თავჩალუნული მიაბიჯებდა, ალბათ ფიქრებში თუ იყო წასული. ბოლოს იკითხა:

— მართალია ვითომ ახლა ეგ?

— ე! — გაკვირვებით აღმოხდა პირველს. როგორც ჩანს, არც შეთქმულა, თუ მისი ნათქვამი შეტყობილდა ეტვის ქვეშ დაეყენებიათ.

ამის შემდეგ ორივე გაჩუმდა.

„თუ მოკვდები, როგორღა დავიბადები?“ — გაიფიქრა კოსტამ.

## აპილოზი

„თუ მოკვდები, როგორღა დავიბადები?“ — გაიფიქრა კოსტამ და გაყინული ხელები ერთდროულად გაუშვა ჩანთასაც და სერაფიტასაც. ჩანთის დაცემის ყრუ ხმა ჭერ კიდევ მისწვდა სმენას იმ დროს, როცა მუცელში გავარჯარებული შანთი გაუყარეს და არაადამიანური ტყვიელისაგან წელში მოიკაკვა. სერაფიტამ შეჰკვივლა თუ გაიცივნა. ძნელი გასარკვევი იყო, რადგან ცნობიერების გუბე ყოველი მხრიდან ერთდროულად მოწყდა ნაპირს, შეიკუმშა, შეიკრა, საკუთარი თავი შეიწოვა და ნაპირმა, მიტოვებულმა და შეშინებულმა, მშრალი და ცივი სიმსუბუქე იგრძნო. ყველგან, სადამდეც კი თვალი წვდებოდა, შავ სიციარიელეს დაესადგურებინა, რომელსაც ცეცხლის ენა, როგორც გავარჯარებული სახნისი, ისე აერავდა და თავის გზაზე წითელ ხნულ

ლად ტოვებდა სისხლის ჭრილობებს. კოსტა დიდი გარინდებით მისჩერებოდა უჩინარ სანახაობას და, სანამ მიხვდებოდა, ის ჭრილობები, რომლებსაც ცეცხლის ენა ავლებდა, მას ტკიოდა თუ შავ სიციარიელეს, ტყვიელის წითელი ხნულიდან მკვრივი, მაგრამ უფორმო, ერთმანეთში გაუგებრად გარდამავალი საგნები აღმოცენდა, რომლებიც ისე ჩანდნენ, როგორც შემოდგომის ფანჯრიდან, როცა გარეთ წვიმს და წვიმა ღვარად დასდის ფანჯრის მინას, ხოლო მერე — არავინ იცის როდის — როცა შეკუმშული გუბე კვლავ გაიშალა და მტკივნეულ ზვირთად მოაწყდა ნაპირს, როცა შუბლზე და ბეჭებში ოფლის ყინულივით ცივი სისველე იგრძნო, ქვეყნიერება — მყარი, მჭისე, ცხელი — ძველებური სახით აღდგა და კოსტამაც ცალ ხელში ჩანთა აიღო, მეორე კი ისევ სერაფიტას ჩაჰკიდა.

## სტრიქონები მამაის-ყორანიდან

მიმდინარე წლის 2 თებერვალს შესრულდა 40 წელი სტალინ-გრაღის ეპოპეის დამთავრებიდან. ამ სახელოვან ზეიმში მეც ელემენტობდი მონაწილეობას, როგორც გმირი ქალაქის დაცვის მონაწილე. ამ ღეჭვებასაც იქ მივცა დასაბამი.

დარჩით წუხილად, დარჩით იარად,  
დახვალთ ზღაპრებად, დგახართ  
ძეგლებად.

თუ დაგივიწყეთ, ღვინო კი არა,  
წყალიც კი, მებო, ნუ შემერგება.

ეოლგის დგაფუნში ტყვიელს იქარვებთ.  
სულს რს დღეები სანთლად უნთია.  
სტალინგრადიდან დაძრულ გრიგალებს  
თქვენს სიმშვიდეში ჩაუბუღია.

თვალს გაზაფხულის ღელვა უხარის,  
პირველი იის პირველი ხილვა.  
ეგ თქვენი ლტოლვა და ნამუხლარი  
შემოუძღვება თებერვლის დილას.

და წამით ქრება იმ დღეთა ბოლმა  
ბილიკებს ზევით ისევ მიჰყვებით.

მოეფინებით მამაის-ყორანს,  
როგორც რძით სავსე თოთო აჭირტები.

ვერ ამოცალა გულმა ნალველი,  
თუმც საფლავებთან გრძელი რიგია.  
თქვენ ამ ქვეყნიდან ისე წახვედით  
მაისის მოსვლა არც გაგიგიათ.

მივდივარ, მაგრამ მე რავე მოვალ.  
თქვენი მონა და თქვენი ნატრული.  
თქვენ მართო ჩოდი იცოდით ბრძოლა,  
ტრფობაც იცოდით სტალინგრადულ.

იმ თავდადებით და იმ უფლებით,  
იმ სიყვარულით, იმ გატაცებით,  
ყოველ გაზაფხულს შემოუძღვებით  
გამარჯვებული ჯარისკაცები.

## გმირთა ხეივანი

დმიტრი პაპაშვილს

ადე, მამო, გმირთა ხეივანში გავიაროთ.  
იქნებ ტყვილები ამ ალვებმა დაგვიამონ.  
თვალს რომ გაახარებს სანახავი რამდენია,  
ლამის ლამაზმანება ზედ თვალეები ადნებიან.  
ეოლგას შეუნახავს შენი წილი ტრაფილუბა.  
მია ერთი მხეფიც არია სულის ზიარება.  
შენ ზომ ქალის ბავეს არასოდეს შეძებნიარ.



თუკი გაგიბედავს სიტყვა შენვე შეგრცხენია.  
ვაი, რა ძნელია სიყვარულისთვის დაიბადო  
და ამ სიყვარულში გული ერთხელაც არ გაიბადროს.

ადე, თბილისურად ერთხანტელმა დაგვიაროს,  
მერე მამხალეები ლაქვარდებში ვაგრილოთ.  
იქნებ მეგობრებია მიტოვება გემნელემა,  
ცული რატომ უნდა გაიფიქრონ ენელებმა.  
განა ეწყინებათ ჭარისკაცება გალიმება,  
მათაც გაახარებთ, დიტო, შენი დაღბინება.  
ვარსკვლავები ჩამოსულან ვოლგის ნაპირებთან,  
მთვარეც თურმე შენთან მობრძანებას აპირებდა.  
ადე, ძმაო, გმირთა ხეივანში გავიაროთ,  
იქნებ ტყვილები ამ ალკებმა დაგვიამონ.

გახსოვა, პირველად რომ დაგვირიგეს მუნღირები,  
როგორ შევხაროდით ჭარისკაცულ რუდუნებით.  
ალბათ იაიცი, რა თქმა უნდა, კიდევ გეხსოვება,  
შენი უღვაშები როგორ აქეხ მებრძოლებმა,  
მაგრამ ისე მრუდედ შემოგხედა ოფიცერმა,  
ას კაცს ეყოფოდა, რაც მიზეზი მოგიძებნა.  
დილაადრიანად მიგიყვანა გენერალთან,  
შენი უღვაშები სარდალსაც კი შეეხარბა  
და თქვა: „დაუტოვეთ, ამისათვის ნუ დაშვრებით,  
ოღონდ მუდამ ააე კობხად ჰქონდეს უღვაშები“.  
ადე, უღვაშები ახლაც ისე დაიყენე,  
რუკი გოგოები, გეხევეწები, გამიხელე.  
თქმაა ელიან, დიტო, საცეკვაოდ გაღიწვიე,  
ადე, დაუარე, საეფხვო და საარწივე.  
მხოლოდ ერთხელ, ბიჭო, შენებურად ჩაექროლე.  
მხოლოდ ერთხელ ისევ გული გულთან აუჩქროლე:  
მხოლოდ ერთხელ კიდევ ომის ცეცხლი დამავიწყე  
და ვინც ომით ევლავაც იმექრება — დაამიწე!  
მერე ყაბულ, დიტო, ვინაც მოგწონს გავიტაცოთ  
და დღეები ქვეყნად მის ტრფობაში დაინაცროს.

სული ჩვენი, დიტო, ვოლგის ზვირთში ამოვავლოთ.  
საკარგემო და სამმო ვთქვით სიმღერა სამომავლო.  
გემით ჩავეუაროთ მეფე ვახტანგს ასტრახანში,  
ახლა ვაგრანობინოთ რა ლხენაც კი ასცდა მაშინ.  
გზა-გზა ვაკითხინოთ შოთას „ვეფხისტყაოსანი“.  
გვითხრას ეგებ აად წავიდა ფიქრის ჭადოსანი  
მისი ბრძნული სიტყვით ხელმწიფურად დალოცვილი.  
ნერგი გაიხარება სიყვარულზე ამოზრდილი.  
ადე, ძმაო, გმირთა ხეივანში გავიაროთ,  
იქნებ ტყვილები ამ ალკებმა დაგვიამონ.

თამარ ერისთავი

### მუდმივი სურვილი

ოდესღაც მე ღრუბელი ვიყავი და  
წვიმად მოვედი გვალვიან მიწაზე.  
მიწამ შემისრუტა ისეთი წყურვილით,  
და ისეთი ნეტარებით,  
რომ ცაზე ყოფნის დროს  
ამის წარმოდგენა არც კი შემეძლო.

ნეტაფი ისევ ღრუბლად მაქცია და  
წვიმად მოვიდოდე  
გვალვიან მიწაზე.

• • •

მანქანის ბორბლით გადათელილო  
გვირილაო,  
ისეთი ბედნიერი ვერასოდეს იქნებოდი,  
როგორც უბედურიც ხარ.

### „დიდოუ ნანას“ სიმღერიდან მონაბერი ფიქრი

როგორც მინდორში  
ზამთრის პირზე დარჩენილ ლერწამს  
დაცხრილული აქვს გვერდები სუსხით,  
და კენესის ნაცვლად  
ქარის ყოველ წამობერვაზე  
თავის იდუმალ სიმღერას მღერის,  
ისე, —

სამყაროს ტრიალ ველზე  
გამჭოლ ქარში მიმავალი  
ადამის მოდგმაც,  
გულის გულიდან მოწანწკარე სიმღერით  
ერთვის  
ზეციურ ნათელს  
მიწიერ სევდის.



## მარგალიტის მაქიაჟალთათვის

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მილიონ წამის  
ყურისწამლებ აურზაურში  
უნებლიედ გამოჩეული —  
წამი სიჩუმის და გარინდების,  
და უგემურ დღეთა ჩენჩოდან  
გამოწნეხილი —  
სიტკბოების ობოლი წვეთი,  
მრავალ მწუხარე  
დღისა და ღამის

სითეთრიდან და სიშავიდან  
უცებ ვარდისფერ პეპელასავით  
გადმოფრენილი —  
სიხარულის თითო ფიორი  
ჩაიღვენთება თურმე ნელა  
სულის მღვიმეში  
და... კრისტალდება  
მანათობელ სტალაგმიტებად.

• • •

რა ძნელია ასე ცხოვრება, ჩემო მარიამ,  
როცა ტყუილის ერთი ნამცეციც  
არ შეგიძლია შეურიო შენს ნათქვამ  
სიტყვას,  
და თუ შეგიყვაც, —  
მაშინვე გულზე დაგადგება თევზის  
ფხასავით,  
ყელში წაგიჭერს  
და დახრჩობით დაგემუქრება.

მაშინ, როდესაც  
სხვათა ბაასში  
ისე ძლიერ ჰგავს ტყუილი მართალს,  
რომ გიკვირს კიდევ, —  
როგორ ტაბილად შეექცევიან ამ ცრუ  
შექამანდს, —  
რისი თევზის ფხა,  
ან რომელი გულზე დადგომა!

რა კარგია ასე ცხოვრება, ჩემო მარიამ,  
როცა ტყუილის ერთი ნამცეციც  
არ ურევია შენს ნათქვამ სიტყვას,  
მაშინ როდესაც ძალიან ხშირად  
მართალზე ბევრად უფრო მართალს  
მოჰგავს ტყუილი;  
შენ კი ჭიუტად  
სხვის ღამაზე ტყუილს  
ამჯობინებ შენს უშნო მართალს  
და „მაზინჯი იხვის ქუკვიტ“  
უცდი.—

როდის იქცევი გედად  
სხვათა თვალშიაც.  
რა საოცარი მეზღაპრე იყო  
ჰანს ჭრისტიან ანდერსენი  
არა, მარიამ?!

## ბაზაფხულის წინაღღე

არ დააკნინო სიყალბით აზრი,  
ჭირსა და ვარაშს გაუძეღ.  
ღრო — უხილავი — მსჯავრია მკაცრი,  
შუბლში გიმინებებს მაუზერს.

იგი შენშია — კეთილის საწყისს  
ნურავის დაესესებოი.  
სულის თონეში მზრუნველად აცხვე —  
ღედის პურივით — ლექსები.

ფასი აქვს მხოლოდ ალაღი ფულით  
შეძენიღ ყვეღა საქონელს,  
მგვრამ სულ სხვავა, სუფრავზე პური  
მის მომყვანს რომ მოგაგონებს.

ქება-ღიდება კეთილის საწყისს,  
რასაც ღვთის მადღი აცხია —  
პურსა და მუზას — უფროღე ცაცხვის  
თაფლივით ნაღღი რაც კია!

არ დააკნინო სიყალბით აზრი,  
ყვეღა ჭირ-ვარაშს გაუძეღ,  
ღრო — უხილავი — მსჯავრია მკაცრი,  
შუბლში გიმინებებს მაუზერს.

გესმის?! შეშლიღი ღა დამღუბვეღი,  
ქალარა ტალღისნაიღი,  
საღღაც ჭურღვივით სკდება ღრუბელი —  
დამუხტულია ჰაერი...

## ხე მახსოვროვის

ყვიღა ფოთღები ღა მაერიღლებს  
უბერებელი ხე მახსოვროვის,  
ხმანაღღლიანად როცა შრიღლებს  
ქალაქზე, საღაც აღრე ვცხოვრობღი.

საღაც საყუთარ თავისგან დაღღიღღს  
სევეღა რამ მჭირღა განუყურნელი,  
ღა ივსებოღა ზღვისპირა სახღი  
ახაღი ჭორის მღაშე სურნელით.

სახლთან, მზრუნვეღი ქაღის იერიღთ,  
ღარშიც, ავღარშიც წეღგამართული,  
ალვა, ნახევრად ზეცისმიერი,  
იღვა მიწიერ ფიქრიღთ გართული.

ხან არისებღა ღღმიღის ზარება,  
ხან თართოღა უხმოღ ჩემი ღობიღი —  
გულში სინანულს ბადებღა მწარეს,  
ჩემი ცხოვრება, მოუწყობელი.

რა მშვენიერი ჩანღა ახლოღან,  
როს მამხნევებღა — სამყარო ყრუღა...  
იწევეღა ცერზე ღა მკარნახობღა —  
ვისგან მესწავღა სიბრძნე ღა ჭეუღა.

ახსენღებოღა — მზის ამოსღამღის  
ფეხზე ამღგარი, როგორც ყოვეღთვის,  
ბრძენი ეზოპე ღიმის ოსტატი,  
ორაზროვანი სიტყვის პოეტი.

ო, ბრძენო კაცო! აქამდე თუ რამ  
ვისწავლე, შენგან ვისწავლე ისევ,  
როცა მილიმის მგელი ან ტურა,  
მეც მაკერია ღიმილი პირზე...

ცვივა ფოთლები და მაკრიალებს  
უბერებელი ხე მახსოვრობის,  
ხმანალელიანად როცა შრიალებს  
ქალაქზე, სადაც ადრე ვცხოვრობდი.

ავე მარია! არა ვარ ავი.  
იმავე ძალით ვიმღერო მინდა,  
როცა ქალაქი — წყალქვეშა ნავი —  
ზნანტად ამოდის წყვდიადის ზღვიდან.

მე აქ დავკარგე ბევრი ძმაკაცი,  
აღვსილი — როგორ მალავდნენ! —  
შურით.

მათ გაატანეს ქარებს-საკაცით  
ჩემი — გულგრილად მოვლულს-სული.  
გოგლინოთხეა

ვის უცხოვრია ამქვეყნად ორჯერ —  
ღვთის წყალობაა სიცოცხლეც ერთი.  
მშვიდობით, ჩემო ქალაქო! მოვრჩეთ!  
იმ ერთხელ მე შენს სატყივარს ვწერდი.

ერთგული შენი მზისა და მთვარის,  
შენი მონა და შენი მსახური,  
ცოცხალი აღარ დაგვირდი, — მკვდარი  
მე შენს მიწაში ვარ დამარხული.

მშვიდობით! უკვე რეკენ ზარები  
ჩემი ხვალისდელ დღის ულექსობას,  
და გასროლილი გზა ისარივით  
უსასრულობას გულზე ესობა —  
უმტკივნეულოდ...

## გული არ ტყუის

ხელში ფიფქივით შემოგადნება,  
თან გაიყოლებს წელანდელ

მოტივს —

სიხარულს ცოტა დრო უწერია.  
სამაგიერო, როდესაც მოდის, —  
ის ბედნიერი წუთი თუ წამი,  
ზეალტაცების და ნეტარების,  
არ აღიქმება:

ცალკე —

ხელებით,

ცალკე —

ყურებით,

ცალკე —

თვალებით,

იმ დროს სხეული ხარ ერთნაირი —

ყველა ოცნება მყის აგისრულდა —

იესები... ასე შაჰრის ნატეხი

ვალერიანის წვეთებს ისრუტავს, —

ჰარმონიულად აღიქვამ ყოველს:

სმენით — თვალებით — ძარღვებით...

მაგრამ

არ ტყუის გულიც,

თავს რომ გახსენებს,

როცა ტკივილის კლანჭები გაჰკრავს...

## ლექსი

ქამს მიმწუხრისას —  
 ფოთოლთა ცვენის  
 რამდენი ღამე უნდა ათიო,  
 პატარა ლექსში რომ ჩაატო  
 ბოლო წვეთამდე  
 სიცოცხლე შენი.

ლექსიდან იმის  
 გაბზარულ გულში  
 წუთიერ შევებად რომ გადასახლდე,  
 ვინც ვერ მიაგნო ახალ დასაყრდენს,  
 ძველმა ანაზღად  
 უმტყუნა გუშინ..

ამგვარად  
 ტოკავს  
 იმედის სიმი —  
 იღუმალ სევდით გვისვებებს უბეს,  
 როცა შორეულ ზღვასა და ღრუბელს  
 გაგვახსენებენ  
 წვეთები წვიმის.

და ისევ ხმობენ  
 ქარში ფიქრები,  
 ისევ გეწადია — ღმერთს თუ ენება —  
 მოყვარის გულში აღმოცენება,  
 როცა ცოცხლებში  
 აღარ ვიჭნებით...

## დავით ჩხიკვიძელი

# „მფრინავთა სახლი“

ალექსანდრე გოლოვანოვი

მოსკოვში, დღევანდელი სასტუმრო „სოვეტსკაიას“ შენობაში, სამამულო ომის წლებში „მფრინავთა სახლი“ იყო მოთავსებული. იგი ძირითადად ემსახურებოდა შორსმფრენ ავიაციას, რომელსაც მთავარი შტაბი აქვე, ახლოს, პეტრე დიდის სასახლეში ჰქონდა გამართული.

ომი მძვინვარებდა... მიწაზე, ზღვასა და ჰაერში სისხლი იღვრებოდა, ზურგში ხალხი უმძიმეს პირობებში ცხოვრობდა და შრომობდა. მიუხედავად ამისა, მხატვრული მუშა არ დუმდა. მოსკოვის თეატრების სცენაზე შედევრები შედევრები ცვლიდნენ.

ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრება ჩქეფდა „მფრინავთა სახლშიც“. ჩვენი ავიაციის მფრინავები თავისუფალ დროს, — რაც მათ, მართალია, იშვიათად, მაგრამ ხანდახან მაინც ჰქონდათ, — აქ, „მფრინავთა სახლში“, ატარებდნენ. საკმაოდ დიდ და ლამაზ თეატრალურ სცენაზე შესანიშნავი კონცერტები იმართებოდა; საცეკვაო დარბაზში, რომელიც ბრწყინავდა სიმღიდრითა და მორთულობით, „ტანგოსა“ და „ფოქსტროტის“ ჰანგებს „ვალსის“ მელოდები ცვლიდნენ. მფრინავების განკარგულებაში იყო დიდი საბილიარდო დარბაზი და სხვა დასასვენებელი და გასართობი ოთახები.

აქვე მახლობლად, „დინამოს“ სტადიონის გვერდით, სკოლის შენობაში შორსმფრენი ავიაციის მფრინავთათვის „სასტუმრო სახლის“ მსგავსი რამ იყო მოწყობილი. 1943 წლიდან მოყოლებული — „სასტუმროს“ ერთი მომცრო ოთახი ჩემზე ირიცხებოდა. ცხადია, მოსკოვში ყოფნისას თავისუფალ დროს „მფრინავთა სახლში“ ვატარებდი.

ერთხელ ავიაციის მთავარმა მარშალმა ალექსანდრე გოლოვანოვმა სხვათაშორის მკითხა:

— როგორაა საქმე „მფრინავთა სახლში“? ვერ მოვახერხე ერთხელ მაინც მენახა იგი.

— „მფრინავთა სახლი“ დიდებული რამაა, — მივუგე გენერალს, — და რადგანაც ვიცოდი, რომ მას ჭერ კიდევ ომამდე ბილიარდის თამაში ძალიან უყვარდა, მარკიორ ეფიმ კუდრიავცევიზე ზოგიერთი რამ მოვეუყევი. კუდრიავცევი ბილიარდის ჭეშმარიტი ჯადოქარი იყო. მას, თუ არ ვცდები, 1939 წელს ბილიარდში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდებაც ჰქონდა მოპოებული. იგი საშუალო ტანის, კოჭლი, ენაწყლიანი კაცი, როგორც იტყვიან „ერთი კიით“ იგებდა როგორც „ამერიკანკას“, ასევე „პირამიდისადაც“. კუდრიავცევის თამაშს გაოცებაში მოყავდა ყველა. მე ხშირად მინახავს მეტად ცნობილი ადამიანები, რომლებიც

აქ საგანგებოდ მოდიოდნენ, რათა კუ-  
დრიავეცვის თამაში ენახათ.

მთავარი მარშალი დაინტერესდა ჩემი  
მონაყოლით და მითხრა:

— საღამოს ერთი საათით მივიდეთ  
„მფრინავთა სახლში“. ერთი ვნახოთ  
რას წარმოადგენს შენი კუდრიავეციო!  
— მერე გადმომხედა, ოდნავ ირონიუ-  
ლად გაიღიმა და დაუმატა: — ალბათ შენ  
ასწავლე ბილიარდის თამაში კუდრია-  
ვეცეს, არა?! შენ ხომ ჩვენი ავიაციის  
ჩემპიონი ხარ!

„შენ ხომ ჩვენი ჩემპიონი ხარ!“ —  
ამ ირონიას თავისი ისტორია აქვს და  
მასზე ღირს შეჩერება.

1940 წლის მეორე ნახევარი ტრაგი-  
კული აღმოჩნდა ინგლისის ქალაქები-  
სათვის, განსაკუთრებით ლონდონისა-  
თვის. ფაშისტური გერმანიის ავიაცია  
დიდი ძალებით დღისითა და ღამით ბო-  
მბავდა ამ ქალაქებს. იყო შემთხვევები,  
როცა ლონდონის თავზე ღამით სამასზე  
მეტრ ფაშისტური თვითმფრინავი ბოგი-  
ნობდა. ინგლისის საზენიტო არტილე-  
რია და ავიაცია უძლეური აღმოჩნდა,  
რამდენადმე მნიშვნელოვანი წინააღმდე-  
გობა გაეწია საშიში მტრისათვის. არა  
მარტო სამხედრო-ეკონომიკურ, არამედ  
ფსიქოლოგიურ პლანშიც ინგლისი კა-  
ტასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

ამ სამხედრო-სტრატეგიულმა აქციამ,  
ცხადია, ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელთა  
ყურადღებაც მიიპყრო. ი. სტალინის  
მონაწილეობით სამხედრო ავიაციის  
სპეციალისტთა საგანგებო თათბირიც  
მოეწყო. თათბირზე მოწვეულ იქნა სა-  
მოქალაქო ავიაციის საგანგებო ესკად-  
რილის შეფ-პილოტი ალექსანდრე გო-  
ლოვანოვი.

საინტერესოა ალექსანდრე გოლო-  
ვანოვის ბიოგრაფია. იგი 15 წლისა იყო,  
როცა წითელი არმიის რიგებში ჩაეწე-  
რა და 1919 წლიდან სამოქალაქო ომის  
ფრონტებზე იბრძოდა. ომის შემდეგ მან  
დაამთავრა საავიაციო სკოლა და თან-  
მიმდევრულად მუშაობდა პილოტად,  
სავიაციო ნაწილის უფროსად, სამოქა-  
ლაქო ავიაციის აღმოსავლეთ ციმბი-

რის სამმართველოს უფროსად და მ.  
1939 წელს მდინარე ხალხინ-გოლდონს  
სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა  
სათვის დაჯილდოებულ იქნა წითელი  
დროშის ორდენით, ხოლო 1940 წელს  
თეთრ ფინელბთან ომში საგანგებო და-  
ვალეების შესრულებისათვის — ლენინ-  
ის ორდენით. გოლოვანოვი სამოქალა-  
ქო ავიაციის ერთ-ერთი საუკეთესო პი-  
ლოტი იყო, განათლებული, დიჩვი, კა-  
კური კაცი, რომელსაც იცნობდა და  
ენდობოდა სტალინი. მან წერილით მი-  
მართა ი. სტალინს — სამოქალაქო ავია-  
ციის პილოტების ბაზაზე ჩამოყალიბე-  
ბულიყო შორსმფრენი ავიაცია, რომე-  
ლიც შეძლებდა მოსალოდნელი მტრის  
სტრატეგიული ცენტრების დაბომბვას  
არა მარტო დღისით, არამედ ღამითაც.

ალექსანდრე გოლოვანოვის წინადა-  
დება მოწონებულ იქნა. მას, სამოქალა-  
ქო ავიაციის ცნობილ მფრინავს, პოდ-  
პოლკოვნიკის სამხედრო წოდება მიე-  
ნიჭა და დაევალა ჩამოეყალიბებინა  
„212-ე საგანგებო დანიშნულების საა-  
ვიაციო პოლკი“. გოლოვანოვმა სამო-  
ქალაქო ავიაციიდან აარჩია სამოცამდე  
ყველაზე კარგი პილოტი, რამდენიმე  
ინჟინერი, ხოლო შტურმანებისა და  
მსროლელი რადისტების შერჩევა სამ-  
ხედრო-საჰაერო ძალების სარდლობას  
მიანდო.

ამ დროს ქალაქ ზაპოროჟიეს მახლობ-  
ლად საავიაციო ნაწილში გავდიოდი სა-  
ვალდებულო სამსახურს. ჩვენ, მოსკო-  
ვის ენერგეტიკის ინსტიტუტის სამასმა  
სტუდენტმა, დაჩქარებული წესით სამ-  
ხედრო საავიაციო სკოლა დაგამთავრეთ.  
განაწილებით მე აქვე, საავიაციო დივი-  
ზიაში დამტოვეს მსროლელ — რადის-  
ტად.

1941 წლის იანვარში მოსკოვიდან  
სამხედრო ინსპექტორი გვეწვია. მან  
შტურმანებსა და მსროლელ-რადისტებს  
შორის რაღაც კონკურსის მსგავსი რამ  
ჩაატარა. ერთი სიტყვით, მეორე დღეს  
თვითმფრინავს სადღაც ჩრდილოეთისა-  
კენ მივყავდი.

თვითმფრინავი სმოლენსკის სამხედ-

რო აეროდრომზე დაჯდა. ასაფრენი ბილიკის ბოლოს წესიერად არც კი გაჩერებულა, ისე გადმომსვენს, მერე იგი უცბათვე შებრუნდა და პაერში აიჭრა. ირგვლივ მიმოვიხედე, არაფერი ჩანდა. თოვლით დაფარული აეროდრომი თვალებს მჭრიდა. საით წავსულიყავი, არ ვიცოდი, რადგანაც აეროდრომზე თვითმფრინავებიც კი ვერ შევნიშნე. უცებ მანქანის ხმა მომესმა. ავტობუსი გამოჩნდა. შიგ ჩამსვენს და საკმაოდ მოზრდილ სამსართულიან სახლთან მიმიყვანეს. შენობაში შევედი, ისიც ცარიელი მომჩვენა. ვილაც შემომხვდა, მეორე სართულზე ამიყვანა და ერთ-ერთ ოთახში შემიყვანა. უფროსმა ლეიტენანტმა საბუთები და მიწერის წერილი გამისინჯა. შავი, ტყავგადაკრული კარი გამიღო და მანიშნა — შედითო.

დიდი და ნათელი ოთახის მოპირდაპირე კედელთან საწერ მაგიდასთან პოლარული ავიაციის ფორმაში გამოწყობილი მაღალი და მოხდენილი სახის კაცი იჯდა და რალაცას კითხულობდა. სამხედრო წესისამებრ წარუდგინე ჩემი თავი. იგი წამოდგა და ჩემკენ გამეშურა. საოცარ პომპეზურ შთაბეჭდილებას ტოვებდა. სახე უღიმოდა, მის თვალებში ალერსი ვიგრძენი. მომიახლოვდა, შეჩერდა... დამაკვირდა, ვითომ ამწონ-გამზომაო, და წარმოსთქვა:

— მე პოლკის მეთაური ვახლავართ, გვარად — გოლოვანოვი, იცით, თუ არა რომ თქვენ ჩვენი პოლკის პირველი მერცხალი ხართ? მეც მხოლოდ ამ დილით ჩამოვფრინდი მოსკოვიდან. რამდენიმე დღეში მთელი პოლკი შეიკრიბება და საქმეს შევუდგებით. ხომ ბედნიერი ფეხისა ხართ?

არ ვიცოდი რა მეპასუხა და გაჩუმება ვამჩინებ. მერე ხელი მომიკადა, მაგიდისაკენ წამიყვანა, სკამი გამოსწია და დინჯად მითხრა, დაბრძანდითო. ასეთ ალერსს სამხედროში უფროსების მხრივ არ ვიყავი ნაჩვევი. ვგრძნობდი, რომ საქმე მქონდა მაღალი ინტელექტისა და კულტურის ადამიანთან. მან ჩემს საბუთებს გადახედა და მკითხა:

— თქვენ ქართველი ხართ?  
— დიხ, ქართველი.  
— მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში ვისწავლიათ, სამხედრო სკოლა როგორ დაამთავრეთ?  
— ფრიალებზე.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი. აბა კიდევ სხვა რამ მომიყევით თქვენი ბიოგრაფიიდან.

მოსაყოლი არაფერი მქონდა. რა ბიოგრაფია მე გამაჩნდა... დაბნეულობა შემატყო და თვითონვე შეეცადა, ამ მდგომარეობიდან გამოვეყვანე.

— ალბათ, კომკავშირელი ხართ, არა?  
— პარტიის წევრი ვახლავართ.

— კი, მაგრამ რამდენი წლისა ხართ?  
— ავვისტოში 20 წელი მისრულდება.

მერე მშობლების ვინაობა მოიკითხა და დიდხანს, ძალიან დიდხანს, — ყოველ შემთხვევაში მაშინ ასე მომჩვენა — საქართველოზე მესაუბრა. საქართველოს კარგად იცნობდა, ერკვეოდა ჩვენი ერის ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების საკითხებში და ყოველივე ეს რალაც საოცარი თბილი და ნათელი სიყვარულის გრძნობით იყო გამსჭვალული. სხვათაშორის, გვიან, ომის შემდეგ, ეურნალ „განთიადში“ (1975 წ., № 3) მოთავსებულ წერილში — „ზღაპარი — ქვეული რეალობად“ იგი საოცარი სიყვარულით წერს საქართველოზე. აი მოკლე ნაწყვეტები ამ წერილიდან: „ჩერ კიდევ ცეროდენა ვიყავი, როცა დედაჩემი მესაუბრა საქართველოზე... ჩემს ბავშვურ მეხსიერებაში იმ დღიდან ჩარჩა საქართველო ზღაპრულ ქვეყნად, სწორედ ზღაპრულ ქვეყანად, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ვიცოდი, ეს ქვეყანა ნამდვილად არსებობდა“...

„პირველად საქართველოში ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში მოგხვდით. უკვე მფრინავი ვახლდით... როგორღაც თავისთავად მახსენდებოდა დედაჩემის ნაუბარი, რაც ზღაპრად კი არა, ცხოვრებისეულ რეალობად მესახებოდა“...

...„პირველი ადამიანი, ვინც ქართველ...”



ლი ხალხის სულიერ ცხოვრებასთან, მის ყოფასთან მიზიარა, იოსებ სტალინი იყო... სწორედ სტალინისაგან გავიგე ბევრი რამ ქართველი ხალხის საუკუნოვანი ტრადიციების შესახებ, მის სტუმართმოყვარეობაზე, ადამ-ჩვევებზე, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, დავით აღმაშენებელზე, თამარ მეფეზე, ერეკლე მეორეზე... და მრავალი სხვა რამეც გავიგე მისგან. სტალინი ძალზე ენამახვილი კაცი იყო, ბევრი თავშესაქცევი, სახუმარო რამ მიაძმო. მახსოვს ხუმრობები თამადაზე, ჭრისწერაზე, რაკველებზე, გურულებზე, სვანებზე, ხევსურებზე... სტალინისაგან ვიცი, რომ ქართველები რთული ხალხია. ასე მითხრა: აი, მე ქართველი ვარ, მაგრამ ზოგჯერ უცბად მეც ვერ ვერკვევი საქართველოში შექმნილ ამა თუ იმ სიტუაციაში...“

„...სად არ ვყოფილვარ, რამდენ ქვეყანაში, მაგრამ ქართველებისთანა გულითადი მასპინძლობა არსად მინახავს... ქართველი უკანასკნელ პერანგს გაიზდის, არც დაფიქრდება, თუ ხვალ თვითონ სად იზოვოს ლუკმა-პური, მაგრამ სტუმრისათვის კი თავს არ დაზოვავს“...

„ძალზე შემოყვარდა საქართველო და ქართველები“... და სხვა და სხვა. მაგრამ დაუბრუნდეთ 1941 წლის სმოლენსკის ამბებს.

— ჭერჭერობით მთელი ჩვენი საავიაციო პოლკის მფრინავთა შემადგენლობას მე და თქვენ შევადგენთ, — თქვა ა. გოლოვანოვმა. — დავუცადოთ სხვების ჩამოსვლას. ერთ-ორ დღეში ყველა აქ იქნება. ახლა თქვენ დაგაბინავებენ, ხოლო სადამოს რვა საათზე ოფიცერთა სახლში მოდიეთ — ბილიარდს გეთამაშებთ.

დანიშნულ დროს ოფიცერთა სახლში მივედი. იგი თითქმის ცარიელი იყო. ალექსანდრე გოლოვანოვი საბილიარდო ოთახში შემოვიდა და მარკიორმა მაგიდა გააწყო. ბილიარდს შედარებით კარგად ვეთამაშობდი, მაგრამ ეხლა, როცა ჩემს წინ იდგა საქვეყნოდ ცნობილი მფრინავი, რომლის მეკრდს რამდენ-

ნიმე ორდენი ამწვენებდა, — რაც მაშინ განსაკუთრებული იშვიათობა იყო — აშკარად ვლელავდი, ხელემ მიყენებდა. პირველი პარტია წავაგე. ალექსანდრე გოლოვანოვს ეჭვი შეებარა ჩემს გულწრფელობაში და წყრომით მითხრა, მთელი ჩემი შესაძლებლობით მეთამაშა. შემდეგი პარტია ადვილად მოვიგე. გოლოვანოვს წყენა ვერ შევატყვე. პირიქით, სიზუსტე მომიწონა. დანარჩენი პარტიებიც მოვიგე. გამომშვიდობებისას მიგხვდი, რომ ჩემით კმაყოფილი დარჩა. შემდგომში, ომის წინ და ომის წლებში, როცა გოლოვანოვს ჩემ შესახებ რაიმე კარგს მოახსენებდნენ, აუცილებლად დაუმატებდა: აბა, ერთი ნახეთ, ბილიარდს როგორ თამაშობსო!

და აი, 1944 წლის, თუ არ ვცდები, 23 თებერვალს, წითელი არმიის დღეს, შორსმფრენი ავიაციის სარდალმა ალექსანდრე გოლოვანოვმა მოისურვა „მფრინავთა სახლის“ დათვლიერება და იქ მარკიორ ეფიმ კულდრიავცევის გაცნობა.

ეფიმ კულდრიავცევს მთავარი მარშლის მოლოდინში საბილიარდოდან ყველა გაერეკა. აქ მასთან ერთად იყო მხოლოდ ცნობილი რუსი მფრინავი და ინჟინერი როსინსკი, რომელსაც ლენინმა „რუსული ავიაციის პაპა“ უწოდა. იგი, სამოცი წლის პენსიონერი, ე. კულდრიავცევთან მეგობრობდა და თავისუფალ დროს მუდამ მასთან ატარებდა.

კულდრიავცევმა საბილიარდო მაგიდა მოაწყო და გოლოვანოვს სთხოვა — ეთამაშა. გოლოვანოვმა უარი განაცხადა და როსინსკიზე მიუთითა. ცხადია, მანაც უარი თქვა, რადგანაც კულდრიავცევთან თამაშს აზრი არ ჰქონდა. მაშინ როსინსკის თხოვნით კულდრიავცევმა მთავარ მარშალს რამდენიმე საბილიარდო ვარიაცია უჩვენა. აი, ერთი მათგანი. კულდრიავცევმა ბილიარდის ორი ბურთულა მაგიდის ცენტრში დადო ერთმანეთისაგან 12-15 სანტიმეტრის დაშორებით. მათ შორის შუშის თხე-



ლი სათუთუნე ჩადგა. შემდეგ ერთი ბურთულა მოათავსა ბილიარდის ერთ კუთხეში, ხოლო მეორე — მის საწინა-აღმდეგო კუთხის ლუხებთან. კიით და-არტყა კუთხეში მყოფ ბურთულას, და-არტყა ისეთი ოსტატობით, რომ იგი ოდნავ აიწია, ჰაერში გაძვრა ცენტრში მყოფ ორ ბურთულას შორის ისე, რომ არ შეეხო შუშის სათუთუნეს. შემდეგ დაეშვა მაგიდაზე, გაგორდა, მოხვდა საწინააღმდეგო ლუხასთან მყოფ ბურ-თულას და ის ლუხაში ჩააგდო. ყოვე-ლივე ეს ისეთი ოსტატობით იქნა შეს-რულებული, რომ გოლოვანოვი გაოცე-ბული შებტა. კუდრიავეცემა კვლავ გა-იმეორა თავისი ნომერი და კვლავ წა-რმატებით. მაშინ წინ წამოიწია რო-სინსკი, ჩადგა კუდრიავეცესა და გო-ლოვანოვს შორის, კუდრიავეცეს თვა-ლებში ჩახედა და თქვა: — აბა, თუ ბი-ჭი ხარ, ახლა ჩააგდო! — კუდრიავე-ცემა უარი თქვა ნომრის განმეორება-ზე. ამით დაინტერესდა გოლოვანოვი და როსინსკის თხოვნა მანაც გაუმეორა.

— არა, ძვირფასო ალექსანდრ ევგენ-ნის ძე, ახლა ამ ნომერს ვერ შევას-რულებ, როსინსკი ცნობილი ჰიპნო-ტიზიორია, განა ვერ დაინახეთ, რაღაც შელოცვის მაგვარი რამ რომ გამიკეთა? უკვე ვკრძნობ, ამჯერად არაფერი გა-მომივა.

— მაინც მოსინჯეთ! — სთხოვა გო-ლოვანოვმა. კუდრიავეცევი მაგიდასთან მივიდა, ღრმად ჩაისუნთქა, მოემზადა და კია ბურთულას დაარტყა. ბურთუ-ლა შურდულივით გაქანდა, მოხვდა შუშის სათუთუნეს და ნამსხვრევებად აქცია.

— ხომ გითხარით, ეს კაცი ჰიპნოზს აკეთებს-მეთქი! — გულისტკივილით თქვა კუდრიავეცემა და კია მაგიდაზე დააგდო.

გოლოვანოვმა ხალისიანად გადაიხარ-ხარა და სავარძელში ჩაქდა. უველა გუ-ლიანად იცინოდა, კუდრიავეცევი კი გაბ-რაზებულნი ბოლთას სცემდა. შემდეგ თითქოს დაწყნარდა, მივიდა გოლოვა-ნოვთან, გვერდით მიუჯდა და უთხრა:

— ალექსანდრ ევგენის ძე, მე მინდა მოგიყვეთ, თუ როგორ „მარაჩინა“ ამ სუბიექტმა, „რუსული ავიაციის ჰავაში“, ჩვენი დიდი მსახიობი კაჩალოვი „ლოთო-ბისაგან“. კაჩალოვს თურმე უნდა განე-ხორციელებინა სცენაზე ლოთი კაცის სახე. — განაგრძობდა კუდრიავეცევი. — ბევრს, მთელი მონდომებით მუშაობდა როლზე, მაგრამ საქმე წინ არ მიიწეკდა. გრძნობდა, რომ მ. გორკის „ფსკერიდან“ ბარონის სახეს იმეორებდა, „შტამპ-ში“ ჯდებოდა. შტამპი კი თეატრის უბედურებაა. მაშინ კაჩალოვი არ-ყით დათვრა და რამდენიმე ეპი-ზოდი თავისი როლისა სარკის წინ გაი-თამაშა. მიხვდა, რომ „როლში“ ჯდებო-და“. ეს პროცედურა მან რამდენჯერმე გაიმეორა, რაც მეუღლისათვის შეუმჩ-ნეველი არ დარჩა. „ქმრის გალოთებით“ შეშფოთებულმა მეუღლემ მკურნალი ექიმის ძებნა დაიწყო. ვილაცამ ურჩია — როსინსკისათვის მიემართა, რადგანაც მთელმა მოსკოვმა იცოდა, რომ იგი ალ-კოპოლიკებს ჰიპნოზით არჩენდა. რაღა ბევრი გავაგრძელო და ერთ დღეს ცოლ-მა თავისი ქმარი, კაჩალოვი, როსინსკის-თან სახლში შეიტყუა. როსინსკი წინას-წარ იყო გაფრთხილებული ამ „სტუმრო-ბის“ შესახებ.

როსინსკიმ დიდი პატივისცემით მიი-ლო ცნობილი მსახიობი. დიდხანს ესაუბ-რა ავიაციანზე, პირველ მფრინავეებზე. შემდეგ, თანდათანობით ისე რომ კაჩა-ლოვს არ შეემჩნია, — ჰიპნოზის სეან-სის ჩატარება დაუწყო. კაჩალოვი ჭერ-გაოცდა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ გაუ-გებრობის მსხვერპლი ხდებოდა და გო-ვნებით ჰკითხა როსინსკის — რას აკე-თებო!

როგორ თუ რას ვაკეთებ, ვერ ზედავთ, რომ ალკოპოლიკს ვარჩენო!

კაჩალოვს ელდა ეცა, აღშფო-თებულმა წონასწორობა დაკარ-გა, კინაღამ სკამი სთხლიშა თავ-ში როსინსკის... მაგრამ კაჩალოვი რის კაჩალოვი იქნებოდა, რომ ემოციებს აპყლოდა. კაჩალოვს — რუსული სცე-ნის დიდებას — თავისი უმნიშვნელო



მიმიკითხე კი თეატრის მაცურებლები უსაზღვრო ილუზიებში გადაჰყავდა, აჯაღობდა მათ. განა არსებობს სცენურ ჰიპნოზზე უფრო ძლიერი რამ?! ავერ კი ვილაყ როსინსკიმ მისი სულიერი დამორჩილება მოინდომა... „აბა, ვნახოთ, ვინ-ვის!“ — გაიფიქრა კაჩალოვმა და თავისი ვერაგული გეგმის განხორციელებას შეუდგა, აქ, როსინსკის ჰიპნოზების სეანსის დროს რომ დაეხდა.

კაჩალოვი წამოდგა, ნელი ნაბიჯებით მივიდა ფანჯარასთან, მერე შემოტრიალდა და როსინსკისაკენ ასევე დინჯი ნაბიჯით წამოვიდა. გზაში ხელები გაშალა და თავისი ხავერდოვანი ხმით ომარ ხაიამის ლექსების კითხვა დაიწყო.

აქ ერთი შენიშვნა მინდა გავაკეთო. კულრიავეცივი უყვებოდა გოლოვანოვს, რომ კაჩალოვი ნიზამის ლექსებს კეთილხულობდაო. კულრიავეცივმა ეს ლექსები ზებირად არ იცოდა და მათ შესახებ ამბავის სახით ჰყვებოდაო. ვფიქრობ, რომ კულრიავეცივი ცდებოდა. კაჩალოვი თუ აღმოსავლეთის პოეზიიდან კითხულობდა ლექსებს ბაქუსის თემაზე, ეს ლექსები, ალბათ, ნიზამის კი არა, ომარ ხაიამის ლექსები იყო. ამდენად, ამ მოვლენაში ჩვენ შევეცდებით კაჩალოვისა და როსინსკის შერკინება ომარ ხაიამის ლექსების მიხედვით აღვადგინოთ.

ოთახში კაჩალოვის ბარიტონი ლირიკულ სიმღერასავით ეღერდა, შამპანურის ნაბერწკლებივით იფრქვეოდა. იქმნებოდა ილუზია, რომ მისი მათრობელა ხმა არა მარტო სიმღერასავით ირბეოდა, არამედ ბნელ ოთახში შემოჭრილი, მზის სხივებივით ანათებდა... როსინსკის პირი დაეღო, გაოცებული, გაშეშებული უსმენდა კაჩალოვს. კაჩალოვი კი წარმოთქვამდა:

„შეეშვი ლოცვას, მომამურე მე შენს მარწუხებს, იყავ კეთილი და შენს მოძმეს ნუ შემარწუხებ. მომეცი ლეინო და იმ ქვეყნად როცა წარუდგებით, იქ, სამსჯავროზე, შენს მაგივრად მე ვუპასუხებ...“

შენ, რაც არ უნდა ამაღო, — ლეინო კარგია! და თუ ამას უარყოფ, ჰკუთ დაგიკარგია.

ზოგჯერ რასაც კრძალავენ, იგი მარტოველია, და რასაც არ კრძალავენ, ის ამაფრთხილებს.

გესურს თუ არა გესურს, ერთ დღეს ყველა დაეხუშავთ თვალებს, წვაღთ ამ სოფლით და მოვიხლით ქვეყნიერებას, დაელით ერთად, მეგობარო, დაელით ერთად! ამ ქვეყნად გვიან მოველით და მივდივართ მაღლად.“

— კიდევ წაიკითხეთ რამე! — საოცარი მუდარით მიმართა როსინსკიმ კაჩალოვს.

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ ყულის გამოსავლებად, თუ კაცი ხარ, ერთი არაყი დამალევინე.

როსინსკი ადგილიდან მოსწყდა, მეორე ოთახში შევიდა და ერთი ბოთლი არაყი, პური, მოხარშული კარტოფილი და თევზის კონსერვი გამოიტანა.

კაჩალოვმა ორი მოზრდილი ჭიქა გაავსო, ერთი როსინსკის შეაჩეჩა ხელში, მიუტახუნა და ანიშნა, დალიეო, როსინსკიმ არ დააყოვნა და არზეინად გადაკურა არაყი. კაჩალოვი ისევ ფანჯარასთან მივიდა და სკამზე ჩამოკვდა. როსინსკი მუდარით აღსავსე თვალებით უყურებდა კაჩალოვს, თიფქოს შესთხოვდა: არაყი ხომ დაგალევინე, სამაგიეროდ კიდევ წამიკითხე რამეო!

კაჩალოვი არ ჩქარობდა. ნათლად ხედავდა, როგორ ეშლებოდა როსინსკის ააღერღელი. აქ ფსიქოლოგიური პაუზა იყო საჭირო, როცა „კრიტიკული“ წერტილი მოახლოვდა, კაჩალოვმა განაგრძო:

ლეინო ანელებს ქედმაღლობას, ამაყთა ზედა, მას ჭაღუძს ახსნა და დამსხვრევეა პოკოილო მძლეოთა, შენ ამ ლეინის ერთი წვეთიც რომ დაგვლია, მორჩილი მონა იქნებოდი აღმამი ძეთა... ლეინო სვი, თორემ გარდიტყევი მიწად, ტილად შემდეგ ავხელენ ან ხელადად, ანდა ფილადა, ნუ დაენდობი იმ ქვეყნიერ ცხოვრების ზღაპარს, ნუ მოტუფედები, გონიერი, ასე იოლად...

კაჩალოვს კიდევ უნდა წარმოეთქვა ახალი სტროფი, მაგრამ შეამჩნია, რომ

როსინსკიმ ჭიქა გაივსო, არაყი გადახუხა, მერე პურის ნატეხი აიღო და დაყნოსა. როსინსკის თვალები უციმციმებდა, კარგ ხასიათზე იყო. რაღაც უაროდ ბუტბუტებდა. კაჩალოვმა არყის ცარიელ ბოთლზე მიანიშნა. როსინსკი გავარდა და ორი ბოთლი არაყი მოიტანა, მაგიდაზე დადგა და კაჩალოვს მიაშტერდა. ახლა უკვე თავისი მიმიკით კაჩალოვი ზემოქმედებდა როსინსკიზე, რომელიც ისე ჩვარივით მოშვებულყო, რომ თვალებს ვერ უსწორებდა თავის „ავადმყოფს“. კაჩალოვი მიუახლოვდა როსინსკის, თავი აუწია, თვალბუნი გამომწვევად ჩაბედა. შემდეგ განშორდა „ჰიპნოზისტს“ და წარმოთქვა:

ბავთ დაწვდი ღოქის ბაგეს, ბაგე  
გადავაბადაგე,  
დღეგრძელობას ვეძიებდი, ეამთა სრბოლით  
დავიდაგე,  
ღოქმა მითხრა საიდუმლოდ: მომაგებე  
ბაგეს ბაგე,  
ქვეყნად განა კიდევ მოხვალ, დალოე, რას  
ქადაგებ!

და ანე შემდეგ...

როსინსკიმ ჭიქები გაავსო და ერთა მათვანი კაჩალოვს გაუწოდა. კაჩალოვმა უარის ნიშნად თავი გააქნია: ზომ ხედავ, როლში შევედი, ხელს ნუ მიშლი, შენ თვითონ დალიეო! როსინსკიმაც არ დააყოვნა და ორი ჭიქა არაყი ზედისზედ გადაკრა. შეზარბოშებული როსინსკის ღილინი ღრიალში გადაიზარდა. მას ომარ საიამის ლექსის ერთი სტრიქონი დაემხსოვრებინა, რომელსაც ბოხი ხმით იმეორებდა: „ამივსე თასი წმინდა ღვინით და ვიმეწოდე!“ ამ ღრიალზე როსინსკის ი უღელდ შემოვარდა ოთახში და დამთვრალი ქმარი რომ დაინახა, თავში ხელებმა წაიშინა, დაეტყა და როსინსკი ძირს დავარდა. იგი იატაკზე ფოფხავდა, სიმღერას კი არ ეშვებოდა. კაჩალოვი განზე იდგა და სახე შინაგანი კამყოფილების გრძობით უბრწყინავდა. როდესაც როსინსკის ცოლმა მომლიმარე კაჩალოვი დაინახა, მივარდა და ყვირილი დაუწყო. კაცმა არ იცის, რით დამთვრდებოდა ეს ამბავი, ოთახში კაჩა-

ლოვის ცოლი რომ არ შემოსტეოყო. მას როსინსკის მიერ „მოტყენილ“ ქმარი შინ უნდა წაეყვანა!

მაგრამ, ოპ, საოცრებავ! ფიზიკური კაჩალოვი მხნედ იდგა ფეხზე, ზოლო მისი მკურნალი „ექიმი“ გაბეთქილი მთვრალი იატაკზე ზოხავდა და იხვეწებოდა: „ერთი ჭიქა კიდევ დამალევინეთო!“ კაჩალოვი შინ არხეინად დაბრუნდა, როსინსკიმ კი ის ღამე შავად გაათენა.

ეს ამბავი აგორდა, აგორდა და მთელ მოსკოვს მოედო. მაგრამ ამ ამბავში მთავარი ის იყო, რომ ამის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში როსინსკის ცოლი ტელეფონით ურეკავდა კაჩალოვს და ემუქრებოდა: როგორც გამოლოთე ქმარი, ისევე მომიჩინე, თორემ სატყეყნოდ სკანდალს მოგიწყობო!

ავიაციის მთავარი მარშალი გოლოვანოვი დიდი ყურადღებით უსმენდა კულრიაცეცს და გულიანად ხარხარებდა. კულრიაცეცს სხვა ამბების მოყოლაც სურდა, მაგრამ უკვე საღამოს 9 საათი იყო და გოლოვანოვს სამსახურში ეჩქარებოდა.

— თქვენთან საუბარი დიდ სიამოვნებას მანიჭებს, მაგრამ სამწუხაროდ, დრო არა მაქვს. ჩვენი ავიაცია ახლა ჰაერშია და დასავლეთისაკენ უჭირავს კურსი. მე პოსტზე უნდა ვიყო. რაც შეეხება თქვენს ოსტატობას ბილიარდში, ეს მართლაც სამაგალითოა. მე დღემდე მეჩვენებოდა, რომ ბილიარდის ჩემპიონი ჩვენს ავიაციაში იყო — და მან ხელი ჩემკენ გამოიშვირა, — მაგრამ თურმე მწარედ ვცდებოდი. ალბათ დავითის შესახებაა ნათქვამი: „იქ, სადაც ძაღლები არაა, კატები ყუფენო“.

### ვლადიმერ კანდელაკი

1944 წელს „მფრინავთა აახლში“ შევხვდით დიდ საახალწლო წვეულებაზე, რომელიც როგორც ვკითხრეს, შორსმფრენი ავიაციის მფრინავებისათვის მოეწყო საბჭოთა არმიის უმაღლესი მთავარსარდლის საგანგებო მითითებით. ხუთასზე მეტი კაცისათვის იყო გაშლილი სუფრა საბანკეტო დარბაზში.

ფრონტიდან მოიწვიეს რამდენიმე ათეული მფრინავი, ვინც თავი ისახელა ბრძოლებში. აქ იყვნენ ცნობილი მფრინავები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები და მსახიობები.

მთავარი მარშლის პირად პილოტს ვალოდია ვაგაპოვსა და მე ორ-ორი მოსაწყვეი ბილეთი მოგვცეს. ვაგაპოვი თავის მეუღლესთან ერთად მოვიდა, მე კი მოვიპატიე ჩემი ძმა, რომელიც ამ დროს მოსკოვში პარტიულ სკოლაში სწავლობდა.

კარგად მახსოვს, ჩვენს მეზობლად თავიანთ ცოლებთან ერთად მაგიდებს უსხდნენ ცნობილი მფრინავები: ვოდოპიანოვი, კოკინაი, შვეელიოვი, მოლოდჩი და სხვ. შორიახლოს, აქვე, მაგიდას მისხდომოდნენ ლეონიდ უტიოსოვი, პოკრასი, გედროიცი, კლავდია ნოვიკოვა, ვლადიმერ კანდელაკი და მრავალი სხვა.

სარ კავშირის სახალხო არტისტი ვლადიმერ კანდელაკი, შესანიშნავი ქართველი მომღერალი, ოპერეტის თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი გახლდათ, სცენაზეც ბევრ საინტერესო მხატვრულ სახეებს ქმნიდა და დიდად პოპულარული იყო მთელ მოსკოვში.

გენერალი ვოდოპიანოვი — „ჩელუსკინელთა“ ეპოპეის გმირი — ერთ დროს დივიზიის მეთაური იყო ჩვენს ავიაციას, ახლა კი მთავარი მარშლის გოლოვანოვის მრჩევლად მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ხანდაზმული იყო, ჩემთან მეგობრობდა. ვერ ვიხსენებ რა მიზნით, მაგრამ 1944 წლის შემოდგომაზე იგი ბათუმში მოხვდა და მამაჩემის ოჯახში მიიწვიეს სტუმრად. ამ საღამოზე კი ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად მოვიდა და ჩვენს წრეში ტრიალებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საახალწლო შეხვედრაზე მაშინდელი ავიაციის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ვარსკვლავები იყვნენ მოწვეულნი, მაინც ჩვენი მაგიდა აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში.

„ოგორც ახლა ვფიქრობ, ეს გარე-

მოება ორმა ფაქტორმა განაპირობა. ჯერ ერთი, ყურადღება მიიპყრო ვალოდია ვაგაპოვის (წარმოშობით ზემური) არაჩვეულებრივმა პიროვნულმა თვისებებმა, მისმა ენამახვილობამ და ხალისიანმა იუმორმა. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ მე აქ თან მოვიტანე ათიოდე ბოთლი კონიაკი და ღვინო, რომლებიც რამდენიმე დღით ადრე საახალწლოდ გამომიგზავნა დედაჩემმა საქართველოდან. ოფიციალურ ბანკეტებზე დღესაც კი შეზღუდულია მაგარი სასმელები, ხოლო მაშინ, ომის დროს ეს კანონი მითუმეტეს მოქმედებდა. თითო მაგიდაზე, რომელთანაც ოთხ-ოთხი კაცი იჯდა, მხოლოდ ერთი ბოთლი არაყი და ერთი შამპანური იდგა. ასეთ ვითარებაში ჩემი ათი ბოთლი სასმელი უზარმაზარ განძს წარმოადგენდა. ეს განძი ორ ჩანთაში ჩაწყობილი, მაგიდის ქვეშ იყო მოთავსებული.

ოფიციალური სადღეგრძელოების შემდეგ წამოდგა ვალოდია ვაგაპოვი და სიტყვა მოითხოვა. დარბაზი მას ტაშით შეხვდა.

— ნება მომეცით, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ, ქართველებმა, მოგილოცოთ ახალი წელი და გისურვოთ წარმატებები, — თქვა ვაგაპოვმა და კონიაკით სავსე ჭიქა რომელიც მან რამდენიმეჯერ შეატრიალა ხელში, დაცალა.

კონიაკმა მართლაც მიიჭვია ყველას ყურადღება, რადგანაც ასეთი რამ წვეულებებზე საერთოდ არ იყო.

— შენ მხოლოდ ქართულ კონიაკს სევამ, — მიამბა ვლადიმერ კანდელაკმა და მან გულისტკივილით გადმოშხედა (თუ კონიაკი ჯჭონდა, მე რად არ მომეწოდებო). შეხედეთ ერთი ამ თვითმარქვას! რომელი ქართველი შენა ხარ!

— თუ ქართველი არა ვარ, ამას ახლავე განახებთ. აბა, ერთი ქართული საცეკვაო დაუქარით! — მიმართა ვაგაპოვმა ორკესტრს.

ორკესტრმა ქართული საცეკვაო დაუქარა. ვაგაპოვი მოხდენილი ვეჟაკი იყო. იგი მკვირცხლად გამოვარდა ესტრადის წინ და ორი წრე რაღაც გოპაიის მაგვა-

რი მოძრაობით ჩამოუარა. მერე ხელე-  
ბი გაშალა, ერთი შეხტა ჰაერში და მუხ-  
ლებზე დაეცა. მართალია, ფეხზე წამო-  
დგომა, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა, —  
ეტყობოდა მუხლები იტყინა, — მაგრამ  
იხტიბარი არ გაიტეხა, წამოხტა და მად-  
ლობის ნიშნად ზელი გულზე დაიდო და  
დარბაზს თავი დაუხარა.

ატყდა დარბაზში საოცარი სიცილი,  
რომელიც მალე ტაშის გრიალმა დაფა-  
რა. ვაგაპოვს გამბედაობა მოუწონეს,  
რამდენადაც მის ცეკვას „ქართულთან“  
არაფერი ჰქონდა საერთო.

— გენაცვალე, გენაცვალე! ვაი, ვაი,  
ვაი! Разве так танцуют Грузины?!  
— ლახათიანად, ხარხარით წამოიძახა  
კანდელაკმა Вот как надо танце-  
вать — თქვა მან და ორკესტრს გადა-  
ხედა.

ხელახლა აედრდა ქართული საცეკ-  
ვაო მუსიკა. კანდელაკმა ხელები გაშა-  
ლა და საოცარი მომღიმარი სახით, საი-  
დანაც სიხარული და სიყვარული იფრქ-  
ვეოდა, წრეზე გავიდა, დარბაზი ფეხ-  
ზე წამოდგა და მოცეკვავს ტაში მიაშ-  
ველა. ვუცქეროდი კანდელაკს და სიამა-  
ყით მევესებოდა გული. ეს იყო ნიჭის,  
სიღარბაილისა და სიხალისის დემონს-  
ტრაცია. მეჩვენებოდა, რომ იგი არა მა-  
რტო ცეკვავდა, არამედ მღეროდა კი-  
დეც, მღეროდა სიმღერას, რომელშიც  
საოცარი ჰარმონიით იყო შერწყმულ  
ხალასი სული და უდრეკი ნებისყოფა,  
ჩვენი ერის წარსულის ტრაგიკული ბე-  
დიცა და პოეტური სილაღეც.

ცეკვა დამთავრდა... დარბაზი ქუხდა.  
ტაშს კი შეძახილები მოჰყვა: „წინანდა-  
ლი“, „წინანდალი“!

„წინანდალი“ კანდელაკის საყვარელი  
სიმღერა იყო, რომელიც დიდი პოპულარ-  
ობით სარგებლობდა რუსეთში, თუმცა  
მას რატომღაც ბევრი კრიტიკოსი გა-  
მოუჩნდა საქართველოში.

კანდელაკი სცენაზე ავიდა და თავისი  
სეფე — სიმღერა შეასრულა. ესტრადაზე  
მას უტიოსოვი და ნოვიკოვა ამოუდგ-  
ნენ გვერდში. კლავდია ნოვიკოვამ „სუ-  
ლიკო“ წამოიწყო, მას ჯერ კანდელაკი

და უტიოსოვი შეუერთდნენ, შემდეგ კი  
მათ მთელი დარბაზი აჰყვავენს!  
ვაგაპოვმა ესტრადაზე წამოიღო  
„წინანდალი“ აიტანა, სამი ჰიქა შეავსო  
და სცენის ცნობილ ოსტატებს მიაწოდა.  
კანდელაკმა ჰიქა მალლა ასწია, ნოვი-  
კოვასა და უტიოსოვს სიყვარულით გა-  
დახედა და შესძახა: აი, ასე მღერიან და  
ცეკვავენ ქართველებიო!

მაგრამ მთავარი მაინც წინ იყო. ორკეს-  
ტრმა საცეკვაო „ტანგო“ დაუკრა. ვაგა-  
პოვმა თავისი მეუღლე საცეკვაოდ გაი-  
ტაცა. მე და ჩემი ძმა მაგიდასთან ვის-  
ხედით და ვუყურებდით, თუ როგორ ცე-  
კვავდა დარბაზი უზარმაზარი ნაძვის ხის  
ირგვლივ. ამ დროს ჩვენთან კანდელაკი  
მოვიდა ორ მანდილოსანთან ერთად და  
მოგვამახა: „რა მოგიწყენიათ, რას ზი-  
ხართ აქ, ნახეთ — რა ლამაზმანები მო-  
გიყვანეთ, აბა, სწრაფად!“ ჩვენი ცეკ-  
ვის საერთო ფერხულში ჩავერთეთ.

როდესაც ცეკვა დამთავრდა და ჩვენს  
მაგიდასთან მოგბრუნდით, იქაურობა  
შეცვლილი დაგვხვდა: კანდელაკს ჩვენს  
მაგიდაზე კიდევ სამი მაგიდა მიედგა,  
ჩვენი კონიაკები და ლვინოები ჩანთი-  
დან ამოელაგებინა და გაერთიანებულ  
მაგიდაზე დაედგა. თვითონ მაგიდის თა-  
ვში თამადად იჯდა და ირგვლივ ცნო-  
ბილო მფრინავები და მსახიობები შემოე-  
კრიბა.

— მობრძანდით, მობრძანდით, გენაც-  
ვალე, — გვეპატივებოდნენ დაუპატივე-  
ბელი სტუმრები ჩვენ — მასპინძლებს. —  
ახლა ვაგაპოვს უნდა დავანახო ქართუ-  
ლი სუფრის მადლი. თუ ქართველები  
ხართ, მაშინ სადაა თქვენი სტუმართმო-  
ყვარეობა!?

კანდელაკმა ჰიქა ასწია და ჩვენი დი-  
დი ქვეყნის სადღეგრძელოს ქართული  
„მრავალკამიერი“ მიაშველა. უტიოსო-  
ვი, ნოვიკოვა, პოკრასი, გელროიცი და  
სხვა მომღერლები პირველსა და მესამეს  
ეუბნებოდნენ. დარბაზი სულგანაბული  
უსმენდა სიმღერას. თვალეებზე სიხარუ-  
ლის ცრემლები მომადგა. მთელი ჩემი  
არსებით ვგრძნობდი, რომ მარადიულო-  
ბის ეს ვაჟკაცური ჰიმნი ყველაზე უფრო



კანონზომიერი ფინალი იყო 1944 წლის საახალწლო წვეულებისა მოსკოვის „მფრინავთა სახლი“.

ი რ ა

მოსკოვის მახლობლად მდებარე ერთ-ერთი აეროდრომიდან მტრის ღრმა ზურგში ვფრინავდით სამხედრო-სტრატეგიული ობიექტების დასაბომბავად. აქვე ჩვენს აეროდრომზე გენერალ ნანეიშვილის სპაიერო სადესანტო დივიზიის რამდენიმე თვითმფრინავს ჰქონდა გამართული თავისი ბაზა. ისინი მტრის ღრმა ზურგში ფრინავდნენ, — ოღონდ სამოქალაქო ტიპის თვითმფრინავებზე და საგანგებო დანიშნულების დავალებებს აარულებდნენ.

მძიმე, დამაბული რეჟიმით ვცხოვრობდით. სულის მოთქმის საშუალება არ გვქონდა. ერთ-ერთი ფრენის დროს მტრის საზენიტო არტილერიამ ჩვენი თვითმფრინავი დააზიანა. იგი რემონტზე დადგა, ჩვენ კი ერთი კვირით დასვენების უფლება მოგვეცა.

მოსკოვში ჩამოვედი, სადაც ძმა და ავიაციის მთავარ შტაბში ახლო მეგობრები მეგულდებოდა. ერთხელ საღამოთი „მფრინავთა სახლი“ მივედი. საცეკვაო დარბაზში სკამზე ჩამოვჯექი. ვუსმენდი მუსიკას და მოცეკვავე წყვილებს უაზროდ და უხალისოდ ვუცქერდი.

„მფრინავთა სახლი“ დაკეტილი იყო უცხო პირებისთვის. მფრინავებს აქ მხოლოდ თვიანთი მეუღლეები შეეძლოთ მოეყვანათ. სახლის დირექტორი დროდადრო უმადლესი სკოლების კომკავშირული კომიტეტების რეკომენდაციით სტუდენტ ქალიშვილებს პატივებდა.

დღესაც აქ მრავალი სტუდენტი ქალიშვილი იყო. საერთო ყურადღებას იპყრობდა ერთ-ერთი სტუდენტი გოგონა, რომელიც სავარძელში მოკრძალებული იჯდა. ერთი შეხედვითაც ადვილად მიხვდებოდით, რომ იგი „უცხო სხეული“ იყო აქ; არავის ყურადღებას არ აქცევდა და არც აინტერესებდა, თუ რა ზღვებოდა მის ირგვლივ. რამდენიმე მფრინა-

ვმა სცადა მისი საცეკვაოდ მიპატიებოდა, მაგრამ ყველა ცდა უშედეგოდ დამთრია. იგი მოკრძალებით უპასუხებდა. ზიანად ყველას უარს ეუბნებოდა.

ვიღაცამ წამაქება. მეც ინტერესმა შემიპყრო. ვიფიქრე, ცდა ბედის მონახევრება-მეთქი და მისკენ გავემართე. მივდოდი და ვგრძნობდი, რომ მლეღვარებამ შემიპყრო. ველავდი, ალბათ, იმიტომ, რომ ცნობისმოყვარეთა ირონიული ყურადღება შევამჩნიე. ახლა უკვე ჩემში უნდოდათ დაენახათ იმედგაცრუებული „კავალერი“. მეც არ დავაყოვნე და გადაწყვეტილება შევიცვალე.

მივედი მასთან, ოდნავ დავიხარე და ვუთხარი:

— ქალიშვილო, ნება მომეცით, თქვენს გვერდით დავჯდე.

— სიამოვნებით, — თქვა მან.

ჩვენს შორის საუბარი გაიმართა, სახელად ირა ერქვა. ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტში სწავლობდა. ჩემს შეკითხვებზე მოკლედ მაგრამ საკმაოდ მოკრძალებით პასუხობდა. ცოტა ხნის შემდეგ მითხრა, რომ სახლში ექპარება და გამომშვიდობება დააპირა. მე გაცილება შევთავაზე. სამხედრო საკომენდანტო საათები მოქმედებდა და მან მადლობა მითხრა ყურადღებისათვის.

„მეტროთი“ ვიმგზავრეთ. ყაზანის სადგურის მახლობლად, ბასმანიას ქუჩაზე ცხოვრობდა.

მეორე დღეა დილით ტელეფონით დაუტრეკე. მითხრეს, რომ ინსტიტუტშიაო. საღამოთი კვლავ აგვირფე ტელეფონის ნომერი. სახლში იყო. მეხუთე დღეს კვლავ დაუტრეკე და ვთხოვე შევხვედროდით, ვუთხარი ხვალ ნაწილში გბრუნდებით-მეთქი. მან რაღაცა მოიმიზეზა და მითხრა, რომ მოსკოვში შემდგომ ჩამოსვლისას დამეურება.

მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მოვხვდი მოსკოვში. შინ მიმიპატიყა. მისვლისთანავე მამის სამუშაო ოთახში შემიყვანა. წიგნებით დახვავებულ მაგიდასთან გამხდარი, უაღრესად ინტელექტუალური სახის მქონე, საკმაოდ მოხუცებული კაცი იჯდა და რაღაცას წერდა. ია-

ტაკზე თეთრი დათვის ტყავის „ხალჩა“ ეფინა. კარადები, რომლებიც კედლის ირგვლივ იყო განლაგებული, წიგნებით იყო ამოვსებული. მოხუცი ოდნავ წამოიწია, სათვალისაგან თბილად შემომხედა და ხელი გამომიწოდა. ჩემს წინ იჭდა მეტად სათნო კაცი, ღრმად მოაზროვნე ადამიანი. საუბარი ომის თემაზე წარიმართა. მან უკვე იცოდა, — ალბათ თავისი ქალიშვილისაგან, — რომ ბერლინისა და გერმანიის სხვა ქალაქების დაბომბვის მონაწილე ვიყავი. მთხოვა რამდენიმე ეპიზოდი მომეყოლა. გამოიჩინა, რომ მან ჯერ კიდევ რევოლუციამდე ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტი დაამთავრა ბერლინში. ამჟამად კი ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტში მუშაობდა კათედრის გამგედ.

— გერმანელები პუნქტუალური ხალხია, მაგრამ ზედმეტად დოგმატიკოსები. მათ რაღაც აუხსნელი მონური გრძნობა ამოძრავებდა უფროსების მიმართ, — თქვა ირას მამამ. — შეიძლება ამიტომაცაა, რომ ფაშისტებმა ასე იოლად ყველა გერმანელი კაცისმკვლელად აქციეს. თუ არა ჩემი ქალიშვილი, რომელიც გერმანულ ენას ბავშვობიდან სწავლობს და ამის გამო მაიძულებს გერმანულად ვესაუბრო მას, არა მარტო გერმანელები, არამედ გერმანული ენაც კი შემიძულებოდა. ჩემი უფროსი ვაჟიშვილი ფრონტზე დაიღუპა. ახლა ჩემი ერთადერთი ნუგეში ირასა, — თქვა პროფესორმა.

წამოსვლის წინ ირას დედა ჩაით გაგვიმასპინძლდა.

ერთხელ აეროდრომის გარნიზონის მორიგე ოფიცერმა გამომიძახა და ტელეფონის მილი მომაწოდა. ხაზზე იყო ჩემი ბავშვობის მეგობარი დავით ძნელაძე, რომელიც ჩვენთან შორსმდგომ ავიაკვანში მსახურობდა კორპუსის უფროსის გენერალ ლოგინოვის ადიუტანტად. იგი მეზობელ აეროდრომიდან რეკავდა. მან მითხრა, რომ საქართველოს მშრომელთა დელეგაციამ საჩუქრები ჩამოუტანა კორპუსის მფრინავებს და რომ ერთ-ერთი საჩუქარი ჩემთვისაც არის გამიზნული

— ხელ ჩამოგფრინდება და ჩამოგიტან, — თქვა მან. — თანაც კორპოდენი ქართული პურ-მარილიც მომაქვს. ვინც გინდა, დაპატიეო.

აქვე დავსძენ, რომ ამჟამად დავით ძნელაძე პროფესორია და თბილისის უნივერსიტეტში კათედრას ხელმძღვანელობს.

ჩემი მეგობრები დავპატიე და ირასაც დავურეკე ჩამოსულიყო. „ელექტრიჩკით“ ერთი საათის სავალი ქონდა. მეორე დღეს დავით ძნელაძის პურმარილი, როგორც იტყვიან, მეგობრულ წრეში „დავამღერეთ“. მეგობართა შორის გენერალ ნანეიშვილის დივიზიის ერთ-ერთი მფრინავი საშა იაკოვლევიც იყო. ცხადია, ამ წრეში ის ირასაც შენიშნავდა.

მალე ჩვენი ავიაციის შტაბში გამოვიძახეს მოსკოვში და ირას ტელეფონით დავურეკე. ტელეფონთან მამამისი მოვიდა და ძალიან მშვიდად მითხრა, რომ ირას ტაშეცხეში წავიდა თავის ბიძასთან და ომის დამთავრებამდე იქ იქნებოდა. თანაც დაუმატა ირას თხოვნა — ომის შემდეგ აუცილებლად დამერეკა მისთვის. ყველაფერს ველოდი, მაგრამ ასეთ დასასრულს, ცხადია, არა. ყოველივე გაუგებარი და ულოგიკო იყო ირას ქცევაში. როდესაც მტერი მოსკოვთან იყო, ირას თავის მშობლებთან ერთად მოსკოვში დარჩა, — ახლა კი, როცა ჩვენი ჯარები მტერს ერეკებოდნენ, ის ტაშეცხეში იქნა ევაკუირებული?!

გავიდა დრო. ერთხელ დავალეხა მოგვეცეს, მტრის ერთ-ერთი რკინიგზის საკვანძო სადგური დაგვებოძა. ღამდებოდა. ავტობუსით აეროდრომისაკენ მივეყავით. ჭიშკართან ავტობუსი გააჩერეს და საბუთები შეამოწმეს. მარცხენა მხრიდან მსუბუქი ავტომანქანა „ემკა“ ჩამოდგა. წინ მძღოლთან ოფიცერი იჭდა, უკან კი ორ ქალიშვილს მოკვარი თვალი. ერთ-ერთი ირას მივამსგავსე. კარგად ჩავაკვირდი... ბნელოდა. სახის ამოცნობა ქირდა. შევამჩნიე მხოლოდ ის, რომ „ირამ“ თავი დალუნა და სახე ამარიდა. ალბათ მომეჩვენა-მეთქი, გავიფიქ-

რე, და თანაც ჩემს თავს ვუსაყვედურე: ხომ არ გაგივლი, რომ ყველგან ეს გოგო გელანდებამეთქი! ჩვენმა ავტობუსმა მარჯვნივ გაუხვია თვითმფრინავებისაკენ, „ემკა“ კი მარცხნივ წავიდა, იქ, სადაც ნანეიშვილის დივიზიის მფრინავები იღვნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ოფიცერთა სახლში ნანეიშვილის დივიზიის მფრინავი საშა იაკოვლევი შემხვდა.

— დავით, რა კარგი გოგონაა ირა, რომელიც შენთან სახლში ამ სამი თვის წინათ იყო. მოსკოვში რომ იქნები, ჩემგან მოკითხვა გადაეცი, — მითხრა მან.

— საშწუხაროდ, ამას ვერ შევძლებ, ის ევაკუაციაშია ქალაქ ტაშკენტში.

— კი, მაგრამ რა დროს ევაკუაციაა. ტაშკენტიდან ახლა ხალხი მოსკოვში ბრუნდება. თუმცა რას ვამბობ, ცხოვრება რთულია, რას გაიგებ, ვინ სად მიდის...

საუბრის დროს იაკოვლევის აქცენტებისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. მერე რა მოხდა, რომ იაკოვლევა ირა მოიკითხა. მოგვიანებით როცა ოფიცერთა სახლიდან გამოვდიოდი, იაკოვლევის თავის შტურმანთან ერთად მომავალს, მოვკარი თვალი. ჩემსკენ იყურებოდნენ და ირონიულად იცინოდნენ.

ცოტა არ იყოს, ამან შემაშფოთა. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. იაკოვლევთან საუბარი დეტალურად გავიხსენე და ამან ათასი ეჭვი დაბადა ჩემში. კიდევ კარგი, რომ ემოციებს არ ავყვედი, თავი შევიკავე, თორემ იყო წამები, რო-

ცა მინდოდა იაკოვლევთან მივეპარდნილიყავი და სილა გამეწნა. **ეპიკენუსლი**  
...გავიდა დრო, დამთავრდა **მრეკლემოქსა**  
ბილიზაციით სახლში დავბრუნდი და სწავლა განვაგრძე.

1946 წლის ზამთარში მე და მამაჩემი მოსკოვში ჩავედით. ერთ საღამოს მაიაკოვსკის მოედანზე კინოთეატრში შევედით. სეანსის დაწყებამდე ვესტიბიულში ვსეირნიდით, ორკესტრი რაღაცას უკრავდა.

უცებ ჩემ წინ გოგონა აღიმართა და მომლიმარი სახით მომამხაზა:

— ვერ მიცანით?

— შენ ხომ ირა ხარ!

— დიახ, ირა! მე თქვენს ზარს რამდენი ხანია ვუცდი, — გულისწყრომით მითხრა ირამ და თვალებზე კურცხალი შევამჩნიე.

— სად უნდა დამერევა, ტაშკენტში თქვენი მისამართი მე არ ვიცოდი

— ტაშკენტი, ეს მამამ მოიგონა, რადგანაც ჩემი ადგილსამყოფელი არც მან იცოდა, — მომიგო ირამ და პალტო გაიხსნა. მის მკერდს ლენინის ორდენი ამშვენებდა.

— ვკითხე: ეს საიდან?

— აეროდრომის ჭიშკარი გახსოვს? სხვათაშორის, მტრის ზურგშიც შენმა მეგობარმა საშამ „ჩამაგლო“ პარაშუტი. მე ვიცი თქვენი დიალოგის შესახებ. ცოტა მეტი გამჭკრახობა რომ გქონოდა, ზოგიერთ რამეს მიხვდებოდდი, იმეამად მეტის თქმის უფლება მას არ ჰქონდა.



## ტაგუ მავაროშვილი

### მეყოფა, ნავალ

ვლადობ თქვენს გვერდით —  
 ვაჟა, თამარ,  
 გიორგი, თამთა  
 და მაინც ყოფნა  
 მირჩევნია  
 საკუთარ თავთან.  
 ამოდ. მიხმობს  
 კვლავ საომრად  
 შმაგი არესი,  
 ჩემს სიჩუმეში მირჩევნია,  
 ჩემს სიწყნარეში.

ბერი გეფერე ანგელოსო,  
 ღმერთო, ცერბერო,  
 დღეს გამგუნებულ  
 საკუთარ თავს  
 უნდა ვეფერო.  
 თქვენთან ლალობა  
 ვაჟა, თამარ,  
 გიორგი, თამთა,  
 მეყოფა, წავალ  
 დავიწყებულ  
 საკუთარ თავთან.

### არ შეხედო ირიბად

აქ სურნელი მშაფრი დის  
 სურებელის.  
 გულაბის...  
 რახანია გაფრინდი,  
 მაინც აქ მეგულები.

არ შეხედო ირიბად  
 ტანჯვით ნახვეჭ-ნაწოვარს...  
 ჩემო (მზე რომ პირს იბანს  
 იმნაირო) ბავშვობავე.

### მოტანითაც მოვიტანე, ნალაგითაც ნავიღებ

ნახევრადხუმრობით ვხასულობ ერთ კაცს, ვინც თქვა: ადამიანი რომ  
 იბადება, არაფერი მოაქვს და რომ კვდება, ასევე არაფერი მოაქვსო.

დაგიტოვებთ მოსვლისა და წასვლის სანდო თარიღებს  
 არ მომიაქვს და არ მიმაქვს იტყვის მხოლოდ შტერი:  
 მოტანითაც მოვიტანე, წალებითაც წავიღებ,  
 მაღლიერი დამჩრება მოყვარეც და შტერიც.



ცით რომ არ ჩამოვფრენილვარ, დამიჭერებთ, მენდობით,  
ჩვეულებრივ გავჩნდი და მიჯრით ცლიდნენ კვარტებს...  
ბაბილონას მოვეუტანე სიხარული დედობის,  
სიხარული მამობის მოვეუტანე ვარდენს.

რაც შუბლზე მაწერია, ზუსტად იმდენს დავახანებ,  
ხორცად მომთხოვეს მიწა ვალს, სულად მომთხოვეს ცა ვალს.  
და თუკი სიცოცხლეში არ იქნა, ვერ გაგახარეთ,  
თან წავიღებ თქვენს ჳირს, აქედან რომ წავალ.

### მიჯობს...

კაცის წახდენა გაუხარდათ,  
შემოჰკრეს ტაშო...  
მე კი ანაზღად  
გამიგარდა ხელიდან თასი,  
დაიმსხვრა თასი,  
დაიღვარა პარკეტზე ტვიში...  
არ დაენანათ წამითაც კი  
თვისტოში თვისი.  
მიჯობს უფსკრულში  
გადამჩნებო  
ბედზე მღურებით,  
გამახარებდე  
ვიღრე სხვისი უბედურებით.

### ოცდაშვიდი მიხაკის გალადა

უხაროდათ,  
უხაროდათ  
ყველას — ოცდაშვიდივეს,  
კუბოს  
რომ არ აცილებდნენ —  
ქვითინში მოტივტივეს.  
უბრწყინავდათ ალტაცების  
ცრემლი,  
როგორც ემბაზი,  
რომ არასდროს დაჰქნებოდნენ  
ხსოვნა-მოგონებაში.  
გასწი ღროო.  
კვლავაც გულზე.  
სულზე გავლით იღინე...  
გადატურჩა,  
გადატურჩა  
შენს ცელს ოცდაშვიდივე.

## პირ შეჰქალ



სად მოვხვდით სინათლის თავსხმიდან?  
 გზებია უცხო და უღაბი...  
 რა უცებ,  
 რა ზელად დამშვიდდა  
 ძარღვებში წითელი უღაყი...  
 რა მალე,  
 რა მალე,  
 რა მალე,  
 რა ჩქარა,

რა ჩქარა,  
 რა ჩქარა, —  
 მახსენებს პირლია სამარეს  
 ყორანი,  
 თავზე რომ დამჩხავლა.  
 მიმწუხრის ტალღებზე მროკავ ცას  
 ჩასული მზე აქენობს ბალახად...  
 და ისე მივდივარ, რომ კარგად  
 ვერ შევძებლ მე შენი დანახვა.

• • •

ახმეტაში ერთ სუფრაზე ბერიკაცმა მითხრა შიომ:  
 ანგელოსი ფეფს დაიბანა, იმდენს ტოვებ ჭიქაშიო.  
 უცნაურად მშვენიერმა ამ ნათქვამმა გამაკვირვა,  
 მთვარე ხმელს რომ გაანათებს, გამანათა იმნაირად.  
 ლბინი იყო, ცას სწვდებოდა მოგუჯუნე ჩემი ბანიც,  
 იმ დღეს ღვინო მართლა შევსვი ანგელოსის ფეფნაბანი.

## ზღვისკენ მიმავალი გზები

რომანი

### ბოღზისხეველი ბიჭი

დავდივართ ორი დღე-ღამეა აღმა-  
დაღმა და შტაბის ასაველ-დასაველს  
ვერ მივაკვლიეთ. აზოვის ზღვის მიმარ-  
თულებით მიგვასწავლეს გზადაგზა და  
ჩვენც მივდივართ ამ მიმართულებით.

ჩვენი ჭარები გაცხოველებით მოძ-  
რაობენ. გუშინ ასე არ იყო, არც გუ-  
შინწინ. ასეულები, ბატალიონები  
ალაგ-ალაგ სანგრებს თხრიან და პოზი-  
ციებს; იკავებენ.

ჩვენ ჩვენს გზას მივყვებით, ვეძებთ  
და ვერ მიგვიღწევია შტაბამდე. გენა-  
დის საანგამოშვებით წამოსცდება, ეს რა  
ხლაფორთი ამკიდესო.

გზადაგზა ჭარისკაცები გვეუბნებიან,  
გერმანელები შავი ზღვის გაყოლებით  
ქერჩისავენ გაჭრილანო.

გუშინ ისეთი თავსხმა იყო, ცა ჩა-  
მოიქცა. რომელიღაც ბატალიონი ერთ-  
ერთი ხეობის გასწვრივ სანგრებში იყო  
განლაგებული. სანგრებში წელამდე  
წყალში იდგნენ ჭარისკაცები.

ვერსად შევაფარეთ თავი. ხეობა გა-  
დავიარეთ და მთლად ტიალი მინდვრე-  
ბით ვიარეთ, გავილუმპეთ, გვასხა და  
გვასხა წვიმამ, ტალახში ძლივს მივათ-  
რევედით ფეხებს. შეღამებისას ერთი

მიტოვებული ძელმიწური აღმოვაჩი-  
ნეთ და იმას შევაფარეთ თავი. წვიმას  
გვარიანად შეეყონა ძელმიწურში, რო-  
მლის ერთ კედელზე წამოსაწოლი ფი-  
ცრები იყო გამართული. ჩამოვსხედით,  
ერთმანეთს მივეხუტებოდით და ღონე-  
მიხდილები მაშინვე წაგვიღო ძიღმა.  
ეგრევე გალუმპულეხსა და ტალახში  
ამოთხვრილებს მეყსეულად ჩაგვიძინე-  
ბოდა.

დღილით, თვალი რომ გავახილე, ჰილ-  
დას თავი ჩემ მხარზე ჰქონდა ჩამოდე-  
ბული. მირველად ჩემ სიცოცხლეში  
მძინარე გოგოს ჩემს მხარზე თავი  
ჰქონდა ჩამოდებული და მე ამისთვის  
ყურადღება არ მიმიქცევია. ეს ვიგრძე-  
ნი მხოლოდ, სველი საცვლები შემთბა-  
რიყო, ტანზე უსიამო ქრქოლამ დამია-  
რა და შევიშმუშნე. ჰილდას გაეღვიძა  
და თავი შემართა.

გენადიმ ჩექმები გაიძრო, ფეხსახვე-  
ვები მაგრად გაწურა, მერე ისევ დაიხ-  
ვია ფეხებზე და ჩექმები ჩაიცვა. მე და  
არჩილიც ასე მოვიქვეცი.

წვიმას გადაეღო. გუბურები იდგა  
მინდორზე. ამ დღის მერე ასე მოვდი-  
ვართ ატალახებული ბილიკებით, შარა-  
გზებით. გაგვიჭირვეს საქმე გერმანე-  
ლების თვითმფრინავებმა, როგორც კი  
გამოჩნდებიან, სველ თხრილებთან მივ-  
წვებით ხოლმე და ტალახითა ვართ

სულ მთლად დათხვრილები. ძალზე მოჭარბდნენ გერმანელების თვითმფრინავები, თავისუფლად, თავიანთ ნებაზე დაქრიან ძალა იქით-აქეთ. ჩვენი თვითმფრინავები არ ჩანან. გენადის ვკითხე, რატომ არ ჩანან ჩვენი თვითმფრინავები-მეთქი.

— რა ვიცი, — თქვა გენადიმ, — ახლა სად გაქრნენ, ვერაფერი გამიგია. აქამდე, გამოჩნდებოდა თუ არა გერმანელების თვითმფრინავები, მიაცხრებოდნენ ჩვენი გამანადგურებლები. გველებივით დასრიალებდნენ ცაში ფრიცების „მესერშიმდტები“, ბევრი ცეცხლწაქიდებული სვასტიკიანი თვითმფრინავი მინახავს თავქვე დაქანებული, ახლა სად გაქრნენ ჩვენი თვითმფრინავები, არაფერი გამეგება.

ნაშუადღევს მივხვდი, ჯარების ნაწილების ასეთი გაცხოველებული გადაადგილება-გადმოადგილება კარგს არაფერს მოასწავებდა. ავტომანქანებით უამრავი დაჭრილი მიჰყავთ, ატალახებულ მინდორზე და გზებზე ცხენები ძლივს მიათრევენ დატვირთულ ორთვალებს, ქვემეხებს.

ერთ ქვემეხს ჩვენც გადავაწყდით, ბორბლებით ტალახში ჩაღრმავებულიყო და დამრეც გზაზე ცხენებს ვერას-გზით ვერ აქონდათ. ოფლში გახვითქულ არტილერიისტებს მივეშველეთ, ჩავდექით მათთან ერთად ტალახში და ბორბლები რის ვაი-ვაგლახით ავაგორეთ გზაზე. არტილერიისტებში ერთი ქართველი ბიჭი ერიბა. მასაც და ჩვენც ძალიან გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა, ერთურთის სადაურობა მივიციტნ-მოვიციტხეთ.

— რა ვი, რა, — მიპასუხა ბოდბისხველმა ბიჭმა, როცა ვკითხე, ეგ ქვემეხი სად მიგაქვთ-მეთქი, — გუშინს აქეთა ერთ ადგილას არ გვაჩერებენ, ხან სად გადაგვაგორებინებენ და ხან — სად. ახლაცა, აი, იმ ზეგანზედა უნდა ავაგოროთ, — ხელი გაიშვირა მარჯვნივ.

დადლილები ცოტა ხნით გზისპირას სველ მიწაზე მივეყარენით.

— პა, პა, რა გადასახედი იქნება ახლა სიღნაღიდან ალაზნის ველზე! — დალოცვილი ნუშები სუ ახლდურიალებული იქნება, — თქვა ბოდბისხველმა, — მომენატრა, განა!

— რამდენი ხანია აქა ხარ? — ვკითხე ბოდბისხველს.

— დეკემბრიდანა, შარშან დეკემბრიდანა, დესანტს გადმოვეყ და მას მერმე აქა ვარ... ერთი ახლა იმ ნუშების ყვავილებში ჩამფლა, ჩამაძინა და გამომაძინა, გინდა სულამც არ გამღვიძებოდეს, იმ ნუშების ყვავილებში გამძრო-მოდეს სულიცა.

— შენ პოეტი ყოფილხარ.

— შე კაცო, ნუშების მონატრებას რა პოეტობა უნდა.

— ჰო, ნუშები კაია, მაგრამ, თუ კაცი ხარ, ერთი ეს მითხარი, აქ რა ხდება?! ყური მოვკარი, გერმანელებმა ფრონტის ხაზი გაარღვიესო... შენ არა გავიგია რა?

— ეგ კი გავიგე, ქერჩისკენ გაქრილანო. აქაც, ივრე ჩანს, დასახვედრად გვამზადებენ. აი, აქეთა და აი, იქითა, სუ ახალი ჩასანგრებული ბატალიონები. აქეთაც თუ გამოიჭრენ, უნდა დავხედეთ, მა რა!

— ეს ზარბაზანიც ახალ პოზიციაზე გაგყავთ?

— მაშა! იმ ზეგანზე უნდა ავაგოროთ და იქ ჩავსანგრდეთ ჩვენს ბატარესთან. თქვენ საით გაგიტევიათ?

— შტაბს ვეძებთ ჩვენსა.

— ეგ ვინდაა? — ბოდბისხველმა პილდასაყენ გაიჭნია თავი.

— ეგ ჩვენი ტყვე, გერმანელი გოგოა.

— ეგაც შტაბში მიგყავთ?

— ჰო, შტაბში მიგყავს.

— ეგ რო ფრიცი არ იყოს...

შევატყვე, ბოდბისხველი ხუმრობის ხასიათზე მოვიდა, მხარი აფუბი და ეუთხარი:

— მერე რა, რო ფრიცია?

— ფრიცია და, აბა, როგორა ვთქო, ლამაზია-მეთქი?! ეგ რო ფრიცი არ იყოს, ხმამალა შეგვეკირებელი, ე რა

ლამაზი გოგოა, გამიშვით და ბოდბისხევში გამატანეთ-მეთქი.

— ბოდბისხევში, რა, ლამაზი გოგოები არა გყავთ?

— როგორ არა გვყავს, მაგრამა, აბა, ეგეთ ქერათმიან ლამაზ გოგოს იქა ლეთისმშობელი სად ჩამოაგდებს, მე რა ვიცი... ეგა კი, აი, აქ არის... — უცებ წამოჭდა და განაგრძო, — აქ კია, მაგრამა რა უნდა, ბიჭებო, ამას აქა?! ამ ჭოჭოხეთში ვინ გამოუშვა?! რად გამოუშო?! ამითვინა ახლა ჩვენებური ჩითის კაბა ჩამაცმევინა და ეს მადლიანი ალაზნის ველზე ნუშებში გამატარებინა, ვინ იტყვის, ფრიციაო, აბა, ერთი მაშინა თქვან ჩვენებურებმა, გაბოანთ ჩიტირეკია ბიუს გოგოს შერჩევა არა სცოდნიაო.

— დაიცა, დაიცა... ასე რამ მოგაწონა ეს ფრიცი?! —

— ბიჭებო, იცით რა, — მე და არჩილს შემოგვაჩერდა ბოდბისხეველი, — მე ჭერ გოგოსთვის ლაზათიანად ხელიც არ შემვიღია. სულ მიფრთხოდნენ ეგ ვერანები, ბანჯგლიანიო, ბანჯგლიანიო, გამომაჯავრებდნენ და გამირბოდნენ. ეგა, — ფრიცზე გეუბნებით, — რაც აქა ვართ, სულ მე შემომჩერებია და ასე მგონია, არასოდეს დამიძახებს, ბანჯგლიანიო.

— ეგ, რაც არ უნდა იყოს, უცხოა.

— მერე რა, უცხო რთა, გოგო გოგოა... არა, არა, — თითქოს მოულოდნელად რაღაც გაახსენდაო ბოდბისხეველს, — ერთი იქაც კია, ელოი... ჰო, მაშ... ელოს არასოდეს დაუძახნია, ბანჯგლიანიო... ჰი, ჰი... სხვებმა იძახონ რა... ოღონდ ელო ნუ დამიძახებს, შე ბანჯგლიანიო და სხვებმა, — იმ ალქაჯებმა, — მიძახონ რამდენიც უნდათ... ერთი ეგ ომი მორჩეს. ჩავალ ჩემ სოფელში და პირველად ელოსთან მივალ, ვამარჯობა, ელო, აი, მეც ჩამოვედი-მეთქი. აბა, მაშინ დამიძახონ, ბანჯგლიანიო...

— ავი ეს გერმანელი გოგო ინატრე წელან?!

— ეგა?!. ჰო, ეგ ნემეცი ფრიცი კია,

მაგრამა მერე რა რა, ფრიცია, კარგი კი ყოფილა და... მაგასა სად გდროს გდროს შემოგვლიმა ბოდბისხეველმა, — აიყვანეთ, ძმაო, წაიყვანეთ, საცა მიყვანეთ... ჩვენებური ელოი, ვიცი, ბოდბისხევიდან არსადაც არ წავა... იქ არ დამხვდება?!

კარგა იყავით, ბიჭებო, მოგვძახა ბოდბისხეველმა, ცხენებს შეუტია და მეზობარ არტილერისტებთან ერთად ქემებს მიჰყვა.

### იერიში

თვალი გავაყოლე ბოდბისხეველ ბიუს. უცებ შორს რამდენიმე ქვემეხნი ისე დაიჭუბა, თავზარი დამეცა, მერე ჭურვების წუილი შემომესმა, დაწეკითო, გენადიმ როცა დაიყვირა, ჩვენ უკვე მიწაზე გაკრულნი აღმოვჩნდით. ერთიმეორის მიყოლებით გასკდა რამდენიმე ჭურვი.

ნალმსატყორცების ბათქა-ბუთქი მიწყდა, თავი წამოვყავი და იმ ზეგანიდან, რომელზეც ბოდბისხეველმა ბიუსმა ქვემეხი ააგორა, ატყდა ყველანი იარი იარალის — თოფის, ავტომატის, ტყვიამფრქვევის, — სროლა.

წინ, კარგა მოშორებით, ქვესკენიდან ამომმერალბივით, მიწიდან გერმანელები ამოიმართნენ და მოკლე-მოკლე გადარბენებით შეტევაზე გადმოვიდნენ. ეს იმ დროს მოხდა, როცა ჩვენ ვზას დავადექით და ზეგანზე განლაგებული ჩვენი ნაწილებიდან საკმაოდ მოშორებით აღმოვჩნდით სწორედ იმ ადგილას, საცა გრძლად გაქიმული ოღრო-ჩოღრო ზეგანი ჩაღრმავებულ ხეობასთან მთავრდება.

როგორც კი მივადექით ამ ადგილს და ხეობაში უნდა ჩაქვანებულოყავით, ჩვენს ახლოს ტყვიამფრქვევი აკაკანდა. მაშინვე მთელ ზეგანზე ჩასანგრებელი დანაყოფების ცეცხლიც აქუხდა. ზეგანის განლაგებაზე ალაგ-ალაგ გერმანელების არტილერიისა და ნალმსატყორცების ჭურვები გასკდა.

აი, სწორედ მაშინ იყო, გენადიმ რო შემოგვძახა, დაწეითო.

ახლოს იყვნენ და ხოხვით მიეუახლოვდით მეტყვიამფრქვევებს. ისინი კლდოვან ქანს ამოფარებოდნენ ორმოში მუცლით გაწოლილი და ხან მოკლე-მოკლე, ხან გრძელი, გაბმული ჯერით ტყვიამფრქვევის ცეცხლს მტერს უწინდნენ. გერმანელები ფრთხილად და ნელ-ნელა მოიწევდნენ ზეგანისაკენ; ხან კარგა ხანს არიან მიწას გაკრულნი, მერე ერთბაშად ალაგ ჯგუფურად, ალაგ თითო-ორიოლა წამოიშართებიან, გამორბიან და როგორც კი ჩვენები ცეცხლს მიაგებებენ, ისევ მიწას გაეკვრებიან.

ჰილდა პატარა თხრილში ჩაწოლილიყო, ობოლა მიეხუტებინა, ხელი შემოტვია და იყვნენ ორივენი გატრუნულნი.

გენადი ლოდს ამოფარებოდა და თოვი ლოდზე მოემარჯვებინა.

მე პირქვე გაწოლილი თვალს არ ვაზორებდი ვრცელ დაბლობს, პირველად ზედავდი შეტევაზე გადმოსულ მტერს. ეიარალოდ ვარ და ამ მოულოდნელ სიტუაციაში რა მოვიმოქმედო, არც ვიცი.

არჩილი მეტყვიამფრქვევებთან ახლოს მიხობდა და შესძახა, ბიჭებო, ხო არ წამოგვევლოთო. ერთმა მაშინვე უპასუხა, ხეობაში რამდენიმე დისკოა და ამოიტანეთო. ბუღუ მომყეო, დამიძახა არჩილმა. ორთავენი ხეობაში გადავეშვიო. კარგა ხანს ვეძებეთ დისკოები. როგორც იქნა ვიპოვეთ, ამოვიღლიავეთ და ბილიკს აღმა ავეყვით.

შუა ფერდობზე ვიქნებოდით მისულნი, როცა ტყვიამფრქვევი დადუმდა. არიქა, ტყვიები შემოელიათ ალბათო, დამიძახა არჩილმა, რაც ძალი და ღონე გვქონდა ფეხს ავუჩქარეთ. ორივე მეტყვიამფრქვევე მკვდარი დაგვგვდა. ჭურვი დაცემულა ტყვიამფრქვევის ახლოს, ნამსხვრევებს დაეგლიჯა ორივე მეტყვიამფრქვევე.

არჩილმა ძლივს მოაცილა ტყვიამფრქვევის სახელურს ჯარისკაცის გაცეხბული თითები.

ეტყობა მტერმა გულდასმით გამო-

თრფა ეს ადგილი, ახლა რომ აქედან გავხსნათ ცეცხლი, არ ივარგებსო, — თქვა არჩილმა, ადგილი უნდა მოუინაცვლოთო და ტყვიამფრქვევი მხარზე მოიგდო.

ბრძოლის ველს გადავხედე. ტყვიამფრქვევი რაკი დუმს, გერმანელები უფრო გულიანად მოიწევენ ზეგანისაკენ. ალბათ, ახლოს რომ მოვლენ, ერთიანად მაშინ წამოიშლებიან საიერიშოდ. ჰოდა, იმ დროისათვის ტყვიამფრქვევის გაბმული ცეცხლი იქნება საჭირო.

დისკოები არ დაგრჩესო, მომამახა არჩილმა, მხარზე ტყვიამფრქვევგადებულმა წამს გარემო მოათვალიერა, მერე ხევში ჩაბაჯბაჯდა, ორმოცდაათიოდე ნაბიჯი გავირბინეთ, ისევ ზემოთ ავხობდით და ზეგანის რკალად მოხრილ ბოლო ნაწილს თავს წავადექით. ზეგანის გასწვრივ მთელი ველი ხელისგულივით გაიშალა თვალწინ.

არჩილმა ტყვიამფრქვევი გამართა, მოიმარჯვა და როცა ჩახმახისთვის უნდა გამოეჭრა თითი, ამ დროს მოულოდნელად ივრიალა რუსულმა „ურამ“, ზეგანზე ჩასანგრებული ჩვენი ჯარისკაცები წამოიშალნენ, საშინელი ღრიანცელით, „ურას“ ქუხილით, ავტომატებისა და ხიშტებწამოგებული შაშხანების ბათქაბუთქით გაიჭრნენ იერიშზე წამოსული გერმანელებისაკენ. რა თქმა უნდა, არჩილმა ჩახმახს თითი ვეღარ გამოჰკრა.

დაბლა, ბრძოლის ველზე კი ვაი-უშველებელი გაიძარტა, მკერდი-მკერდ შეეხალნენ ჩვენები და გერმანელები, გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. აშკარად ვხედავდი, ხიშტებითა და თოფის კონდახებით როგორ შეეჯახნენ ერთმანეთს ჯარისკაცები, ოფიცრები, ზოგი ძირს ეცემა, ზოგი წინ-წინ მიიწევა. მერე და მერე დავლანდე, გერმანელები უკან გარბიან. ისმის ბლავილი, შეძახილები.

მიწა ძლება სისხლით.

წელან თითო-თითოდ უკან გაქეუული გერმანელი დავიანახე, უცებ მასიურად იკადრეს უკან გაქეცეა. ზურგმქ-

ეული მტერი რომ შეინშნეს, გააფთრებული წითელარმიელები ხიშტებწაგრძელებულნი მიედევნენ.

მოკლენები ისე სწრაფად იცვლებოდა, გონს მოსვლა ვერ მოვასწარი. გენადი მოიჭრა ჩვენთან, ტყვესთან დარჩი და აქედან ფეხი არ მოიკვალოო, მითხრა მე, არჩილს ხელი აუქნია, მომყვიო და ის იყო, არჩილი ტყვიამფრქვევიანად შეიმართა, როცა, სად იყო და სად არა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, თავს ცხენზე ამხედრებული უცნობი პოლკოვნიკი წამოგვადგა. შინდისფერი ცხენი ლაგამს ლეკავს, ეტყობა გვარიანად შეხურებულა, გავაზე ოხშივარი ასდის.

— ლეიტენანტო! — შესძახა არჩილს. მხარზე ხელის ტყვიამფრქვევადებულ არჩილმა გაცივებით შეხედა პოლკოვნიკს, მიუახლოვდა და გაიჯიგმა. პოლკოვნიკმა უბრძანა: — სასწრაფოდ მონახე მეთაური, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს შეტევა. ჩასანგრდეს და მერე ჩემთან გამოცხადდეს!

არჩილს არც უთქვამს „არის, ამხანაგო პოლკოვნიკო“, მყისფრად შებრუნდა, ტყვიამფრქვევი გენადის „მიაჩეჩა ხელთ და ბრძოლის ველისკენ დაქანებულ ფერდობს ჩაჰყვა.

იქ კი, ბრძოლის ველზე გერმანელები დამფრთხალნი გარბიან და ჩვენები მისდევენ. ვისაც კი წამოეწყვიან ხიშტის წვერზე აგებენ. თოფებისა და ავტომატების ბათქაბუთქი და ხელყუმბარების სკდომის ხმა წუთითაც არ შემწყდარა.

ბოლოს კარგა მოშორებით გერმანელები უცებ მიწაში ჩაძვრნენ და გრიგალისებური ცეცხლი შეაგებეს ჩვენებს, ჩვენებიც მაშინვე მიწას გაეკვრნენ და აგრეთვე გრიგალისებური ცეცხლი მიაყარეს გერმანელებს.

არჩილს ერთხანს ვუთვალთვალე, ვხედავდი, როგორ მიუახლოვდა შემტევი ბატალიონის უკანა რიგებს, მერე უცებ ისიც გაჭრა.

კარგა ხნის შემდეგ ბრძოლის ყიყინა მიწყდა, ხანგამოშვებით იქა-აქ თოფისა

და ავტომატის სროლა გაისმის მხოლოდ, გერმანელებიც და ჩვენებიც გრებს, ორმოებსა და თხრილებს ამოეფარნენ. ბრძოლის ველზე სანიტრები მიმორბიან, დაჭრილებს შევლიან.

როგორც იქნა, არჩილმა და მოიერიშე ნაწილის მეთაურმაც მოაღწიეს, ცხენზე ამხედრებულ პოლკოვნიკთან შეჩერდნენ.

— კაპიტანო, იერიში გვარიანი გამოგივლიდა, მაგრამ ხომ არ გაგივლი, რადროს იერიშია! — აქლოშინებულ, შინელგაღელი კაპიტანს არც დააცადა ახლოს მოსვლა და წესისამებრ წარდგომა, ისე შეუტია პოლკოვნიკმა, — ვინ გიბრძანა იერიში?

კაპიტანი გაოცებული შესცქეროდა გაწიწმატებულ პოლკოვნიკს, წამით დაყოვნდა, მაგრამ როცა პოლკოვნიკმა გაუმეორა, შეტევა ვინ გიბრძანაო, მაშინვე უპასუხა:

— შექმნილმა მდგომარეობამ მოითხოვა იერიში, ამხანაგო პოლკოვნიკო!

— მერედა, კარგად ხარ გარკვეული შექმნილ მდგომარეობაში?

— კონტრიერიშიზე რომ არ გადავსულიყავი, გაგეთელავდნენ, ზედ სანგრებთან მოგვადგნენ გერმანელები.

— პოდა, ამჯერად გეყოფა იერიში, — ოდნავ მოღბა პოლკოვნიკი, — გერმანელები ქერჩისაკენ გაიჭრნენ. შელაშებაშდე როგორმე გაუქელი, შედამდება თუ არა ბატალიონი გამოიყვანე პოზიციებიდან და აზოვის ზღვის მიმართულეებით დაიხიე, ფლანგებზე არავინა გყავს, ფრთხილად იყავი, გარემოცვაში არ მოექცი!

პოლკოვნიკმა ცხენი შეაბრუნა და სწრაფად გაგვშორდა.

სახტად დარჩენილმა კაპიტანმა შინელის კალთა წამოიზიდა, სახეზე ჩამოწურწურებული ოფლი შეიმშრალა, ჩვენთვის არც არაფერი უთქვამს, შებრუნდა და ბატალიონისაკენ გაემართა. გადაღვა რამდენიმე ნაბიჯი და უცებ შემობრუნდა.

— აქ ჩემი მტყვიამფრქვევები იყვნენ, სად არიან? — იყითხა კაპიტანმა.



— ორივე დაიღუპა, — უპასუხა არჩილმა და კაპიტანს დაღუპული მეტყვიამფრქვევეებისაკენ გაუძღვა.

ერთი პირქვე ჩამხოზილი წევს. ეს ის არის, რომელსაც არჩილმა თითებიდან ძლივს გამოგლიჯა ტყვიამფრქვევი. პირქვე ჩამხოზილი წევს, თავი ოდნავ მოღრეცია ისე, გეგონება ყური მიწაზე მიუდვია და რალაცას ისმენსო. მეორე გულაღმა გათხლაშულა და თავი პირქვე ჩამხოზილი მეგობრის ზურგზე მიუდვია, სახე ღრუბლიანი ცისკენ მიუშვერია, თვალები ღია დარჩენია და პირი ისე აქვს დაბჩენილი, თითქოს, ჰა, და ჰა, რალაცას ამოიძახებსო. შუბლზე მიმხმარ სისხლთან ხოჭო მიცოცებულია. კაპიტანმა ქუდი მოიხადა, ჩაიმუხლა, შუბლიდან თითებით ხოჭო ააცალა ჭარისკაცს და განზე მოისროლა, გაშლილი ხელისგული შუბლზე ჩამოუცურა, თვალები დაუხუჭა.

ახლავე ბიჭებს გამოგვზავნით, თქვა და წავიდა. ახლაც არაფერი უთქვამს ჩვენთვის, სრულებითაც არ აინტერესებს, ვინა ვართ ჩვენ, შეიძლება პოლკოვნიკის თანმხლები პირები ვგონივართ და ამიტომაც არაფერი გვკითხა. ასეა თუ ისე, არ გამოგვეცნაურა, ისე წავიდა.

ან კი რად გამოგვეცნაურებოდა?! გულზეა გასიებული კაპიტანი, — ბატალიონი იერიშზე გაიყვანა, თუმცა მსხვერპლი გაიღო, ხალხი დაეხოცა, მაგრამ კონტრიერიშზე რომ არ გადასულიყო, ბატალიონი განადგურდებოდა, ან ნაწილი განადგურდებოდა და ნაწილი ტყვედ ჩავარდებოდა. კონტრიერიშით, კი გერმანელებს კუდით ქვა ასროლინა. პოლკოვნიკს რო არ შეეჩერებინა, კარგა გვარიანად გაირეკავდა წინ გერმანელებს. ივაქაცევს ბიჭებმა, თავი არ დაზოგეს.

ახლა სისხლით მოპოვებული პოზიციები უნდა დაატოვებინონ და შეუმჩნევლად უკან დაიხიოს. გააფრთხულ მტრის წინ არ შედრკნენ, ფეხი არ მოიკვალეს, ახლა კი, შეღამებისას უბრ-

ძოლველად უნდა მიატოვონ სისხლით მოპოვებული პოზიციები.

ჰოდა, გულგასიებული კაპიტანი თავში იხლიდა ჩვენს გამოცნაურებას. ფრთაშეკვეცილი მიემართება ის ახალ პოზიციაზე ჩასანგრებული ბატალიონისაკენ.

— არჩილ!

არჩილმა შემომხვდა.

— კაპიტანი რა ჰქვია, ხო არ იცი?

— საიდან მეცოდინება?!

— არ კითხე ვინმეს?

— მაგის თავი მჭონდა!

— შე რო მკითხო, ამ ზეგანს მაგ კაპიტნის სახელს დავარქმევდი.

— ეჰ, მოგცლია ერთი.

— რა, არ არის ღირსი?!

— ღირსი კი არის, მაგრამ ეხლა მაგის თავი ვისა აქვს?!

— ჰოდა, მეც ისე ვამბობ, ღირსიამეთქი, თორემ მაგის თავი რო არავის აქვს ახლა, ამას კარგად ვხედავ.

ჩვენ შეღამებამდე გავეცალეთ უსახელო ზეგანს.

### ავტორის ჩანართი

ბუღუ ბედია ახლაც ცოცხალია. ბუღუ ბედიამ როგორც მიაშპო თავისი თავგადასავალი, შეუცვლელად ვწერ, რა უფლება მაქვს, რაიმე დავაკლო ან წავეშატო მის ნაამბობს. ჰო, წინა ჩანართში კი მოგახსენეთ მკითხველო, ჩვენი თავგადასავლები ერთმანეთს ჰგვანან-მეთქი. კი ჰგვანან, ფრონტის ერთი და იგივე უბანი გავიარეთ ერთსა და იმავე ვითარებაში, მაგრამ ბუღუ ბედია მაინც ბუღუ ბედიაა, არჩილ მღებრიშვილიც სხვაა და მეც მათგან სრულიად განსხვავებული პიროვნება ვარ. ბუღუ ბედია და არჩილ მღებრიშვილი უკანდახევისას სხვა გზა-ბილიკებით მიადგნენ აზოვის ზღვას და მე — სხვა გზა-ბილიკებით.

ამიტომაც მოვიგონე ამ წიგნში ჩანართები — თუ წერის დროს რამე მომინდებდა გიამბოთ პირადად ჩემს შესახებ, ამ ჩანართებში მოგიხირობთ.

ჭერჭერობით ასედაც ვიქცევით.

ბუდუმ რო უთხრა არჩილს, ამ ზეგანს მაგ კაპიტნის სახელს დავარქმევდით, მე ჩემი თვალით ნანახი ზეგნები, კაპიტნები და ჭარისკაცები გამახსენდა. მართლაც, ქერჩის მისის ტრაგიკულ დღეებში ვინ იყო გამკითხავი ამნაირი კაპიტნებისა და ჭარისკაცების, რამდენ უსახელო ზეგანთან მოხდა ამგვარი შეჩინება, მაგრამ უკანდახვეის დროს არაღინ აქცევს ამას ყურადღებას. ისტორიას კი, ჰოი, როგორ სჭირდება ამგვარი ამბების წვრილმანებშიაც კი გარკვევა.

ხალხი თავის საყვარელ ადამიანთა სახელებს არქმევს უსახელო ბორცვებს, ზეგნებს, მინდვრებს, ხეობებს, წყაროებს. ხალხს არც სჭირდება საამისოდ ბრძანებები და მთავრობათა განკარგულებები. ისეთ არაჩვეულებრივ რამეს ჩაიდენს ესა თუ ის კაცი ან ქალი ამა თუ იმ ზეგანთან თუ ახოსთან, რომ ამ ზეგანსა თუ ახოს მერე მის სახელს ველარაღინ მოაშორებს.

იმ დღეებში კი, რომელთა შესახებაც ბუდუმ ზეგანს გვიამბობს, ამის თავი არაღინ ჰქონდა. აი, ბუდუმ ცოცხალი გადარჩა და მას კი ახსოვს, არ დაფიქნია ის ზეგანი და ის კაპიტანი, მაგრამ სადღა ეძებოს ახლა ან ზეგანი და, მითუმეტეს, კაპიტანი, რომლის ვინაობა სრულებით არ იცის. ის ისეთი თავზეხელაღებული კაცი იყო, რაღაც უცნაურობას მოიმოქმედებდა მერე და, ვინ იცის, იქნება ცოცხალიც აღარ არის.

რამდენი ასეთი სახელია დაკარგული ისტორიაში, მოყოლებული უძველესი დროიდანაჲ!

ბუდუმს ამ გულისტკივილმა ერთი ამბავი გამახსენა და ეს მინდა მოგიოთხროთ.

1958 წელს „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორმა მთხოვა ნარკვევი დამეწერა რომელიმე მოწინავე კოლმეურნეზე. მივიკითხ-მოვიკითხე და ჰერეთის ერთ-ერთი სოფლის კოლმეურნეობას მივაღდექი. გამაძენს კაცი, რომელმაც სიმინდის არნახული მოსავალი

მოიწია, ისეთი მოსავალი, სამეგრელოს ცნობილ მესიმინდეებს რომა მემსურე ბიათ.

კაკო ერქვა. რამდენიმე დღის წვერგაუბარსავი იყო, ეტყობოდა სიკოხტავეზე მინცდამინც არ იკლავდა თავს. წყნარი და სიტყვაუთქმელი კაცი გამოდგა. ძლივს ვაამბობინე თავის თავზე. ომში ყოფილიყო, ქერჩის იმ ტრაგიკული დღეების მონაწილე. თვითონ ეს თქვა მხოლოდ, ვიყავით. მე უფრო დაწვრილებით მოვინდომე მისი თავგადასავლის გაგება, ომის ამბები მომიყვი-მეთქი. ვერა და ვერა, ვერ მოახერხა. ნაყუწ-ნაყუწ კითხვები მივაშველე და ბოლოს ისეთი სურათი წარმომიდგა, თითქოს იმ ზეგანთანაც ყოფილიყოს და იმ შეტევაშიც მიეღოს მონაწილეობა, რომელთა შესახებაც ბუდუმ მიამბო. თურმე ტყუილად შევაკალთ თავი იმ ადგილსო, თურმე უკვე გერმანელების გარემოცვაში ყოფილან და რამდენიმე დღის შემდეგ გარემოცვის გარღვევისას ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი ტყვედ ჩავარდნილა.

ომის დამთავრებისთანავე ნატყვევარი შინ ჩამობრუნებულა.

ომში ყოფნის შესახებ რაღაც-რაღაც კი ვაამბობინე, მაგრამ კოლმეურნეობაში როგორ მუშაობს, როგორ მიღწეა სიმინდის უხვ მოსავალს, — ამის თაობაზე ციფრების გარდა და „ჰო, აგრეას“ მეტი ვერაფერი ვათქმევინე.

ასე გამოვემშვიდობე და ავტობუსით უკან გამოვბრუნდი.

ავტობუსში იმაზე დავფიქრდი, რა დავწერო ამ კაცზე-მეთქი. ამოდენა გზა გამოვიარე, რედაქტორი იმედიანად მელოდება, მე კი რამდენი ცენტნერი სიმინდი მოიყვანა — ამის მეტი არაფერი ვიცი კაცოს შესახებ. სადღაც შუა გზაზე შოფერს ვთხოვე, გამიჩერე-მეთქი და ავტობუსიდან ჩამოვედი. საბარგო მანქანამ გამოიარა, იმით ისევე სოფელში დავბრუნდი.

შინ არ დამიხვდა კაკო. ცოლმა მითხრა, პარიკმახერთან წაივინა გასაპარსავადო. საპარიკმახეროში წავადექი თავს.

თეთრწინსაფარაფარებულს, საეარძელში მკდარს პარიკმახერი პარსაგდა. სარკიდან შემომხედა და გაოცებული თვალები მომაშტერა. მე მაშინვე მივაძახე, დავბრუნდი, კაკო, გზიდან დავბრუნდი, თუ კაცი ხარ, შენს პირად ცხოვრებაზე მაინც მიახვე რამე, თორემ ვერაფერს დავწერ, რედაქტორთან თავი მომეჭრება-მეთქი.

პარიკმახერიც გაოცებული შემომახერდა. ახლა იმას მივმართე, იქნება თქვენ იცოდეთ რამე ამის შესახებ, ნარკევი მინდა დავწერო და ვერაფერს შეუბნება-მეთქი. პარიკმახერმა შემომლიმა, ალბათ მიხვდა ჩემს გასაჭირს და თქვა:

— იგერა, ხელდახელ ჩამოვპარსავ, მერე ამან კაკოს ახოსთან ერთი ზელადა არაყი ამიიტანოს და იქ გიამბობ მაგის თავგადასაველასაც.

— კაკოს ახოსთან?! — შევაჩერე პარიკმახერი.

— ჰო, კაკოს ახოსთან.

— კაკოს ახო რა არის და სად არის?!

— კაკოს ახო ამიწ ფართობია, პირველად იქ მთიყვანა დიდძალი სიმინდი. მას მერე სოფელმა კაკოს ახო შეარქვა იმ ადგილს.

შეებით ამოვიტუნთქე, იქვე სკამზე ჩამოვჯექი, პარიკმახერს ვთხოვე, შენი ჭირიშე, ის მიახვე, რა არის „კაკოს ახო“ და როგორ შეარქვა სოფელმა ეს სახელი.

ნატყვევარი კაკო სოფელში რო დაბრუნებულა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ცხვირი აუბზევია, ახლოს არ გაუკარებია. ბაქია თავმჯდომარე ყოფილა, ჯარში მართლაც იყო, მაგრამ წინა ხაზზე არასოდეს მოხვედრილა, სულ ზურგის ნაწილებში უმსახურია და ორიოდ მედალიც კი მიუღია. მეკრდი სულმუდამ წინ ჰქონია გამოწვეული, პალტო მეკრდზე მუდამ გადაღვლილი ჰქონია, მედლები არ დამიფაროსო.

ნატყვევარი კაკო ახლოს არ გაუკარებია.

თავმჯდომარე რო გაუძალიანდა და ორი ჰექტარი მიწა არ გაუპიროვნა, კაკო

მაინც არ მოეშვა და ბოლოს ეგასობოვა:

ერქინეული

— კაკო, ხუთი დღით ტრაქტორი მაინც მათხოვე, ნინოსხევთან რომ ლაფნიანია, იმას ამოვიძირკვავ და დავამუშავებო.

ამაზე კი დათანხმდა თავმჯდომარე, იმ უნაყოფო ლაფნიანს თუ სამინდვრე ფართობად აქცევს, ამას რა სჯობსო.

და აგუგუნდა ტრაქტორი ლაფნიანში.

შეალაჯა თავისი გრძელი ნაბიჯებით კაკომ ლაფნიანში, წერაქვიც თან შეიტანა და ტრაქტორის მიერ ამონათხარ ბუჩქნარსა და კუნძებს მიადგა. ნელი და დინჯი კაცია კაკო, მაგრამ საქმეს რასაც გააყეთებს, უნაკლოდ გააყეთებს. მოჰყვა ნელ-ნელა, არცერთი ფესვი არ დატოვა მიწაში, მოთხრილი ლაფანი და ძირკვები კიდეებზე მიყარა.

სოფელში ენაქავილა ქალების ნატარტარები და ზოგიერთი მამაკაცის ნაჩურჩულები, ერთ საღამოს ცოლმა შინ დაახვედრა კაკოს:

— ბატიანთ და მამკელანთ უბნებში, ანდა ნინოსხევის მიდამოებში მინდვრები რამ დალია, ე კაკო რო ამ ლაფნიანს მიდგომია?!

— მამაცხონებულს ოჯახში საქმე შემოელია?!

— იქა ლაფანი ვერა ხარობს ხეირიანად, სიმინდი და თუთუნი როგორღა იხეირებს?!

— დააცა, კაკო, ბოლოს ხომ მიხვდება, პაიპარად რომ ოფლი შეიღინა.

ამისთანა სხვაც ბევრი მოუფროვებია კაკოს მეუღლეს სოფელში და იმ საღამოს ვახშმად მიმკდარ კაკოს სუფრაზე დაულაგა ზომაზე მეტად პილპილმოყრილ შეჭამანდივით.

მადიანად შეექცეოდა ვახშამს მთელ დღეს ნაჭაფი კაკო. სიტყვაძვირი კაცია, ლაპარაკში აცერცეტება არ უყვარს. ვახშამი მოამთავრა, ჭიქა ღვინო ნელ-ნელა დაცალა, ჯიბიდან თუთუნი ამოიღო, პაპიროსი გაახვია, მოუყიდა, მოჭაჩა და თამბაქოს ბოლს თან მდორემდორე სიტყვებიც ამოაყოლა:



— ქალო, სოფლის გულში რაც იმარხება, განა ყველაფერი დასანახია? ნუ უგდებ ყურს, დედაკაკო! შემოდგომა გლეხი კაცის მარჯვენის სარკეა. ჰოდა, ი შემოდგომაც მალე მოვა.

ხელისგულივით გადაასწორა კაკომ ახო. გარშემო ღობესავით შემოავლო ამოთხრილი ლაფანი, ძირკვები და ფესვები.

დახხნა...

დათესა...

დაფარცხა...

ნაწილზე სიმინდი დათესა, ნაწილზე თამბაქო დარგო.

ღვთის თვალი ეცა ნათესს.

თოხნა უხაროდა კაკოს, ყოველი ძირი სიმინდი ისეთი იყო, გამოსაჭრელად ენანებოდა, მაგრამ კარგად იცის კაკომ სიმინდის ყადრი, თავისებურად გათოხნა და აიყარა ტანი სიმინდმა.

ვასშობისას კაკოს ცოლმა სოფლის ენატარტალა დედაკაცების ნაჭილიკართა სუფრასთან მიტანას თანდათან უქლო.

და იმ დროს, როცა სოფელი აღაპარაკდა — „დახეთ, კაკოს ახოზე სიმინდი როგორ გადარიიო“, — უეცრად უსაშველო სეტყვამ მიწაზე გააწვინა წელმოწყვეტილი სიმინდის ყანა და თამბაქო.

ყოველი ძირი სიმინდი და თამბაქო მისთვის ჩვეული სიღინჯით შემოიარა კაკომ, ფეხზე წამოაყენა დაღწილი სიმინდის ღეროები, მიწა შემოუყარა. ღვთის თვალმა მაინც თავისი გაიტანა, ღვთის თვალმა და კაკოს ზრუნვამ. წელში გაიმართა, სული მოიბრუნა სიმინდმა. თოხი აღარ მოაშორა ყანას კაკომ, ბალახი არ გააჭაჭანა ყანაში.

„კაკოს ახოზე სიმინდმა კვლავ იძალაო“.

„კაკოს ახოს სეტყვამ ვერა დააკლო რაო“.

სოფელში საყანე ადგილების ახალი სახელი გაჩნდა — „კაკოს ახო“.

„კაკოს ახოსთან შემხვდაო...“

„კაკოს ახოსთან მომისწრო წვიმამო“.

„კაკოს ახოსთან მწყერი ამიტრინდაო“.

და სხვა მისთანანი ხშირად ამხვდა ახლა სოფელში.

სამეზობლოში აღარ ჩურჩულებდნენ: „რამ გადარიიო“, „ბოლოს გაიგებსო“, „მითამ რაო“, რადგან უფრო და უფრო გახშირდა ორღობეებში გადაამახილები:

„კაკოს ახოსთან წვიმამ მომისწროო“.

„კაკოს ახოსთან მწყერი ამიტრინდაო“.

„კაკოს ახოსთან შემომათენდაო“.

ბუდუმ რო უთხრა არჩილს, ამ ზეგანს მაგ კაპიტნის სახელს დავარქმევდოო, ამან გამახსენა ეს ამბავი.

### გამჰქინვაპარეზული ქალი

დღეს 16 მაისია. ორი დღეა, რაც უსახელო ზეგანს გამოვშორდით. ამ დილით ნათლად გამოიკვეთა ჩვენი ფრონტის სავალალო მდგომარეობა. მთლად მოიშალა სამხედრო ორგანიზმი, ყოველ შემთხვევაში, ასე სჩანს აქ, ჩემს ახლო-მახლო. დაშლილი ნაწილები ერთმანეთში აირია, უწესრიგოდ მიემართებოან აზოვის ზღვის მიმართულებით. არავინ იცის, რა მდგომარეობაა შექმნილი. მეთაურები თავჩაქინდარულნი მიუძღვებიან გადარჩენილ ოცეულებს, ასეულებს.

ჩვენც ავედღვენეთ ამ უქანდახეულ ნაწილებს.

გენადიმ ვერა და ვერ მიაგვლია არმიის შტაბის ასავალ-დასავალს. ბოლოს ხელი ჩაიჭნია. მობეზრდა კიდევ უშედეგო ძიება. გუშინ მე და არჩილს განგვიცხადა, ვერაფერი გამიგია, თქვენი თავი რაღად გამომატანეს შტაბში, ეს გერმანელი ტყვე მესმის, რატომაც გამომატანეს, მაგრამ ახლა ამ დღეში მყოფმა ამას რაღა ვუყო, აღარაფერი ვიცი, ვაივავალახით ამხელა გზა გამოვიარეთ, ეს გოგოც მოგვდევს, ეტყობა

მთლად პირწავარდნილი ფრიცი არ უნდა იყოს და ხო არ მოვკლავ, არადა, აღარ ვიცი, სადღა მივიყვანო.

გუშინდელი შემთხვევის შემდეგ ჰილდასადმი მეტ ყურადღებას იჩენს, ხო არ დაიღალე, ხო არ მოგწყურდაო, ეკითხება ხოლმე გზაში. გენადიმ ამ დილით ისიც კი მითხრა, ეგებ ამ გოგოს გერმანული მუნდირი მოვაშოროთ და რაიმე სხვა ტანისამოსი ჩავაცვათ, — ვაითუ რომელიმე გამწარებულმა ჭარისკაცმა მოულოდნელად ტყვიაც კი დაახალოსო.

გუშინდელი ამბის შემდეგ ჰილდაც შეიცვალა, — დაფეთდა, თვალბში ლიმბილი ჩაუყვდა, როცა მივიდევართ, ლამის მხრებზე ჩამომეკიდოს, ისე ახლო მომყვება, თუ ჩამოვსხედით სადმე, ობოლას კისერზე ხელებს შემოხვევს და ზის გატრუნული.

წელან გუბურასკენ წყლის მოსატანად წავედი, თან გამომყვა ჰილდა, არჩილთან და გენადისთანაც არ დარჩა, წყალს მოვიტან და მალე მოვალ-მეთქი, მერე რა, მეც თან წამოგყვებიო. რა თქმა უნდა, ობოლაც აედევნა. გერმანულ ფარაჯიანს თუ ასე დაუახლოვდებოდა ობოლა, არ მეგონა. ამას კი ისე შეეთვისა, თითქოს დიდი ხნის პატრონი იყო მისი. მართალია, ჰილდაც ეფერება, ჩვენ იმდენად ვერ ვიცლით ობოლასათვის, ჰილდასაც ვერ ვაქცევთ იმ ყურადღებას, ჭალიშვილს რომ ეკადრება, ამას, რა თქმა უნდა, ორივე გრძნობს და ერთმანეთს უფრო იოლად შეეგუნენ. ობოლა ხალისიანად ულოკავს ხოლმე ხელისგულებსა და თითებს ჰილდას. გაინაბება, გაიტრუნება, თავს მიწაზე მიდებს, თვალებს დახუჭავს, როცა ჰილდა თითებით მის ზურგს შეეხება. ამ დღემ ში რომ იყენენ, ერთხელ ფიჭქრმა გამიელვა — ახლა რომ მეორე, უცხო გერმანელი ჭარისკაცი გამოჩნდეს, ნეტა ობოლა რას მოიმოქმედებს-მეთქი. ნუთუ აღარ ახელებს ობოლას ჰილდას მოლისფერი მუნდირი?! ნუთუ გოგონას აღამიანურმა სითბომ გაწამებული ძაღლის გულში ყინულივით აგორებუ-

ლი ბოღმა გაალო?! მოლისფერმუნდირიან ჰილდას ობოლა უფრო აღარ უყურებს, როგორც მტერს.

გუბურასთან მისვლამდე ჰილდამ შემეჩერა:

— ჰერ ბუდუ, — ბატონო ბუდუო, გერმანულად მომმართა, მერე რუსულად განაგრძო, — ძალიან ვთხოვთ, მარტოკას ნულარ მიმატოვებთ.

— არა, ჰილდა, არსადაც არ მიგატოვებ, ნუ გეშინია.

— თქვენ კარგი ყმაწვილი ბრძანდებით, მე არ მეშინია თქვენი. თითქმის შეგეჩვიეთ კიდევ.

— უნდა შეგეჩვიო, აბა რა! კაცი-კამიები კი არა ვართ. რაკი შემეჩვიე, მოდი, თქვენობით ნულა მელაპარაკები. ჩვენ თითქმის თანატოლები ვართ, არა, მე შეიძლება რამდენიმე წლით უფროსი ვარ შენზე, მაგრამ ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს, მაინც თანატოლები გვეთქმის, ჰოდა, ერთმანეთს შენობით მიემართოთ.

ხელზე ხელი ჩავკიდე და გუბურასაკენ გავიყოლიე.

— ბუდუ, მე შენისთანა ბიჭი არასოდეს შემხვედრია, — ჩურჩულ-ჩურჩულთ გამომყვა ჰილდა.

— კაი ერთი, თუ ლმერთი გწამს! ჩემზე უკეთესი ბიჭები რამდენიც გინდა, იმდენია ქვეყანაზე.

— კი, შეიძლება არიან, მაგრამ მე არ შემხვედრია.

— მერე რა, რო არ შეგხვედრია?! — რა და, კარგია რომ შემხვდი.

— კარგ ადგილას კი შეგხვდით ერთმანეთს.

— საქმეც ის არის, კარგ ადგილას არ შეგხვდით, როგორც მტრები, ისე გადავეყარენით ერთერთს. ამგვარ მდგომარეობაში ძნელია კარგი ბიჭობა. შენ ძალიან კარგი ბიჭი ყოფილხარ.

— არჩილიც ხო კაი ბიჭია?! — არჩილიც კაი ბიჭია.

— გენადი?

— ჰო, გენადიც.

გუბურას მივეუახლოვდით. უცებ ობოლა რაღაცას დააჩერდა მიწაზე, მაშინვე



ცხვირწინ გომბეშო წამოუხტა, გომბეშოში რამდენიმე ნახტომი გააკეთა გუბურასაკენ, გაოცებული ობოლა მიჰყვა. ახლოს ვერ მიეკარა, გულდასმით უთვალთვალა გაჩაჩხულფეხებიან გომბეშოს, სანამ გუბურაში არ მოადინა ტყაპანი. გომბეშო წყალში ჩაყურყურმალავდა და ცოტახნის შემდეგ გუბურას შეუაგულში შექუჩებულ ლაქაშებთან ამოყო თავი, ლაქაშის მწვანე ღეროებთან გაიჩაჩხა წყლის ზედაპირზე. ობოლამ გუბურას ნაპირთან თავი შემართა და სულგანებული მიაჩერდა წვრილთვალეზგადმოკარკულ გომბეშოს.

გომბეშო რომ წამოუხტა ობოლას, ჰილდას ფეხებთან დახტა, ეს ჰილდამ დაინახა, შეჰკივლა და ორივე ხელით მკლავზე ჩამებლაუჭა, მაგრამ იმწამსვე გომბეშომ რამდენიმე კამარა შეჰკრა და ჰილდას გაშორდა.

— გომბეშოა, ნუ გეშინია, — დავამწვიდე ჰილდა.

ხელები მანამ არ შემიშვა, სანამ გომბეშო წყალში არ გადახტა.

მივადექით გუბურას.

საველე ქვაბურა გუბურას ოდნავ შემღვრეული წყლით ავავსე, ჰილდას გავუწოდე. ჰილდა ლაქაშთან მინაბულ ბაყაყს მიაჩერდა. ობოლა გუბურას ტლიკავდა ენით. მივხვდი, ეუხერხულა ამნაირი წყლის დაღვევა ჰილდას, ქვაბურა პირზე მივიყუდე და ხარბად მოვსვი. მერე ისევ გავუწოდე:

— აჰა, დალიე, თორემ ვინ იცის, სად წავაწყდებით კიდეე წყალს.

ჰილდამ წყალი მოსვა.

გუბურასთან ჩავყუნციდი, მათარები შევავსე.

ჰილდაც ჩაყუნცდა ჩემს გვერდით.

— იცი, რა უნდა ვითხრა?

— რა?

— მე ასე მგონია, ჩვენ ერთმანეთის მტრები არა ვართ.

— ჰო, ჰილდა, მეც ასე მგონია. სანამ იმ ძელმიწურში იჯექი, საიდანაც გამოგიტაცეთ. შეიძლება ვიყავით ერთმანეთის მტრები, იმიტომაც გამოგიტაცეთ. ახლა ჩვენ აღაო ვართ ერთმანეთის

მტრები. ხო შევეჩვიეთ კიდეც ერთმანეთს ამ ორომტრიალში.

— გუშინ ძალიან შემეშინდა.

— კარგი, გეყოფა, ნულა მოიგონებ გუშინდელ ამბავს.

— ნულა მიმტოვებ მარტოვას.

— ჰო, კარგი, აღარ მიგატოვებ.

გუშინ უსახელო ზეგანიდან წამოსულებმა საღამომდე ვიარეთ. საქმელი შემოგველია, მთელ გზაზე ვერსად ვერაფერი ვიშოვეთ. საშინლად დაქანცულნი და დამშეულნი შეღამებისას ერთ პატარა სოფელს მივადექით. იმ სახლთან შევჩერდით, რომლის ბუხრიდანაც კვამლი ამოდოდა. სახლის კარი უკითხავად შევალეთ, მოზრდილ ოთახში რამდენიმე უცნობი ჭარისკაცი დაგვხვდა. ზოგი იატაკზე მიწოლილიყო და ხვრინავდა, ზოგი კედელზე ზურგმიყრდნობილი იჯდა და თუთუნს აბოლებდა. ჩვენი დანახვა არავის გააკვირვებია, არც არავის უკითხავს, ვინა ხართ. სახლის პატრონი არ ჩანდა. მივხვდით. ჩვენსავით ლამის გასათევად რომ შეჩერებულებყვნენ აქ ჭარისკაცები. შეპატივებას არც ჩვენ დაველოდეთ და ოთახში შევედით.

ერთ კუთხეში მივაწყვეთ ზურგჩანთები და დალილები იქვე მივეყარენით. გრძელ მაგიდაზე პატარა ლამფა იდგა, მბეუტავი ალი ოთახს ოდნავ ანათებდა, იქ დამხვდურთა სახეები კარგად არც სჩანდა.

კარი გაიღო და ახალგაზრდა დიასახლისი შემოვიდა, ლუმელიდან ათუხთუხებულნი დიდი ქვაბი გამოიღო, იქვე ვედროში ქვაბიდან მდულარე წყალი გადაღვარა, ჩვრებშემოხვეული ქვაბი ჭარისკაცებთან მიიტანა და ოხშოვარადენილი მრგვალად მოხარშული კარტოფილი ჩამოარიგა ლაპარაკ-ლაპარაკით:

— ჰური ვერ ვიშოვეთ, ბიჭებო. ვერც არაყო. კარგი იქნებოდა ახლა ცოტა არაყო, შეგახურებდათ. აიღეთ, აიღეთ, ცხელი კარტოფილით მაინც დანაყრდით.

დაბამბულ მოკლე კურტავი ეცვა.

მაგრამ ერთი შეხედვითაც ეტყობოდა, ლაზათიანად ჩამოქნილი ტან-ფეხი რო ჰქონდა. წელში გამოყვანილი კურტაკი წელს ქვემოთ ოდნავ გაგანიერებულ თეზობებს შემოტმანსოდა. ოთახში შემოაყო თუ არა თავი, სანთლის მკრთალ შუქზეც თვალებიდან ეღვა აუსხლტა.

ქალისა და ჭარისკაცების ჩოჩქოლის ხმაზე მძინარე სალდათებმაც გაიღვიძეს, ცხელ-ცხელი კარტოფილი პეშებზე დაიყარეს, თითქოს ნაკვერცხლები ედოთ ხელისგულებზე და ალის ასადენად სულს უბერავენო, ისე უქშენდნენ კარტოფილებს, გაუფცქვენლად იტაცეს პირში.

— მაინც რა დაგიშინეს ასეთი მაგ ძალიშვილმა გერმანელებმა, რო ვერ შეაჩერეთ და უკან გამორბიხართ?! პილპილი წააყარა სამასპინძლო სიტყვებს ქალმა, — დანაყრდით, დანაყრდით, თქვე საცოდავებო! ხვალ თუ შეაჩერეთ, ხომ კარგი, თუ არა, მეც გამოგყვებით, აბა, აქ დავრჩები?! აღარ შემიძლია, ვეღარ ჩაუფარდები ხელში მაგ მხეცებს, ერთხელ ძლივს გადაფურჩი და ახლა სიკვდილი მირჩევნია მაგათთან ყოფნას.

ასე ლაპარაკობდა, თან ამასობაში არჩილსა და გენადის უმასპინძლდებოდა. მერე მე გამომიწოდა ქვაბი, ორიოდ კარტოფილი ამოვიღე, და ახლა ჩემს გვერდით მჯდარ ჰილდას გაუწოდა. უცებ ლაპარაკი შეწყვიტა და გაწვდილი ქვაბი ხელთ გაუშეშდა, ჰილდას მიაჩერდა დაეინებით. ჰილდას ხელი არ გაუშევერია კარტოფილის ამოსაღებად, იჭდა ჩემს მხარზე მხრით მოყრდნობილი, გატრუნული.

ლამფის მკრთალ შუქზე ჩემთან ახლოს მყოფ მასპინძელს თვალი შევავლე, ბამბის კურტაკში ისე ახალგაზრდა არ ჩანდა, როგორც ყოფილა, ადრე დაქალბუღილი გოგონას იერი დაჰკარავდა, ჰილდას რო მიაჩერდა, წამწამებ-აბრეხილ თვალეებში კვლავ ეღვა გაუცრთა და ქვაბი იატაკზე დადო.

— ეს ვინ არის?! — ჰილდაზე მიმტრებულმა ვის ჰკითხა, კაცი ვერ მიხე-

დებოდა, — ეს ჩიტი აქ საიდან შემოფრინდა?!  
ეროვნული  
საზოგადოებრივი  
საბჭოთა

ჰილდა უფრო მკიდრად ამეკრა მხარზე. ახლა ქალმა მზერა ჩემზე გადმოიტანა, მყისვე მივხვდი, ჩემგან რო ელოდა პასუხს და მეც არ დავაყოვნე:

— ჩვენი ტყვეა, არმიის შტაბში მიგყავს.

— ტყვე?!

— ჰო, ტყვე.

კარტოფილის ქაშით გართული ჭარისკაცებიც მიაჩერდნენ ჰილდას, ახალა შეამჩნიეს ის.

მასპინძელი წელში გაიმართა.

— ტყვეს და ისიც გოგოს აქ, თქვენთან რა უნდა, — მომმართა მე, — ჩემს ოთახში გავიყვან, ჩემთან იქნება ამაღამ, არხინად იყავით, ვერსადაც ვერ გამეჭკცევა.

გამომყევევით, მიაძახა ჰილდას, ჰილდაც უხმოდ მინებდა და ორივენი ოთახიდან გავიდნენ.

არჩილი და გენადი იატაკზე მიწვნენ, თავი ზურგჩანთებს მიადვეს, შინელები გადაიფარეს და გაინახნენ. მე ორიოდ კარტოფილი შევჭამე. ვიღაცამ შემომძახა, ქვაბში კარტოფილი თუ დარჩაო, კი-მეთქი. მოვიდა, ქვაბი წაიღო და ისევ თავის ადგილას ჩაჭდა კედელთან. მის ახლო მჯდომმა რამდენიმე ჭარისკაცმა ერთად ჩააყო ხელი ქვაბში.

ჩემს გვერდით მწოლიარე გენადიმ გვერდი მოინაცვლა, ჩემსკენ გადმობრუნდა, დაწეკი, დაიძინეო, შემომჩურჩულა და შინელი გვერდზე შემოიკეცა.

ომი რომ არა, ამ კაცს ვერასოდეს შევხვდებოდი. რამდენიმე დღეში უცნობმა მამისტოლა კაცმა თავი შემაყვარა, ასე მგონია, დიდი ხანია ვიცნობ. ალბათ არჩილიც ასე ფიქრობს გენადიზე. უცნაურად შევხვდით ერთმანეთს, არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდით ერთად, მაგრამ რამდენიმე დღის დუხჭირ გზაზე თანდათან გაიფანტა ჩვენს შორის ბურუსი, გამოირკვა, გენადი სრულებითაც არ ყოფილა ისეთი, როგორც პირველ დღეს მომეჩვენა, ალბათ, გენადიც სხვანაირი თვალით

გვეყურებდა პირველ დღეს, მერე-დამერე იმასაც შეეცვალა ჩვენზე აზრი. პირველი დღიდან რაღაცა გვაშორიშორებდა, არა იმიტომ, რომ ის ასაკით ჩვენზე უფროსი იყო, არა, ამის მიზეზი სულ სხვა რამ იყო. მას ჩვენი თავი ჩააბარეს, მას ჩვენ მივეყავდით, ჩვენ კი — მივეყებოდით, ტყვესთან ერთად მივეყებოდით. თანდათან ეს გაძლოლ-გაყოლის გრძნობა შენედა, ორიოდ დღის შემდეგ ფრონტის აურზაურთან გზაზე სრულიად გაქრა კიდევ. აღარც გენადის ეტუობობა, რომ ის ჩვენი გამძლოლი იყო, აღარც ჩვენ ვიყავით მისი მიმყოლები. ჩვენ უკვე ჩვენს ნებაზე ავმოქმედდით და ახლა უკვე გენადი იყო ჩვენი მომყოლი. ის კი არა და, პილდასთან დამოკიდებულებაც შეიცვალა, ხშირად გვავეციფდებოდა ჩვენც და გენადისაც, რომ პილდა ტყვე იყო, ნელ-ნელა შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ ის ჩვენი თანამგზავრი გოგოა. გენადი გუშავივით აღარ აღევნებდა თვალს პილდას.

გუშინ, უსახელო ზეგანს რო გამოვცდით, შუადღისას ერთ ადგილას შევისვენეთ, თუთუნის გაჭაბოლეთ. არმიის შტაბის ძებნით თავგაბეზრებულმა გენადიმ ზურგჩანთიდან პაკეტი ამოიღო, აჩილსა და მე გამოგვიწოდა და თქვა:

— აჰა, ბიჭებო, როგორც სჩანს, არმიის შტაბს ჩვენ ვეღარ მივაკვლევთ. ეს პაკეტი გამომატანა კაპიტანმა, მაგის ტარების თავი აღარა მაქვს, რაც გინდათ, ის უყავით.

პაკეტი გამოვართვი. კონვერტი დაწებებული არ იყო. სულმა წამშია, შიგ ჩადებული ქალაქი ამოვიღე და ჩავეიკითხე. ორმოდან ჩვენი გაქცევისა და პილდას ტყვედ აყვანის ამბავი იყო მოკლულ აღწერილი და დასკვნაში კაპიტანი საეჭვოდ მიიჩნევდა ამ ამბავს. გენადიმ მკითხა, რა წერია მაგ ქალაქზეო. ვუთხარი, რაც ეწერა. თუ ღმერთი გწამთ, თქვენ გჭონდეთ ეგ პაკეტი და თვითონ მიიტანეთ არმიის შტაბშიო, თქვა გენადიმ, თითებში შერჩენილი სიგარეტის ნარჩენი ბოლომდე მოქაჩა,

ღმერთი ჩაისუნთქა ბოლო, ნამწყვდევნიდან ზე დაავდო და ქუსლით მისჩიქოდა.

სანამ ამ სახლს არ მივადექით, ხმა აღარ ამოუღია გენადის.

გენადიზე ფიქრში ძილი მომეძალა, დაწოლა დავაპირე, მაგრამ უცებ კარი გაიღო, ოთახში მასპინძელი შემოიჭრა და დედიშობილა პილდა შემოათარია.

ლამფის მკრთალ სინათლეზე თეთრად აელვარდა პილდას შიშველი სხეული. თავდაბრილი დადგა კართან, ჭერა თმა მხრებზე და მკერდზე ჰქონდა ჩამოცურებული.

მასპინძელმა ქალიშვილმა პილდას მკლავს ხელი უშვა, არწივივით ჩამოუქროლა იატაკზე მიყრილ ჭარისკაცებს და შესძახა (ეს არც უყირილი იყო და არც ჩურჩული, რაღაც მუდარასავით ეღერდა მისი სიტყვები):

— ადექით, ბიჭებო, შეხედეთ, ბიჭებო, გერმანელებსაც ჰყოლიათ ლამაზი გოგოები! შეხედეთ, რა ასხმული ტან-ფეხი აქვს ამ გოგოს, ნახეთ, ნახეთ, იმ პატარა ძუძუებს თითქოს ჭერ კაცის ხელი არ მიკარებოდეს, ისე არიან აკოკრებული.

პილდამ მკლავები გულ-მკერდზე დაიწყო, კედლისკენ შებრუნდა და შუბლით კედელს მიეყრდნო.

მასპინძელმა ხმას აუწია, შუა ოთახში დადგა და შეღვიძებულ ჭარისკაცებს შეუტია:

— გამოფხიზლდით, გამოფხიზლდით!.. ასეთი გოგოა აქ და თქვენ რა გაძინებთ?! კაცობა ხომ არ დაკარგეთ?! თვალი შეავლეთ, ლერწამივით ჩამოქნილი ტანი აქვს!.. მაგათი ჭარისკაცები ხო ჯიჯგნიან თქვენსა დებსა და ცოლებს?!.. თქვენ რად უნდა დაინდოთ ეგ?!. მიღით-მეთქი, შური იძიეთ თქვენი ცოლებისა და დების... ჩემი შური იძიეთ, ჩემი!..

ჭარისკაცებმა თავი ჩაბარეს. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, ისე ელვისებურად, გაოგნებული მაშინვე გონს ვერ მოვედი, გაშტერებული მივჩერებოდი პილდას მოცახცახე შიშველ სხეულს



და ერთხანს ასე ეუსმენდი მასპინძელი ქალიშვილის გაავებულ ხმას.

თავჩაქინდრული ჭარისკაცების უმოქმედობამ უფრო გაახელა მასპინძელი. ზოგი ჭარისკაცი კვლავ გაწვა იატაკზე და თავზე შინელი გადაიფარა. ერთმა მიძახა კიდევ:

— რას ჩადიხარ, ქალო, გონს მოდი, გაიყვანე ეს გოგო ოთახიდან.

მასპინძელი იმ ჭარისკაცთან მიიჭრა, თავს წაადგა და ქოქოლა მიჰყარა:

— ფუი შენს კაცობას!.. რაო, რაო?!.. გონს მოდიო... მე რა, გონს გადასული ვარ?!.. თუ ცვედანი არა ხარ, ადე, შენ გაიყვანე, მეორე ოთახში გაიყვანე და...

— ჩვენ მხეცები კი არ ვართ, ქალო!

— სიტყვა შეაწყვეტინა ჭარისკაცმა.

— მხეცები!.. — გამოაჯავრა მასპინძელმა, — ახლა მხეცებიც უნდა იყოთ და ნადრებიც, აბა, რა! მე ამ კახპაზე ნაკლები ვიყავი?! აბა, ერთი კარგათ შემომხედე!

ბამბის კურტაკი გაიხადა და ოთახში მოისროლა, მერე კაბის საკინძე შეიხსნა, კალთები წამოიწია და კაბის გახდა მოინდომა. ჭარისკაცი წამოიჭრა, მივარდა, კაბის გახდა არ დაანება, დაწყნარდი, ხომ არ გაგიცდიო, თან ჩასძახა.

მეც გონს მოვედი, წამოვევარდი, პილდასთან მივიჭერი, კედლისკენ მიბრუნებულს და კედელზე შუბლით მიყრდნობილ მხრებზე ჩემი შინელი შემოვახურე, კარი გამოვადე და გაიყვანე. მეორე ოთახში შევეუსვი, საჩქაროდ ჩაიცივი-მეთქი, მივამახე და კვლავ ოთახში დავბრუნდი.

ჭარისკაცს მეორე ჭარისკაცი მიშველებოცა და მასპინძელს ამშვიდებდნენ. მაგრამ არა და არ ცხრებოდა. შევედი თუ არა, მე შემომაჩერდა გაწიწმატებული და კართან მდგარს შემომძახა:

— გააპარე, არა?!.. დინდე, შეიცოდე, შეიბრალებ ხომ?!.. თქვენი გაბახებული დედები და დები არ გეცოდებთ და ეგ კახპა გეცოდებთ... ეგ არის თქვენი რაინდობა?!. მე?!. მე ვინლა შემიცოდა?!. მე ვინლა დამინდო?!. — ჭარისკაცებს მიუბრუნდა, ჭარისკაცებმა

დაიხიეს და ხმაჩაკმდილები შესცქეროდნენ ქალიშვილის წამონაკვრისხლებულ თვალებს, — მითხარით, ხმა ამოიღეთ, პასუხი გამეციო!.. თუ არაფერი იციო?!. პოდა, თქვენ თუ არაფერი იციო, მე ვიცი. მე ვიცი, რა მხეცებიც არიან მაგ კახპას თანამემამულეები. მე ვიცი-მეთქი, გესმით, მანდ რო მიყრილხართ და ხვრინავთ, თვალი გაახილეთ, ყურთასმენა მომაჟყარით, რაკი თქვენ არ იციო, მე გეტყვით... გეტყვით და იქნება მერე მაინც შეიძლოთ ცოდვა-მადლის განკითხვა... პირველად რომ გაიქეციოთ აქედან და ფაშისტებს ჩაუგდეთ ხელთ ჩემი თავი, მაშინ მოხდა ეს ამბავი... მოხდებოდა, აბა, რა იქნებოდა?!. მარტოკა, უშწეო და უსუსური გოგო შევრჩი ნამუსგარეცხილ გერმანელებს... ხუთი აფთარი მომეჭრა, გესმით, ხუთი აფთარი, აი, აქ, ამ ოთახში, საცა ახლა თქვენა ყრიხართ და საიდანაც გაქცევას კიდევ აპირებთ, საცა კვლავ უნდა მიმატოვოთ მე, მაგრამ ნუ-რას უჯაცრავად, ამჯერად ცოცხალი თავით აქ გამჩერებელი აღარა ვარ... ხუთი აფთარი დამაცხრა-მეთქი, გამაშიშველეს, დედიშობილას ხახაში არაყი ჩამასხეს... მამბურთავეს, მჯიჯგნეს, ღრი-ალ-ღრიალით, ხითხით-ხითხითით, ალი-აქოთითა და ორომტრიალით... მჯიჯგნეს და მჯიჯგნეს... აღარც მახსოვს, რამდენ ხანს... მერე გონწასული და გაღეშილი მიმაგდეს აი, მაგ ტახტზე, შენ რო გათხლამულხარ ახლა, ძმობილო, მიმაგდეს და წავიდნენ.

იატაკზე მიყრილი ჭარისკაცები თანდათან წელში გაიმართნენ, ფეხზე წამოდგნენ და გაქვავებულნი უსმენდნენ გაათთრებულ მასპინძლის შემაძრწუნებელ სიტყვებს. ქალს ეს არც შეუმჩნევია, მიშტერებოდა მათ გაქვავებულ სახეებს და ბალღამიან გულს წურავდა მათ წინაშე. ხანდახან მხრებს აიჩეჩავდნენ, უხერხულად იმშუშნებოდნენ გაოგნებული ჭარისკაცები.

უეცრად მასპინძელი დადუმდა. ერთხანს ასე იდგა, ფეხზე მდგარი ჭარისკაცები მიათვალეირ-მოათვალეირა, მერე

თავი ჩაქინდრა, ხელისგულები სახეზე მიიფარა და უსიტყვო ქვითინი წასკდა. წინ მდგარი ჯარისკაცი მიეჭრა, დაჭრილი იყო და მკლავი კისერზე ბანდით ჰქონდა ჩამოკიდებული, მეორე ხელი ქალს მიაშველა, რალაცა უთხრა კიდევ.

ჯარისკაცის ჩემსკენ მოშვერილი სახე მეცნო, მომხდარი ამბებით გაბრუნებული ჩემდაუნებურად ამ სახეს მივაჩერდი და უცებ კინაღამ შეგვყვირე, სამოელ-მეთქი, მაგრამ ისე ვიყავი გადავებული გამძვინვარებული მაპინძლისა და ჰილდას ამბით, ხმის ამოღება ვერ მოვახერხე. სრულებით არ ველოდი, ახლა აქ, ამდაგვარ გარემოებაში თუ შეგხვდებოდი ჩემი სტუდენტობის მეგობარს სამოელს, რომელსაც ქერჩში დავშორდი. ისე გამიხარდა, სხვა მდგომარეობაში რომ ვყოფილიყავი, მივეჭრებოდი და მაგრად გადავებვოდი, ისიც ასე შემომხვდებოდა, მაგრამ ამ წუთას, როცა ავრე მწარედ აბორგებულმა ქალმა სიტყვა დაამთავრა, თავი ჩაქინდრა და ქვითინი წასკდა, სამოელმა რომ ხელი მიაშველა და მაგიდასთან მდგარ სკამისაკენ წაიზიდა აქვითინებული ქალიშვილი, ხმაც ვერ ამოვიღე, სამოელს ვერ დავუძახე, გადავებვოდი კი არა, ახლოსაც ვერ მივედი, კართანვე ვიდგე გაშეშებული, საცოდავი მასპინძლის ბედით ვიდაგებოდი და თანაც იმაზე ვფიქრობდი, ჰილდა როგორ გამეშორებინა აქაურობიდან.

არჩილთან და გენადისთან მივედი, წაგიყვანოთ აქედან ის გოგო, სიფრთხილეს თავი არ სტყევა, ამ ბიჭებს შურისძიების ისეთი ცეცხლი აქვთ ახლა წაკიდებული, ჰილდა რომ დაინახონ, რა ვიცი, ვინ რა ხასიათზე დადგება, ვაი თუ ცხელ გულზე ვინმემ მიაკლას კიდევ აქვე, ცოდვას ცოდვა მიემატება და საჩქაროდ წავიდეთ აქედან-მეთქი.

არჩილს და გენადის ჰქუაში დაუჯდათ ჩემი რჩევა, ზურგჩანთები აიღეს და ოთახიდან გავიდნენ.

მე სამოელთან მივედი, რომელიც ქვითინით გულამომჭდარ ქალიშვილთან იდგა, მკლავზე ხელი წაგავლე, არც

ვაციე არც ვაცხელე, სამოელ. ცოტახნით გარეთ გამოდი-მეთქი, წაქურჩულე ქართულად. გაოცებულმა შემომხვდა, მკლავზე ხელი არ შევეშვი და როცა კარისკენ ნაბიჯი გადავდგი, თან ამედევნა.

არჩილს და გენადის ჰილდა გარეთ გაეყვანათ და ეზოში მელოდებოდნენ. ობოლა ფეხებში გამებლანდა. ეზოში დავიგულე თუ არა თავი, სამოელს გადავებვიე.

— სამოელ, ბუდუ ვარ, ვერ მიცანი?

სამოელმა მაგრად მომხვია სალი მკლავი.

— ბუდუ, ბუდუ... — ლულულულებდა სამოელი, — ცოცხალი ხარ, ბიჭო?! მადლობა ღმერთს! არჩილი სადღა არის?!

ავერ არჩილი-მეთქი და ახლა არჩილს გადაეხვია სამოელი.

— სამოელ, — ვუთხარი — ჩვენ ახლა მივდივართ, ეს გერმანელი ჩვენი ტყვეა, აქ ამის გაჩერება აღარ შეიძლება. დაჭრილი ხარ?

— ჰო, ლაზარეთში გამომგზავნეს და ვერ მიმიგნია.

— აქ ვისთანა ხარ?

— არავისთან.

— მაშინ წამოდი ჩვენთან ერთად, სადმე სხვაგან გადავილამოთ.

— აბა, რას ვიზამ, ბუდუ! რაკი შეგხვდით, აქ რალა გამაჩერებს. ერთი წუთი აქ დამელოდეთ.

სახლში შებრუნდა, ზურგჩანთა გამოიტანა, ეზოდან გავედით და გზას დავადექით.

— ტირის კიდევ? — ვკითხე სამოელს.

— ქვითინებს, საცოდავი.

— უხერხული კია მისი ასე მიტოვება.

— ამ ტყვე გოგონას იქ დაოჩენა აღარ შეიძლებოდა, კარგია, რომ წამოხვედით.

— ვერაფერში გაამტყუნებ კაცი იმ ქალიშვილს.

— გასამტყუნე რა ტირის, გულზეა გასიებული ქალი.

— სამოელ, რა კაია, რომ ცოცხალი ხარ.

— ჰო, ცოცხლები რომ ვართ ჭერ-ჭერობით.

— შენ კაცმა ტყვია რაღა უნდა გესროლოს... რა შენი საქმეა ტყვიის სროლა და კაცის ეკლა... მაგიდასთან უნდა იჯდე და ბიბლიაში ჩაფენილ ნაცარს ქეპავდე... მაგრად ხარ დაჭრილი?!

— საჩვენებელი და უსახელო თითები წამგლიჯა ბომბმა, მკლავის ძვალი გაუკაწრავს ტყვიას.

— ჯანდაბას, რაეი ცოცხალი გადარჩი. კრილობა მოგიჩაჩება, მოგიშუშდება.

— მოშუშდება, აბა, რას იზამს.

— ჰო, მოშუშდება, სამოელ, მერე შენ გაგიშვებენ. შენ ნიჭიერი კაცი ხარ. ახალ „ებრაულ მელიოდიებს“ ხო დაწერ?

— ვნახოთ. ბუდუ, თუ მართლა გადავრჩი, უეჭველად დაწერ ახალ „ებრაულ მელიოდიებს“, საქართველოზეც დაწერ, იცოდე, ბევრ ახალ ლექსს.

— კი, დაწერ, დაწერ, დარწმუნებულნი ვარ, რომ დაწერ.

— მომეშვი ახლა, ბუდუ, რა დროს ლექსებია. შენ ის მითხარი, აქ როგორ გაჩნდით შენ და არჩილი? — მერე არჩილს შესძახა სამოელმა, — როგორ არი, არჩილ, ისტორიის საქმე?!

— აეი აღრეც გეუბნებოდით, სამოელ, მიდის წინ, — ხმა ამოიღო არჩილმაც...

— ჩვენ ვიხვეთ უკან, თორემ, ისტორია ქე მიდის წინ, — ჩავურთე მე.

— ჩვენი უკანდახევა ისტორიას ხელს არ უშლია, ის ჭიუტად მიიწევს წინ და წინ, — დინჯად თქვა არჩილმა, — უკანდახევა ხანდახან სამზადისიც კია წინ ნახტომისათვის. ეს შენზე უკეთ, ბუდუ, ვეფხვმა იცი.

— შემადარე ახლა ვეფხვს.

— არ გკადრებ, ბატონო, კი არ გადარებ, გახანებ ვეფხვს.

— ბუდუ, აული გადამელია, — მე მომიბრუნდა სამოელი, — გუეოფათ, მაგ საკითხების გადაჭრა ჭერ თქვენითვის არავის მოუხდვია, თუ კაცი ხარ, ის მიამბე, ჭერჩში რო დავშორდით ერთმა-

ნეთს, მერე რა გადაგხდათ.

მოკლედ ვუამბე სამოელს, ჩვენი თავგადასაყალი.

პილდაზე არაფერი უქითხავს. გენადის ჩამოართვა ხელი, თავი გააცნო. ჩემი ნაამბობით კარგად მიხვდა, რა კაციც არის გენადი და, სასიამოვნოა თქვენი გაცნობაო, უთხრა.

— საწყალი ობოლა, — ზურგზე ხელი გადაუსვა სამოელმა ობოლას, — ამაზე საცოდავი სულიერი ახლა არსად შეგულება.

— ამბობენ ხოლმე, ძალღია, გაუძლებსო, მაგრამ გაძლება ხომ მაინც უნდა?! მერედა, ეს ხომ რალაცნაირად ძალზე უფრო მეტია?! ადამიანური რამ ზოგ-ზოგი ამასაც გააჩნია.

— ამიტომაც არის აგრე საცოდავი.

— ეჰ, ჩემო ბუდუ, — ამოიოხრა სამოელმა, — ცოდვა-ძაღლის გამკითხავი ახლა ვინ არის?! ცოდვების ცივი გონებით განკითხვა რომ შეგეძლებოდა, ეგ თქვენი ტყვე იმ საბრალო ქალიშვილის ფერხთა წინ უნდა წაგვეკლა ზვარაკივით. თუმცა პირადად ამ გერმანელ გოგოს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის იმ ქალიშვილის წინაშე, მაგრამ მისი ერის უმძიმესი ცოდვები ერთგვარად ამასაც მოეკითხება. ამ გახურებულ გუნება-განწყობის დროს მაინც. აბა, ერთი იმ ქალიშვილის გულში ჩავიხედოთ ღრმად? ძალადობა მსმენია, მაგრამ იმგვარი, იმ უცოდველ გოგონას რომ მიტანებია, არსად გამოიგონია. ბიბლიაში ძალადობის მრავალგვარი სურათია აღწერილი, ამდაგვარი არ წამიკითხავს ბიბლიაშიც. ჰოდა, კაცმა რომ თქვას, იარალიანმა ყველა ფაშისტმა უნდა აგოს ჰასუხი ამგვარი ცოდვებისათვის, მაგრამ რას იზამ, კაცნი ვართ, ცივი გონების გარდა, გულიც გვიცემს და კაცის გულს ბევრი რამის დამობა, შენდობა შეუძლია. ეს რომ არ შეგეძლოს, ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტაში უნდა ვიყოთ მარადეამს ადამიანები არა მარტო აქ, ომში, არამედ ყოველთვის, მშვიდობის დროსაც. მარტო ფიზიკური კი არა, მძიმე სულიერი



ტრავმა მიუყენებიათ აღმიაწიანებს იმ სა-  
ბრალო ქალიშვილისთვის, ამიტომაც აგ-  
რე ძალუმად შეანთხია თქვენს ტყვე  
გოგოს გულში დაგროვილი ბოღმა. ჭა-  
რისკაცები შეძრა მისმა მოთქმამ. ალბათ,  
ყველა მათგანი საშინელი მრისხანებით  
განეწყო გერმანელი ქალის მიმართ, მაგ-  
რამ ვერაფერი მოიმოქმედეს, გაქვავდ-  
ნენ ცივი გონებისა და გულის ჭიდილ-  
ში. გერმანელი ქალის სისხლო შეიძლე-  
ბა მალამოსავით მოცხებოდა იმ უბედუ-  
რის აწ და მარადის მოურჩენელ იარას,  
მაგრამ ჭარისკაცებმა ეს ვეღარ შეძლეს,  
საკმარისი იყო გერმანელი ქალი, იარა-  
ლით ხელში, შეფუთებოდათ, ამ შემთ-  
ხვევაში გული უძლური იქნებოდა, მარ-  
თლაც ზეარაკებით წააკლავდნენ ქალი-  
შვილს, უიარაღოს კი, ტყვეს, მიუხედა-  
ვად იმისა, რომ შურისძიების ფილა  
პირამდე იყო სავსე, ხელი არ ახლეს,  
ცოდვას ცოდვა აღარ წაუმატეს. ვინ  
იცის, იქნებ ეს გერმანელი გოგო ღვთის  
შვილია და არა სატანისა. იქნებ თავისი  
თანამემამულეების უგვანო საქციელი  
რომ დაენახა, აღშფოთებულიყო, ამოქ-  
მედებულიყო თანამემამულეთა წინააღ-  
მდეგ, დაეცვა უბედური რუსი ქალიშ-  
ვილის ინტერესები?! ჭარისკაცებმა ალ-  
ბათ ასედაც ივარაუდეს, ამიტომაც გა-  
ქვავდნენ, არ ამოქმედდნენ შურის საძი-  
ებლად.

— სამოელ, იცი რა, ამალამდელი  
ამბავი ომის შემდეგ ვინმეს რომ უამ-  
ბო, ზღაპარიო, გეტყვის, არ დაიჭე-  
რებს, — ვთქვი მე.

— გახსოვს, ბუღუ, ბიბლია რო წაი-  
კითხე, მითხარი, ნახევარზე მეტი ზღა-  
პარიო.

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს.

— ასეა, ცხოვრებაში ბევრი ისეთი  
უცნაური ამბავი ხდება, რომელიც მომ-  
დევნო თაობებს ზღაპრულად ეჩვენებათ.

— აბა, მოსემ რო კლდეს კვერთხი  
დაარტყა და კლდიდან წყარომ იჩქეფა,  
რეალურია?!

— შემთხვევებს, ჩემო ბუღუ, ათასი  
მოულოდნელი ამბავი მოჰყვება ხოლ-  
მე. ხომ შეიძლება, — რატომაც არ უნ-

და დაეუშვათ ასეთი შესაძლებლობა,  
წილიდან წამოსული წყაროს ძარღვე  
კლდოვან ქანს მოადგა, მაგრამ გარეთ  
გამოსავალ გზას კლდისავე თხელი სა-  
რქველი უქეტავდა. რატომ არ უნდა  
დაუშვა, რომ მოსეს მიერ შემთხვევით,  
დაკრული კვერთხი სწორედ იმ სარქ-  
ველს მოხვდა, დაბზარე და მოწოლილ-  
მა წყარომაც იჩქეფა?! ჩვენ რომ ზღა-  
პრული გვეჩვენება, ყოველგვარ ასეთ  
მოვლენას უსათუოდ რეალური საფუძ-  
ველი უდევს. სხვაგან ხო აღარ გაუმე-  
ორებია მოსეს ამგვარი რამ?! მართა-  
ლია, შეიძლება მშვიდობიანობის დროს  
ვინმემ არ დაგვიჭეროს, ამალამდელი  
ამბავი, მაგრამ ამას ჩვენთვის რა მნიშ-  
ვნელობა აქვს, ხომ ჩვენ გადაგვხდა  
თავს.

— მართლაც, — დავეთანხმე, —  
რა მნიშვნელობა აქვს, ვინმე დაგიჭე-  
რებს თუ არა. მე კი სანამ ცოცხალი  
ვიქნები, ყოველთვის შემზარავს გამძ-  
ვინვარებული მასპინძლის გახსენება.

იმ სახლიდან კარგა მოშორებით რომ  
დავიგულე თავი, ერთ დიდ ხესთან შე-  
ჩერდით, ძილი მოგვერია, ხესთან მი-  
ვეყარებით, ერთმანეთს მიგებურხლეთ  
და ასე გადავიღამეთ იქვე.

ალიონზე ისე უკანდახეული ნაწილე-  
ბის ქრიაშულმა წამოგვშალა. გენადის  
საკმელის მარაგი გულში შემოვლია. ვერ  
წავისაუბრებთ, ისე მიგყევით ჭარისკა-  
ცების აჩოჩოლებულ გულს. ჭარის  
ნაწილები ათეულებად, ოცეულებად და  
იშვიათ შემთხვევაში ასეულებად არიან  
შემორჩენილი და ეს ქვეგანაყოფები  
ერთმანეთშია არეული. აღარ ისმის სა-  
ბრძოლო შეძახილები. გერმანელებიც  
არ იკლავენ თავს მაინცა და მაინც, არც  
თვითმფრინავებით დაგვდევენ, არც  
ტანკებით. როგორც ჩანს, ქერჩის მიმა-  
რთულებით წარმართეს საიერიშო მთა-  
ვარი ძალები, რათა გარემოცვაში მო-  
აქციონ უკანდახეული ნაწილები. ქერ-  
ჩიდან ზღვით გადასასვლელი გზები გა-  
დაქრან. ხანდახან არტილერიის ცეცხ-

ლი დაგვაცხრება ხოლმე თავზე და დავგარბევს.

ერთ ადგილას გერმანელების ორი ტანკი მოგვიახლოვდა, ტანკებს ქვეითთა რამდენიმე ოცეული მოჰყვებოდა ფეხდაფეხ.

რომელიღაც კაპიტანმა რამდენიმე მეთაური თავისთან იხმო, სხვადასხვა ნაწილების ათეულტომისა და ოცეულები-საგან სახელდახელოდ ორიოდე ასეული შეადგინა და უკან, შემალღებულ გორაკზე მიუჩინა თავდაცვის თავთავიანთი უბნები.

სასწრაფოდ ჩასანგრდნენ სახელდახელოდ შეკოწიწებული ასეულები. იმათ, რომელთა თავმოყრაც გაძნელდა, გზა განაგრძეს აზოვის ზღვისაკენ. ჩასანგრებულმა ასეულებმა შემორჩენილი ტყვია-წამალი დაზოგვით, მაგრამ ეფექტურად გამოიყენეს, მოულოდნელად შეაგებეს არხებიად, უშიშრად გამოედევნებულ მტერს. უცებ შეჩერდნენ ტანკები და მაშინვე ქვეითთა ოცეულებიც მიწას გაეკვრნენ.

რამდენიმე ჯარისკაცს ტანკსაწინააღმდეგო ფეთქებადი ბოთლები აღმოაჩინდა. კაპიტანმა, რაკი ტანკებმა წინსვლა შეაჩერეს, დრო იხელთა — ვისაც შემორჩენილი ჰქონდა ხელყუმბარები, საჩქაროდ შეჰკრიბეს, სამასამი, ოთხ-ოთხი ხელყუმბარა ერთად შეჰკრეს, რამდენიმე ასეთი შეკერა გაამზადეს. ფეთქებადი ბოთლებითა და ხელყუმბარებით კონებით შეიარაღებული რამდენიმე ჯარისკაცი შეუმჩნევლად მტრის მიმართულებით გახიზნა, ზოგი თხრილებით, ზოგი ორმო-ორმო. როცა ისინი მიხიზნავდნენ, ჩასანგრებულმა ნაწილებმა კაპიტნის ბრძანებით მტერს ცეცხლი დაუშინეს. ამით წინ გახიზნული ჯარისკაცებისადმი მტრის ყურადღება მოაღუნეს.

ცოტა ხნის შემდეგ ცეცხლი შეწყდა. ერთხანს დუმილი ჩამოწვა ორივე მხარეს. მერე გერმანელების ტანკები კვლავ წინ დაიძრნენ, ქვემეხების ბათქაბუთქით მოიწვედნენ წინ. ქვეითებიც

წამოიშალნენ და გამოედევნენ ტანკებს. ჩასანგრებულმა ასეულებმა კვლავ შეაგებეს თოფების, ავტომატებისა და ხელის ტყვიააფრქვევების ცეცხლი.

უცებ ერთი ტანკიდან ცეცხლის ალი და შავი ბოლი ავარდა, ტანკიდან გერმანელები ამოძვრნენ, ბოლს მოფარებულნი გადახტნენ და თავისიანებისკენ მოქუსლეს. ცოტა ხნის შემდეგ მეორე ტანკთან ბომბმა იქუხა და ტანკი შეჩერდა. იქიდანაც ამოცვიდნენ ტანკისტები, უკან გაიქცნენ.

შეჩერდნენ გერმანელები, მიწაზე გაწვენენ. ჩვენებმაც ცეცხლი შეწყვიტეს და ნაშუადღევადან ასე იდგნენ პირისპირ რამდენიმე საათს.

ჩვენ ჩვენს გზას დავადექით. ახლა ჩვენი მთავარი საზრუნავი იყო, სადმე საჭმელი გვეშოვა, წუხელ ორიოდე კარტოფილი რომ გვამეთ, მას მერე პირში ლუკმა არ ჩავგვსვლია, უკვე მესამედღეა მშივრები ვართ.

სალამო ხანს დაღლილ-დაქანცულებმა და შიმშილისგან დაოსებულებმა ერთ გორაკთან შევისვენეთ. მზე ცის დასალიერთან აშლილ ღრუბლებისკენ დაექანა, როცა გორაკის დაბალი ფერდი ავიარეთ. გორაკიდან რომ გადავიხედეთ, მოულოდნელ სურათს წაგვწყდით:

ჯარისკაცები სურსათის საწყობს მისეოდნენ. საწყობი ვეებერთელა მიწურში იყო მოთავსებული. იქიდან გამოევგორებინათ კარაქით სავსე კასრები, ზოგი საველე ქვაბურას აესებდა კარაქით, ზოგს საწყობიდან ორცხობილა, კონსერვები და სხვა მშრალი ულუფა გამოჰქონდა. იყო ერთი გადაძახილ-გადმოძახილი, ყრიაბული. ვისაც სურსათი გვარიანად მოეხელთებინა, უკან მოუხნედავად შორდებოდა იქაურობას. ერთმანეთს არ აცლიდნენ კასრებიდან კარაქის ამოღებას. ზოგი სულმოუთქმელი იქვე ლოდინდა კარაქში ამოვლებულ ორცხობილას.

არც არაფერი იყო საძრახისი, — თუმცა იმაზე არავინ ფიქრობდა ახლა, საძრახისი იყო თუ არა ეგ, — რამდენიმე



დღის მშვიერი ჭარისკაცები სურსათის საწყობს გადააწყდნენ, საწყობი უპატრონოდ მიეტოვებინათ, აბა, რა ექნათ, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელთ, ამჯობინეს დანაყრებულოყვნენ და სული მოეთქვათ.

დავინახეთ თუ არა ეს, მაშინვე დავეშეთ გორაკიდან. მათში შევერით. ის იყო ქვაბურებით ხელში ჩვენც მივეტანეთ კარაქთან კასრებს, როცა უეცრად პისტოლეტის სროლის ხმა შემოგვესმა და იმ წამსვე ვილაცამ დაიძახა, შესდევით, გონს მოდით, რას ჩადიხართ.

ყველანი იქვე გაქვადნენ, საცა იდგნენ და ცხენზე ამხედრებულ, პისტოლეტთან კაპიტნისაკენ შებრუნდნენ, მიანერდნენ მას.

— შეჩერდით! დაიშალენით!.. ვინ მოგვით მაგის უფლება?!

კაპიტანმა პისტოლეტის ერთი მოკლე ჭერი კიდევ მიახალა ცას.

ჭარისკაცები ნელ-ნელა მოშორდნენ კასრებს, ვისაც ქვაბურები სავსე ჰქონდა კარაქით, ზურგს უკან ამოიფარა და უკან-უკან სვლით მოსცილდა იჭაურობას. ჩვენ ხელცარიელები დავრჩით და საწყობიდან უკანდახეულ ბრბოს შევეერთდით.

ერთი კაფანდარა ყმაწვილი ჭარისკაცი ვერ მოშორდა განაპირა მდგარ კასრს, ქვაბურაში პეშვით გადაჰქონდა კარაქი. ბრბომ რომ კასრებისგან პირი იბრუნა, იმან ქვაბურას შევსება განაგრძო, არც პისტოლეტის ჭახანისთვის მიუქცევია ყურადღება და არც კაპიტნის ბრძანებისთვის. კაპიტანმა კვლავ გასძახა კასრში თავჩაყოფილ კაფანდარა ჭარისკაცს, იგი ალბათ კასრის ფსკერზე დარჩენილი კარაქის მოფხეკით იყო გართული და არც ახლა გაუგონია კაპიტნის შეძახილი.

კაპიტანმა არც აცია, არც ატხელა, პისტოლეტი კაფანდარა ჭარისკაცისაკენ მიაშვირა და მყისვე გამოჰკრა ჩახმახს. კასრში თავჩაყოფილმა ჭარისკაცმა შეპყვირა, თავი ამოჰყო კასრიდან, კარაქიანი ქვაბურა კასრში მიატოვა, იქვე ჩაქ-

და და კარაქით გამოხილი ხელები ფეხზე იტაცა.

რამდენიმე ჭარისკაცი კაფანდარა ჭარისკაცს მივარდა. ტყვია წვივში მოხვედროდა, ვილაცას პაკეტი აღმოაჩნდა და გადაუხვიეს ჭრილობა.

ცხენზე ამხედრებული კაპიტნის გარშემო კი ერთი ჩოჩქოლი და ძრიამული ატყდა. შემოგხვივნენ ჭარისკაცები:

— მოსაკლავად როგორ გაიმეტე ჭარისკაციო.

— ეგლა გვაკლია, ერთმანეთი გაველტოთო.

— აბა, რა ექნათ, რატომ სურსათით არ გვამარაგებთო.

— მიტოვებული საწყობია, მტრის ხელში ჩავარდნას, არ ჭობია, ჩვენ გამოვიყენოთო.

— სამი დღის მშვიერები ვართო.

— კაპიტანო, ტყვიები დაზოგე, ეგ ტყვია მტრისთვის რომ შეგენახა, სჯობდაო.

ჭარისკაცების შეაფულში გაჩხერილი, ცხენზე ამხედრებული კაპიტანი ველარ ახერხებდა მათ დაწყნარებას. პისტოლეტი ბუდეში ჩადო. ახლა იარაღით მათი დაშინება აღარ შეიძლებოდა, მათივე ბედში მყოფი კაფანდარა ჭარისკაცის სისხლმა გაახელა ისინი. კაპიტანი თავგამოდებით პასუხობდა მათ, ამჯერად ბრძანებები არ გაჭრიდა. კაპიტანი მიხვდა ამას და პასუხობდა, პასუხებითლა იგერიებდა მათ გაალმასებულ შეძახილებს: დისციპლინაო... თვითნებობაო... მტერს რატომ დარჩება, მტერს აქამდე არ მოვეუშვებთო...

ერთმანეთში აირია ჭარისკაცების შეძახილები და კაპიტნის პასუხები. ძნელად გაარჩევდა აცი მათ დავას.

აღლეგებული ჭარისკაცების შუაში მოქცეული, ცხენზე ამხედრებული კაპიტანი ველარ ახერხებდა მათი გარემოციდან გამოღწევას ღა ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ჰაექრობა, უეცრად გორაკის მიღმა გერმანელების ბომბდამშენები რომ არ გამოჩენილიყვნენ. ბრბო ისე იყო აღგზნებული, თვითმფრინავების მოახლოება არგა-

ხანს ვერავინ შეამჩნია. მაშინლა დაიშალა კაპიტანის გარშემო შემოჭარული გუნდი ჯარისკაცებისა, როცა არმადის წინა თვითმფრინავმა პიკირება იწყო და შემახრბენი წივილ-წივილით დაეშვა ჩვენაკენ.

ცხენზე ამხედრებული კაპიტანი ადგილზევე დარჩა გაქვავებული. ჯარისკაცები თავქუდმოდგულეჭილი გარბოდნენ ვინ სად და ვინ სად. როცა პირველი ორი ბომბი მიწას დაასკდა, ბევრი ჯარისკაცი ჯერ კიდევ რიგიანად არ იყო გამოვრებული სურსათის საწყობს. როგორც კი იქუხეს ბომბებმა, მაშინვე ისინიც მიწას გაეკრნენ.

გარს შემოხვეული ჯარისკაცები რომ შემოეფანტა, ცხენზე ამხედრებულმა კაპიტანმა თვალი მოჰკრა, კარაქის კასრთან ჩამქდარი, ფეხში დაჭრილი კაფანდარა ჯარისკაცი ყველას დავიწყებოდა. მარტოკა მიეტოვებინათ. კაფანდარა ჯარისკაცი კასრზე ხელმიბჯენილი წამოდგა. მაგრამ ნაბიჯის გადადგმა რომ დააპირა, დაჭრილი ფეხი მიწაზე ვერ შეამავრა და კასრზე ხელმიბჯენილი იქვე ჩაჯდა ისევ. ამ დროს მეორე თვითმფრინავიც დაექანა ბომბების ჩამოსაყრელად.

კაპიტანმა ცხენს ქუსლები ჰკრა და კაფანდარა ჯარისკაცთან მიაგდო ცხენი. უნაგირიდან გადმოხტა, კაფანდარა ჯარისკაცი დაწვდა, წამოაყენა, ზურგზე მოიგდო და ცხენზე ამხედრებაში წაეშველა, უნდოდა იმ ადგილიდან გაეშორებინა დაჭრილი. ის იყო კაფანდარა ჯარისკაცი უნაგირზე მოექცა, როცა ზედ სურსათის საწყობის თავზე ბომბები ვასკდა.

ერთიმეორეს გამოდევნებულმა თვითმფრინავებმა, — (მიწაში თავჩარგული მე ახლა ამას თვალთ ვი არ ვხედავდი, მოტორების გულშემშარავი ზმულით ვგრძნობდი), — ჯოჯობეთის ცეცხლი მოაყარეს სურსათის საწყობზე და მის გარშემო.

რომელიღაც თხრილში პირქვე ვიწექით მე და ჰილდა, რატომღაც მკლავით მისი მხრები ჩემსკენ მომეზიდა და

ვგრძნობდი, როგორ მეყრებოდა ზურგზე ბომბების აფეთქებით გამოქვეყნებული მიწის ნაგლეჯები და ნაფხველები. მისი შიშით შეპყრობილი, რომ ჰა და ჰა, საცაა ბომბები ჩემს ზურგზეც მოადნენ ხათქანს, ზემოდან რა მეყრებოდა, ამას არც ვაქცევდი ყურადღებას. ჰილდა მგონი აღარც კი სუნთქავდა, ისე გატოუნულიყო.

აურზაურის ხმა მინელდა, მერე სულ მიწყდა. აქა-იქ კენესა, გმინვა და გადაძახილები გაისმა, მაგრამ მე და ჰილდა ადგილიდან არ ვიძვროდით, პირქვე ჩამხობილი ცოცხლად ჩამარბულეზებით ვეყარებით. როგორც იქნა თავი წამოვწიე, წელიც წამოვითრიე, ზურგზე დაყრილი მიწა წამომეფანტა და ჩემს გვერდით უძრავად გაწოლილ ჰილდას რომ დავხედე, მართლაც ცოცხლად დამარბულივით ჩანდა, მთელ ტანზე მიწა ეყარა, თავი მოუჩანდა ოდნავ.

მართლა ხო არაფერი მოუვიდა-მეთქი, გავიფიქრე და ხელი წაგვარი. ჰილდამ თავი ასწია, შემომხედა, მიწაწყრილი მხრები შეაქანა. ნელ-ნელა წამოიშართა და წამოჯდა, ერთხანს მიწაზე ფეხმორთხმულ ეგვიპტურ ქანდაკებასავით ჩანდა, გახვეებული. წამოვდექი, ხელი მივაშველე და წამოვაყენე.

მიმოვიხედე. არჩილს, გენადისა და ჩამოელს თვალი ვერაად მოვატანე, მუერა სურსათის საწყობისაკენ გამექცა. გრძელ, ამაღლებულ მიწურში მოთავსებული საწყობისა არა დარჩენილა ოა. გულაღმა ამობრუნებული მიწის გროვებოდა ეყარა იმ ადგილს, ალაგ-ალაგ ცეცხლი ბრიალებდა და შავ ბოლს ქარი მიპაროწილებდა ჯერ განზე და მერე მალა-მალა.

იქვე მახლობლად წინა ფეხებზე შემართული ცხენი წელმოწყვეტილი ჩამქდარიყო, წელის ათრევაა ცდილობდა, მაგრამ უკანა ფეხები არ ემორჩილებოდა, ოდნავ წამოწევდა უკანალს და ისევ ჩაქდებოდა.

უნაგირიდან თავქვე ჩამოკიდებული კაფანდარა ჯარისკაცი და ცხენთან მიწაზე გულაღმა გაწოლილი კაპიტანი არ



იძროდნენ. კაპიტანს აღვირი თითებში ჩაბლუწული შერჩენოდა, ცხენი რო ოდნავ წელს წამოიზიდავდა და ადგომას დააპირებდა, თავს აიქნევდა ზოლმე და კაპიტანის აღვირჩაბლუწული ხელიც შეიმართებოდა.

დაბომბვის დროს მიწაში ჩაკარგული ჭარისკაცები, — რა თქმა უნდა, ვინც გადაურჩა ჭოჭოხეთის გრიგალის ამ უეცარ ჩამოჭროლებას, — ნელ-ნელა წამოიმართნენ. უკვე საკმაოდ მოგვიდოდა გონს და ეხედავ: ზოგნი დაჭრილ მეგობრებს შველიან, ზოგნი დახოცილებს მიათრევენ თხრილებისაკენ, რათა მიწა მაინც მიაყარონ მათ გვაშებს.

გადარჩენილმა ჭარისკაცებმა რატომღაც იქ მოიყარეს თავი, საცა წელან ცხენზე ამხედრებული კაპიტანი ჰყავდათ გაერმოცული. შეჭურდნენ, არავის უბრძანებია, არავის დაუძახნია. ახლა ამ ზაფხადაცემულ ბრბოს არავინ მართავს, მაგრამ რატომღაც მაინც აქ მოიყარეს თავი, შეჭურდნენ და ენაჩავარდნილები მომაკვდავ ცხენს მიაჩერდნენ.

ცხენი კვლავ წამოდგომას ლამობს, თავს აიქნევს თუ არა, მიწაზე გულაღმა გათხლაშული კაპიტანის ხელი აღვირით ზე ასთრევს ზოლმე, უნაგირზე თავქვე გადმოკიდებული კაფანდარა ჭარისკაცი ქანაობს.

არჩილი, გენადი და სამოელი გამოეყვნენ შეჭურულ ჭარისკაცებს, მეც მათ გამოვედევნე. აჩქარებული ნაბიჯით მიუახლოვდნენ ცხენს, კაფანდარა ჭარისკაცი უნაგირიდან გადმოიღეს, მოშორებით მიწაზე დაასვენეს. სამოელმა კაპიტანს ძლივს გამოაცალა ხელიდან აღვირი, კაპიტანი კაფანდარა ჭარისკაცს გვერდით მიუწვინეს.

ცხენს უკანა ერთი ფეხი მოგლეჯილი ჰქონდა, მეორე მხარეს ფერდი ყუმბარის ნამსხვრევს ვაეგლიჯა, ვაეფატრა მუცელი და ნაწლავები იყო გარეთ გადმოცვენილი.

კაფანდარა ჭარისკაცი რო აღარ ამძიმებდა, ცხენმა თითქოს შვება იგრძნო და უფრო ენერგიულად მოინდომა წა-

მოდგომა, მაგრამ ამის თავი აღარ ჰქონდა.

გენადიმ გვითხრა, აქაურბრძანებულ შორდითო. თოფი მოიმარჯვა, გასროლისათვის მომართა. მივხვდით, რასაც აპირებდა გენადი. ცხენისათვის ერთადერთი საშველი ეგლა იყო. მაშინვე განზე ვავდექით, ზურგშექცეულებმა ვაეიგონეთ თოფის გასროლა.

კაპიტანი და კაფანდარა ჭარისკაცი ერთ ძველ მიწურში ჩავაწვინეთ. მიწა დავაყარეთ. რალაც ჭადოთი მონუსხული ჭარისკაცები იდგნენ იმავე ადგილას შეჭგუფულნი და უხმოლ შემოგვეცქეროდნენ. მერე ნელა სათითაოდ მოუახლოვდნენ ორმოს, პეშვით მიწა მიაყარეს კაპიტანსა და კაფანდარა ჭარისკაცს. გენადი განზე ვადგა, თუთუნი ვააბვია გაზეთის ნახევში, ჩამოჯდა, თოფი მუხლებს შუა ჩაიდგა, გულიანად ვააბოლა. სამოელმა მითხრა:

— მაგარი გლეხია გენადი.  
— მაგარი გული ჰქონია, — დავუდესტურე მე.

— ველარ გაუძლო ცხენის ტანჯვას.  
— ველარ გაუძლო.  
— მე ვერ ვავიძებებდი ცხენს.  
— ვერც მე ვავიძებებდი. ვიცი, რომ ცხენისთვის ახლა სიკვდილი სჯობდა, მაგრამ მაინც ვერ ვესროდი ტყვიას.

— გენადიმ ესროლა.  
— თუ ხედები შენ...  
— ვხვდები, ვხვდები, ბუდუ, — შემაწყვეტინა სამოელმა, — მაგის გულში რა ცეცხლიც ტრიალებს ახლა, ამა-საც ვხვდები.

— მტერმა ჩაიხედა ამ წუთს გენადის გულში. გულისნადების გამოთქმა რომ შეეძლოს, ქვეს ქვაზე დაადუღებდა მაგის ნათქვამი.

საფლავის ბორცვი ვადავასწორეთ. არჩილი გენადისთან მივიდა, გვერდით მიუჯდა, თითებიდან აბოლებული სიგარეტი გამოაცალა, რამდენიმე ნაფაზით გული გაილაღა, მერე ისევ შეაჩეჩა თითებშივე გენადის ნახევრამდე ჩაფერფლილი სიგარეტი.

მე და სამოელმა ხელისგულებით ერ-



თხელ კადვე გადავასწორეთ საფლავის ბორცვი. სამოელმა ხელისგულიდან მიწის ნაფხველები დაიფერთხა.

— ასეა, ბუღუ, — თქვა სამოელმა, — თურმე ადამიანის ავ-კარგი ისე აშკარად არსად სჩანს, როგორც ომში. კაპიტანმა კაფანდარა ჭარისკაცი სასიკვდილოდ გაიმეტა, ამის გამო ჭარისკაცები გაურისხდნენ კაპიტანს, მერე კი უბედურებაში ყველამ მიატოვა კაფანდარა ჭარისკაცი, რაკი საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში დაიგულებს, აღარავის გაახსენდა დაჭრილი კაფანდარა ჭარისკაცი. არა მგონია, კაპიტანი იმიტომ წაეშველა კაფანდარა ჭარისკაცს, მის წინაშე დანაშაულის გამოსყიდვა ნდომებოდა, — კაცმა რომ თქვას, არცრა დაუშავებია მას, ფრონტზე გაბატონებული სამხედრო წესი დაიცვა. დარწმუნებული ვარ, იმ ჯოჯოხეთური ალიაქოთის დროს ამაზე არც უფიქრია კაპიტანს. ამ შემთხვევაში კაპიტანი სხვებზე უკეთესი აღმოჩნდა — დაჭრილ ჭარისკაცს წაეშველა, ცეცხლის რაკლიდან მისი გაყვანა სურდა. წაეშველა და ა. აგერ წვეს ახლა ამ ბორცვს ქვეშ კაფანდარა ჭარისკაცის გვერდით.

ჩვენ ჩვენი გზა განვაგრძეთ.

გორაკს რო თავს წავადექით, შეგჩერდი, შეგბრუნდი და გადაბუჯულ სურსათის საწყობს დაგხედე.

მშვიერი ჭარისკაცები ქხენის ლეშს მისეოდნენ.

ჩემდაუნებურად შევძახე:

— არჩილ! გენადი! სამოელ!

ისინი შეჩერდნენ. ერთი კი გადაჰხედეს ცხენზე მისეულ ბრბოს და მაშინვე შებრუნდნენ, გზა განაგრძეს. სამოელმა მკლავში ხელი ჩამკიდა და თან ამიყოლია:

— არც ეგ გაგიკვირდეს, ბუღუ! მშვიერმა: კაცმა რაც არ უნდა გააკეთოს, არ გაგიკვირდეს. არ ჯობია, მშვიერი ჭარისკაცი დანაყრდეს, ვიდრე ყორნებმა დაძიძგნონ ცხენი?! ეს თქვენ, ქართველებს გყავთ გაღმერთებული ცხენი, რადგან ყველანაირი ჭირი და ლხინი ცხენის ზურგზე გაქვთ გადატანილი. ამი-

ტომ არ მიირთმევთ ცხენის ზორცს. გემრიელი ზორცი ჰქონია, ბუღუ, ცხენს. იმათგან ვამიგონია, ვინაა ცხენსაქვას. თუმცა ამათთვის ახლა სულერთია, გემრიელია თუ არა ცხენის ზორცი.

## ისევ ბაბუცელა — მირაჟი

ბაბუცელა, მე ხშირად ვესაუბრები შენს ლანდს. ულამაზეს მირაჟად ამიღვარდები თვალწინ, არც შორს ხარ და არც ახლოს. დღეა თუ ღამე, საღდაც წინ აბრჭყვილალები. წინ-თქო რო ვამბობ, ეს იმას ნიშნავს, საითაც თავს შევებრუნებ, საითაც ვავიხედავ, იქ ჩანხარ, ისე კი არა, უცებ თვალწინ რო გაივლო, მერე თავი შევებრუნო და აღარ ჩანდე. არა. თავს რო შევებრუნებ, მაშინ თვალს საითყენაც მივაპყრობ, იქ ჩანხარ, იქ ციმციმებს შენი მოჩვენება, ხან კრიალა ცის კიდეზე, ხან ღრუბელზე, ხან ხის მალალ რტოებზე ათრთოლებულ ფოთლებზე, ხან ღამის შავ ფარდაზე, ხან ვარსკვლავთან, ხან მთვარესთან და ასე ამრიგად ყველგან, რასაც კი თვალს მივაშტერებ. ყოველთვის კი არა, ხანდახან, მაგრამ როგორც კი შემომანათებს შენი ფერად-ფერადი მოჩვენება, სული ამიფორიაქდება, გამიხარდება, შენს სახელს წავიფურჩხულებ, — გამოჩნდი-მეთქი?! — შეგკითხები და დავიწყებ შენთან საუბარს. იცი, ბაბუცელა, შენც იღიმები და ხალისიანად მესაუბრები.

ამ ჯოჯოხეთში ამაზე ნათელი წუთები რაღა უნდა ვინატრო?! ჰოდა, ვნატრობ და ვნატრობ მეც, მაგრამ შენ ჩემს ნატვრას ანგარიშს არ უწევს, როცა შენ მოგესურვება, მაშინ დამენახებები ხოლმე. ეს კი ძალიან იშვიათად ხდება.

ერთხელ გამომშვიდობებისას, სანამ გაქრებოდი ჩემი თვალსაწიერიდან, ასე მოთხარი.

— ახლა მაგ გოგოს უყურე, მიაშტერდი და უყურე რამდენიც გინდა. მანდ არ არის?! გვერდიდან აღარ გშორდება. ჩემი მოლანდების ცქერა რას გარგია?!

მაგის ქერა თმები რო მოგაფინა ახლა ქარმა სახეზე, მაგი არ ჯობია? თმის სუნი ხო იგრძენი?! მაგ სუნმა ხო დაგათროს?! ჩემს მოლანდებს რატომღა ნატრობ? რად გარგია ჩემი მოლანდება, არც სუნი აქვს და არც გემო?! ხელით ვერ შეეხები, ქარი სახეზე ვერ მოგაშლის. ჯარისკაცი ხარ ახლა შენ. ჯარისკაცისთვის ის წუთია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, რომელიც ხელთა აქვს. მომდევნო წუთებში არავინ იცის, როგორ დაბრუნდება მის თავზე წისქვილის ჭევა. ხანდახან იმიტომ გამოგეცხადები, ვერძნობ, რომ გიხარია ჩემი დანახვა. უფრო მეტად მაგ გოგოს მიძახედე, ეგ გერჩიოს, არ არის მაგი ურიგო გოგო. მე შეიძლება მოვტყუებდე, მაგრამ ჩემი მირაჟის მოტყუება შეუძლებელია, ჰოდა, არ უთხრა მაგას, ტყვეო... გერმანელიო... მერე რა, გერმანელი როა და ტყვე როა? ხო გესმის, რას გეუბნება ჩემი მირაჟი — შენ გგონია ვერ ვიხედები შენს გულში? მაგ გოგოსავით შტერი კი არა ვარ. მაგი ვერ ხედავს, თორემ მე ძალიან კარგად ვხედავ, რაც გიდულს გულში.

ეს რო თქვი, მე თვალებში შემოგავშტერიდი, შემეშინდა, არავის გაეგონა შენი ნათქვამი. კი ვიცი, ლანდები რო არ ლაპარაკობენ, მაგრამ მე რომ შემომესმა შენი ხმა, გავიფიქრე, ვაი თუ სხვადასხვა მოკრას ყური-მეთქი და შემოგძახე:

— გაჩუმიდი, გოგო, რას ამბობ, ხომ არ გაგვიყდი?!

შენ არა და არ დაცხრი.

— არაფერიც არ გაგვიყდი.

— აბა, რას ლაპარაკობ, რა სათქმელია ახლა ეგ?

— რა სათქმელია და ის სათქმელია, რომ ყური დაუგდო და გაფრთხილდე. ჩემთან რო მოგივიდა, ისე არ მოგივიდეს მაგასთანაც. რა იყო, ბიჭო, რამ დაგაშინა, სიყვარულმა არ იცის გერმანელიო, ტყვეო, ომიო... მაშინ შემოგეპარება, როცა სულ არ ელოდები. მერე ელდასავით გაგკვეალავს და ძნელია, ბუდუ, მაგნიური ელდის დამალვა. კი

ვიციოდი მე, რას ფიქრობდი ჩემზე, მაგრამ ხო არ გეტყვოდი, თქვი, ბიჭო, გიყვარვარ, მომიკიდე ხელი და მარმეფერე-მეთქი?! შენ კი ვერ გაბედე, — რა იყო მაინც, რა გაუბედავები იყავით ჩვენი თანატოლები?! ვერ გაბედე და რაც მოგივიდა, შენ თვითონ კარგად იცი. ნულა ინანებ, გვიანდაა. აწი მე შენთვის მოლანდება ვარ მხოლოდ და მეტი არაფერი. ჰოდა, ის სათქმელია, რასაც გეუბნები, რომ ფრთხილად იყავი, მაგასთანაც ჩემსავით არ მოგივიდეს. შეგიყვარდა მაგი შენ, შეგიყვარდა. მაგასაც შეუყვარდი, მაგ საცოდავს და არ ვიცი, როგორ წავა თქვენი საქმე.

ეგ რა თავსატეხი სიტყვები დამიტოვე იმ ღამეს, ბაბუცელა?! როგორც კი გაქრა შენი მოლანდება, რომელიც ასე მოუერიდებლად და თავზარდამცემად მელაპარაკებოდა, გავიფიქრე, გულთბისანი ხომ არ არის ბაბუცელა-მეთქი.

იქნებ ღამაშ მირაჟებს მართლა გაქვთ კაცის გულისნადების ამოცნობის უნარი?!

**პილდას სიზმარი**

ამჟერად ბაბუცელას მირაჟი დილის ნისლზე ამიელვარდა. დიდ ძელმიწურში გვეძინა. როგორც კი ოდნავ ინათა, წამოვიშალენით და მას მერე მოვდივართ.

აღმოსავლეთით ორუბელგადაყრილი ცა ოდნავ მტრედისფრად აციავდა. მზეს ჭერ ყური არც ამოუყვია. ჩვენ წინ ოღოროღორო ველობიდან ნისლი აიწეულა, ახლადშეფოთლილ ერთადერთი ხისკენ წაფარფატდა. — ია ხე კარგა მოშორებით იდგა ჩვენგან, მივდიოდით მისკენ და თანდათან ვუახლოვდებოდით.

— წაფარფატდა ნისლი, მის რტოებზე დაეკიდა და სწორედ ამ რტოებზე ჩამოკიდებულ ნისლზე აელვარდა უცებ ბაბუცელას მირაჟი. ნახევრად ძილმღვიძარე ამ მირაჟს გამოველაპარაკე.

ის იყო დილის ნიავმა ხის რტოებზე დაკიდებული ნისლი შეარხია და მაშინვე ბაბუცელას მირაჟიც გაქრა. მზემაც

ცალი თვალით ამოიხედა ჰორიზონტიდან და ახლად გაფოთლილ მაღალ ხეს ჯერ კიდევ უღონო სხივები მიაფინა.

გარშემო მივიხედ-მოვიხედე, ჰილდა არ ჩანდა. არც ობოლა ჩანდა ახლომახლო.

ჰილდა და ობოლა სად არიან-მეთქი, მივაძახე წინ მიმავალ ამხანაგებს. ისინი შეჩერდნენ, გამომხედეს და გაოცებულნი შემომამჩერდნენ, ისე შემომამჩერდნენ, თითქოს აქეთ შევითებოდნენ, შენ თუ არ იცი, აბა, ჩვენ საიდან უნდა ვიცოდეთო. სამოელმა კი მართლა მომამახა, იქნება არ გააღვიძე და მიწურში დარჩაო. არ გამკვირვებია, არჩილმაც რო მოაყოლა, ტყვე არ დაგეკარგოსო. ისინიც და მეც შევეგუეთ იმ აზრს, რომ ჰილდას თვალყური და მასზე ზრუნვა რატომღაც თავიდანვე მე მომენდო. არავის დაუვალებია ჩემთვის ეს. ჰილდა გენადის ჩააბარეს, მაგრამ ჩვენს თავზე დაბრუნებულ ქარბორიაში ისე მოხდა, რომ ჰილდას თვალყური მე დამეკისრა. ეს თავისთავად მოხდა, ვერც ავიხსნით, რატომ მოხდა ასე.

ეგებ არ გააღვიძეო, შემომძახეს თუ არა, მყისვე გაებრუნდი და ძელშიწურისაკენ გავიქეცი. გამოგიტყდებით, აბა, რალა დასამალია, — ბაბუცელას ხატთან გასაუბრების შემდეგ ჰილდა რო ახლოს ვერ დავიგულე, იმის კი არ შემშინებია, ტყვე არ დამეკარგოს-თქო. არა, ამის არ შემშინებია... იმ წუთს სულ არ გამახსენებია, ის რომ ტყვე იყო. არჩილის ირონიული შემახილისთვისაც არ მიმიქცევია ყურადღება. იმის შემშინდა, ჰილდა არ დამეკარგოს-მეთქი, ის ჰილდა, რომელზედაც ასე მოურიდებლად და თავზარდამცემად მელაპარაკა ბაბუცელას მირაჟი.

გულგახეთქილი შევეარდი მიწურში. მიწურის სარკმლიდან გადმოწვდენილი მკრთალი ნათლის ზოლი ისე ეხებოდა მძინარე ჰილდას თმას, თითქოს დილას ხელი გადმოუყვია და ეფერებო. ჰილდა გვერდულად იწვა და იქვე განაბულ ობოლას მხრებზე მკლავი გადაედო.

ამ სანახაობით გოგნებულნი ერთი

წუთით კართან შეეჩერდი. ობოლს მაშინვე წამოვარდა, ჰილდას მკლავს მხრები გამოაცალა და ჩემთან მოიჭრა. ობოლა რომ გამოეცალა, ჰილდას მკლავი იქვე დაეარდა, მაგრამ ჰილდა არც შენძრეულა, ღრმა ძილში იყო. ობოლა ახლა ჰილდასთან მიბრუნდა, თავზე დაეხნოსა, ისევე ზურგი აქცია მას და კვლავ ჩემთან გაჩნდა, კუდის ქიციანით შემომამჩერდა თავშემართული.

გამიხარდა, ჰილდა რაკი დავინახე. ერთხანს მივაჩერდი, როგორ ეთამაშებოდა მის თმას დილის მკრთალი ნათელი. ტანზე გადაფარებული მოლისფერი შინელი მხრიდან გადმოცურებოდა, მოხრილ ფეხებზე ძლივს გადაწვდენოდა შინელის კალთა, მუხლისთავი გამოჩნდოდა მის კალთიდან. ცალი მკლავი მოეხარა და თავქვეშ ამოედო. ლაწვი, დახუჭული თვალი და შუბლი მოუჩანდა მკლავში ჩამალული სახიდან. ადნებოდა და ადნებოდა თმასა და სახის თეთრკანზე მიწურის სარკმლიდან გადმოწვდენილი დილის ნათლის ზოლი.

გამიხარდა, რაკი დავინახე-მეთქი. ხო გაგიმზილე?! ჰილდა, უცებ ვერ გავბედე გაღვიძება, კართან უიდექი ერთხანს, ობოლა შემომკეტროდა და კუდს მიქიცინებდა. გაქათქათებულ საწოლში რო იწვეს, ნეტავი ასეთი მომზილავი თუ იქნება-მეთქი, აბა, ეგ ფიქრიც გაგიმზილე, თუმცა რალასა და ვილას მოვერიოდო, არჩილი და სამოელი. ალბათ გენადიც კარგა ხანია ამჩნევენ თურმე, რა ქარტეხილიც არის აწვევტილი ჩემ სულში, არ გააღვიძებდი და მიწურში დაგრჩებოდაო, მომამახა სამოელმა და იმასაც კარგად მივხვდი. ამ მომახილს რა საფანელიც ჰქონდა ამოდებული. სამოელის მინიშნებებით ლაპარაკს მიჩვეული ვარ მე სტუდენტობიდანვე. არჩილმა არც მინიშნებებით ლაპარაკი იცის და არც მაინცადამაინც იუმორი ემარჯვება, მაგრამ ტყვე არ დაგეკარგოსო, რო გამოაყოლა სამოელის შემომამხილს, კი მივხვდი, ჩემ გულში იმასაც ჩაუტვრეტია და საიდუმლოს რო არის მიხვედრილი, — (მე რას დამიმაღავ საიდუმ-

ლოსო), — ამგვარი იუმორით გამოხატა ეს.

ერთხანს-მეთქი კართან შეეჩერდი და ვერ გავბედე ჰილდას გაღვიძება. მერე მძინარეს ძლივს გასაგონად შეეძახე:

— ჰილდა!

ჰილდა არ შენძრეულა, არ გაუგონია ჩემი ძახილი. ობოლას დავხედე, მე რას მომჩერებინარ, მიდი, გააღვიძე-მეთქი, კინალამ ვუთხარი ძალღს. ერთხელაც შეეძახე, მაგრამ ჰილდა არც ამჯერად შერხეულა. მივედი მასთან, მხარზე ხელი შევახე და ოდნავ შევაჯანჯლარე, კი არ შევაჯანჯლარე, მხარი შევეუქანე ისე, თითქოს ვცდილობდი არ გაღვიძებოდა.

შეიძრა ჰილდა, გულღმა გაწვა, სახე მიწურის სარკმილიდან გადმოწვდნილ სინათლის ზოლს შეუშვია და თვალი გაახილა, თავს წამდგარს შემომჩერდა, მკლავი ისევ თავქვეშ ჰქონდა ამოდებული, შემომჩერდა და ოდნავ გაიღიმა. ღიმილის პეპლები ამოუფრინდა ნახევრად მილულული თვალებიდან, პეპლები სინათლის ზოლში შეცურდნენ, შეფარფატდნენ ისე, კლდეზე გადმოვარდნილ ჩანჩქერს მდინარიდან კალმანები რომ შეაცურდებოდნენ და აღმა-აღმა აჰყვებენ ჩანჩქერის აჩინჩხლულ ზოლს. ჰილდამ მერე ხელი ამოიშვია ჩემსკენ და თვალები ისევ მიხუჭა, ძლივს გასაგონად თქვა, შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარო, ბუღუ. ძილის ბურანში გახვეულს თავი სიზმარში ეგონა ალბათ, ხელი ამოიშვია ჩემსკენ და თითებს მიქნევდა, თავისკენ მიხმობდა.

მუხლი მომეკვეთა, კინალამ ჩავიკეცი, მაგრამ ამ დროს ობოლა კბილებით დასწვდა ჰილდაზე გადაფარებულ შინელს და თავისკენ დაითრია. ეს კი იგრძნო ჰილდამ, შემკრთალი წამოქდა, თვალები მოიფშვინტა, ობოლას მიერ დათრეულ შინელს ხელი წაავლო და წამოდგა. მყისვე ჩამომეცალა ტკბილი ბურანი და წავილულულე:

— კინალამ დაგტოვეთ აქ. უცხად წამოვიშალენით, ძილ-მღვიძარენი დაგადექით გზას და მეგონა შენც მოგვდე-

დი. შენ თურმე აქა გძინავს რხეინად გზიდან დამაბრუნეს ბიჭებმა.

— ხო გთხოვე, არ მიმატოვო-მეთქი.

— აკი არ მიგატოვე, გზიდან დავბრუნდი და აგერა ვარ ახლა.

— ისეთ სიზმარში ვიჯავი, ნეტავი არ გამომღვიძებოდა.

— გელიმებოდა ძილში.

— იცი, რა მესიზმრ?

— საიდან მეცოდინება?

— მართლაც, საიდან გეცოდინება!

ხანდახან რა უაზროდ ეკითხებით ხოლმე ერთმანეთს რაღაც-რაღაცებს!.. ვარდისფრად ახლად აყვავებულ ვეებერთელა ხის ტოტზე ვაჭეკი, ატმის ყვავილისფერი თხელი კბა მეცვა, — მაშინვე წარმოვიდგინე ეს სურათი და ჩემს წინ გაწოლილ, მოლისფერ მუნდირში გამოწყობილ ჰილდას კი არა, იმ ჰილდას ვხედავდი, რომელიც ახლად აყვავებულ ტოტზე თხელ, ატმის ყვავილისფერკაბიანი იჯდა... ჰილდა განაგრძობდა: — ისეთი დიდი ხე არასოდეს მინახავს. არც მინახავს და, ალბათ, არც არის ქვეყანაზე. არა, მისი ყვავილები, რომლებიც სულ ახლახანს ამოფეთქებულიყვენ კვირტებიდან, არც ვარდისფერები იყვნენ და არც ატმის ყვავილისფერები. იმნიერფერი ხანდახან თეთრ ღრუბლებზე დამინახავს, მზე რომ ამოსვლას დააპირებს, მაშინ... ვაჭეკი ხის ტოტზე, დაბლა ვიკტირებოდი და მეშინოდა, არ გადავვარდნილიყავი ტოტიდან. იმის კი არ მეშინოდა, დავიმტვრევი-მეთქი... არა... იმის მეშინოდა, არ დამეკარგა იმ სასწაული ხის ფერადი სამფლობელო. უცებ შენ მოგკარი თვალი მინდორზე. მე ძალიან მაღლა ვიყავი იმ მინდვრიდან, შენ ძლივს ჩანდი, მაგრამ მაინც გიცანი. ცალი ხელით ხის ტოტს მაგრად ჩავებლაუქე და დავიძახე. უსაშველოდ მომინდა ამოსულიყავი ხეზე, მის ზღაპრულ საუფლოში. სხვა არავინ მინდოდა და ხელი დავიქნიე. გიქნევდი და გიქნევდი ხელს. შენ გაშტერებული ამომჩერებოდი ქვემოდან და ადგილი-

დან არ აძროდი... ნეტავი არ გამღვიძებოდა.

— არ მნდოდა გამღვიძებინე, მაგრამ, აბა, როდემდე უნდა ყოფილიყავი მაგ ფერად სიზმარში?!

— სანამ სენ არ ამოხვიდოდი.

— კარგი ეხთი... რა დროს ეგებებია..

— სიზმარმა რა იცის დრო, როცა წაგვიძინება, მაშინ წამოგეპარება. დახუტავ თვალებს და ისე გაგიტყუებს, გერც გაიგებ.

— ვიჩქაროთ, პილდა, ჩვენები გველოდებიან.

მიწურიდან აწვევდით, აგჩქარდით, პილდა გამოფხიზლდა.

— ხომ შეიძლება, უცხო ქარისკაცები წამდგომოწენ თავს?! — შეცბუნებულმა წამოიჩახა.

— შეიძლება.

— მერე რა მეშველებოდა?!

— რა უნდა გშველებოდა?! ტყვე ხარ და ტყვე იქნებოდი იმათთანაც.

— შენი ტყვეობა მირჩევნია, შეგეჩვიე... სხვებთან მეშინია... არ მინდა სხვებთან. მერე შენ სადღა განახავ?! შენთან აღარ მგონია, რომ ტყვე ვარ.

— კარგი, კარგი, ნულა გეგონება, რომ ტყვე ხარ. ეცადე აღარ ჩამოგვრჩე, თუ გინდა, სხვათა ხელში არ აღმოჩნდე.

არჩილი, გენადი და სამოელი იქვე გველოდებოდნენ, საცა დაეტოვე. ობოლა ჭერ იმათთან მიიჭრა, სათითაოდ ჩამოუარა, როგორც მოახერხა, ისე გაეხახუნა მათ.

## ოზოლას ბოლო ნახტომი

ნაშუადღევს ერთ ტყიან მთას მივაღვექით. მთა მაინცადამაინც მაღალი არ არის, კარგა გვარიანადა წაგრძელებული. ტყიანი არც ეთქმის მთას, იქა-აქ კი სჩანს ნაძვები, მაგრამ უფრო ბუჩქნარითაა დაფარული. ბუჩქნარების მაღალ-მაღალი ღეროები ლორთქო ფოთლებით შემოსილიან.

ამ მთასთან უფრო შესქედიდა უკანდახეული ქარის ნაწილები. სხვადასხვა

გზით, სხვადასხვა ბილიკებითა თუ მინდორ-მინდორ მოდენილნი დაწყვეტილი კოლონები თუ ჭკუფები ჭარისკაცებისა, როგორც ჩანს, აქ შეუერთდა ერთმანეთს და ერთხანს მთის ძირთან შეტბორდა. ცოტა ხნის შემდეგ შეტბორებული ნაწილები ნელ-ნელა ბუჩქნარიან ფერდობებს შეპყვენენ, ვინ როგორ მოახერხა, ისე.

მთის სამხრეთ-დასავლეთით სოფელი ყოფილა. მთის ძირზე მიტმასნილი საურმე გზა სოფლისკენ მიემართებოდა, მაგრამ ამ გზით ჩვენი წასვლა უკვე აღარ შეიძლებოდა, რადგან ორიოდვე საათის წინ სოფელი გერმანელებს დაუკავებიათ.

ამ წაგრძელებული მთის იქეთ, მეორე მხარეს უკვე აზოვის ზღვა ყოფილა. ეს დამრეცი ფერდობები უნდა გადაგველახა და მივადგებოდით აზოვის ზღვას.

ამდენხანს არ ვიცოდით, რატომ მოვეშურებოდით აზოვის ზღვის მიმართულებით. დღეს კანტი-კუნტად გაისმა, აზოვის ზღვისა და შავი ზღვის შემაერთებელ ტამანის სრუტისაკენ მივემართებოდით. იქ უნდა მიგვეღწია როგორმე. იქიდან კი სავააკუაციო გემებით, კატერებითა თუ ნავეებით გადავიყვანდნენ-გალმა ნაპირზე — ტამანის ნახევარკუნძულზე.

ყველა ამ ცნობას იქა-აქ მოგვართო ყური და ჩვენთვის ნათელი გახდა, რა მდგომარეობაშიც ვიმყოფებოდით. გერმანელები გუშინწინ შესულან ქერჩში. ასე რომ, ქერჩის ნახევარკუნძულზე ჩვენი ფრონტის მდგომარეობა, ჩვენ მიერ ყურმოკრული ცნობებითაც, უიმედოდ გამოიყურებოდა. როგორც ჩანს, სარდლობის მთავარი საზრუნავი ისღა გამზდარა, როგორ გადაეყვანა ქარის გადარჩენილი ნაწილები და ტექნიკა ზღვის გაღმა ნაპირზე.

შევეყვით მთის ფერდობს. გვარიანად დაქანებულ ფერდობზე ასვლა გაგვიჭირდა. ბუჩქების ახლად შეფოთლილ ტოტებს ვიშველეებთ, ვებლაუტებთ მათ და ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვევთ ზევით.

კარგა ხანს ვიარეთ ასე.

მთის ქედს რომ მივალწიეთ, მოულოდ-  
ნელად რომელიღაც სოფელს წავადე-  
ქით ზემოდან. აქ მთა წყდება, სოფელი  
შუა ჰყვეთს მას, ფერდობი ძირს ფართო  
ველობზე გაფენილ პატარა სოფელს  
ეხება. სოფლის მეორე მხარეს მთა  
კვლავ გრძელდება. სოფელში რამდენ-  
იმე თეთრად კედლებზეფეთქილი სა-  
ხლი დგას.

ჩვენ გზა შეგვშლია და ოდნავ გან-  
ზე გამოვყოლილვართ მთის ფერდობს,  
ამ გადასახედთან მარტონი აღმოვჩნ-  
დით.

სოფლის გზაზე გერმანელების რამ-  
დენიმე მოტოციკლმა ჩაიქროლა. მა-  
შინვე ბუჩქებში ჩავწყვეით. სოფლის  
მეორე მხარეს, გაწყვეტილი მთის გაგ-  
რძელების ფერდობზე ჩასანგრებულყო  
გერმანელები შევამჩნიეთ.

უცებ ობოლა ადგილს მოწყდა და  
კისრისტეხით დაეშვა ფერდობზე. ბუჩ-  
ქება და ბუჩქებს შუა გაძვრა-გამოძვ-  
რა. ხან შეიკარგება ბუჩქებში, ხან გა-  
მოჩნდება. სახტად დარჩენილი და  
სულგანაბულნი მივაჩერდით, ვერ მივ-  
ხვდით, სად გარბის, რა წაეკიდა. სო-  
ფლის განაპირას, სახლებიდან კარგა  
მოშორებით, მთის ძირს რომ მივალწია,  
მაშინლა მივხვდი, რა ენიც წანთებო-  
და — ორ ავტომატიან გერმანელს შუ-  
აში ჩვენი ჯარისკაცი მოექციათ, ჯარის-  
კაცს ხელები მალა შეუმართავს; რო-  
გორც ჩანს, ტყვედ ჩაუგდიათ და სოფ-  
ლისკენ მიჰყავთ.

ეს მაშინ დავინახე, როცა ბუჩქები-  
დან გამოვარდნილი ობოლა მწვანე მუნ-  
დირიან, ავტომატმომარჯვებულ გერმა-  
ნელს ზურგზე მიახტა, კბილებით ჩააფ-  
რინდა და უკან დაითრია. გერმანელმა  
თავი ვერ შეიკავა, გულალმა დავარდა.  
ობოლა ახლა მეორეს მიეჭრა, რომე-  
ლიც ძაღლის ყეფაზე ის-ის იყო, უკან  
შემობრუნდა. ობოლა პირდაპირ ცხვირ-  
პირში ეცა დაზაფრულ გერმანელ ჯა-  
რისკაცს. ეს ისე ელვისებურად მოხდა,  
გულალმა დავარდნილმა გერმანელმა  
წელის წამოთრევაც ვერ მოასრუო, ტყვე  
წითელარმიელი მაშინვე გონს მოვი-

და, განზე გახტა და ბუჩქებში შეიკო-  
თავი. ძირს დავარდნილმა გერმანელმა  
წელი წამოთრია, მეგობრის ცხვირპი-  
რზე აფთარივით მივარდნილ ობოლას  
მიეჭრა, ავტომატის კონდახი ზურგზე  
დაჰკრა. ობოლა გერმანელი ჯარისკა-  
ცის მკერდს მოწყდა, ძირს დაეცა, მა-  
შინვე ავტომატის გრძელი ჯერი მიიყა-  
რა გერმანელმა და ობოლა აღარ გან-  
ძრეულა.

ძაღლი რომ თავიდან მოიშორა, გერ-  
მანელმა ბუჩქნარებისაკენ მიაშვირა ავ-  
ტომატი, მიაფრქვია და მიაფრქვია ცეცხ-  
ლი ბუჩქნარებს, ალბათ, თვალი მოჰკ-  
რა წამოდგომისას, ტყვე წითელარმიე-  
ლმა საითაც მისცა ტყვეს თავი და იქი-  
თენ მიიყარა კვალდაკვალ ტყვიები.  
გაქცეული ჯარისკაცი აღარ ჩანდა. მე-  
რე გერმანელმა ბუჩქნარის გამოთოფ-  
ვას თავი ანება და ობოლას მიერ სახე-  
დაკაწრულ მეგობარს წაეშველა, მხა-  
რში შეუდგა და იქაურობას გაშორდა.

გაქვავებულებივით მივეკარიოთ მიწას,  
თითქოს იმას ველოდით, როდის წამო-  
დგება ობოლა და როდის დაბრუნდება  
უკან. ხმას არ ვიღებთ. ჩემს გვერდით  
გაწოლილმა სამოელმა გადმოიმჩურჩუ-  
ლა:

— საწყალი ძაღლი.

— ძაღლი კი არა, რალაც სხვა სუ-  
ლიერი იყო, ისეთი სულიერი, რომელ-  
საც უფრო ადამიანური ხასიათი გააჩ-  
ნია, — წაეჩურჩულე მე სამოელს.

— რაც შენ მაგაზე მიაძმე, ძაღლი  
კი არა, კაცივით სულიერი ყოფილა მა-  
რთლაც. ეგ რა იყო, როგორ დაეძგერა  
იმ გერმანელს?!

— ხო ვითხარი, საცა მწვანე მუნდი-  
რიანს მოკრავდა თვალს, აფთარივით  
მიაცხრებოდა.

— ჰილდას შეეგუა, ჰილდას მოღოს-  
ფერი შინელი აღარ აღიზიანებდა.

— თილისმინი გოგოა, იმ თილისმით  
შეიგუა ჰილდამ და იმიტომ.

— უცხო გერმანელები რომ დაინახა,  
გაგიცდა.

— გაახსენდა ალბათ მწარე დღე.

— ნუთუ მართლა გაახსენდა?!

— აბა, წითელარმიელი ტყვედ ჩაუგდიათ გერმანელებს და მივეშველებიო. ამას ნამდვილად ვერ გაიფიქრებდა ობოლა, რაც არ უნდა იყოს, მაინც ძაღლი იყო.

— ჰო, ძაღლი იყო, მაგრამ სხვანაირი ძაღლი იყო ობოლა.

— მაგას არ გეუბნები მეც?!

არჩილს გავხედე, გავგებულნი დასცქეროდა ქვემოთ ბუჩქებთან უძრავად გაწოლილ ობოლას. მივეხვდი გუმანს, ჩავიდეთ და დავმარბოთ მაინცო, რო შემოშვებდა თვალბით ეს მითხრა, მაგრამ ახლა ეს რისკი შეიძლება საბედისწერო ყოფილიყო, იმ არე-მარეზე გერმანელები დაბორილობდნენ. მას მერე, რაც გერმანელმა ტყვეები დაახალა, ობოლა ოდნავდაც არ შერხეულა, სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა.

ობოლამ თავისი ბოლო ნახტომი გააკეთა.

## ზღვა

ეს ელვისებურად მოხდა:

ობოლა, წამოიძახა ჰილდამ, ჩემს ახლოს მიწაზე გაწოლილი წამოიჭრა და დაქანებულ ფერდობზე დაეშვა, სირბილით იქით მიაშურა, საცა ობოლა იწვა. ფეხს ვერ იმაგრებდა, ბუჩქების რტოებს ებღაუჭებოდა ხელებით. შეჩერდი-მეთქი, მივამახე, მაგრამ ჰილდა არ შეჩერებულა, ბუჩქებში შეძვრა და ერთხანს არც გამოჩენილა. ცოტა ხნის შემდეგ გამოძვრა ბუჩქებიდან უფრო დაბლა, უფრო ქვემოთ, თითქმის ფერდობის შუაწილს მიაღწია.

უცებ გენადიმ დაიყვირა, შესდექ, უკან დაბრუნდიო. შენც არ მომიკვდე, ჰილდას გენადის ყვირილისათვისაც არ მიუქცევია ყურადღება, გარბის თავქვე და უკან არ იხედება. გენადი წამოიძარბო, თოფი მხარზე მიიყუდა და ჩახმახი ააჩაყუნა, კვლავ დაიბრიალა:

— შეჩერდი, ძაღლიშვილო, მობრუნდი, თორემ ვესვრი!

მართლა არ ესროლოს-მეთქი, გული

შემიქანდა, წამოგვარდი და გენადის მივამახე:

— არ ესროლო, გენადი, ობოლასთან მირბის!

— ობოლასთან კი არა, თავისიანები დაინახა და იმათთან გარბის!

გაცოფებულმა გენადიმ ეგლა თქვა, თოფი ჰილდას დაუმიზნა და იმ დროს, როცა ჩახმახი გამოსხლიტა, იქვე წამომართულმა არჩილმა თოფს ხელი აკრა. ცისკენ აქნულმა თოფმა იქუხა. არჩილმა თოფიან ხელზე ხელი ჩაავლო გენადის, ქვე დაიზიდა და ჩააჯინა.

— გონს მოდი, ყაზახო, ცოცხალი არ დაიდო.

— ტყვე გაგვექცა და ცოცხალი იქნება...

— არ გაქცეულა, — შეაწყვეტინა სიტყვა არჩილმა.

გენადი მაინც იქაჩებოდა, ადგომას ლამობდა და თოფის მომარჯვებას. არჩილი ებღაუჭებოდა და თავის ნებაზე არ უშვებდა. ამ დროს მეც მივეარდი მათთან.

ჰილდა ობოლასთან მიიჭრა, დახედა ძაღლს და ჩაიმუხლა. რამდენიმე წამს ასე იყო... წამოდგა, ობოლა ძლივს ზურგზე მოიგდო და მთის ფერდობს აღმა ამოჰყვა. სამოელმა, მივეშველებიო, თქვა და ბუჩქის ტოტებს ჩაეკიდა.

არ ვიცი, რატომ მეგონა, ჰილდა არ გაიქცეოდა. რა თქმა უნდა, არც ის ვიცი, არჩილმა რატომ უთხრა გენადის, არ გაქცეულაო. ტყვედ ჩავარდნილმა გოგომ თავისიანები დაინახა, ისინი გვიტყვენ, საცა ლამის ზღვაში გადაგვყარონ, აგერ იმ მთის ფერდზე არიან ჩასანგრებულნი, სოფელშიაც აიჭროლ-ჩაიჭროლებენ ხოლმე, აქვე იყვნენ, სულ ახლოს, ალბათ ტყეში გზაბნეულს, იმ წითელარმიელს მოულოდნელად გადაეყარნენ და ტყვედ აიყვანეს, მიჰყავდათ, ობოლას რომ არ შეეშალა ხელი. სოფლისაკენ გავმართნენ ისინიც. ჰილდამ ყველაფერი ეს კარგად დაინახა. ამდენი წვალება გამოიარა ჩვენთან ერთად, არც ის იცის, ზვალ რა ელოდება. თანამემამულეები ძლიერ შეტყევაზე არიან



გადმოსულნი, ისიც იცის ჰილდამ, უკვე ქერჩში რო არიან შესულნი. თანამემამულეთა წარმატება როგორ არ უნდა გაუხარდეს კაცს?! მერედა, რომელ ტყვეს არ სურს ტყვეობიდან განთავისუფლება, თუკი ამის შესაძლებლობა არის?! ხო ჰქონდა ამის შესაძლებლობა ჰილდას, ეგერ თავისიანები, თუკი გაუშვებ, რატომ არ უნდა გაიქცეს იმათთან, რატომ არ უნდა ჰგონებოდა გენადის, რომ ტყვე მათკენ მირბის?! რატომ გვეგონა მე და არჩილს, არა, არ გაიქცევაო?!

სამოელი ჰილდას მიეგება, ჯანსაღი ხელით მიეშველა. ძლივს ამოათრია ორივემ უსულო ობოლა. დაასვენეს მიწაზე ჩვენს ფეხებთან. გენადიმ სივარეტის ნამწვი განზე მოისროლა, თოფი არჩილს მიაჩეჩა, ჩაიმუხლა, ძალს კბილებში შერჩენოდა გერმანელი ჯარისკაცის მოლისფერი შინლის ნახევი. ობოლას კბილები გაკრეკილი დარჩენოდა და თეთრად უელავდა. კბილზე შერჩენილი ჰინჭი გენადიმ ჯიბის დანით შეჭრა. ჯაყვა დაკეცა და ჯიბეში ჩაიღო.

ობოლა დავმარხეთ.  
— არ მეგონა თუ რამდენიმე დღეში ძალი ასე შემავყარებდა თავს, — თქვა ჰილდამ.

გენადიმ ისევე წეკო გაახვია, მოუყიდა და გააბოლა, ბოლს ღერა-ღერა ამოაყოლა სიტყვები:

— რა ვიცოდი მე, შენ თუ ობოლას დატირება გინდოდა.

— დატირება კი არ მინდოდა, გადარჩენა მინდოდა მისი, ვიფიქრე, თუ დაქრილია, მივეშველები-მეთქი.

— კარგი ახლა, გენადი, რაც იყო, იყო, — სცადა გენადის დამშვიდება სამოელმა, — ომია... რა არ ხდება ომში!..

— ჰო, ეგარეა, — კვერი დაუკრა სამოელს არჩილმა, — წავიდეთ, ეს მთა შელაშქვამდე თუ არ გადავლახეთ, სახიფათოა აქ ყოფნა. უფრო საშიხრეთდასავლეთით ავიღოთ გეზი, როგორც ეტყობა, გზა გავიმრუდეთ. ხო ნახეთ,

გზა-ქერჩისკენ გერმანელებს გადაკრული აქვთ.

ისევე აღმა-აღმა შევეყვით დობს.

რომელიღაც ბუჩქთან ჰილდას ფეხი დაუტედა, თითებზე ხელი წავავლე და კარგა ხანს ასე ვიარეთ.

— შენც იფიქრე, გაიქცევაო? — უცებ მკითხა ჰილდამ.

— არა.

— რატომ?

— რა ვიცი.

— მაინც რატომ? — ჩამაცვიდა ჰილდა.

— რა ვიცი-მეთქი, ხო გითხარი. ასე ვგრძნობდი და იმიტომ ვიფიქრე ასე.

— შენ რო არ ყოფილიყავი, შეიძლება გავექცეულიყავი.

— ვიცი.

— საიდან იცი?

— ვგრძნობ-მეთქი, რამდენჯერ გითხრა?... გუმანით მივხვდი.

— რო გავექცეულიყავი, გეწყინებოდა?

— ჰო, მეწყინებოდა.

— რა გეწყინებოდა?

— რო გავექცეულიყავი, ის მეწყინებოდა...

— რა-მეთქი? რა გეწყინებოდა? ის, რომ ტყვე გამქეცაო?

— არა.

— აბა?

— ნუ გამიწყალე გული. შენ კარგი გოგო ხარ, რო დაბრუნდი.

— მართლა გაგიხარდა, რო დაბრუნდი?

— მართლა გამიხარდა.

— გენადის რო მოვეკალი, მისი გასროლილი ტყვია რო მომხვედროდა?

— რას ამბობ, ჰილდა?... არ მოკვდებოდი შენ.

— კიდევ კარგი, არ მომხვდა ტყვია და არ მოკვდით. დიდი ცოდვა დააწვებოდა კისერზე გენადის. მერე ვინლა გეტყოდა ჩემს გულისნადებს? ვინლა გეტყოდა რომ შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ? რომ მე სრულებითაც არ მიჭირს შენს გვერდით სიარული, ამ საშინელე-



ბათა ტვირთის ზიდვა? რომ მე აღარაფრის მეშინია შენთან ახლოს? რომ მე არსად არ გავიქცევი შენგან?

— ჰო, ჰო, ვიცი, რომ არსადაც არ გაიქცევი, ჰილდა.

ჰილდა შეჩერდა, მეც შევეჩერდი და ჰილდას გახედე, ის შემომაჩერდა თვალებში და მთხოვა:

— კიდევ თქვი, ვთხოვ, კიდევ თქვი ჩემი სახელი.

ჰილდა-მეთქი, ვთქვი ოდნავ გაოცებულმა.

— შენ როცა მეძახი, ჩემი სახელი სხვანაირად, თითქოს უფრო სასიამოვნოდ ეღერს, „ჰილდა“ კი არა, რაღაც სხვა, უფრო რბილი ბგერა მესმის „ხ“-ს ნაცვლად.

— ეს იმიტომ, რომ, — ვცადე ამეხსნა ჰილდასთვის, — ჩვენს ენაში არის „ჰ“ ბგერა, ჩვენს ენაზე „ჰილდად“ ამიტომ გამოითქმის შენი სახელი.

თავზე რომელიღაც ფრინველმა გადაგვიფრინა, ჰილდამ თვალი გააყოლა ფრინველს და უცებ შესძახა:

— ზღვა!

მთის თავს წავდგომივართ. დაბლა ლურჯად აელვარდა ატორტმანებული აზოვის ზღვა.

ზღვაო, შესძახა ჰილდამ და ღრუბლიანი მორიზონტისკენ გაშლილ, საღამოს ბინდწაფარებულ შემუქებულ ლურჯ სივრცეს ისე დააცქერდა, მისი სახის იერით ძნელად მიხვდებოდი, გაუხარდა ზღვის დანახვა თუ გაუკვირდა. კაცმა რომ თქვას, გახარებით რატომ უნდა გახარებოდა ზღვის დანახვა, მისთვის სულერთი არ არის, წინ ზღვა დახედება თუ ხმელეთი?! ეგ სხვაა, მე რომ გამიხარდა აზოვის ზღვის დანახვა, — იმედი მომეცა, ნაპირს გემები მოადგება და გაღმა ნაპირზე გადაგვაცურებენ, ეგებ ამ ჭოჯობეთში აღარ ჩავიხოცოთ-მეთქი, ასე გავიფიქრე... ასე გავიფიქრე და ნაპირ-ნაპირ მიმავალ ქარის ნაწილებს თვალი გაგაყოლე, ნელ-ნელა მიზოზინებენ მხრებჩამოყრილი ქარისკაცები ქერჩის მიმართულეობით. ასინიც ხომ იმ იმედით მილასლა-

სებენ იქით, საცა გაღმა ნაპირისაკენ გადასაცური ყელია აზოვის ზღვაში იმ მხრიდან განუწყვეტლივ იმპია არტილერიის ყრუ გუგუნე, ალბათ, გერმანელები ბომბავენ და ბომბავენ, არტილერიის ჰურეებს უშენენ ნაპირთან მომდგარ ან უკვე ზღვაში შეცურებულ გემებს, კატერებს, ნაევებს. აგერ, რამდენიმე ნავს, აქაც, ჩემს ქვემოთ გაშლილ ზღვის ზედაპირზეც მოვკარი თვალი, ნიჩბებს იქნევენ ზედ შეხურხლული ქარისკაცები, როგორც ჩანს, ნაევებს წაწყვდომიან ნაპირთან და შეცურებულან ზღვაში. ძნელია, ნავით გადასაცურო ამხელა სივრცე, მაგრამ ძნელი როა, ამას რას დაგიდევს ახლა ამდენი დღის უკანდახევით, უთანასწორო ბრძოლებში დაღლილ-დაქანცული, შიმშილისაგან ქანცამწყვდარი, სიკვდილთან მიახლოებული ქარისკაცი?! ზაესი უპოვია და იმას ეჭიდება, ეჭიდება, რადგან მაინც ხელშესახებია რაღაც, ზავია, მაგრამ გადარჩენის იმედისთვის ეგაც საკმარისია, თუკი ჩაებღაუჭე, ეგებ ცოტა ხანს კიდევ გაძლო და მერე ღმერთთა მოწყალე. რა იცი, საცაა ჩამობნელდება, გერმანელების თვითმფრინავები ველარ შეგამჩნევენ. ნავი მაინც ნავია, გაცურდება, აგერა, ხო გაცურებულა კიდევ, კარგა გვარიანად მოშორებია ამ ჭოჯობეთის ნაპირს. ჟანდაბას, რაკი ამ ნაპირს მოშორდა, ახლა თუ მაინცადამაინც მეცხრე ტალღა არ დაეჯახა, გაღმა ნაპირამდეც შეიძლება მიალწიოს ნავმა. მართალია იქ ომი არ მთავრდება, იმ გაღმა ნაპირზე, მაგრამ აქაური, ამ ნახევარკუნძულის ტანჯვაწამება ხო დამთავრდება, სიკვდილის ამ ლავაში ხო არ ჩაითუთქები. კი ბატონო, გაგრძელდეს, გაგრძელდეს კიდევ ომი, ითავებოს კიდევ ქარისკაცმა, — ქარისკაცი იმიტომ არის გაჩენილი, რომ უნდა ითავებოს, — ოღონდ ჟერ, ამ წუთს, აი, ახლა, ჟერ სიკვდილი ნუ... ნუ წამოეწევა, ჟერ სიკვდილი ქარისკაცს. მერე რა, გაწამებული, დაღლილ-დაქანცული, სიცოცხლემობეზრებული როა? ასეთთა ქარისკაცის ბედი საერ-

თოდ. მერე რა, სიცოცხლემობეზრებულ-  
ლი რთა, დაღლილ-დაქანცული რთა,  
გაწამებული რთა?... იქ, გაღმა ნაპირზე  
სულს მოიბრუნებს, ამჯერად გაუსხლ-  
ტება სიკვდილის ბრჭყალებს, უაზრო  
სიკვდილის ბრჭყალებს... ჭარისკაცის-  
თვის ეს არის მთავარი, უაზრო სიკვ-  
დილის ბრჭყალებს გაექცეს. უაზრო  
სიკვდილი იმასა ჰქვია, არაფერად და  
არაფერში რთ არ გამოადგება არც  
ქვეყანას, არც შენს მეგობარ ჭარის-  
კაცს, არც სარდლობას, არც იერიშის  
წარმატებას უწყობს ხელს და არც  
მტრის შემოტევის, შეჩერებას. აბა, ისეთ  
სიკვდილს, აზრიან სიკვდილს, — იერიშის  
წარმატებას რომ ხელს შეუწყობს, მტრის  
შემოტევას რომ შეაჩერებს, სარდლო-  
ბას რომ გაუიოლებს საბრძოლო გე-  
გმას, — ასეთ სიკვდილს ჭარისკაცი სიკ-  
ვდილად არა თვლის... ამისთვის არის  
ჭარისკაცი გაჩენილი. თუ სიკვდილი  
წამოეწევა, თუ ეს საჭიროა, წამოეწიოს...  
თუ ვერ გადარჩება, ცოცხლად გადარ-  
ჩენა თუ არ უწერია, წამოეწიოს... ამგ-  
ვარი აზრიანი სიკვდილი წამოეწიოს.  
მართალს ამბობენ მერე, — ომს გადარ-  
ჩენილები, — ამგვარი სიკვდილი არც  
არის ჭარისკაცის სიკვდილი, ხსოვნა და-  
რჩება მისი, სახელი დარჩება მისი და  
ეს ხომ სიცოცხლეა, აბა, რა არის?!  
უაზრო სიკვდილის ბრჭყალებს კი გა-  
უბნის ჭარისკაცი, ხვებსაც ამიტომ ებ-  
ლაუქება, იმედის ყოველნაირ ბეწვს ეპო-  
ტინება დაღლილ-დაქანცული, გაწამე-  
ბული, სიცოცხლემობეზრებული ჭა-  
რისკაცი. უყურე, უყურე, ერთი ჭარის-  
კაცი ფიცარზე გაწოლილა პირქვე და  
შეღავებს ორთაყვირებივით იქნევს წყა-  
ლში. ფიცარს მიწოდებია, გაგონილა,  
ფიცარით ზღვის გატურვა?! მიცურავს,  
ისიც კარგა გვარიანად გაშორებია ნა-  
პირს. ეს კი მართლაც ბეწვია იმედისა,  
მართლაც ხვსია. ჯერ კიდევ ცივი რთა  
წყალი, ეგ არაფერი, რთ დაიღლება ხე-  
ლების ქნევით, ეგაც არაფერი, — ცუ-  
რვა იცის ალბათ კარგი და ზღვაში ხან-  
დახან შეისვენებს, — ოღონდ მტრის  
თვითმფრინავი არ წამოეწიოს, ოღონდ

ქართა ტეხა ნუ ატყდება ზღვაზე. ზღვას  
ნუ ააბორგებს ქართა ტეხა. ეგაგორაზე  
ლი ზვირთები ნუ მოიქცევენ...  
ჭარისკაცი ამ ფიცრითაც გააღწევს რთ-  
გორმე გაღმა ნაპირამდე. სხეანიც, სხვა-  
ნიც კი ინატრებენ ამნაირ ნავსა და ფი-  
ცარს, მაგრამ სად არის, სად არის ამ-  
დენი ნავი და ფიცარი?!

ზღვაო, ჰილდას შეძახილი რთ გამი-  
ხარდა, ალბათ ამიტომ გამიხარდა... ალ-  
ბათ ეს გავიფიქრე მაშინვე, ნავი და  
ფიცარი ეგებ ჩვენც ვიშოვოთ — მე,  
არჩილმა, სამოელმა, გენადიმ. — რა  
თქმა უნდა, ჩვენც თუ ვიშოვიდით,  
ჰილდასაც ჩვენთან ერთად შევაცურებ-  
დით ზღვაში. გაღმა ნაპირზე გადავიყ-  
ვანდით ჰილდასაც... ჰო. ეგ გავიფიქრე  
ალბათ. რა თქმა უნდა, იმაზე არ მიფი-  
ქრია, — არც შემემლო ამის გაფიქრე-  
ბა, — ჰილდას გაღმა ნაპირზე გადა-  
ვიყვანთ, მაგრამ მერე რა იქნებოდა.  
მერე რა მოხდებოდა? ხო გამოგოტყ-  
დით, ხო გაგიბილეთ ჩემი გუბანი ჰილ-  
დას შესახებ და ახლა მე, გარდა ჩემი  
ამხანაგებისა, ხო უნდა მანტერებებ-  
დეს ჰილდას შემდგომი ბედიც? მაგრამ  
ზღვა რთ დავინახე და გაღმა ნაპირზე  
გადასვლის იმედის ხავეს ჩავეჭკოდე,  
ჰილდას შემდგომი ბედზე. მართალი გი-  
თხრათ, არ მიფიქრია. როგორც წელიწად  
მოგახსენეთ, ჰილდას კი არ გახარებია  
უცრად ზღვის დანახვა... მისი სახის  
გამომეტყველებით შეგამჩნიე, რომ მას  
ზღვის დანახვა უფრო გაუვიკრდა, ვიდ-  
რე გაუხარდა.

— პირველად ვხედავ ზღვას, — თქვა  
ჰილდამ.  
— მართლა?! — გავიოცე მე.  
— მართლა. მართლა. — ზღვიდან  
ჩემსკენ გამოაცურა მზერა ჰილდამ. —  
ბევრი წამიკითხავს და გამოგონია ზღვა-  
ზე, მაგრამ მე თვითონ არასოდეს მიწა-  
ხავს. შუა გერმანიის ერთ პატარა პრო-  
ვინციულ ქალაქში. — ქალაქიც არ ვთ-  
ქმის, ისე პატარაა. — დავიბადე, იქ გა-  
ვატარე ბავშვობა, იქ ვცხოვრობდი და  
ისე მოხდა, იქიდან ფეხი არ მომიცე-  
ვია, სანამ ბერლინის ინსტიტუტში სწა-

ვლა არ დავიწყე. აბა, საიდან ვნახავდი ზღვას?... მუდამ ვოცნებობდი, ერთი დამანახა-მეთქი ზღვა.

არ გამკვირვებია, ეს რომ მითხრა პილდამ. საშუალო სკოლის დამთავრებამდე არც მე მომიკვლია ფეხი ჩემი პროვინციული ქალაქიდან, არც ზღვა მენახა და არც თბილისში ვყოფილვარ. საშუალო სკოლის დამთავრების მერე ვნახე თბილისიც და ზღვაც, — თბილისი მაშინ, უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად რო წამოვედი, ზღვა კი, აგერ, ახლახანს, რამდენიმე თვის წინ, როცა ახალბედა ოფიცრები ნოვოროსიისკთან მიგვიყვანეს ქერჩის ნახევარკუნძულზე გადასაყვანად. არც ისე მოშორებით იყო ჩემი ქალაქიდან თბილისი და შავი ზღვა, მაგრამ ჩემი თაობა საერთოდ ახალი გადმოზარგებული იყო მამა-პაპური ურმებიდან მანქანებსა და თვითმფრინავებზე, რომლებსაც არც თუ ისე ხშირად ვხედავდით, რომლებზედაც ძნელად მიგვიწვდებოდა ხოლმე ხელი. ჩემს ქალაქში ჯერ კიდევ ფაიტონები იყო მთავარი სატრანსპორტო საშუალება. თვითმფრინავი კი... ერთ კვირა დღეს, — მეთათე კლასში ვიყავი მაშინ, — ქალაქის გარეუბანში, აეროდრომზე ახალგაზრდობის დიდი ზეიმი მოეწყო. მრავალნაირ გასართობთა შორის, თვითმფრინავით, — ახლა, ამ ომში, „კუკურუნიკს“ რო ეძახიან, იმ თვითმფრინავით, — მალლა აფრენაც იყო. მე, როგორც კარგ მოსწავლესა და სანიმუშო კომკავშირელს, ერთი ბილეთი მომცეს. შემეშინდა თვითმფრინავში ჩაჯდომა, მაგრამ ბილეთზე უარი ვერ ვთქვი. თითო კაცს სვამდნენ თვითმფრინავში. ჩემი რიგი სანამ დადგებოდა, მეგობარ გოგო-ბიჭებთან მდგარ ბაბუცელასთან მივედი და ბილეთი გავუწოდე, შენ გაფრინდი-მეთქი. თვალეზი გაუბრწყინდა ბაბუცელას, გაუხარდა, ის რომ გამოვარჩიე გოგოებში, თვითმფრინავის ბილეთის დათმობა დიდ პატივად მიიღო. ელვიანი ღიმილი შემომაგება, ბილეთი გამომართვა და მამნე თვითმფრინავისკენ გაიქცა, რო-

მელიც ის-ის იყო მიწაზე დაკლა. შევებით ამოვისუნთქე, ჩემი შიშო შევწილბე, რაინდობაც გამომივიდა — გოგოს დაუთმე ბილეთი. გოგოებმა შურით გადადევნეს თვალი ბაბუცელას, რა ბედნიერი გოგოაო, გაიფიქრეს ალბათ, ჩემზედაც გაიფიქრეს, ალბათ, აი, ბიჭო... აფრინდა ბაბუცელა ცაში, კისერაღრეცილები შევცქეროდით ქვემოდა, ვხედავდით, როგორ გვიქვევდა ხელს ციდან ბაბუცელა. უნდა გენახათ, რა აღტაცებული გადმოიჭრა მიწაზე დამქდარ თვითმფრინავიდან ბაბუცელა, რაეზი არ გვითხრა, როცა ჩვენთან მოიჭრა, მე კი ისე გადმომხედა, თითქოს მეუბნებოდა, ამაზე დიდი ბედნიერება ჯერ ჩემთვის არავის მოუწიებიაო. ეს ამბავი კარგა ხანს ჰქონდათ სალაპარაკოდ ჩემ მეგობარ გოგო-ბიჭებს... ჩემი თაობა ჯერ კიდევ არ იყო გალაღებული ავტომანქანებითა და ავტობუსებით, ტროლეიბუსებითა და ტაქსებით. სკოლაში შორიდან ფეხით დაედით. არც შორეული მოგზაურობებით ვიყავით გალაღებულინი. ამიტომაც არ გამკვირვებია, პილდამ რო მითხრა, პირველად ვხედავ ზღვასო.

სწრაფად ჩავიბრინეთ მთის ფერდობი

### გადახეული პაპები

ფერდობიდან ორასიოდე ნახიჯის მოშორებით ზღვის ნაპირთან ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად ფუსფუსობენ. სალამოს ბინდი გაწვა ზღვაზე და მისი ზედაპირი ლურჯად აღარ ელვარებს. ბევრი ჯარისკაცი კვლავ მილასლასებს ნაპირ-ნაპირ ქერჩის მიმართულებით. ალაგ-ალაგ სამ-სამს, ოთხ-ოთხს მთის ძირთან მოეკალათებინა, ალბათ, მეტი სიარულის თავი აღარა აქვთ. აქა-იქ ცეცხლი გაეჩაღებინათ. საველე ქვაბურები შემოედგათ ცეცხლზე.

ისმის არტილერიის გუგუნო, ამასაც მოგვარი ყური — გადასასვლელი ადგილი ჯერჯერობით ჩვენი ჯარის ხელშია, ჩვენი არტილერია და ბრძოლისუნარშერჩენილი ნაწილები თავგანწირულად იცავენ ტამანის სრუტესთან

ჯარების გაღმასვლელ ადგილს. გამუდმებით ბომბავენ გერმანელები ამ ადგილს, უშენენ და უშენენ ქურცებს ენიკალუს. ახლა, აზოვის ზღვის ამ ნაპირთან თავმოყრილი დაქუცმაცებული ნაწილების მიზანი მხოლოდ ის არის, როგორმე მიადწიონ ჯარების გაღმასვლელ ადგილს. დილის მერე ვინაც კი ნაპირთან ნავს გადაწყდომია, ყოველგვარი ნებართვის გარეშე ნავი ზღვაში შეუცურებია.

( ნაპირთან შემადლებულ ბორცვზე მდგარ ორ ქოხს მიეუხლოვდით. ქოხებს არც ღობე ჰქონდათ შემოვლებული და, რა თქმა უნდა, არც ქიშკარი სჩანდა. პირდაპირ ქოხს მივადექით. ნაპირზე ბაწრით მიმავრებული ნავი ქანაობდა ზღვაზე. ზღვას საღამოს ნიავი ატორტმანებდა. ღრუბლებს მიფარებული ჩამავალი მზე ჯერ კიდევ სუნთქავდა და ზანტად მოქანავე ტალღებზე საკმარის მისუსტებულ ნათელს აფენდა. ზღვას რო დააკვირდებოდით, ვერ გაარკვევდით, ამ მკრთალ ნათელს თვალგაუწვდენი წყალი გამოსცემდა თუ მიმქრალი, ღონეგამოლეული დღე ფართხალობდა, სულს ლეგდა წყლის ზედაპირზე.

ქოხთან სამი ჯარისკაცი დგას. მათთან ახლოს მივდით, მივესალმეთ და უცებ გენადიმ შესძახა:

— ბიჭებო, თქვენა ხართ?!

ჯარისკაცები გენადის შიამჩრდნენ.

— ცოცხალი ხარ, ძველო? — ძველოო, გენადის უთხრა ერთმა მათგანმა, რომელიც გენადის ხნისა იქნებოდა, ალბათ, ახლო მეგობრები იყვნენ, იმიტომ იცნეს ასე უცბათ ერთმანეთი, — ვის არა ვკითხე, შენი ასავალ-დასავალი ვერავენ მითხრა. სად დაიკარგე?!

„სად დაიკარგეო“, ახლა უაზრო შეკითხვა იყო, გასაუბრებისთვის ყურმოთრეული. ეს კარგად იცოდა შემკითხველმაცა და გამგონემაც, მაგრამ უცბად, თანამებრძოლისა და ამხანაგის ნახვით გახარებულმა ჯარისკაცმა მეტი ვერ მოახერხა. ჯარისკაცებმა გენადის

ხელი ჩამოართვეს, რამდენიმე სიტყვი ერთმანეთი მოიკითხეს.

— ბრიგადა სად არის? — გენადიმ მერე გენადიმ.

— ბრიგადა აღარაა! — უპასუხა მეგობარმა ჯარისკაცმა, — გერმანელებმა რომ ფრონტი გამოარღვიეს, ჩვენ ხომ მაშინვე იმ უბანზე გაგვიყვანეს. ჩვენ რო იქ დღე დაგვადგა, მტრისას, თითო კაცს თითო თვითმფრინავი წავაფრინდა... ტანებებს ნულა იკითხავ... მაინც სადა აქვთ ამ ძალიშვილებს ამდენი?! ბრიგადაში რამდენი ვიყავით დარჩენილი, შენც კარგად იცი... დაგვარბიეს და დაგვაწიეს... ტანებმა კინალამ მთლიანად გაგვსრისეს მუხლუხობით... ოთხი დღე თავდაუზოგავად ვიბრძოდით... არც კი ვიცე, როგორ გავუძელით. დაიხოცნენ ბიჭები. მეოთხე დღეს პოლკოვნიკიც მოგვიკლეს. ვინც გადავრჩით, უგზო-უცვლოდ მოვდივართ მას მერე, მაიორმაც ვერ გაარკვია, რა ხდებოდა. პოლკოვნიკის სიკვდილმა განახლებრა კაცი, შენ ხო იცი, რა ძმაცეცი იყვნენ. ვინც გადავრჩით, უგზო-უცვლოდ მოვდივართ მას მერე. ჩვენ მაიორს შემოვრჩით და, როგორც ხედავ, აგრა ვართ ახლა.

— მაიორი სად არის? — იკითხა გენადიმ.

— ქოხშია მაიორი, — მიუგო ჯარისკაცმა.

გენადიმ მყისვე ზურგი შეაქცია მეგობრებს და ქოხისკენ გაემართა. ამ დროს ქოხის კარი გაიღო, ღია კარიდან მაიორი კლიმოვი გამოვიდა. გენადი მოულოდნელად შეეფეთა მაიორს, წინ გაეჭიმა, სმენაზე დადგა და შიამჩრდა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. მაიორი კლიმოვი შეჩერდა გენადის წინ, სმენაზე დამდგარ გენადის შეხედა თუ არა, იცნო და ბუხუნა ხმით მიამძახა:

— შენა ხარ, ბებერო!

— დიახ, მე გახლავართ, ამხანაგო მაიორო! — ხმა ამოიღო გენადიმ.

მაიორმა კლიმოვმა მკლავზე ხელი მოჰკიდა გენადის და თან გაიყოლია. რატომღაც გამიხარდა ნაცნობი მაიო-

რის დანახვა. ეს კაცი შეგვხვდა პირველად წინა ხაზთან, ამის ამღვრეული თვალები ჩამოჩა მეხსიერებაში, ამ კაცის წინაშე ფრონტზე ვჭამეთ პირველი სირცხვილი მე და არჩილმა, მერე კი, როცა სირცხვილნაჭამები კვლავ მის წინაშე წარვდექით, არც მაინცდამაინც განგვირისხდა. რა ვიცი, ტყვე რო არ მიგვეყვანა, იქნება კი გაცოფებულიყო, მაგრამ მაშინ ჩემთვის და არჩილისთვის მნიშვნელოვანი ეს ვარაუდი კი არ იყო, იმან განგვაწყო სიმპათიურად ამ მაშინტოლა კაცისადმი, რომ ცოფები არ მოგვაყარა, არ განგვირისხდა უსაშველოდ, გავვიგო ყმაწვილებს და იმ საშინელ ქარ-ცეცხლში ჩვენთვის ეს დიდ რამეს ნიშნავდა.

ამიტომ გამიხარდა მისი დანახვა, თითქოს ომში დიდი ხნის თანამებრძოლ უფროს მეთაურს შევხვდებოდე. იქ, წინა ხაზზე რა ეტყობოდა, ის სისხარტე მოდუნებოდა, ჩახრიწული ბოხი ღმაც შელბობოდა ოდნავ. მწელი იყო ახლა მაიორის გულში ჩახედვა. ბრიგადის შტაბის უფროსს მაიორ კლიმოვს ბრიგადა დაშლოდა, ვინ იცის, რა ცეცხლი ბორგავდა მის გულში. თავდაყოთ ბრძოლებში განახევრებული ბრიგადა უეცრად მტრის გააფთრებულ შემოტევას შეაგება, პოლკოვნიკი, — ბრიგადის მეთაური და მისი უერთგულესი მეგობარი, — ფეოდოსიიდან გამოჭრილ მტერს შეხვდნენ თუ არა, მერე დღესვე კონტრიერიშის დროს დაეცა ბრძოლის ველზე. მიწაც ვერ მიაყარა მეგობარს. ბრიგადას თვითონ ჩაუდგა სათავეში და ძლივს გამოიყვანა უთანასწორო ბრძოლიდან, მეოთხედი ნაწილი დაჩა ბრიგადაში. ოთხი დღე კიდევ ებრძოლა ამ დარჩენილ ნაწილით წინ გამოჭრილ მტერს, დღით ებრძოდა და ღამით უკან იხევდა. რამდენიმე ჯარისკაცილა შერჩა მაიორს და ასე მოაღწია აქამდე. ეს ყველაფერი, სანამ მაიორი გენადის ესაუბრებოდა, ქობთან დამხვდურმა ჯარისკაცებმა გვიამბეს მოკლედ. ამასობაში მაიორი ჩვენ მოგვიახლოვდა, გენადის მოესწრო იმის

თქმა, რომ არმიის შტაბს ვერ მოგველო, რომ ტყვე და ჩვენ, შედეგად ჩვენი მღვლებიც მას კაპიტანმა ჩააბარა, აქა ვართ. მაიორმა კლიმოვმა ხელი ჩამოგვართვა, თან ყურადღებით უსმენს გათამამებულ, ენად გაკრეფილ გენადის, რომელმაც სულმოუთქმელად, სხაპასხუპით უამბო მაიორს ჩვენი ამ დღეების თავგადასავალი, ის, თუ როგორ თავგადაამკვდარი ეძებდა არმიის შტაბს, რა ხიფათებს გადავაწყდით ამ ძებნის დროს, თითქოს თავს იმართლებსო მაიორის წინაშე, რომ ვერ შეასრულა კაპიტნის ბრძანება, ვერ მიგვიყვანა არმიის შტაბში, ბოლოს ეგაც თქვა, ტყვე რო უნდა მიმეყვანა არმიის შტაბში, გასაგებია, მაგრამ ლიტენანტები რატომ უნდა მიმეყვანა, ეს ვერ გავიგეო, ისიც დააყოლა გენადიმ, კარგი ბიჭები ყოფილანო. მერე, მე რომ ჩამაბარა, ის პაკეტი გამომართვა და მაიორს გაუწოდა, კაპიტანმა გამომატანაო.

მაიორმა კლიმოვმა პაკეტიდან ქალაღები ამოიღო, გადაიკითხა, ისევ დაეცა ქალაღები და პაკეტი ჩადო. მერე პაკეტი შუაზე გადახია, ის ორი ნახევიც გადახია შუაზე და განზე მოისროლა.

რატომღაც თვალი გავაყოლე მაიორ კლიმოვის მიერ განზე მოსროლილ ნახევებს. მიწაზე დავარდნისას მათ ნიავი მიეტანა, ცოტათი წაახობა, მერე აიტაცა ნიავმა ნახევები და ქობის კედლიდან ზღვის ნაპირისაკენ მიმოშალა. ისევ მიწაზე დაცვივდნენ ნახევები, მობერილმა ნიავმა ერთხანს კვლავ აკოტრიალა მიწაზე. ბოლოს თითქოს მიწას ჩაბლაუჭებული თეთრი ჩიტები დააფეთაო, მომძლავრებულმა ნიავმა ნახევები ზღვისაკენ წააფარფატა. ცოტა ხანს პაერში იფარფატეს. მერმე ფრთამოქანცული პეპლებივით ზღვის ტალღებს დააფრინდნენ. ქანაობენ ტალღები და ნელნელა აქანავენენ ზედ დაყრილ ნახევებს.

შევცქეროდი ამ ნახევებს და მაიორ კლიმოვზე ვფიქრობდი. ტყვე რომ მიუყვანეთ მოულოდნელად, მას არც მა-

შინ შეპარვია ეჭვი ჩვენში, მან პოლკოვნიკთან ერთად არ გაიზიარა კაპიტნის ვარაუდები და, ალბათ, გერმანელების უეცარი შეტევა რომ არა, ჩვენ ამ საშინელ გზას არ გამოვივლიდით. ახლა, რა თქმა უნდა, ამდენი წვალების შემდეგ კვლავ მის წინაშე ვიდგებით და მაიორი კლიმოვი არ ენდო კაპიტნის მოსაზრებებს, იმ მოსაზრებებს, რომლებიც მას პაკეტში ჩადებულ ქალაქებზე ჩამოუყალიბებია. დახია მაიორმა კლიმოვმა ის პაკეტი. არაფერი უთქვამს... დახია პაკეტი და გადაყარა.

ატორტმანებულ ზღვის ტალღებზე ქალაქის სათამაშო ნაგებობით ქანაობენ ეგერ ის ნახევები.

— არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს ომში. — თქვა მაიორმა კლიმოვმა და გენადის მიუბრუნდა: — ყოჩაღ, ბებერო, შენი „ათეული“ რომ არ დაგფანტვია, რაც მთავარია, ტყვე რომ არ დაგკარგვია.

— ესა?! — ჰილდას გადახედა გენადი, — ეს ტყვე გოგო, ამხანაგო მაიორო, — რასა ბრძანებთ?! — შეიძლება აწი სულაც აღარ წავიდეს გერმანიაში... ომის შემდეგაც.

ტანში გამცეცხლა, არაფერი წამოროშოს-მეთქი, გავიფიქრე.

— ბიჭოს! — გაიოცა მაიორმა, — ასე მოეწონა აქაურობა?!

— აქაურობა რა მოსაწონია, ამხანაგო მაიორო, — მაიორთან ნება-ნება გასაუბრების ხასიათზე მოსული გენადი აღარ ცხრება, — ამ გადახრუქულ მინდორ-ველზე მოსაწონი რა უნდა იყოს... ამ ღვთის რისხვაში მაინც...

— აბა, რატომ ამბობ, შეიძლება სულაც არ წავიდეს აქედანო?! — არ ეშვება მაიორი კლიმოვი გენადის.

— შეგვეჩვია, წარმოიდგინეთ თქვენ, შეგვეჩვია, ერთი ნაბიჯითაც არ გვშორდება, ჩვენებურადაც კარგა გვარია-ნად ლაპარაკობს, გვარიანად კი არა და, ნამდვილი რუსი გეგონება, როცა ლაპარაკობს, ჩემზე უკეთესად კი. მე ჩვე-

ნებურად, სოფელურად, ურალურად, ეს კი პუშკინივით... მაინცადამაინც ბარწა ვარდნილი ფაშისტი არ უნდა იყოს. ჰოდა, ამ ცეცხლწაქიდებულ გზაზე შეგვეჩვია და ჩვენც შევეჩვიეთ.

ჰილდა სამოელთან იდგა განზე. რა თქმა უნდა, ესმოდა მაიორ კლიმოვისა და გენადის საუბარი და ბინდწაფარებულ ზღვას გაჰყურებდა. სამოელი მაიორ კლიმოვს კარგა ხანს არ შეუჩნევია. მერე მასზე შეაჩერა მზერა და გენადის ნათქვამი ჰილდაზე — „შეგვეჩვია და ჩვენც შევეჩვიეთ“ — ბანზე აიგდო, ამის გამო აღარ გაეპასუხა ენა-გაკრეფილ გენადის და ეგლა იკითხა:

— ის ლეიტენანტიც ჩვენი ბრიგადისაა?

— არა, ამხანაგო მაიორო, — უპასუხა გენადი, — გზად შემოგვიერთდა, ებრაელია, დაქრილია, ბუდეუ ბედიას სტუდენტობის მეგობარია, მოულოდნელად შეგვხვდა ლაზარტისკენ გამწესებული, რამდენიმე დღე ჩვენთან არის.

სამოელი მაიორს წიწ გამოეჭიმა და ვინაობა მოახსენა.

უფროს ლეიტენანტს, რომელიც ამ ხნის განმავლობაში მაიორ კლიმოვის გვერდით იდგა და ხმას არ იღებდა, მაიორმა უბრძანა, ტყვე და დაქრილი, შელამდება თუ არა, მეთუ, მეთუ ნავით გაამგზავრეთო.

ნაპირზე ბაწრით მიმაგრებული ნავი ნელა ქანაობს. ტყვე ნავით გაამგზავრეთო, ეს რო თქვა მაიორმა, მე რატომღაც ნავისკენ გავიხედე.

ამ ნავით?!

ჰილდა?!

შელამებისა?!

რალა დარჩა შელამებამდე?

ნავს კი არ ვხედავ, მის მოქახვე ედლებზე წაწერილ ამ კითხვისნიშნებიან სიტყვებს ვკითხულობ თითქოს. ხავისგან წამოშლილი ტალღები მსუუტად ეხლებიან ამ სიტყვებს და...

ფრთხვამოსხვილი თეთრი ჩიტებივით ტორტმანებენ ტალღებზე პაკეტის ერთ-რი ნახევები.

### მიჯივულ-მიჯივული საუბარი

ბზიკებივით წამესიენ ის კითხვისნიშნებიანი სიტყვები. მაიორმა რაღაც განკარგულება მოგვცა, მაგრამ მე არ მესმოდა, რა განკარგულებებს იძლეოდა იგი. ნავის კედლებზე წაწერილი კითხვისნიშნებიანი სიტყვები ბზიკებივით წამომესიენ, მათ კიდევ სხვა სიტყვები მიემატათ, დაახლოებით ასეთები: „ნეტავი ჰილდა რას იზამს?! რას იტყვის ჰილდა?! ნეტა მეტყვის რამეს?! არა, მე რას ვეტყვი, მე რა უნდა ვუთხრა?!“

ამ ფიქრით გაბრუებულს, არ მესმოდა, მაიორი კლიმოვი რას გვეუბნებოდა. რამდენიმე დღის წინ იმას ვნატრობდი, ნეტა როდის მოგვაშორებენ ამ ტყვეს-თქო. ახლა გული მწყდებოდა, განშორების ეამი რომ დადგა. კი ვიცოდი, ეს ეამი რომ მოვიდოდა, მას მერეც ვიცოდი, ჰილდას ღიმილის პეპლებს ჩემს პეპლებს რო გაესაუბრნენ, მაგრამ შემდგომ და შემდგომ განშორებებს წუთებზე აღარც კი ყფიქრობდი მეგონა, სულ ერთად ვიქნებოდი და ან ხვალ, ან ზეგ გამოაშვრავდებოდა ის იღუმალი ვრძნობა, რამაც ჩემდაუხებურად, აგრე ძალუმად შემიბყრო. ძალუმად რომ შემიბყრო, ამას დღეს მივხვდი, იმ წუთს მივხვდი, როცა ჰილდა ობოლასაკენ მიიბოდა და გენადიმ თოფი დაუმიზნა. გენადის რომ ესროლა და ჰილდა მოკლა, თავზარი დამეცემოდა. ჰო, ნამდვილად დამეცემოდა თავზარი. ახლა არ კლავდნენ ჰილდას, ნავით გალმა ნაპრზე გადაყვანას უპირებდნენ და ამანვე დამცა თავზარი. ერთმანეთს გვაშორებდნენ და ამან შემადრწუნა. გვაშორებდნენ და ხმას ვერ ამოვიღებდი, ვერავის შევალაღებდი, ვერავის ვუთხოვი, ნუ წაიყვანთ, ანდა მეც თან წამიყუნეთ-მეთქი. ვერც ვერაფერს ვილონებდი თვითნებურად. ჰილდა ტყვე ჩარიცხავია, იქ უნდა მიიყვანონ, საცა ყველ გერმანელ ტყვეს უყრიან თავს. აქ ვნ რა იცის, ჭერ კიდევ რამდენი რამ მოხება. ნავი გამოჩენილა, რომელიც გალს ნაპირისკენ უნდა გაცურდეს და

ამ საშინ ზონაში ვინლა გააჩერებს მტრის ჩარისკაცს, ტყვედ წაიყვანოს? როგორ ამომელო ხმა, როგორ! მებღავლა, ნუ წაიყვანთ ჰილდას, არაფერს დაგიშავებთ, მე ვიცი ეს, ჩემს გვერდით მყოფი ზრაფერს დაგიშავებთ, იქნება ჩემს გვერდით და იქნება, ოღონდ ჩემს გვერდით იყოს და სისულელეს არაფერს ჩაიდენს, მერე კი, ომის მერე ერთად წავალთ აქედან-მეთქი? აბა, ვისთვის მეთქვა ეს?! ვინ დამიჩერებდა ამას? ისედაც ეჭვიმტანილი ვიყავი, აქ კაპიტანმა არც დაიჭერა, ჰილდა ჩვენ რომ ავიყვანეთ ტყვედ, მაიორმა კლიმოვმა კი დაიჭერა, მაგრამ ხომ იყო ერთი კაცი მაინც, რომელსაც ეს არ სჯეროდა?! გამოჩნდებოდა სადმე ის ერთი კაციც, ის კაპიტანიც, და ნიშნის-მოგებით ეტყოდა მაიორ კლიმოვს, ა, ხომ ხედავთ, არც ახლა გჯერათ, რომ ეს ტყვე მაგის ტყვე არ არისო?! რა თქმა უნდა, ასე ეტყოდა, მე რომ ხმამალლა გამემზილა ახლა, ჰილდა არ დამაშორათ-მეთქი და კაპიტანს ამისთვის ყური მოეკრა.

მაიორმა კლიმოვმა განკარგულების გაცემა მოამთავრა და ქოხისაკენ შებრუნდა, უაზროდ გავაყოლე თვალი, ღია კარში შევიღა და ქოხში მიიმალა. უაზროდ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, ჩემს ფიქრებში ვიყავი ჩაძირული და სრულეებით არ მაინტერესებდა, რატომ შევიღა მაიორი ქოხში. ეგ იყო მხოლოდ, როგორც კი მაიორი და უფროსი ლეიტენანტი გაგვშორდნენ, არჩილს მივუბრუნდი და ვუთხარი:

— რა ექნათ ახლა, არჩილ?!

— რა უნდა ექნათ?! — გაოცებულმა არჩილმა კითხვა შემომიბრუნა.

— როგორ თუ რა უნდა ექნათ?! — არჩილთანაც გამიძნელდა ჩემი სადარდელის გამხელა.

— რაც გვიბრძანა მაიორმა, ის უნდა შევასრულოთ.

— რა გვიბრძანა?

— ბუდუ, ხო არ დაყრუვდი?! აქ არ იდექი, როცა დავალბებებს გვაძლევდა?! —



— კი ვიდრე, მაგრამ არ გამიგონია. რა დავალებები?!

— რა და, გერმანელებს ჭარების გადასაყვან ადგილისაკენ გასასვლელი გზა ამ მხრიდანაც გადაუჭრიათ. ხეალ დილიდან გარღვევაზე უნდა გავიყვანოთ აქ თავმოყრილი ჭარი. მაიორმა გვიბრძანა, ამ ახლომახლო თუ სადმე უფროსი და საშუალო მეთაურია, თავი უნდა მოეწყუროთ მასთან. ამაღამ უნდა დავაკომპლექტოთ შემტევი ბატალიონები.

— ჰილდა რომ მიჰყავთ?! — ისე წამომცდა, თითქოს ეს ამბავი უფრო დიდი მნიშვნელობისა იყო, ვიდრე ამაღამ ბატალიონების დაკომპლექტება და დილით გარღვევაზე მათი გაყვანა.

— ჰო, ჰილდა მიჰყავთ... — მიმიხვდა არჩილი და სცადა საუბარში ამყოლოდა, — სამოელიც მიჰყავთ, დაჭრილია და იმიტომ. ეს ქოხი მეთევზეებისა ყოფილა. მეთევზეთა ნავია ის ნავი. ბრიგადის დოკუმენტები და საბრძოლო დროშა, რომლებიც როგორღაც გადაურჩენიათ და აქამდე მოუტანიათ, მაიორმა თავის მოადგილეს, უფროს ლეიტენანტს მიანდო, ვალმა ნაპირზე გადაიტანოს და სარდლობას ჩააბაროს — ვინ იცის, ხეალ რა ბედი ელის აქ თავმოყრილ ჭარს, ბრიგადის დოკუმენტები და დროშა მაინც გადაარჩესო. ორი მეთევზე გაუძღვება ნავს. შეღამებას ელოდებიან, ღამით ნავი უფრო გაეპარება გერმანელების თვითმფრინავებს. ჰოდა, ჰილდაც და სამოელიც იმ ნავით უნდა გადაიყვანონ.

— არჩილ, რო ვთხოვოთ მაიორს, არ დატოვებს ჰილდას?

— ხომ არ გავიყდი?! — მუდამ თავშეკავებული, არჩილი მოთმინებლად გამოვიდა და ხელი აიჭნია.

— ვიცი მე, ჰილდას არ უნდა წასვლა.

— ვინ კითხავს, ბიჭო, ტყვეს, უნდა თუ არა წასვლა?!

— ჰილდა ახლა მხოლოდ ტყვე აღარ არის, — ისეთი თვალებით მივაშტერდი ჩემზე შემოჩერებულ არჩილს, ველარ გაუძლო და თვალები განზე, ზღვის-

კენ მიაპყრო და თითქმის ჩურჩულით მიასახა:

— ეგ შენთვის აღარ არის.

— შენთვის?

— შეიძლება ჩემთვისაც... კარგი ახლა... რა ბავშვივით გამოიბი ეგ საუბარი. ჰილდა ტყვეა და საითაც უნდათ, იქით წაიყვანენ. უნდა შეეგუო შენ ამას.

ჩვენი ქართული გენადის არ გაეგებოდა, იჭდა თავისთვის და გაზეთში შეხვეულ წყოს აბოლებდა, ხანგამოშვებით გააპურჩყებდა ხოლმე. სამოელმა ერთხანს თავი შეიკავა, საუბარში არ ჩაგვრევია, მერე უტეხ წამოიძახა:

— მე ვეტყვი მაიორს, ჩემს მაგიერად ბუღუ გააყოლოს ტყვეს.

— სამოელ, შენ მარტო იმისთვის კი არ გგზავნის, ტყვე მიიყვანო დანიშნულების ადგილას, — უპასუხა არჩილმა, — დაჭრილი ხარ, იმიტომ გადაწყვიტა მაიორმა შენი გაყვანაც.

— არც ისე შიშმედ ვარ დაჭრილი, ფეხები და ცალი ხელი საღი მაქვს.

— კარგით, გეყოფათ!.. როგორც ბრძანა მაიორმა, ისე იქნება და შეეგუოთ ამას.

ჰილდა ხის კუნძთან ჩამჯდარიყო, ფეხები მოეხარა და შემართულ, ერთმანეთზე მიტყუპებულ მუხლისთავებზე შუბლი დაედო, ხელისგულებიც შეეკუდებინა შუბლისათვის. გაიგონებდა, — აბა, რა! — გაიგონებდა ჰილდაც, მაიორმა რომ უბრძანა უფროს ლეიტენანტს, ტყვე გაამზადეთ ვალმა ნაპირზე გადასაყვანადო. მე არ შესმოდა, თორემ ჰილდას ისიც ესმოდა, ალბათ, მაიორი განკარგულებებს რო გვამლევდა მე, არჩილს და გენადის. ჰოდა, ამის მიხედვითაც ხომ მიხვდებოდა ჰილდა, ჩვენ რომ ამ ნაპირზე ვრჩებით და ის ვალმა ნაპირზე გადაყავთ. ამიტომ დალონდა ალბათ, ამიტომ ჩაუხრია თავი და გატრუნულა.

მაიორის ბრძანების შესასრულებლად არჩილი და გენადი წავიდნენ, სამოელიც წაიყვანეს და მე დამტოვეს განმარტოებით მჯდარ, თავჩაქინდრულ ჰილდასთან. თავის ფიქრებში ჩაძირუ-



ლი ჰილდა კარგა ხანს იჯდა ასე, მე იქვე გვერდით ევაზე ჩამოვჯექი. ჰილდა შეიშმუნა, თავი ოდნავ შეაბრუნა და ხელისგულებიდან და მუხლისთავიდან ცალი თვალით შემომხედა. მერე ისევ ჩამალა სახე ხელისგულებში, ისევ გაინაბა. ხმა ვერ ამოვიღე. ჩემს ფიჭვებში ჩავიძირე მეც.

— ჰილდა! — უცებ წამოვიძახე, თითქოს ჰილდას კი არ ვუხმე, არამედ ჩემთვის, ხმამაღლა ფიჭვში წამომცდა.

ჰილდამ თავი შეშარტა, წელში გასწორდა.

— დამიძახე? — მკითხა.

— ჰო.

— რა იყო?

— არაფერი... ისეთი არაფერი... შელმდება თუ არა, შენ ნავში ჩავსვამენ და გალმა ნაპირზე გადაგიყვანენ.

— ეს მეც ვიცი... მერედა ეს არაფერია?!

— არ მოგებზრდა ამ ჭოჯობებში წოწიალი? ბომბებისა და თვითმფრინავების გრიალ-გრიალს მაინც გაშორდები.

— შენ? — ისეთი თვალებით შემომხედა, უბრალო ცნობისწადილს არ ჰგავდა ეს შეკითხვა, შეშფოთება იგრძნობოდა მის ხმასა და შემოხედვაში.

— მე აქ დავრჩები, — ამას რაღა განმარტება სჭირდებოდა, მაგრამ რაკი სიტყვამ მოიტანა, ამიტომ ვთქვი ასე, — ჩვენ ჯერ კიდევ უნდა ვიბრძოლოთ.

— იქნებ კიდევ გაქვს იმედი, ჩემისთანა სულელ ტყვეს კვლავაც ჩაიგდებ ხელში?! — ვერ მიეხვდი, დამცინავდა თუ ისე, გამოსაჯავრებლად მკითხა.

— ნუ გგონია, ჰილდა, შენ რასაც ხედავ, ომი ამით მთავრდება. რუსეთი ვრცელა, ბოლომდე დაპყრობა ვერავინ მოუხერხა ჯერ.

— ახლა მე სრულებითაც არ მაინტერესებს ომი და რუსეთი.

— შენთვის დამთავრებულია ომი.

— შენ ომი მხოლოდ ეს ომი გგონია, რასაც აქ ხედავ?! ადამიანებს გამუდმებული ომი აქვთ ერთმანეთთან ყოველდღიურ ცხოვრებაში. გრძნობებთან ჰი-

ლიცი ხომ ომია ერთგვარი, ეს მე წინებში წამიკითხავს.

— მართალი ხარ, ჰილდა, ვნებათა და სურვილთა დაუოკებელი ლტოლვა ბრძოლას მოითხოვს, ვნებათა და სურვილთა დაოკებისათვის ადამიანები ბევრ რამეს კადრულობენ... ეგ მეც ვიცი, მეც წამიკითხავს.

— სხვა რამ მინდოდა მეტქვა და ვერ გამოვთქვი.

— ახლა ამ ფილოსოფიას თავი დაეანებოთ, ჰილდა, ჩვენ სხვა საფიქრალი გვაქვს.

— რა საფიქრალი? — თითქოს მართლა არავითარი საფიქრალი არ აწუხებდა, ისე თქვა ჰილდამ.

— ის, რომ მალე დალამდება და შენ ნავში ჩაქვები.

— ჰო... ნეტავი არ მოვდგომოდით ამ ზღვას.

— რატომ?! აკი თქვი, პირველად ვხედავო?! ხომ ნახე?!

— ზღვის ნახვას მოვასწრებდი მერეც.

— მერე რა იცი რა მოხდება, ომია...

— ველარ შევხედებით ერთმანეთს?

— თუ გადავრჩი, მოგძებნი.

— გადარჩები... შენ უემპველად გადარჩები... მართლა მომძებნი? რატომ მომძებნი?

— რაღაც უნდა გითხრა.

— მითხარი მერე, აქ არა ვარ? მითხარი, ახლა მითხარი.

— ახლა არ შემიძლია.

— შენ გადარჩები... უემპველად გადარჩები... ეს მე მჯერა... მაგრამ... რო ველარ მომნახო, მერე ვინდა მითხრას შენი სათქმელი?!

— ჩემს სათქმელს ვერავინაც ვერ გეტყვის.

— ჰოდა, მითხარი ახლა.

— ახლა არ შემიძლია.

ამგვარი საუბარი მანამ გაავარძელეთ, სანამ არჩილი, სამოელი და გენადი არ შემობრუნდნენ, ესაუბრობდით, მაგრამ ჩვენ-ჩვენი სათქმელი შემოვლა-შემოვლით, მიკბულ-მოკიბულად ნათქვამი გამოგვივიდა, ჰილდა ცოტა უფრო ნათლად გამოხატავდა გულისნადებს, მაგ-

რამ პირდაპირ მაინც ვერ ვუთხარით ერთმანეთს ის, რასაც ნამდვილად ვგრძნობდით, რის გამოც ასე გვეძნელებოდა განშორება. არ ვიცი, რის გამო იყო ეს, ომის ფსიქოზი მოგვერია თუ უბრალოდ ყმაწვილური გაუბედობა გვბორკავდა.

ამხანაგების მოსვლამდე ისღა მოვახერხე, პატარა ქალაღზე ჩემი მისამართი დავწერე, დედაჩემისა და მამაჩემის სახელი და გვარი, — რა თქმა უნდა, ჩემი სახელი და გვარიც, — მივაწერე გარკვევით, ჰილდას მივეცი და ეთხოვე, იქნებ მოახერხო, იქნებ მოგეცენ ამის უფლება, უეჭველად ჩადი ჩემს ქალაქში და ინახულე ჩემი ოჯახი, ან წერილი მიწერე, გაავებინე მათ ვინცა ხარ-მეთქი. მერე ისიც კი ვუთხარი, ომი რომ დამთავრდება, — მანამდე მე თუ ვერ მოგაგენი, — შენ, ალბათ, გაგანთავისუფლებენ ტყვეობიდან, მოგცემენ უფლებას, სამშობლოში დაბრუნდე, სანამ წახვიდოდე სამშობლოში, აუცილებლად დედაჩემი მოინახულე, ყველაფერი უთხარი, რაც გინდა, რაც მოგესურვოს-მეთქი.

ჰილდას გაუხარდა, ქალაღი გამომართვა, დაეცა და უბეში ჩაიღო. მანაც დაწერა თავისი მისამართი პატარა ქალაღზე და მომცა. ჯიბეში რო ჩავიდე ჰილდას მისამართი, მაშინ მოვიდნენ არჩილი, სამოელი და გენადი.

უკვე გვარიანად ჩამოღამებულიყო კიდეც.

არჩილს, სამოელსა და გენადის ათიოდე საშუალო და უფროსი მეთაური მოუნახავთ უთავბოლოდ მოდენილ ჯარისკაცთა შორის. ისინი უკვე ქოხში, მაიორ კლიმოვთან იყვნენ თავმოყრილნი და სანამ მათთან მოთათბირებას შეუდგებოდა, მაიორი ქოხიდან გამოვიდა, ნავთან მივიდა. ნავში უფროსი ლეიტენანტი იღვა, ორი სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი მეთევზე ბრიგადის შტაბის დოკუმენტებს აწვდიდა. უფროსმა ლეიტენანტმა ყუთები ნავის ერთ მხარეს მიაწყო, მაიორ კლიმოვს

გამოხედა, ყველაფერი რიგზეყო, მოახსენა. მაიორს არაფერი უთქვამს. ერთი მეთევზე ნავში ჩახტა. ჰილდასა და სამოელიც მას მიჰყვნენ, მეორე მეთევზემ თოკი ახსნა, დაგრაგნა და გრაგნილიანად ისიც ჩახტა ნავში. მიუსხდნენ ნიჩბებს მეთევზენი და ნავი ზღვაში შეტურდა.

მაიორი კლიმოვი ქოხისკენ გაეშურა.

ჰილდა რო ნავისკენ წავიდა, ხმა არ ამოუღია, არც მე ამომიღია ხმა, არც არჩილსა და გენადის. ჩახტა ჰილდა ნავში და ჩვენსკენ შემობრუნდა. ხელიც არ დაგვიკნევიდა ერთმანეთისთვის. მე მიწაში ჩარჭობილივით ვიდექი და ნავს შევეყურებდი, ნავს კი არა, ჰილდას შევეცქეროდი, ისიც უძრავად იღვა ნავზე. ჯერ კიდევ ახლოს ვიყავით და ღამე ვერ მალავდა ნავსა და ნაოსანთ.

ზღვის სილურჯეს თალხი ფერი კი დაედო, მაგრამ ნელ-ნელა ატორტმანებული წყლის მიბნედილი ციმციმი მაინც გამოსჭვივოდა. ამ ფონზე ნავიცა და იქ მსხდომარენიც ჯერ კიდევ სჩანდნენ, მათი სილუეტები ჯერ კიდევ არ იყვნენ სიბნელეში შედღვებილნი.

კარგად ვხედავდი, როგორ მომჩერებოდა ჰილდა და უცებ, როცა ნავი დაიძრა და წყალში შეტურდა, როცა წყალზე ნიჩბების დგაფუნი გაისმა, ჰილდამ ხელი ასწია და დამიქნია.

— გზა მშვიდობისა, ჰილდა! — ისე წავიჩურჩულე, რა თქმა უნდა, ჰილდა ვერ გაიგონებდა.

მე მიწაში ჩარჭობილივით ვიდექი ნაპირთან.

### პირველი წიგნის ბოლოთქმა ანუ მაიორა წიგნის წინასწარ სათქმელი

ბუღუ ბედიას მიერ მოთხრობილი თავგადასავალი, — (როგორც ნახეთ, ეს მარტო ბუღუ ბედიას თავგადასავალი არ არის, არჩილ მღებრიშვილის, გენადის, სამოელისა და ჰილდას გარეშე, აბა, რა ინტერესი ექნებოდა ბუღუ ბედიას ნაამბობს). — სამ წიგნში უნდა

ჩავატო, სამ, არც ისე დიდი მოცულობის წიგნში. ყოველ ცალკე წიგნში ომის მიერ გამოწვეული სამი სხვადასხვა მოვლენა იქნება აღწერილი, ოღონდ ეს სამი სხვადასხვა მოვლენა ბუდუ ბედიასა და მისი მეგობრების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ამ მოვლენების ფონზე გაგრძელდება ბუდუ ბედიასა და მისი მეგობრების ავკარგიანობის შესახებ თხრობა.

ა, აგერ, ამ პირველ წიგნში ჰილდასთან შეხვედრისა და განშორების ამბავი მოგვითხრო ბუდუ ბედიამ, — ამასთან დაკავშირებული სხვა ბევრი ამბავიცაა აქ მოთხრობილი, — ქერჩის ნახევარკუნძულზე ათას ცხრაას ორმოცდაორი წლის მაისის ტრაგედიის დასასრულით დამთავრდა ეს წიგნი და ამავე ტრაგედიის დასასრულითვე დაიწყება მეორე წიგნიც.

ბუდუ ბედია ახლა სამოც წელზე მეტი ხნისაა, ცხოვრობს, მუშაობს, ჯერ-ჯერობით ამ ასაკისა როა, მაინცდამაინც ვერ შეატყობს კაცი. არის თავისთვის. არა, მხოლოდ თავისთვის არა, ბევრი სხვისთვისაც არის ბუდუ ბედია, ეს კარგად იციან მის გარშემო მყოფმა ადამიანებმა... თავისთვის-მეტეჟი, იმიტომ ვამბობ, ჩუმად არის, შეუმჩნევლად, ფუსფუსობს და ფუსფუსობს ფუტკარივით.

თავის სამსახურში კრებებზეც დადის, სხვა დიდ კრებებზეც დადის, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ თხოვეს, ტრიბუნნიდან ჯერ სიტყვა არ წარმოუთქვამს. ნამეტან ბევრს ვლაპარაკობთ ტრიბუნებიდანო, ჩილაპარაკებს ხოლმე თავისთვის, ჩუმად, ძლივს გასაგონად, როცა სთხოვენ სიტყვით გამოსვლას.

თავს ჩალუნავს და სად ჩაძვრეს, არ იცის, როცა რომელიმე ორატორი მის სახელს ახსენებს, ამხანაგებო, ისე უნდა ვიმიუშაოთ და ვიცხოვროთ, როგორც მუშაობს და ცხოვრობს ბუდუ ბედიაო.

რა სალაპარაკოა ეს?!

კაცს რომ იმის შესენება დასჭირ-

დება, კაცი ხარ, ესე იგი, უნდა იშრომა და იცხოვრო კაცურად. ამითანა კაცს რამდენჯერაც არ უნდა შეასუნო და ტრიბუნნიდან ეძახოს, ისე იცხოვრე და იშრომე, როგორც მავანი და მავანიო, მისგან კაცი მაინც არ გამოვო, ეტყოდა ხოლმე სამოელს, სანამ სამოელი ცოცხალი იყო. სამოელს ხშირად ნახულობდა, ჩამოვიდოდა ხოლმე თავისი პატარა ჭალაჭიდან და ნათესავებთან კი არა, პირველად სამოელთან მივიდოდა ხოლმე. ადამიანების რაიმე უმსგავსებლას რომ გადააწყდებოდა ამ დაწყნარებული ცხოვრების დროს, გამოიქცეოდა, მაშინვე გამოიქცეოდა მატარებელით, ავტობუსით, რა ტრანსპორტსაც კი მოიხელთებდა, იმით და სამოელთან მოიხებდა გულს. სამოელი ფილოსოფიური სიღინჯით განსჯიდა, — რა თქმა უნდა ბიბლიის მაგალითების მოშველიებით, — ადამიანთა შორის კეთილისა და ბოროტის ჰიდილის მარადიულ კანონებს და, წარმოიდგინეთ, ბუდუ ბედიაც მშვიდდებოდა.

მაგრამ აგერ, სულ ახლახანს, მოულოდნელად გარდაიცვალა სამოელი.

ალარც სამოელი ჰყავს ახლა გვერდით და ალარც არჩილი, — არჩილი კარგა ხანია აღარ უდგას მხარში (ამის თაობაზე ბუდუ ბედია მეორე წიგნში მოგვითხრობს), მაგრამ როცა რაიმე გაუჭირდება, მის აჩრდილს მოუხმობს ხოლმე, გაესაუბრება და უმაღ შევბას იგრძნობს.

რამდენჯერ სთხოვეს, ომის ვეტერანებთან შეხვედრაზე წამობრძანდი და თქვენს შესახებ რამე გვიამბეთო... ყოველთვის რაღაც მოიმჩნეზა და თავიდან აიშორა ამგვარი შეხვედრები.

განსაკუთრებით მას შემდეგ გაერიოდა ამგვარ მიწვევებს, როცა ერთ დღეს მისივე სამსახურში მოუწყვეს შეხვედრა ომის ვეტერან ჭარბველ მეთაურებს. ერთმა მათგანმა, საკმაოდ მაღალი რანგის მეთაურმა ისე ილაპარაკა თავის თავზე, თითქოს იმაზე უკეთესი მხედართმთავარი არავინ ყოფილიყო. იმ ბრძოლებზე მაინც არ ელაპარაკა, რის

მოწყვეტ თვითონ ბუდე ბედია იყო, ბუდე ზომ თავისი თვალით ნახა ყველაფერი. თვითონვე შერაცხვა სტუმრის ბაჭიაობისა, შეუმჩნევლად გაიპარა დარბაზიდან და მას შერე ახლოსაც აღარ გაუყარებია ამნაირი შეხვედრის მთხოვნელი.

ამოდენა შვილები ჰყავს, — ორი ვაჟი გაზარდა, — და მათთვისაც არ უამბნია თავისი თავგადასავალი.

მე მიაბზო; არ ვიცი, რა თილისმით მოვაჯადოვე, შეიძლება იმიტომ, მეც რომ იმ ამბების მონაწილე ვიყავი...

ერთხელ მე თვითონ წამოვიწყე ჩემს თავს გადახდენილი ამბავი და ბუდე მისდაუნებურად ჩაერთო ჩემთან საუბარში, მოგონებათა ძაფს რაკი ხელი ჩასჭიდა, ისე გავედით გორგალის ბოლოს მეც და ისიც, არც გავვიგია. ხანდახან შვილიშვილების სურათს დახედავდა და შიგადაშიგ ჩააყოლებდა, რას ვიფიქრებდი, ამათ მოვესწრებოდიო.

რა უბრალოდ, რა უცბად მიაბზო ბუდე ბედიამ თავისი თავგადასავალი და მე, აგერ, სამი წელი მოვანდომე პირველი წიგნის წერას. როგორც უკვე მოგახსენეთ, სამოც წელს გადააბიჯა ბუდე ბედიამ, აღბათ, მესამე წიგნს სამოცდაათი წლის თავზე წავეუკითხავ მას.

თუმცა წინ რატომ გავრბივარ, ჯერ ისიც არ ვიცი, ამ წიგნს რომ წაიკითხავს, რა აზრისა იქნება, მოეწონება თუ არა, ეგება ქვა აავდოს და თავი შეუშ-

ვიროს, თუ იმა ხარ ეს წიგნი არ გამოაქვეყნო...

ამას რომ ვფიქრობ, ამიტომაც უნდა დავწყვიტე, გამოქვეყნებამდე არ წავაკითხო ბუდე ბედიას ეს წიგნი. თუ მოიწონეს და გამომიქვეყნეს, შერე ბუდე ბედიამ აავდოს ცაში ქვა და თავი შეუშვიროს, ვეღარ გამაჩერებს, როგორმე შეორე და მესამე წიგნსაც მოვერევი.

რა უნდა ქნას ბუდე ბედიამ, მისი ნაამბობი ხელთა მაჭვს მთლიანად, რაც მიაბზო, ვეღარ წამართმევს, ვეღარ გადამაიწყებს და თუ ღმერთმა ხელი მომიმართა, გავასრულებ როგორმე ბუდე ბედიასა და მისი მეგობრების ხიფათებით აღსაყვებ თავგადასავლის თხრობას.

ჯერჯერობით ეს პირველი წიგნი შემოგთავაზებთ.

ნავი რომ თვალს მიეფარა, გავგნებული ბუდე ბედია არჩილსა და გენადის შექყვა ქოხში, საცა მაიორი კლიმოვი სახელდახელოდ თავმოყრილ, სხვადასხვა ნაწილების საშუალო და უფროს მეთაურებთან იმაზე თათბირობდა, დაშლილი ნაწილებიდან დილაამდე როგორ შეედგინათ რამდენიმე ბატალიონი და გათენებისას როგორ გადაეყვანათ ისინი გარემოცვის გასარღვევად.

გარემოცვის გარღვევისთვის ბრძოლებისა და მისი მომდევნო ამბების შესახებ მეორე წიგნში მოგიტხრობთ მე და ბუდე ბედია.

## ალექსანდრ ბლოკი

• • •

თეთრ ღამეებთან დაგრჩები მალე,  
სულს მომიწამლავს თეთრი სინათლე,  
ამომკორტნიან ყვაეები თვალებს  
და ველარაფერს ველარ ვინატრებ.

ის მოვა ჩემთან ყველაზე მალე,  
ვისაც ვუყვარდი, ზღაპრულად ვწამდი,  
ის დამიკოცნის სხივჩამქრალ თვალებს,  
გადამაფარებს ქათქათა მანდილს.

და მოვლენ სხვებიც, დამფლავენ  
როცა —  
თეთრ ღამეებში წავლენ ცალ-ცალად,  
ვიცი, მათ სურდათ ჩემთვის ელოცათ,  
და თეთრმა ღამემ არ დააცალათ.

## კოთხულოგან ლექსებს ისინი

მე ამერია ყველა ფურცელი,  
შენი თვალეები ჰყვოდნენ ვიდრე,  
თოვლის ფრინველის ფრთები უცვლელი  
ქარიშხლის სუნთქვით გონებას  
მიმღვრევს.

რას გვიამბობდა ნეტავ ნილაბი!  
უფალმა იცის და სხვამ არავინ,  
ჩვენ თეთრ სიზმარში წამით ვიყავით,  
დავთმეთ ცხოვრება, — პროზის კარავი.

განუყოფელი იქნება ჩემთვის —  
ღამე, მდინარე, შენი სიცილი,  
კვამლი, რომელიც სივრცეებს ეტთვის  
და მზიარული რითმის ციმციმი.



ნუ აგვესება ბრაზით თვალები,  
 უეცარ ნიღბით ნუ შემაშინებ  
 და ბნელ ხსოვნაში, გემულარები,  
 ნუ გააღვიძებ ხანძარს საშინელს.

### როკვანი შემოდგომისა

მოუსვენრობა მელის მულამდღე,  
 შევიცან შენი ფარული ნება,  
 იღუმალ შრიალს მივაცურადებ,  
 მზე ოქროს ქსოვილს ოქროს უმატებს  
 და სული ჩემი თანდათან თბება.

ცრემლს შემოდგომის ანათებს ფიქრი  
 და მიისწრაფვის ცისკენ ვედრება,  
 ნორჩი არყის ხის მაქმანთა იქით  
 ამღერებულ ბუეს რა შეედრება.

ისე მალეღვებს ნაზი ბგერები,  
 თითქოს, ძვირფასო, მესმის შენი ხმა,  
 დუმხარ, ხელებით ცას ეფერები,  
 ჰაერი შენი თრთოლვით შეირხა.

მორკალულ მკლავთა კრთომა, კანკალი,  
 მხრებიდან თეთრი შუქის მოფენა  
 და ჩუმი როკვა, ამ სიანკარის  
 და ამ სინათლის ცად მიმოფრენა.

ვგრძნობ შემოდგომის უგრილეს  
 ლივლივს  
 შენს გაშლილ თმაში  
 და არ ვეჭვდები,  
 შენ როკავ, იწვი, თითქოს შენს  
 ირგვლივ  
 ბრუნავს, იზრდება ოქროს ბეჭდები.

შენს გასაოცარ მუსიკას კეტრფი,  
 მიპყრობ ჯადოსნურ შუქით ნაფერი,  
 რასაც შეეხე მსუბუქი ტერფით,  
 იწვის, ნაცრდება სუყველაფერი.

ო, ფრთამსუბუქი ახალგაზრდობა  
 ჰაეროვანი ხვედრია ჩვენი  
 და სიხარულის ჩუმად განდობა —  
 ამ გასაოცარ სიწყნარეს შვენის.



ფოთოლთა ცრემლი შეუშრობელი,  
 ეამი მწუხარე, მაგრამ ნათელი,  
 სიზმარი, გუშინ ჩაქრა რომელიც,  
 დღესაც ჩაქრება, როგორც სანთელი.

რაა დროის და სურვილის ქროლვა,  
 ქალწულის ხელთა თრთოლვა  
 მარტოდენ,  
 გარდუვალობის წრისაკენ ლტოლვა,  
 წრისკენ, დროებით რომ მივატოვეთ.

მზე მოშრიალე ღრუბელს გვიმაღავს,  
 რომ მდუმარების ჩქამიც მოგვესმეს,  
 გაზაფხული კი ტყეს და გრილ ბალახს  
 დაავიწყდება განა ოდესმე?!

მაგრამ ოდესმე წამოვა თოვლი,  
 ჩამოიშლება სხვა სამყაროდან,  
 წაშლის ნაკვალევს ნეტარი თრთოლვის,  
 იქ, სადაც შენი ნება ჰყვარდა.

## ნება შემოდგომისა

გზას დავადგები თვალწინ გადაშლილს,  
 ქარი აწვალებს ბუჩქებს საბრალოს,  
 ქვა დამტვრეული წვება ტალახში,  
 ყვითელმა თიხამ უნდა დამალოს.

ქარმა გაშალა სველი მანტია,  
 გამოაჩინა მიწა საფლავთა,  
 სოფლად ცირცელი წითლად ანთია,  
 რა მხიარულად შემომანათა.

აი, ხილული ბედნიერება,  
 ისევ და ისევ უნდა გავხედო,  
 თითქოს და ვუშზერ, ცრემლი მერევა,  
 შენს მაქმანიან ფერად სახელოს.

ვინ გამიტყუა გზაზე პირველად,  
 ვინ დამავიწყა სახლის კარები,

იქნებ ფსალმუნმა გასაკვირველმა,  
 შორს რომ გალობდა ვინმე ყარობი.

არავის ხმობას მე არ ვუსმენდი,  
 არც არაფერი არ დამაბარეს,  
 მოვუსმენ ღრიალს მთვრალი რუსეთის,  
 სამიკიტნოებს თავს შევაფარებ.

წლებს სიყმაწვილის ეჭვრეტ დანანებით,  
 ღვინოში ვკლავდი დღეებს სალოცავს,  
 მატირებს დარდი შენი ყანების  
 და შენი სივრცე მიყვარს საოცრად.

უსიყვარულოდ ვკვდებით ნელ-ნელა,  
 შენს შვილებს შენვე უნდა უშველო.  
 შენ შეგვიფარე, თვალუწვდენელო,  
 არ ღირს ტირილი, ყოფნა უშენოდ.

ბორის ანდრონიკაშვილი

## მახტანგ მემქნის შთამომავლები რუსეთში

წინა ნაშრომში, რომელსაც „ეოლგისპირა სოფელი“ ეწოდება, მოგიხსნებოდა ვახტანგ VI შვილთაშვილის, მრავალი ქართული საგანძურის მფლობელის, ნიკიტოროდის თავად-აზნაურთა ნინამძღოლის თავად გ. ა. გრუზინსკის ამბებს; ისიც აღვნიშნეთ, რომ მას უყვება ქალიშვილი, „ცნობილი გრაფის ტოლტოის მეუღლე“.

უნდა მოგახსენოთ, რომ გრაფის მეუღლის ცხოვრება ჩვენთვის ძალზე საინტერესო და მრავალმხრივ მნიშვნელოვანია.

გასული საუკუნის ლიტერატორმა ფ. ფ. ვიგელმა თავისი „ჩანაწერების“ მეორე ტომში დაგვიტოვა საკმაოდ სრული მოგონებები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეებზე. ეხება რა 1820 წელს ნიჟნი-ნოვგოროდში ყოფნას, მოგვითხრობს შემდეგს:

„...ამ გუბერნიაში დიდხანს ცხოვრობდა ერთი ქართველი უფლისწულის ვაჟი თავადი ეგორ (გოორგი) ალექსანდრეს ძე.

მეტის შთამომავალი, სამხრეთული სისხლის, მგზნებარე ენებების, მკაცრი ხასიათის მქონე თავადი გრუზინსკი ქუშმარიტი მფლობელი იყო თავისი მდიდარი და ვრცელი სოფლის ღისკოვოსი, რომელიც ეოლგის ნაპირას, მომცრო დაბა მაკარევოს მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს... იმ დროს თავადი ქვრივი იყო: მისი მეუღლე, ბახმეტევას ქალი ახალგაზრდა გარდაიცვალა, დარჩა ვაჟი და ქალიშვილი. ვაჟი, გვარდიის ოფიცერი, სიტყაბუკშივე გარდაიცვალა. ეგორის ერთადერთი უმწვენიერესი ასული კი გაურბოდა საზოგადოებას და სხვა ღამაზმანების ჩვეულების წინააღმდეგ, გულმოდგინედ მალავდა თავის სიღამაზეს...“

„შემდგომ — განაგრძობს ვიგელი ამ ქალიშვილის ამბავს — იგი ცოლად გაჰყვა

ჩემს კარგად ნაცნობ გრაფს ტოლტოის. მისი ღელისმოსაობა და განმარტობული ცხოვრება საოცარ ცნობისმოყვარეობას აღუძრავდა უსაქმურ პროვინციელებს. ერთი ჭაბუკის ამბავი, რომელიც მათ სახლში იზრდებოდა და ბერად აღიკვეცა, მთელი რომანის საბაზი გახდა.

ამბობენ, როცა გამიჯნურებულბმა თავადს გაუზიხლეს თავიანთი გრძნობები, მან განუცხადა, რომ ეს შეუღლება შეუძლებელია, რადგან ვაჟი ჩემი უკანონო შვილია და დასთან მისი დაქორწინება არ მოხდებაო. მაშინ ორივემ ბერ-მონაზვნობის აღუქმა დადეს. ერთმა ინგლისელმა ქალმა, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა, მოინახულა სამების მონასტერი, სადაც მამა ანტონი, ყოფილი მიჯნური, მაშინ მოსაყდრედ იყო. მოგზაურ ქალს მოუთხრეს ანტონის ცხოვრების პოეტური ამბავი. მოხიბლულმა ქალმა დაწერა მშვენიერი მოთხრობა და დაბეჭდა ერთ-ერთ კრებულში. მე კი მგონია რომ ქალიშვილს მამის ახირებული ხასიათი გამოჰყვა და იგი უბრალოდ, უარყოფდა მალალ საზოგადოებას“.

ფ. ფ. ვიგელის თხრობის სტილი ისეთია, რომ ხშირად ეჭვს იწვევს. მართლაც რას არ შეხედებით აქ, სამხრეთულ თავადს და მის მშვენიერ ქალიშვილს, უიღბლო სიყვარულსა და მოგზაურ ინგლისელ ქალბატონსაც კი. მაგრამ დიდი ხანია დაგვენიღია, რომ ვიგელი მოურიდებელი დაყბობის ტონით გადმოგვეცემს მართლაც მნიშვნელოვან ცნობებს. გვიყვება ნამდვილ მოვლენებზე.

აქ მოყვანილ ნაწევებში ყველაფერი სწორია, თუმცა არა საესტეტი.

ა. ი. სმირონოვა-რუსეტიც, პუშკინის, ლერ-მონტოეისა და გოგოლის მეგობარი, მოგვითხრობს ამ რომანტიკულ ამბავს.



„ანტონი იყო ქართველი უფლისწულის უკანონო შვილი, რომელიც დაიბადა მის სახლში, ნიჭინში, ღამაზი გარეგნობისა და ძალზე თავმოყვარე. მამამ სააფთიაქო საქმედ და მკურნალობა შესწავლა. უფლისწულის ერთადერთი ქალიშვილს ანას შეუყვარდა ღამაზი ჭაბუკი. მამამ ურჩია ვაგს ღვთისმსახურებისათვის შეეწირა თავი და გაგზავნა საროვის უდაბნოში. მალე ვაგი ბერად აღიკვეცა. ქალიშვილმა, თავადის ასულმა, აღარ ისურვა გათხოვბა და მოითხოვდა მონასტერში წასვლას, რამაც ძალზე შეაფთოთა მოხუცი მამა. ბოლოს გაუშვა ქალიშვილი კოსტრომის გუბერნიის ერთ-ერთ საფანეში“.

ასე და აშკარად, ანტონმა და ანა გიორგის ასულმა არა მხოლოდ მონასტერში წასვლის „აღთქმა მიიტყეს ერთმანეთს“, არამედ შეასრულეს კიდევ ეს ფიცი. შემდგომ ა. ო. სმირნოვა გვაცნობებს, რომ მალე „იღუმენიამ შეამჩნია, რომ ანა ეგორის ასული ვერ დააშოშინა მონაზვნობამ, და წერილობით აცნობა უფლისწულს. „ჩემი აზრით, შენი ასული სამონასტრო ცხოვრებისათვის არ არის გაჩენილი“. და მამამაც გამოიყვანა იგი მონასტრიდან.

ა. ო. სმირნოვა კარგად იცნობდა ანა გიორგის ასულს, ისინი ერთ საზოგადოებას ეკუთვნოდნენ, ერთ წრეში ტრიალებდნენ. სმირნოვა იცნობდა, აგრეთვე, მამა ანტონსაც, ვაიცნო ზაგორსკში ანტონის ნინამძღვრად ყოფნისას.

ანტონი (საერო ცხოვრებაში მედევეცი), ბერად აღკვეციის შემდეგ, სწრაფად დაწინაურდა და 1831 წელს სერგაიევსკის სამების ტაძრის ნინამძღვარი იყო ახლანდელ ზაგორსკში. უფრო მეტიც, მის სახელთანაა დაკავშირებული რუსეთის ამ ერთ-ერთი უდიდესი ტაძრის აყვავება-დაწინაურება.

ა. ნ. მურავიოვი, რომელმაც გამოიკვლია რამდენიმე მონასტერი და ეკლესია, სინოდის ობერ-პროკურორის გრაფ ნ. ა. პრატასოვის 1837 წელს სწერდა:

„სამების ტაძარში, სადაც განსაკუთრებულ საღვთისმშობლო ფუსფუსში გაგატარე ორი დღე, მაინც დიდი სიამოვნებით შეენიშნე უდიდესი ნესრიგი, რომელიც იქ შემოიღო მისადგურე არქიმანდრიტმა ანტონმა, ერთობ შესანიშნავმა ადამიანმა, თეთანასწავლი სასულიერო განათლებით, რაიც მიიღო საროვის უდაბნოში. მისი ყოველდღიური ტაბლა გლახაკათვის და საავადმყოფო, სადაც თავადაა მკურნალი და საღმრთო სახლი, ნამდვილად იმსახურებს დიდი ყურადღებას. მისი შვიდწლიანი მართვის განმავლობაში სამების მონასტერი სრულიად გარდაიქმნა“.

აგრეთვე ცნობილია, რომ ანტონმა მოიხი-

ლა პალესტინისა და სინას წმინდა ადგილები, შეაგროვა იქ უძველესი ხელნაწერები, წიგნები და სხვა რუსული სიძველეები და რუსეთში ჩამოიტანა. იგი იყო უახლოესი თანამოსანგრე მოსკოვის მიტროპოლიტის ფილარეთისა, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ეკლესიის გაგუნებისა და მისი კეთილდღეობის განმტკიცებისათვის.

ანა გიორგის ასული, მიუხედავად მამის დიდი გულსტკივილისა, არ თხოვდებოდა, განმარტოებოდა ცხოვრობდა და განსაკუთრებული ღვთისმოსაობით გამოიჩინებოდა. იგი ამ დროს ცხოვრობდა ნიენი-ნოვგოროდში, სადაც მამამისი გუბერნიის თავად-ახნაურთა წინამძღოლი იყო. მათი სახლი ახლანდელ გრუზინსკის ქუჩაზე იდგა, ბალანს ერთად მას ორი ვარკალი ეკავა. ხის შენობის პირობაზე, ეს სახლი უზარმაზარი იყო. ნათლად ჩანდა, რომ აქ ოდესღაც ვატიკინის-დროინდელი ვინმე დიდებული ცხოვრობდა.

ნივეგოროდში მხარეთმცოდნე ხრამპოვსკი, თავის შრომაში ნიენი-ნოვგოროდის შესახებ მიუთითებს, რომ „გრაფის მეუღლე ტოლანტოის ბაღს — ჩრდილუხვი ცაცხვებით, არყის ზეთა ხეივნითა და მრავალნაირი ხეხილით დაბურულს — ირგვლივ ერთ ვერსზე მეტი ფართობი ეჭირა. მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებში ეს იყო სასეიწრო ადგილი ნივეგოროდის საზოგადოებისა; აქ იყო ხაკონდიტრო, დღესასწაულებზე საღამოონით უკრავდა მუსიკა და ცეკვავდა მაღალი საზოგადოება“.

ღვთისმოსავე გრაფის მეუღლე დადიოდა პოკროვსკის ეკლესიაში, აქ 1820-1828 წლებში არაერთხელ უწიკრავს საქართველოს უკანასკნელ პათარქოსს ანტონ მეორეს. ეს ეკლესია ამჟამად აღარ არსებობს. ანას აგრეთვე ძალიან უყვარდა მუსიკა.

პოკროვკაზე, კეთილშობილთა საქრებულოს პირდაპირ, საკუთარ სახლში ცხოვრობდა თავად ტრუბეცკოების ოჯახი, გრაფის მეუღლის მამიდაშვილები. მათი დედა, დარეჯან ალექსანდრე ასული გრუზინსკაია, ანას მამიდა იყო.

„მამინ, ქალაქის ზემო ნაწილში, — ვკითხულობთ მეორე ნივეგოროდელი მხარეთმცოდნის გასიციკის ჩანაწერებში — ცხოვრობდნენ უპირატესად თავდაზნაურობა და ჩინოვნიკები, ქვემო ნაწილში კი — ვაჭრები. ქალაქელთა სასეიწრო ადგილი ჩორნი პრუდი გახლდათ. თავადთა სახლებში და გუბერნატორისას შეჯღისებები იწყებოდა არაუგვიანეს 7 საათისა და თავდებოდა თერთმეტი საათისათვის. ყველიერში ნივეგოროდელი მაღალი საზოგადოება მუსიკითა და სიმღერით სეირნობდა ქალაქის ქუჩებში უზარმაზარი ნაგების მსგავსად რვა და ათ ცხენიანი მარხილებით, ქუჩები და ტროტუარები ფი-

ცარნაგით იყო დაფინილი, ზედ ისე დასრ-  
ალებდნენ, როგორც ეპიტაჟე".

მაგრამ ანა გიორგის ასული, როგორც უკვე ვიცით, გაუბრბოდა ყველა ამ სიამოვნებას, გაუბრბოდა საზოგადოებას და მთელ დღეებს ატარებდა განმარტოებულად ზამთრობით — ნიღებროდის სახლში, ზაფხულობით — ლისკოვოში, სადაც იყო შესანიშნავი პარკი, რომელიც ვოლგას გადაყურებდა. ხშირად დადიოდა, აგრეთვე, ესესეიატსკოეში.

ეს ლამაზი, მდიდარი საპატარძლო ერთ-თავად უარყოფდა ბელის მთხოვნელთა ნინა-დავებებს და მარტობაში ატარებდა ახალგაზრდობის წლებს. მიცემული აღთქმის ასეთმა ერთგულებამ და საკუთარი თავისაგან განდგომამ არ შეიძლება პატივისცემა არ გამოიწვიოს. გონებაშეზღუდული ადამიანები კი ამას ახიერებას ეძახდნენ. მოგვიანებით თავიანთი გრძნობის ერთგულ ტურგენევი-სეულ ქალიშვილებსაც ამგვარ უცნაურობას სწამებდნენ. უეჭველია, ეს სიმტკიცე აიხსნებოდა მისი ღვთისმოსაობით. თავადის ასულ გრუზინსკიასს, როგორც ეს მთელი მისი ცხოვრებიდან ჩანს სურდა ეპოვნა რაიმე შეუცვლელი, მტკიცე, მყარი საყრდენი. ამას პოულობდა ღვთის რწმუნებასა და სასოებაში.

რელიგიური რწმენის გაძლიერება, როგორც პროტესტი მზარდი საეჭრო კაპიტალის გაღვინებასა და „ახალი დროების“ ზოგიერთ იმ ნიშანთვისებათა საწინააღმდეგოდ დაჰყოფრებულ აზნაურულ ფთიკას რომ ამსხვერუდა, დამახასიათებელი იყო მისი მდიდარი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ეკლესია ვახვად თავმჯდომარი იმათთვის, ვინც საეკლესიო მცნებებში „არა კაც კლა“, „არა იცრუო“ და ა. შ. ეკონომიური ევოლუციის რთულ სამყაროში საკუთარი ღირსებისა და სახის შენარჩუნების შესაძლებლობას ხედავდა.

ჩვენ დაეინახავთ, რომ არა მარტო გრაფ ტოლსტოის მუდღის ცხოვრებაში, არამედ სხვა მის დიდ თანამედროვეთა მოღვაწეობაშიც, როგორც იყო მაგალითად, გოგოლი, რელიგიური მოტივები და განწყობილებანი არსებით როლს თამაშობდნენ.

ანა გიორგის ასული 35 წლის გახდა, თავადი უკვე მოზუდა, ქალი მარტოხელა და უმწუო იყო, და აი, 1833 წელს მან, ბოლოს და ბოლოს, თავისი ბედი გრაფ ა. პ. ტოლსტოის, ტვერისა და ოდესის გენერალ-გუბერნატორის დაუკავშირა.

რატომ უღალატა მან აღთქმას და რითი განისაზღვრებოდა მისი არჩევანი?

ბევრი რამ თვით ა. პ. ტოლსტოის პიროვნებით უნდა აიხსნას.

უფლისწული გიორგი, ვახტანგ VI-ის უმცროსი ვაჟი, ბაქარისა და ვახუშტის ძმა, მოსკოვის უნივერსიტეტის უხვი შემწირველი

და ბოლშეია გრუზინსკიას ქუჩაზე წმინდა გიორგის ეკლესიის ამგები იყო რუსენერსკის მისი მებრძოლი გენერალი, მთწაწილურად მრავალ ომში, მათ შორის შვედებთან ომში, სადაც მეთაურობდა გენერადერებსა და მუშკეტერებს, მონაწილეობდა რაინის ლაშქრობაშიც, სადაც „რუსებმა პირველად გამოიჩინეს თავი ევროპაში“ და შეიღწიან ომშიც, საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო უმაღლესი ორდენებითა და გენერალ-ანშეფის ჩინით, რომელსაც მხოლოდ გამორჩეულ გენერლებს ანიჭებდნენ. ამას გარდა, იგი იყო ელისაბედ დედოფლის კარისკაცი და ითვლებოდა „დეისტრიტილნი კაშერ-პერად“.

ორი ვაჟი ადრე გარდაეცვალა, ერთადერთი საყვარელი ქალიშვილი ანა თქვენსეტი წლის ასაკში ცოლად გაჰყვა ა. ბ. ბოლიცინს, „გენერალ-მაიორსა და კავალერს“, და ისიც გარდაიცვალა 1779 წელს — 25 წლისა. მას დარჩა სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი.

ბავშვები ჯერ მამასთან ცხოვრობდნენ, მისი სიყვადის შემდეგ კი პაპასთან — გიორგი ვახტანგის ძესთან. 1793 წელს უფლისწულ გიორგის გარდაცვალების შემდეგ, ვატირინეს ბრძანებით პეტერბურგს გადასახლდნენ. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს თავად ა. ა. ეიაზემსკის ცვატირინე სწერდა:

„აქ გარდაცვლილი თავადის აღსული ბორისის ძე გოლიცინის სამ ქალიშვილს განუცხადეთ ჩემი სურვილი, რათა აქ, ჩემთან ჩამოვიდნენ“. შემდგომში მანვე გაათხოვა ისინი.

ანას .ვატიშვილი, გიორგი, საინტერესო ადამიანი იყო. მოგონებებიდან ცნობილია, რომ „მას ადრე გარდაეცვალა დედა და განათლება პარიზში მიიღო, სადაც გაიგზავნა ფრანგი გუფერნიორის თანხლებით. პარიზში აღზრდილი, იგი ფრანგული ენის შესანიშნავი მომადენი შექმნა. ნიჭიერი კაცი იყო. ხატავდა, გამოირჩეოდა გონებამახვილობით. თავისუფალი აზროვნების გამო „იაკობინელად“ მიიჩნეოდა. პაულებს სასტიკი რეგიმისადმი პროტესტის ნიშნად იგი ერთხელ დაუდგურა და უხალისოდ ემთხვია ხელზე იმპერატორს. რის გამოც დედაქალაქიდან გაასახლეს.“

გიორგი უცოლო იყო და გარდაიცვალა ახალგაზრდა — 39 წლისა. მისი ერთ-ერთი და, სოფიო, ცოლად გაყვა გენერალ-ადიუტანტ ე. ფ. სენ-პრის, რომელიც ბაგრატიონის არმიის შტაბის უფროსი იყო. ბოროდინოს ბრძოლაში დაიჭრა. სმოლენსკთან მე-4 კორპუსს მეთაურობდა გრაფი ოსტერმან-ტოლსტოი, მას ცოლად ჰყავდა ანას მეორე ქალიშვილი ელისაბედი.

უფროსი ქალიშვილი მარიამი (1772-1826) ცოლად გაყვა პ. ა. ტოლსტოის. პ. ა.

ტოლსტოი პ. ი. ბაგრატიონის ახლობელი და თანამებრძოლი იყო. მან თავი გამოიჩინა ვარშაის ალბისა და პრალის იერიშის დროს. პარიზის ბრძოლის რეალაციაში სუფოროვი დედოფალს მოახსენებდა: „გრადი ტოლსტოი, რომელიც ორ ბატალიონს მეთაურობდა, კოლონასთან ერთად, პირველი ეყვება ბატარეას და დაიკავა იგი, სადაც დაიჭრა. ეკატერინე დედოფალმა თვითონ „დააბნია“ მას მკერდზე მესამე ხარისხის გიორგის ორდენი. იგი პავლეს გენერალ-ადიუტანტი იყო და იცოდა შეთქმულების ამბავი. შემდგომში მეთაურობდა პრეობრაჟენსკის ლევიონს, სადაც კაპრალის ნოდებთი დაიწყო სამსახური. 1801 წელს მეთაურობდა კორპუსს, იყო ალსტერის ლეიტენანტი. იმოგზაურა როგორც საქართველოში ელჩმა პარიზში, მონაწილეობდა ტოლსტოის შეხვედრაში. 1812 წლის ომში გენერალ-ლეიტენანტი პ. ა. ტოლსტოი მეთაურობდა სახალხო ლაშქრის მესამე ოლქს, რომლის შტაბი ნიჟინ-ნოვგოროდში იდგა. 1813-14 წლის საფრანგეთის ლაშქრობის დროს, იყო ალექსანდრე პირველის მორტივე გენერალი, „მისი თვალი და ყური“, მეფისთვის ყველაფერი გულწრფელად უნდა მოეხსენებინა.“

მარიამი მეფის კარის უმაღლეს წრეს ეკუთვნოდა. ნაპოლეონის ელჩი სავარი „ახალი ამბების ფურცლებში“, რომელსაც სისტემატურად აგზავნიდა პარიზში, წერს მარიამზე, როგორც მნიშვნელოვან პიროვნებაზე პეტერბურგის საზოგადოებაში.

მარიამი გარდაიცვალა 54 წლისა, დაკრძალულია დონის მონასტერში, მის წინაპრებთან ერთად, მუდღის გვერდით.

მათ ბევრი შვილები ჰყავდათ.

და აი, გენერალ პ. ა. ტოლსტოის და მარიამის ერთ-ერთ ვაჟს, ალექსანდრე პეტრეს ძეს მისთხოვდა ანა გიორგის ასული გრუზინსკაია, ასე და ამჯერად, გადვიხლართა ბაგრატიონთა ორი ძმის — ბატონიშვილებს — შაქარისა და გიორგის შტო. ორივე იყო პირდაპირი შთამომავალი ვახტანგ VI-ისა, მხოლოდ თაობის ბიძათაშვილები. თუნდაც ეს გარემოება ანიჭებდა ამ ქორწინებას რეალციანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ალექსანდრე პეტრეს ძეც მორწმუნე კაცი იყო და, შესაძლოა, არანაკლებად, ვიდრე თავადის ასული.

მაგრამ იყო კიდევ ერთი გარემოება, რის გამოც ეს ქორწინება არც თუ ჩვეულებრივად ჩაითვლებოდა. დაკმაყოფილებით იმავე ა. ო. სმირნოვას ცნობებით „...ანა გიორგის ასული 35 წლისა გაჰყვა ცოლად ა. პ. ტოლსტოის, წმინდა ადამიანს. იგი დემორჩილი თავის უცნაურ ცოლს და მასთან ცხოვრობდა როგორც მამა... ეს ტოლსტოები ყველანი

დიდად ორიგინალური არიანო“ დასაკუნის სმირნოვა.

დახმ, ისინი ცხოვრობდნენ როგორც დათმა, და ეს ვასაკვირველი იყო ჩხატოვის, ვინც არ იცოდა ქალის მიერ ახალგაზრდობაში განცდილი მძიმე მღელვარება, მის მიერ მამა ანტონთან დადებული საგულგნულად აღთქმა, არ იცნობდა მის ღვთისმოსიშობას. ალექსანდრე პეტრეს ძე უგანათლებულის ადამიანი იყო, სრულყოფილად ფლობდა მრავალ უცხო ენას, მათ შორის — ბერძნულს; სხვადასხვა დროს იყო ტყერისა და ოდესის გენერალ-გუბერნატორი, სინოდის ობერ-პროკურორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, მაგრამ კარიერისტი არ ყოფილა, აფასებდა დამოუკიდებელ და მოწინავე ადამიანებს. მან, მაგალითად თანამშრომლობა შესთავაზა მ. ა. ბაკუნინს, ცნობილ ანარქისტსა და მემამბოხეს. უმშობლად, დე მესტრი, კარაშინი, კაპოდისტრია, ფუკუსკი, სპერანსკი, პუშკინი, ნი, გოგალი მისი ახლო ნაცნობები და მეგობრები გახდნენ.

„ძალზე მახვილგონიერი კაცი იყო, მგრძობიარე და ნიჭიერი, ყველაფრის ღრმად ჩამწვდომი“. განსაკუთრებით უყვარდა ბერძნობი და საბერძნეთი.

გოგოლს მეფის ადმინისტრაციის მიმართ თავისი სექტიციზმისა და ნიკოლოზის რუსეთის სამხედრო-ბიუროკრატიული სისტემის უკიდურესი მიუღებლობის მიუხედავად, ა. პ. ტოლსტოი მიჩნდა „სახელმწიფოებრივი ადამიანის ფენომენად — იგი მკაცრი, სასტიკი, პატიოსანი, ვერ იტანს პირფერობას, ნამდვილად მორწმუნე კაცია“.

მათ ცხოვრებაზე ერთგვარ წარმოდგენას იძლევა ა. ო. სმირნოვა-როსტის მოგონებები. „გრადმა იგრუსალიმიდან ჩამოიყვანა დიაკვანი. ეს ისეთი მეფავითნე იყო, მგრადიტივიით აწყობდა სიტყვებს. ნაწირებს ესვამდით ჩაის მოგრძო სასტუმრო ოთახში; ჩაის ასხამდა სოფიო პეტრეს ასული აპრაქსინა, გრადის და. მოვართმევდნენ ჩაის, ყავას, შოკოლადს, ნამცხვრებს და სხვადასხვა სახის ორცხობილას. სასტუმრო ოთახში იდგა როიალი, გაშლილი ნოტებით, მუსიკა მთლიანად სასულიერო შინაარსისა იყო, გრადის მუდღელ საუკეთესოდ უყრავდა. გრადი თავისუფლად კითხულობდა და ლაპარაკობდა ბერძნულ ენაზე.“

გრადის მუდღელს საღამოს შვიდი საათიდან ჰქონდა მიღება. სერაფიმა გოლიცინა ხმამაღლა უკითხავდა მათ რომელიმე სასულიერო წიგნს, დღეგამოშვებით მოდიოდა ბერძენი ბერი და ისიც კითხულობდა. გრადის მუდღლის საზრუნავი იყო — როგორმე გრადისთვის ეამებინა. ქალი მხოლოდ მათ აცქვედა ჟურადღებას, ვინც მის ქმარს უყვარდა. „როგორ მიყვარს ბერძნული ხმა,

მიტომ რომ გრაფს უყვარს იგი. თქვენც მიტომ მიყვარხართ, რომ გრაფს უყვარხართ. მადლიერი ვარ გოგოლისა თქვენი გაცნობისათვის. ტოლსტოევი ყველანი ორგინალური არიან, ყველაზე მეტად კი — ალექსანდრე პეტრეს ძე“.

ამ აღწერაში საღებავების ოდნავი გამოუქება იგრძნობა. ა. ო. სმირნოვა სხვა წყობის ადამიანი იყო. მის ლიტერატურულ სალონში იკრიბებოდნენ პუშკინი, ჟუკოვსკი, ვიანინი, გოგოლი, ლერმონტოვი და კარამზინსკი, მისთვის უცხო არ იყო საზოგადოებრივი ინტერესები და არც გაურბოდა მთელ საზოგადოებას. ამიტომ განდგომა, გამოყვანა მინიერისაგან, ასეთი თავდადებული სამსახური ღმერთისა, მას მეტისმეტად მიაჩნდა.

მაგრამ, რასაკვირველია, ყოველივე ეს ასე არ გახლდათ. ახალგაზრდობაში ალექსანდრე პეტრეს ძე სამხედრო იყო, 1834-37 წლებში — ტვერის გუბერნატორი, 1837-1840 წლებში — ოდესისა. მას ურთიერთობა პეტრე მათი სახლით დაინტერესებულ მრავალნიარ ადამიანებთან.

მომე და რთული ვითარება იდგა რუსეთში. ნიკოლოზი და ბენედიქტორფი ახშობნენ ყოველგვარ ცოცხალ აზრს. ბატონყმური წყობილება სულს დაფუძნდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ბევრი რუსი წლობით ცხოვრობდა საზღვარგარეთ, იქ ეძიებდნენ პასუხს მათთვის საინტერესო საკითხებზე და საერთოდაც, სურდათ ესუნთქათ „თავისუფლების ჰაერით“. რომ არაფერი ვთქვათ გერცენისა და ოგაროვის შესახებ, საზღვარგარეთ დიდხანს ცხოვრობდა ჟუკოვსკი. წაიედნენ გოგოლი, სმირნოვა-როსტოვი. გაემგზავრნენ, სხვათა მსგავსად, გრაფი და გრაფის მუუღვე ტოლსტოევი.

ახლა შეგვიძლია შევუდგეთ იმ ამბების თხრობას, მართლაც, ყველაზე საინტერესო მოვლენას რომ წარმოადგენს გრაფისა და გრაფის მუუღვის ცხოვრებაში.

1842-43 წლებში პარიზში მათ გაიცნეს გოგოლი. 1844 წლის 12 ნოემბრის თარიღით ნ. მ. იაზიკოვისადმი ფრანკურტიდან მიწერილ ვრცელსა და დაწერილებით წერილში ნ. ვ. გოგოლი იტყობინება:

„...მე მკაეს ერთი ახლობელი ადამიანი, ერთობ შესანიშნავი, რომელსაც შემდგომში გააცნობ. იგი ახლა პარიზშია, მაგრამ ვახაზუნულზე ან ზახუნულში ჩამოვა მოსკოვს, სახელდობრ — გრაფი ალექსანდრე პეტრეს ძე ტოლსტოი, რომლის ძმასაც შენ იცნობ. გრაფი იმითაა შესანიშნავი, რომ მიეკუთვნება იმ მცირერიცხოვან ადამიანებს, რომელთაც შესწევთ უნარი ჩაიდინონ ბევრი სიკეთე, სახელდობრ, ახლანდელ მდგომარეობაში მყოფი რუსეთისათვის. იგი ევროპული ამაარ-

ტანული სიმაღლიდან კი არა, არამედ რუსული კეთილგონიერებით უფურცებს, [შეგნებულ] ნებს. მას ბევრი რამ აქვს ნაწინააღმდეგარსა გუბერნატორი იყო ოდესასა და ტვერში, უნარი შესწევდა დაენახა სხვისი და საკუთარი შეცდომები, ახლა ისეთ თვალსაზრისს ადგას, რომ შეუძლია, ადამიანთა დაუნოკებლად და აურზაურის აუტებლად, ჩაიდინოს არსებითი სიკეთე, ესე იგი, მოარჩიოს საქმე იქ, სადაც ზოგიერთს, თითქოსდა კეთილშობილური მიზნით, შეუძლია ყველაფერი აურ-დაურჩიოს...“

1845 წელს, მეორე წერილში ნიკოლოზ ვასილის ძე იაზიკოვს წერს:

„...პარიზში ერთ თვეს დავეყო, შესაძლოა, მეტსაც: თავად პარიზი არ მიყვარს, მაგრამ მახარებს შეხვედრა ჩემს სულიერ ახლობლებთან, რომლებიც ახლა აქ არიან, სახელდობრ — გრაფის მუუღვე ვიელგორსკისა და გრაფ ტოლსტოისთან, რომელთაანაც მე გაეჩერდები, ასე რომ, შემდეგი წერილი გრაფ ტოლსტოის სახელზე გამომიგზავნე პარიზში, სასტუმრო ვესტმინსტერი, № 9“.

შემდგომ წერილში, პარიზში ყოფნის გამო, გოგოლი წერს:

„პარიზის შესახებ შემიძლია გითხრა, რომ თვლით არ მინახავს იგი. მე აღერც არ ვიყავი ამ ქალაქის მოყვარული, მით უმეტეს ახლა... არაინ, გარდა ჩემთვის სულიერად უახლოესი ადამიანებისა, ესე იგი გრაფის მუუღვე ვიელგორსკისა და გრაფ ა. პ. ტოლსტოის გარდა, არ მინახავს... ეს სამი კუთრა გავატარე კარგად, მორალური თვალსაზრისით; ეცხოვრობდი სულიერად, როგორც მონასტერში“.

გრაფ ტოლსტოისა და მის მუუღვეს გოგოლი იხსენიებს ვიელგორსკაიასადმი მიწერილ წერილში — „სხვათა შორის, გამახსენდა გრაფ ტოლსტოის მუუღვე, რომელიც თქვენთან ერთად არის პარიზში“. ნ. ვ. შერემეტოვის („პარიზში ვხვდებოდი მხოლოდ რამდენიმე ახლობელს. მაგრამ შესანიშნავი სულის ადამიანებს“) ვ. ა. ჟუკოვსკის (გრაფი ა. პ. ტოლსტოი ჩემთან ერთად მარხულობდა“), ს. მ. სოლოგუბს („გრაფენბერგია გრაფი ა. პ. ტოლსტოი, რომელიც ყველა თქვენგანს გულითა და სულით მოგკითხავს“) და ვ. ა. ჟუკოვსკისადმი მიწერილ წერილებში („გრაფენბერგში წასულა... გრაფ ა. პ. ტოლსტოის ჩამოსულამ გადამაწყვეტინა“).

შემდგომში გოგოლის ტონი უფრო თბილი და გულითადი ხდება. ა. ო. სმირნოვას რომიდან სწერს: „ხშირად ვარ სოფიო პეტრეს ასულ აპარქსინასთან, რადგან ისიც ისევე კეთილია, ამასთანავე და არის ჩემი საყვარელი ალექსანდრე პეტრეს ძისა“, ვ. ა. ჟუკოვსკის ფლორენციიდან ატყობინება: „სამი დღით შევიღო პარიზში მხოლოდ იმისათვის, რომ მოვინახულო ჩემი კეთილი გრაფი ა. პ. ტო-

ლსტოი". მასვე ოსტენდიდან სწერს: „ამ დღეებში დიდად გავიხარე ჩემი საყვარელი გრავის თქვენთვის ყველასათვის ცნობილი ა. პ. ტოლსტოის მოულოდნელი ჩამოსვლის გამო“. პ. ა. პლეტნევის ნებაპოლიდან სწერს: „გრავი ალექსანდრე პეტრეს ძე ტოლსტოი ჩემი დიდი მეგობარია და რუსეთისათვის შეტად საქირო ადამიანი“...

ნებაპოლში ყოფნისას, გოგოლი ელოდა ა. პ. ტოლსტოის. „იგი ჩამოვა ნებაპოლში, რომ წმინდა ადგილებში გამგზავნოს. შესაძლოა, თავადაც ნამოვიდეს იქ“. — წერს გოგოლი.

სხვა წერილში, რვეფს მონასტრის წინამძღვარს მ. ა. კონსტანტინოვსკის, რომელიც გოგოლს ვნაფმა ტოლსტოიმ გააცნო. ნიკოლოზ ვასილის ძე ატყობინებს: „გრავი ალექსანდრე პეტრეს ძე ენახე მისი ინგლისის გამგზავრებაშივე ერთი დღით ადრე... გაზაფხულამდე რუსეთში არ დაბრუნდება. იგი, აგრეთვე, ნებაპოლში ჩამოვა, თავის დასთან — აპრაქინასთან შესახებდრად. ასე რომ, ისევ შევხვდებით ერთმანეთს“.

შემდგომ გოგოლი იტყობინება, რომ ტოლსტოი შენუხებულაო, მეორე წერილში მოუთხრობს ამ ნუხილის მიზეზს: „დაეინახე რა მისი შეძრული სული და მოვიპოვე უნუგეშო ზივილი ცხოვრებაზე, რომელსაც მისთვის ფასი დაკარგოდა და რომლის დასასრულსაც მოუთმენლად ელოდა, შევეცადე დამეთანხმებინა იგი, რათა ხელი მოეყიდა რამით თანამედრობისათვის რუსეთში და მიეღო იგი. როგორც ქრისტიანული საქმე... შევიტყვე ათასგვარი უსამართლობისა და უწყინრობის ამბავი, რომელიც მომდინარეობს უფროსებისაგან. ისიც რომ არ იცინა, თუ როგორ მოვიდრ საქმეს ხელი. ალექსანდრე პეტრეს ძე, როგორც დიდი გამოცდილებების და ბევრის გადამტანი ადამიანი, მე მგონია, ახლა განსაკუთრებულად საქიროა რუსეთისათვის. ამის გამო დაეწერე კიდევ წერილები, რომლებიც ნიგნში არ მოხვდა, მაშინ, როცა, ჩემი ღრმა ჩრმენით, ისინი უფრო სასარგებლოა, ვიდრე სხვა იქ მოთავსებული წერილი“.

ნ. ვ. გოგოლის მიმონერა ანა გიორგის ასულსა და ალექსანდრე პეტრეს ძესთან ასახავს მათი სულიერი სიხილოვის ზრდას, რაც მალე მეგობრობად გადაიქცა.

ამ მიმონერაში ვხვდებით ყოველგვარ ცნობებს — ამინდზე, ჭკუოქსის შესახებ, დარჩებას, როგორ უნდა ილოცო, ღვთის წყალობაზე, რომლის უქონლობამ უნდა მოგვეცეს კიდევ უფრო ძლიერი და მტკიცე იმედი ღმერთისა. („სხირად მომესურვება ჩემს გვერდით თქვენი ყოფნა, ანდა თქვენ მსგავსად მხოლოდ სულის გადარჩენაზე მათეპრად ადამიანისა“). გაჭიანურებული ზამთრის,

წყალდიდობის, მიღებული და დიკარტული წერილების გამო, ექიმის, ბანაოხის, ვაისისა და რძის შესახებ. საყვედურს... ფუჭილის გამო; რომის ცისა და მზის თუ ნებაპოლის პაერის შესახებ. ჩივილს ავადმყოფობის გამო „თანდათან ვხდები, ექვნები და ესუსტებები და, ამასთან ერთად, მენძის, რომ არის რაღაც ჩემში, რომელიც უზენაესის ხელის ერთი გაქნევით, უცერად განდევნის ჩემგან ყოველგვარ სენულუბას, გინდაც სიკვდილის აჩრდილი დამტრიალებდეს თავს“. იმპერატორ ნიკოლოზ პირველის შეხვედრის ამბავს პაპთან — გრიგოლ XVI-სთან. სთხოვს პარიზში გამოვლის დროს ასესხოს ფული მხატვარ ა. ა. ივანოვის ძმას, არქიტექტორს. ჩერკუების შესახებ: „ღმერთი ტყუილად არ უფრთხილდება ზოგერთი ხალხის სისხდავებს და ინახავს ხეობებსა და მთებში პატრიარქალური ყოფის ნაშთებს“ იტყობინება ტოლსტოებთან პარიზში მალე ჩასვლის თაობაზე.

ისინი ხვდებიან ერთმანეთს, აგრეთვე, გრფენბერგში, სადაც ერთად მკურნალობენ, ოსტენდში, რომსა და ფრანკფურტში. გოგოლი განაგრძობს ურთიერთობას ალექსანდრე პეტრეს ძის ძმებსა და დასთან, სოფიო პეტრეს ასულთან, რომლის შესახებ ა. თ. სმირნოვა გოგოლს სწერს, რომ „იგი ძალზე ამაყია, როგორც ყველა გრუზინსკების ჯიშის ტოლსტოი“. სოფიო პეტრეს ასული ხან რომშია, ხან ნებაპოლში, ყოველ დღე ხვდება ნიკოლოზ ვასილის ძეს, რასაც გოგოლიც აღნიშნავს თავის წერილებში: „აქ არის თქვენი დაიკო“. მეორე წერილში წერს, რომ შეხვდა ალექსი და ივანე ტოლსტოებს და მათგან შეიტყო, რომ სოფიო პეტრეს ასული ნებაპოლში იმყოფება და ეპატივება ყველას. „თქვენი ნათესავი ნორდერნუში იმყოფება... „რუსებიდან... პო, თქვენი ნათესავი სენ-პარი დოლგორუკია“. „ფიქრი იმისა, რომ თქვენთან ერთად გავატარებ ნახევარ ზამთარს ნებაპოლში, ძალზე სასიხარულოა“. ანა გიორგის ასულს ერთ-ერთ წერილში სთხოვს გადასცეს ულრმესი სილამი მამამისს გიორგი ალექსანდრეს ძეს, რომელსაც ეტყობა, იცნობდა. ოსტენდიდან 1847 წლის 11 სექტემბრის თარიღით მიწერილ წერილში სთხოვს ტოლსტოებს გაუგონ მიიღო თუ არა ბელისკი მისი წერილი. ბელისკი პარიზში იმავ სასტუმროში ცხოვრობდა, სადაც ტოლსტოები დაბინავდნენ.

ანა გიორგის ასული როგორღაც ამ მამაკაცური მეგობრობის ჩრდილში იმყოფება. საერთოდ, მას არ უყვარდა თავის გამოჩენა, რის გამოც თითქმის შეუფასებელი დარჩა თანამედროვეთა მიერ. პარიზში 1844 წელს ვ. გაუს მიერ დახატულ პორტრეტზე, ვხვდეთ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალს, „მშვე-

ნიერს", უწყინარი გამომეტყველებით, მაგრამ შინაგანი ღირსების ურყევი გრძნობით. ფართო სვედიან თვალებში, პირდაპირ რომ მოგჭირებია, გამოკრთის თავისი გზით მომავალი ადამიანის ურყევი რწმენა. მისი სახე იმდენად მიმზიდველია, რომ უნებლიე მივლავარებას იწყებს.

გოგოლს ძალზე ენატრება რუსეთი, მაგრამ ჯანმრთელობის გამო ყოფნება იტალიაში. ტოლსტოებისადმი მიწერილ წერილში იგი დაწერილებით აღწერს თავისი მკურნალობის ამბებს, მადლობას უხდის წამლის გაგზავნისათვის. ამავე ხანებში ძლიერდება გოგოლის რელიგიური განწყობილება, რაც აგრეთვე გამოხატულებას პოულობს წერილებში. „ჩვენ, უპირველესად ყოვლისა უნდა ვიხსოვროთ ღმერთში და არა რუსეთში. ჩვენ ხომ ვცოდით, რომ ღვთის ნების გარეშე არაფერი ხდება. ღვთის ნება ყველაფერს სწვდება. შევასრულოთ ქრისტიან მცენება, რუსეთისათვის კი ღმერთი უჩვენოდ იზრუნებს“. გოგოლი ნუხს გამოტყუებული სტრიქონების გამო ლოცვანში, რომელიც ტოლსტოებს მისცა. მოუთხოვს იოანე ოქროპირისა და მაკარი ეგვიპტელის შესახებ. და კვლავ „ვილოცოთ ისევ და ისევ, ჩემო კეთილო მეგობარო ალექსანდრე პეტრეს ძე, იმისათვის...“ და ა. შ.

1845 წლის 14 იანვარს გოგოლი პარიზში ჩავიდა. იანვრის მეორე ნახევარი და თებერვალი პარიზში ტოლსტოებთან გაატარა. ავვისტო-სექტემბერში, ალექსანდრე პეტრეს ძესთან ერთად, მკურნალობს გრეფენბერგში. შემდეგი წლების მაისში გოგოლი ისევ პარიზში, სტუმრად ტოლსტოებთან. ავვისტოში რამდენიმე დღით ისევ ჩადის ოსტენდინიდან, სადაც თავის მხრივ მას მოინახულებს ალექსანდრე ტოლსტოი. გოგოლი ამ დროს განაგრძობს მუშაობას ნიგნზე — „მიმონერა მეგობრებთან“.

1847 წლის მაისში ნიკოლოზ ვასილის ძე ტოლსტოის სწერს: „ამ დღეებში გამოვდივარ ნეაპოლიდან და პირადად მოგხევევით პარიზში“. ნოემბერ-დეკემბერში გოგოლი ისევ ნეაპოლიში; ზიზრად ხვდება ს. პ. აპარქინთან და მასთან ჩამოსულ ტოლსტოებს. ა. პ. ტოლსტოის გაკლენით გოგოლი იწყებს ბერძნული ენის შესწავლას.

შემდეგი წლიდან, უკვე რუსეთში, გოგოლი მუდმივ საცხოვრებლად ტოლსტოებთან გადადის.

მის წერილებში ვითხოვლობთ, აგრეთვე, მალთის ამბებს, იერუსალიმში მოგზაურობის შესახებ, რომელიც მან ცოფების მოსაწინააღმდეგე ნაშრომად გოგოლმა შეიარა ოპტიონის უდაბნოში („ეტყობა, იქ ნეტარება სუფევს“) და ბოლოს ვასილევკიდან, თავისი მშობლიური სოფლიდან, სადაც დასაბეჭდად

ამზადებს „მკვდარი სულების“ მეორე ტომს, უგზავნის გრაფს მხნელობით *Григорьеву* რილს: „გონების ძალა, მადლურად აღმწერეს ჯერ კიდევ საღი მაქვს“.

1847 წელს ნ. ვ. გოგოლმა გამოსცა „რჩეული ადგილები მეგობრებთან მიმონერადან“, რომელშიაც ავითარებს „მკვდარი სულების“ მეორე ტომის იდეასა და აზრებს. ნიგნი უხეირო გამოვიდა, რამაც გოგოლის უახლოესი მეგობრების მკაცრი კრიტიკა გამოიწვია. ს. ტ. აქსაკოვმა, რომელიც ყველაზე უფრო ახლო იყო მასთან, „რჩეული ადგილებს“ მთლიანად უწოდა „სიცრუე, ყვეაზრობა და უაზრობა, რომელიც გოგოლს ხდის მთელი რუსეთის სასაცილოდ“. პ. გ. ბელინსკი თავის ცნობილ „გოგოლისადმი წერილში“, ნიგნს ახასიათებდა როგორც „მძიმე ცოდვას“, რაიც ავტორმა ახალი ქმნილებებით უნდა გამოისყიდოს“.

მაგრამ ჩვენ, ამ შემთხვევაში, სხვა რამ გვაინტერესებს—ენახოთ ვის მისწერა გოგოლმა „წერილები“.

ნიგნის „მადე, დამღუპელი“ თავები, ბელინსკის გამოთქმით, დაწერილია წერილების ფორმით, მიმართულია ყველაზე ახლო მეგობრების ა. ო. სმირნოვასადმი — სამი წერილი, ნ. მ. იაზიკოვისა და ვილეგორსკებისადმი სამ-სამი, ვ. ა. ყუკოვსკისა და ს. პ. შევიროვისადმი — ორ-ორი, რამდენიმე ადრესატი დაუდგენელი დარჩა. რაც შეეხება სტატიას „რუსი მეზამულე“, ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ ამის საფუძველი გახდა გოგოლის საუბარი ა. პ. ტოლსტოის დის-შვილთან ვ. ვ. აპარქინთან, დიდ მეზამულე-მინათმფლაველთან.

თვით ა. პ. ტოლსტოისადმი შეიდი წერილია მიწერილი.

ესაა „ავადმყოფობის მნიშვნელობა“ — ნაწყვეტი გოგოლის წერილიდან ა. პ. ტოლსტოისადმი, „რამდენიმე სიტყვა ჩვენს ეკლესიასა და სამღვდლოებაზე“ და „იმავე საკითხზე“, (ორივე ამ წერილს საფუძვლად უდევს გოგოლისა და ა. პ. ტოლსტოის საუბრები და მიწერ-მონერა აარწმუნობასა და რუსული ეკლესიის თაობაზე), „თეატრის შესახებ, თეატრისადმი ცალმხრივ შეხედულებასა და, საერთოდ, ცალმხრივობაზე“, „უნდა გიყვარდეს რუსეთი“, „საჭიროა რუსეთში მოგზაურობა“ და „საპატიო ადგილის მქონე“.

წერილში „უნდა გიყვარდეს რუსეთი“ — თავისი მორალური ტენდენციებით ეხმაურება გუბერნატორის სიტყვას „მკვდარი სულების“ მეორე ტომის დასკვნითი თავიდან, თავად გუბერნატორს ახასიათებს ზოგიერთი თვისებებით, რაიც გოგოლმა ტოლსტოის მიზნურა.

„რჩეულ მიწერ-მონერაში“ გოგოლი აკრო-

ტყემა ბიუროკრატიულ აპარატს, უმაღლეს თავადაზნაურულ საზოგადოებას და ადრესატებს უზიარებდა თავის მოსაზრებებს რუსეთის მდგომარეობის გამო.

აი რას წერს გოგოლი წერილში „უნდა გვეყარდეს რუსეთი“, რომელიც ა. პ. ტოლსტოისადმი მიწერილი:

„ყოველგვარი ქვემარდიტი რუსული გრძნობა ჩახშობილია და არავინაა მისი გამკითხავი“, „თელემს ჩვენი სიმაძევე და გაბედულება, სიმტკიცე და ძალა, თელემს ჩვენი ტყენი უსიცოცხლო და დაბერებულ ძალად საზოგადოებაში, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგინეს განწინათლებლის სახელით“. „უწესობა, სიცრუე, მექრთამეობა იწყებს უკვე არა უცინიდს, გულისწყრომას კეთილშობილთა უცინდისობის მიმართ, არამედ მთელი ჩვენი მინაწყლის ყვირელს“. ყოველივე ეს უბედებს მხოლოდ „უსულგულო წყენას და სასონარკვეთას“.

მაგრამ გოგოლს ამგვარი კონსტანტაციებისათვის კი არ აკრიტიკებდნენ, არამედ მორჩაობისა და თავმდაბლობის მოწოდებისათვის.

ტოლსტოის ირი წერილი მისწერა გოგოლმა კულსისის თაობაზე, რის გამოც ბელინსკი წერდა: „გულუბრყვილო სათნოების დრო დიდი ხანია წაივდა“.

საინტერესოა ტოლსტოისადმი მიწერილი მეორე წერილი თეატრის შესახებ: „თქვენს მიერ თეატრზე თავდასხმა ცალმხრივი და უსამართლოა. უმჯობესია გააჩიოთ: სწორია საერთოდ თეატრის წინააღმდეგ გამოსვლა თუ მხოლოდ იმ სახის თეატრის წინააღმდეგ, რომელსაც იგი ახლა წარმოადგენს. მოვლენებს უნდა შევებოთ სათავიდან და ისიც განვუჭვრიტოთ, თუ როგორი უნდა იყოს იგი, კი არ უნდა ვიხსჯელოთ მასზე კარიკატურის მიხედვით, თეატრი სრულგობიდაც არ არის უსაქმურობა და ცარიელი ადგილი, თუ მხედველობაში მივიღებთ, იმას, რომ თეატრში შეიძლება მოთავსდეს ხუთი, ექვსი ათასი სრულიად განსხვავებული ადამიანი. შესაძლოა ისინი შევძრათ ერთიანი შეძრუნებით, ავატიროთ ერთიანი ცრემლით და გვაკონით ერთიანი საერთო სიცილით. ეს ისეთი კათედრაა, საიდანაც შესაძლოა სამყაროს ბეჭიტი სიკეთე მიაწოდო.“

ჩემო მეგობარო — წერდა გოგოლი ამ წერილის დასასრულს — ღმერთმა დაგიფაროთ ცალმხრივობისაგან. ამით ადამიანი ყველგან ბოროტებას ჩადის: ლიტერატურაში, სამსახურში, ოჯახში, საზოგადოებაში — ერთი სიტყვით — ყველგან! ცალმხრივი ადამიანი თვითდაჯერებულია, უტიფარია, ყველას ამხედრებს თავის წინააღმდეგ ცალმხრე ადამიანს არაფერში არ შეუძლია გა-

მონახოს საშუალო. ცალმხრივი ადამიანი შეიძლება მხოლოდ ფანატისკის იყოს.

წიგნის წარუმატებლობამ გოგოლი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საჭირო იყო მისი რუსეთში დაბრუნება. მიხედა, რომ საზღვარგარეთ დიდხანს ცხოვრების დროს რუსულ სინამდვილეს „ჩამორჩა“. მისი კავშირი რუს საზოგადოებასთან, განსაკუთრებით მის მოაზროვნე ნაწილთან, შესუსტდა და შემდგომში მთლიანად განუწდა.

მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ გოგოლმა რამდენიმე ხანს იცხოვრა მ. პ. პოგოდინთან, შემდეგ ტოლსტოითან გადასახლდა.

სახლი ნიკიტსკი ბულვარზე, ჟურნალისტთა სახლის პირდაპირ, სადაც გოგოლმა გაატარა თავისი სიცოცხლის ბოლო ოთხი წელი, სადაც დანვა „მკვდარი სულების“ მეორე ტომის ხელნაწერი და სადაც გარდაიცვალა, ანა გიორგის ასულია და ალექსანდრე პეტრეს ძე ტოლსტოების სახლი იყო.

ეს სახლი არ არის გადაკეთებული, როგორც მაშინ, ახლაც აქვს ეზოს მხარეს თექვსმეტი, ქუჩისა კი—ხუთი ფანჯარა, ორსართულიანია, სვეტებზე შემდგარი ქვის აივანით. ეზოში, იმ ადგილას, სადაც ახლა გოგოლის ძეგლი დგას, იყო ჭა ონიწარი.

პოეტი და მთარგმნელი ნ. ვ. ბერგი იტყობს: „გოგოლი იმ დროს ცხოვრობდა გრაფ ტოლსტოისთან ნიკიტსკი ბულვარზე, წყნარად და განმარტოებით, ეკავა ქვემოთა სართლის წინა ნაწილი, ქუჩაში გამავალი ფანჯრებით, თავად ტოლსტოი ზემოთა ნაწილში ცხოვრობდა. გოგოლს, როგორც ბავშვს, ისე უვლიდნენ, მას სრული თავიუფლება ჰქონდა მინიჭებული ყველაფერში. არაფერზე არ ზრუნავდა. სადილს, საუზმეს, ვახშამს, ჩაის მიართმევდნენ იქ, სადაც იგი მოსურვედა, მისი თვითრეული ირცეებოდა და იწყობოდა კამოდში უჩინარნი არსებების მიერ. სახლის მრავალრიცხოვანი მოსამსახურის გარდა, მას და მის ოთახებს ემსახურებოდა საკუთარი მსახური, სახელად სიმონი. არაჩვეულებრივი სიჩუმე სუფევდა ფლიველში. გოგოლი ან დადიოდა ოთახებში კუთხიდან კუთხეში, ან იჯდა და წერდა, თან თორმე პურის გულს ატუნდავებდა, რის გამო მეგობრებს უყვებოდა, რომ ეს ყველაზე რთულ და მძიმე ამოცანის გადაწყვეტაში მშველსო... როდესაც წერით იღვებოდა ან ბეზრდებოდა, გოგოლი ადიოდა ზემოთ, სახლის პატრონთან, ანდა მოიხურავდა ქურქს, ზაფხულობით კი უსახელო ესპანურ ლამადას და გაემართებოდა სასეირნოდ ნიკიტსკი ბულვარზე“. ნ. ვ. ბერგი წერს, რომ გოგოლი „მოსკოვში ყოველი ჩამოსვლისას პოულობდა ყველაფერს იმას, რაც სჭირდება ყველაზე მშვიდ და კომფორტულ ცხოვრებას...“

წყნარი, განმარტოებული შენობა და მოსამსახურეები, რომლებიც შზად იყვნენ შეესრულებინათ ყველა მისი უმნიშვნელო ახირებაც კი”.

დ. ა. ობოლენსკი, სახლის პატრონის ნათესაეი, აგვიჩნავს, თუ როგორ მუშაობდა გოგოლი:

„გრაფმა ა. პ. ტოლსტოიმ მითხრა თუ როგორ მუშაობდა გოგოლი „მკვდარ სულეზე“. მისი ჩაკეტილი ოთახის კარებთან გაღვანას ხშირად შემომქმნიდა, რომ საოცარი, არასუნებრივი ხმით თითქოს ვიღაცას ელაპარაკებოდაო“.

გოგოლს ორი ოთახი ეჭირა. „პირველი მწვანე ნოხით იყო მოფენილი, კედლებთან ორი ტახტი იდგა, შუა ოთახში ერთი მაგიდა, ტახტთან — მეორე. ორივე მაგიდაზე გროვად ეყარა ნიგნებები, მეორე ოთახი საძინებელი იყო.“

აქ, ამ სახლში გაიცნო გოგოლმა ი. ს. ტურგენევი, რომელიც სახელოვანმა მსახიობმა მ. ს. შჩეპკინმა მოუყვანა.

ი. ს. ტურგენევი: „მასხრეს ჩვენი შეხვედრა: 1851 წლის 20 ოქტომბერი იდგა... მისი ოთახი წინაქარის მარჯვენა გვერდით იყო, შევედი ოთახში. დავინახე გოგოლი, რომელიც იდგა მაგიდის წინ, ხელში კალამი ეჭირა. მუქი პალტო, მწვანე ხავერდის ფილტვი და ყაიისფერი შარვალი ეცვა.“

როგორც კი დაგვინახა, მხიარული სახით წამოვიდა ჩვენს შესახვედრად და ხელის ჩამორთმევისას მითხრა: „ჩვენ დიდი ხნის ნაცნობები უნდა ვყოფილიყავითო“. დაესხედით: მე მის გვერდით, ფართო სავარძელზე... „მის ქერა თმებს, რომელიც საფეთქლებიდან სწორად ჩამოშლიდა, როგორც ჩვეულებრივ კაზაკები ატარებდნენ, ჯერ კიდევ ახალგაზრდობის ფერი შეენარჩუნებინა, მაგრამ შესამჩნევად შეთხელებოდა; მის სწორ, თეთრ მუხლს კვლავინდებური ნიჭიერება ემჩნეოდა. მომცრო თაფლისფერ თვალებში დრო და დრო მხიარულების ნაპერწყალი გამოკრთოდა — სწორედ მხიარულებისა და არა დაცინვის, საერთოდ კი, შესახებაობა მანაც დადლილი აქონდა...“

1851 წლის 5 ნოემბერს აქ, ა. პ. ტოლსტოის სახლში, შედგა „რევიზორის“ კითხვა მსახიობებისა და ლიტერატორებისათვის. კითხვას ესწრებოდნენ: ს. ტ. და ი. ს. აქსაკოვენი, ს. პ. შვირევი, ი. ს. ტურგენევი, ნ. ვ. ბერტი და სხვა მწერლები, ავრთვეთ, მსახიობები მ. ს. შჩეპკინი, პ. მ. სადოესკი და შუშკი.

ი. ს. ტურგენევი აღნიშნავს, რომ გოგოლმა გააოცა „განსაკუთრებით უბრალოებით და თავუყავებელი მწერრით, რადგან მნიშვნელოვანი და ამავე დროს გულუბრყვილო გულწრფელობით, თითქოს არც ამჩნე-

ვდა იყო თუ არა იქ მსმენელები და რას ფიქრობდნენ ისინი. გუჩვენებოდათ, რომ გოგოლი მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ მისი ჩასწვდომოდა საგანს, მისთვის ახალს და როგორმე სწორად გადმოეცა საკუთარი შთაბეჭდილება. არაჩვეულებრივ ეფექტს ახდენდა... როგორი გოგოლებით, როგორი განცდიფერებით წარმოთქვა გოგოლმა გოგოდნიჩის ცნობილი ფრაზა ორი ვირთაგვის შესახებ... „მოიედნენ, დაყნოსეს და წაიედნენ“ მან წყნარად გადმოგვცა, თითქოს ახსნას გვეკითხებოდა ასეთი გასაოცარი შემთხვევის გამო. მე მხოლოდ მაშინ მიეხვდი რა ყალბად, რა ზურვლად, ოღონდ მალე და სწრაფად გააცინონ მასურებელი, თამაშობენ ხოლმე ჩვეულებრივ სცენაზე „რევიზორს“.

ტოლსტოებთან ცხოვრების დროს, გოგოლი რამდენიმეჯერს განმეზავრა თავის ნამულ ვასილევკაში, ოდესაში, კალუგაში, სადაც ა. ო. სმირნოვას მუშლდე იყო გუმბერნატორად. იგი გულდასმით მუშაობდა „მკვდარი სულების“. მეორე ტომზე, რომელსაც დასახებდად ამზადებდა. ამრამცევოსი უკითხავდა რომანის თავებს. აქსაკოვესს, ა. ო. სმირნოვას — კალუგაში, ი. ვ. კანისტს, ს. პ. შვირევის და, რასაკვირველია, ანა გიორგის ასულსა და ალექსანდრე პეტრეს ძეს. მაგრამ სამუშაო ნელა მიდიოდა.

აი რას წერს იგი ფუკოსკის: „ჩემი შემოქმედება მიზოზინობს. ვცდილობ არც ერთი ნუთი არ დაეკარგო, მაგიდას არ ეცილდები, ქაღალდს არ ვიშორებ, კალამს ხელიდან არ ვუშვებ, მაგრამ სტრიქონები ბუნდვდ იძერწება, დრო შეუჩერებლად მიჰქრის“.

მისი რელიგიურ-მისტიკური განწყობილება ძლიერდება. იმდროინდელმა ცნობილმა ექიმმა ოეირმა, რომელიც აქსაკოვესს მკურნალობდა და შემთხვევით შეხვდა მათთან გოგოლს, გამოსვლისას ე. ს. აქსაკოვას უთხრა: „რა უბედურიაო!“ „რატომაა უბედური?“ „იპოქნდრიკია, ღმერთმა ნუ ქნას, სამკურნალო დარჩეს. ეს საშინელება!“

გოგოლმა მიატოვა ლიტერატურული საქმიანობა. დაეწყო სულიერი აგონია. არც ჭამდა და აღარც ნამლებს ღლებდა. ახლობლები მისთვის სიცოცხლის შენარჩუნებას ცდილობდნენ. ანა გიორგის ასული და ალექსანდრე პეტრეს ძე ყველაფერს აკეთებდნენ მის გადასარჩენად.

მოსკოვის საუკეთესო ექიმები ყოველდღე ნახულობდნენ, მაგრამ გოგოლმა უარყო მათი დახმარება. „ვაძხვადებ, — თქვა მან, — რომ ჩემი განამების ნებას, რაც უნდა მოხდეს არაჩემ მივეცმ“, „მომხდება ის, რომ თქვენ მოკვდებით!“ — უთხრა ოეირმა. „მერე რა მოხდა — უპასუხა გოგოლმა. — მე



შხადა ვარ... უკვე შესმა ხმა..." (ე. ვ. ბერგი).

გოგოლმა, როგორც კი იგრძნო სიკვდილის მოახლოება, გრაფი ტოლსტოი შიშხში და სთხოვა „მკედარი სულების“ მეორე ტომის ხელნაწერის შენახვა და დაუბარა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ იგი მოსკოვის მიტროპოლიტ ფილარეთთან წავლ და ეკითხა რჩევა, თუ რა დაეხედათ და რა არა. „მან დადოს თავისი ხელი, და რასაც ზედმეტად ჩათვლის, შეუბრალებლად გადაშალოს“. გრაფმა უარი უთხრა ხელნაწერის მიღებაზე, რათა ავადმყოფს არ მოსწევენებოდა, თითქოს მის მდგომარეობას უნუგუშოდ თვლიდა, გრაფის ამ მგებობრულ თავაზიანობას კი ყოველად გაუთვალისწინებელი შედეგი მოჰყვა.

აი რას მოგვითხრობს გოგოლის მოსამსახურე ლამის სამ საათზე გოგოლმა გააღვიძა თავისი მსახური სიმონი, ჩაიცვა თბილი ლაბადა, აიღო სანთელი და უბრძანა სიმონს — კაბინეტში გააკოლოდა. იქ, პორთფელიდან ამოიღოა ქაღალდები, უბრძანა, თასმით გარგალივით შეეკრა და ბუხარში შეეგლო. სიმონი მუხლზე დაეკმულა ევედრებოდა — არ დაუნვა ხელნაწერი, რათა გამოჯანმრთელებულს სანანებლად არ გაგიდესო.

— შენი საქმე არაა, — უპასუხა გოგოლმა და ხელნაწერს თავად მოუკიდა ცეცხლი. გოგოლი ატრიალებდა ფურცლებს, პირჯვარს იწერდა და წყნარად ლოცულობდა მანამდე, სანამ ფურცლები ფერფლად არ იქცა. სიმონი ტიროდა და ამბობდა:

— ეს რა ჩაიფინეთ!

— გეპრალები? — უთხრა გოგოლმა, მოეხვია, აკოცა და თავდაც ატრიადა. შემდეგ სანთელ ოთახში ტრიალებდა, პირჯვარის წერით შემოიარა ყველა ოთახი, ჩაწვა ლოგინში და კიდევ უფრო ძლიერ ატრიადა.

მეორე დღეს გრაფ ტოლსტოის სინანულით გაუცხადა რაც ჩაიფინა, ნანობდა თავის საქციელს და ხელნაწერის დანვას უწმინდური სულების გაგლენას მიანერდა.

ალექსანდრე პეტრეს ძემ უპასუხა, ეს სინანული კარგი ნიშანიაო. თან შეახსენა: „ადრე წვადიეთ თქვენ ყველაფერს, მაგრამ შემდეგ კიდევ უფრო კარგად წერდით“. ამ სიტყვებში თითქოს გამოაცოცხლეს გოგოლი. გრაფი განაგრძობდა: „თქვენ ხომ შეგიძლიათ ყველაფერს გახსენება?“.

„დიახ, — უპასუხა გოგოლმა და ხელი შეუხლე მთელი, — შემძლია, შემძლია: ყოველივე ეს მე თავში მიდევს“.

მაგრამ, ეს იყო ნუთიერი აღტაცება. იმ დამიდან იგი უფრო და უფრო დასუსტდა. გრაფი ამოად ცდილობდა მის გართობას სასალონო ამბების მოყვლით. გოგოლი გაოცებული უპასუხობდა: „ახა რას ბრძანებთ, შეიძლება კი ასეთ ამბებზე, ლაპარაკი მაშინ,

როცა მე იმ საშინელი ნუთისთვის ვემზადები“.

იგი 21 თებერვალს დიღამს მსახურეებთან დაიცვალა.

მეორე დღეს ტოლსტოების ნათესავი დ. ა. ოზოლენსკი მოვიდა, რომელსაც ის-ის იყო შეეტყო გოგოლის გარდაცვალება, იგი მის ოთახში შევიდა, ბუხარი საეხე იყო ხელნაწერის ფერფლით: დიკავანი ფსალმუნს კითხულობდა. გოგოლი უნივერსიტეტის საყდარში გადაასვენეს. მათ შორის, ვინაც გოგოლის კუბო მიჰქონდა იყო დიდი რუსი დრამატურგი ა. ნ. ოსტროვსკი.

„უნივერსიტეტის უზარმაზარი საყდარი ვერ იტეფდა ხალხს... ღამეც არ წყდებოდა გამოსათხოვრად მოსულთა მსვლელობა. შეიძლება ითქვას, რომ მის კუბოსთან მთელმა მოსკოვმა ჩაიარა“.

გოგოლის დაკრძალვის შემდეგ ყველა მისი ხელნაწერი, მათ შორის „მკედარი სულების“ შავი ვარიანტი, გრაფმა ა. პ. ტოლსტოიმ გოგოლის ახლო მეგობარს ა. შ. შევიროვს გადასცა.

მაღვ მეორე უბედურება ენიათ. პეტერბურგში გარდაიცვალა ალექსანდრე პეტრეს ძის ძმა — ივანე, აგრეთვე, ვახტანგ VI-ის შთამომავალი. იგი დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში. 1852 წლის 15 მაისს კი, თავის მამულში — ლისკოვოში, ნიჟნი-ნოვგოროდის ახლოს — 90 წლის ასაკში გარდაიცვალა ანას მამა გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკი, უკანასკნელი პირდაპირი მემკვიდრე ვახტანგ VI-ისა, ადამიანი, რომელთანაცა დაკავშირებული ნიჟნი-ნოვგოროდის ცხოვრების მთელი ეპოქა.

მის დაკრძალვაზე, ტრუბეცკების, გოლიცინების, ბახმეტეცების, მენშიკოვების, ბაგრატიონების, ციციანოვების და სხვა ნათესავების გარდა, ჩამოვიდა აგრეთვე, მრავალი ნიგელოზოფი თვადი და აზნაური, რომელთა წინამძღოლი იგი საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული მთელი 29 წელი იყო.

ამქვეყნიდან წავიდა ადამიანი, რომელიც, იცნობდა ეკატერინეს, პავლეს, ალექსანდრე I-ს და ნიკოლაოზ I-ს, პუშკინს, კარამზინს, გოგოლსა და მე-18-19 საუკუნეთა მრავალ სხვა მოღვაწეს.

იგი დაკრძალეს ლისკოვოში მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარში — დედის, მუხლის, ვაჟისა და ასის გვერდით.

ანა გიორგის ასულისათვის მძიმე იყო ეს დღეები. მამასთან დაკავშირებული გახლდათ მისი ბავშვობა, ახალგაზრდობა და მრავალი განცდა. რასტრელიის აგებული უზარმაზარი სასახლე და პარკი ერთობ ბევრ მოგონებას უღვივებდა მას. ნაშთსელისას მან უკანასკნელად გადააღწია თვადი კოლეჯის ვრცელ ნაპირებს, ნიჟნი-ნოვგოროდის საუცხოო ეკლ-

სიებს. მოეჩვენა, რომ მისი სიცოცხლე მთავრდებოდა.

1856-1862 წლები ტოლსტოებმა პეტერბურგში გაატარეს, სადაც გრაფი სინოლის ობერ-პროკურორი ე. ი. საკელსიო საქმეთა მინისტრი იყო.

აღრე, მიუხედავად გოგოლის რჩევისა, ა. პ. ტოლსტოის არ სურდა პქონოდა ადმინისტრატორული თანამდებობა. კერძოდ „შერჩეული ადგილებიდან“ ჩანს, რომ მას სთავაზობდნენ გუბერნატორის ადგილს კავკასიაში, მაგრამ უარი თქვა, რადგან ესმოდა, თუ რა პოლიტიკა უნდა გაუტარებინა იქ. ახლა ამ თანამდებობას დათანხმდა ნიკოლოზ I-ის სიკვდილის გამო და მისი შთამომავლების მიერ სამინიო პოლიტიკის შეცვლის იმედით. მაგრამ ამ მხრივაც იმედგაცრუებულმა გრაფმა საბოლოოდ მიატოვა სახელმწიფო სამსახური.

ალექსანდრე პეტრეს ძე გარდაიცვალა 1873 წელს ჯენევაში.

ჯენევიდან ჩამოსვენებული მიცვალებული დაასვენეს ლეთისშობილი მარიამის ეკლესიაში. ანა გიორგის ასულმა იგი დაკრძალა დონის მონასტერში მისი მშობლების სახელგანთქმული რუსი გენერლის, ბატონიშვილ გიორგის შვილიშვილის გვერდით.

ანა გიორგის ასულმა გაყიდა ნიკიტსკიზე მდებარე სახლი და თავის ძველ სახლში სადოგო-კუდრინსკის ქუჩაზე გადასახლდა. იგი სულ მარტო დარჩა. მართალია, ჰყავდა მრავალრიცხოვანი ნათესაობა, მაგრამ ახლობელთაგან არავინ აღარ შერჩა.

მემუარულ ლიტერატურაში ანა გიორგის ასული ცნობილია „თავის კეთილმოწყალებით“. ახლა კი მზრუნველობა-დახმარება მის მთავარ საქმედ იქცა. ანამ დიდი თანხა შეინრა დონის მონასტერს (2000 მ.), ზოსიმეს უდაბნოს (6000 მ.) და სხვა მონასტრებსა და საფარებს, დახმარებას უწევდა სხვადასხვა საზოგადოებას, მონაწილეობას იღებდა საქველმოქმედო საქმეებში.

ანა გიორგის ასულმა მუდღის სიკვდილის შემდეგ 15 წელი იცოცხლა. გარდაიცვალა 1889 წელს — 92 წლისა. დაკრძალულია დონის მონასტერში, მუდღლის გვერდით. მათი საფლავები არ შემონახულა.

მთელი მისი ქონება, მათ შორის ლისკოვოს მამული და თავად ლისკოვო, მან დაუ-

ტოვა ვინმე სტროგოვს, მოხუცი თავადის უკანონო შვილს. ყოველივე ის, რაც აკავშირებდა ალექსანდრე პეტრეს ძესთან, რაც ნ. ვ. გოგოლს ეკუთვნოდა, გადასცა კალუგის გუბერნიაში მცხოვრებ ა. ი. ტოლსტოის ძმის ოჯახს. ნაწილი ნიეთებისა, მათ შორის გოგოლის კალამი, გადაეცა კალუგის ისტორიულ-მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

თავისი 100.000 მანეთად ღირებული უზარმაზარი სახლი, ეკლესიით, ფლიგელითა და ბაღით სადოგო-კუდრინსკიზე, ანა გიორგის ასულმა მოსკოვის სამღვდელობას უანდერძა. ამ სახლში, მისი სურვილის თანახმად, მოეწყო ორმოცი მოხუცი სასულიერო მსახურისათვის თავშესაფარი, რომელსაც ალექსანდრე პეტრეს ძის პატივსაცემად „ალექსანდროვსკი“ ეწოდა. დიდი თანხა გაიღო აგრეთვე ამ სახლის შენახვისა, გათბობისა და პირველი საჭიროებისათვის. თავშესაფრის ეკლესიას შესწირა თავისი ყველა ძვირფასი ხატო, სამკაული და შესამოსელი, გარდა კუდობისა, რომელშიც ქართველ წმინდანთა ნაწილები ინახებოდა. იგი ანდერძის მიხედვით, უნდა გადაეცათ ერთ-ერთი ქართული დედათა მონასტრისათვის.

ანას სიკვდილამდე ცლტახნით ადრე, 1887 წელს, „რუსსკი არხივიში“ დაიბეჭდა სია ჯერ კიდევ ცოცხალ პირთა, რომლებიც პირადად იცნობდნენ პუშკინს. ესენი იყვნენ: ბარონი ა. ი. დელვიგი, ა. ა. კრასოვსკი, პუშკინის ნეკროლოგის ავტორი, გრაფის მუდღლე ა. გ. ტოლსტოი და დეკაბრისტი ა. ს. განგებლოვი, რუსი გენერალის სიმონ განგებლიძის ვაჟი. იმ დროს კიდევ არ იცოდნენ, რომ ცოცხალი იყო ვერა ალექსანდრეს ასული ნაშროკინა, პუშკინის უახლოესი მეგობრის მუდღლე.

„ნ. ვ. გოგოლის მემორიალურ სახლში“, სუვიროვის ბულვარზე, შუშის ქვეშ დევს მენდელსონის პიესების ალბომი, რომელიც ანა გიორგის ასულს ეკუთვნოდა. შესასვლელში, სტენდზე შეიძლება გაცნოთ სახლის მოკლე ისტორიას, ალექსანდრე პეტრეს ძისა და ანა გიორგის ასულის მოხსენიებით. მათ შესახებ ლიტერატურულ წყაროებში ცლტა რამ მოიძებნება, მაგრამ მათი ცხოვრების ისტორია მთლიანად თითქმის უცნობია.

მე შევეცადე ეს ხარვეზი შეძლებისდაგვარად შემეფასო.

## კონსტანტინე გამსახურდიას ზოგიერთი გამოსვლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად 1944 წელს იბრჩიეს კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე. შემდგომ წლებში საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები გახდნენ იოსებ გრიშაშვილი, ირაკლი აბაშიძე, დემნა შენგელაია და გრიგოლ აბაშიძე.

ჩვენი ქვეყნის საბელოვანი მწერლები და პოეტები ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცხოვრებაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მათი მონაწილეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებების მუშაობაში.

მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება იხილავს საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების საკითხებს; განსაზღვრავს აკადემიის სამეცნიერო კვლევადიების მიმართულებებს; წყვეტს მთავარ საორგანიზაციო საკითხებს; ამტკიცებს აკადემიის წლიურ ანგარიშებს; განიხილავს სამეცნიერო-ორგანიზაციულ საკითხებს; ირჩევს საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებს, წევრ-კორესპონდენტებს, საპატიო და უცხოელ წევრებს. აკადემიის საერთო კრებებზე გადაწყვეტი იხილავს უფლებით სარგებლობენ მხოლოდ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები.

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ორგანო მისი საერთო კრებაა და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა შეტად მნიშვნელოვანია აკადემიისათვის.

აკადემიის წევრთა შორის მწერალი-აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია ერთი მათგანია, ვინც ყოველთვის ეხმარებოდა უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტას. მისი ყოველი გამოსვლა აკადემიის საერთო კრებებზე იყო პრინციპული, საჭირო და საინტერესო.

აკადემიის საერთო კრებაზე წარმოთქმული ყველა მისი სიტყვა მის მიერვეა რედაქტირებული. აკადემიაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, საერთო კრებაზე გამოსული მოკამათე თავისი სიტყვის სტენოგრაფიულ ჩანაწერს თვითონვე ასწორებს.

კონსტანტინე გამსახურდიას ზოგიერთი გამოსვლა, რომელიც აქ არის მოტანილი, იბეჭდება მცირე კუბიურებით. სიტყვების არჩევასა და კუბიურებაში დამეხმარა ის გარემოება, რომ ბატონი კონსტანტინე აკადემიის იმ წლიურ ანგარიშების განხილვაში მონაწილეობდა, რომელსაც შე მოვახსენებელი ხოლმე აკადემიის საერთო კრებას და ზოგიერი სხდომის შემდეგ მიხდებოდა მასთან საუბარი იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაში ის ღებულობდა მონაწილეობას.

აკადემიის საერთო კრების ყველა სხდომის თავმჯდომარეობდა აკად. ნ. მუსხელიშვილი.

სირბი დურამიძე

1.

„აქ რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი კანდიდატურაა; მე პირადად, იმ ხმას, რომელსაც მამლევს ჩვენი ხელისუფლება, ძალიან ვუფრთხილდებით. ამ არჩევნების დროს ჩემთვის გამოსავალი ნურტლი უნდა იყოს ის, რომ რჩეულთა შორის შევარჩიოთ ის, ვინც საინჟინერო, ვინც უფრო სასარგებლოა საზოგადოებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სხვა კანდიდატურები ჩემთვის მისაღებია, ჩემ ხმას მივცემ პროფესორებს ალადაშვილს, ნინამძღვრიშვილს და ვიფშიძეს, როგორც შესანიშნავ პატრიოტებს, კარგ ექიმებს, გამოჩენილ მეცნიერებს“.

1944 წ. 23 დეკემბერი

2.

„ამხანაგი სიმონ ჯანაშია, ჩვენ პრეზიდენტთან ერთად, უნევედა ხელმძღვანელობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, ამ უპრინციპალეს დანუსებულებას ქართული კულტურისა, რომელიც მოგვცა ლენინის და სტალინის პოლიტიკამ... ს. ჯანაშია არის ერთ-ერთი უპრინციპალესი წარმომადგენელი ქართული ისტორიული ფრონტისა, ქართული ისტორიული მეცნიერებისა, ამავე დროს, გულისხმიერი, დარბაისელი, სასიქაფულო, შესანიშნავი პატრიოტი და დიდად განსწავლული ადამიანი. მე პირადად ვფიქრობ: სიმონ ჯანაშია, როგორც აქამდე, მომავალშიც შესანიშნავად შეასრულებს ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას და იმ დავალებას, რომელსაც მას ხელმძღვანელი ორგანოები დააყენებენ“.

1947 წ. 11 თებერვალი

3.

„ამხანაგებო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ისე როგორც ჩვენი სახელობანი პრეზიდენტი, არის ძალიან დიდი თანამდებობა. ჩვენმა პრეზიდენტმა კარგად ბრძანა: მას უნდა პქონდესო დიდი დარბაისლობა. მე დავუმატივდი, დარბაისლობის გარეშე, დიდი პატრიოტიზმი. ამხ. ანტია ბოჭორიშვილი მე ვნახე ქუთაისში რამდენიმე წლის წინათ. როდესაც მისი კანდიდატურა დადგა აკადემიკოსად ასპრეზიდენტად, შვეისნავლე მისი ნაშრომები და სრულიად შეგნებულად მივეცი ხმა. დიდი პატივისცემით ვეპყრობი მას და ვფიქრობ, ამხ. ანტია შესარულებს ღირსეულად იმ დავალებას, რომელსაც მისცემს ჩვენი პარტია და ხელისუფლება და ჩვენი პრეზიდენტი“.

აქ უნდა დავუმატო: ზოგიერთებს ეგონათ, რომ ვიცე-პრეზიდენტობა აძლევს უფლებას ისეთი წერილები დაბეჭდონ, რამდენიც უნდა და არამც არ შეეფერება არც ერთ მეცნიერს, ის პრივილეგიები, რომელსაც გვაძლევს საბჭოთა მთავრობა და ქართველი ხალხი. არის მოპოვებული ქართველი ხალხის მიერ დანის კაცო, რომელიც მოვა ამ პოსტზე, არ უნდა იფრთხილებს, რომ უნდა იყოს ქართული კულტურის და ხალხის სადარჯოზე. ამპოზენ, სიცოცხლის დროს არ უნდა აქო, მაგრამ ჩვენ ვიცით, ამხანაგი ანტია, როგორც პრეზიდენტი ბრძანა, ძალიან დარბაისელი და კარგი ადამიანი. მე დიდი კმაყოფილებით მივცემ ხმას და მხარს დავუჭერ მის არჩევას იმ იმედით, რომ ის გაითვალისწინებს იმ შეცდომებს, რომელიც დაშვებული იყო წინამორბედ ვიცე-პრეზიდენტის მიერ“.

1957 წ. 14 ივნისი

4.

„პატივცემულო ამხანაგებო! პროფესორ ილია აბულაძეა და მე დავალებული ვექონდა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის მუშაობის შესწავლა. ამის შესახებ სათანადო მოხსენება წარუადგინეთ კოდეცა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამგესთან. ამ მოხსენებაში ნამოყენებულ მოსახრებათა შესახებ საჭიროდ მიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ნამდვილ ნევრთა და ნევრ-კორესპონდენტთა ყურადღებას გავეამხილო ზოგიერთი მომენტის მიმართ. საქართველოს მუზეუმის მთავარი სიმდიდრე, როგორც მოგვხსენებთ, ვახლავთ ქართული ხელნაწერები. ეს ფონდი მხოლოდ ნაშუსრვეის ნაშუსრეია ალაბედზე მრავალ კატალიზმებს გადაჩენილი. ეგზომ განსწავლული ადამიანებისაგან შემდგარ აუდიტორიის წინაშე საჭირო არაა დეტალურად აღნუსხვა იმისა, თუ რა დიდ განმს შეიცავს მრავალსაუკუნოანი ხელნაწერების ეს მარაგი. ცხადია, არა ერთი კულტურისანი ერი ინატრებდა ასეთ სიმდიდრეს, კომისიას საჭიროდ მიართა აღნიშნოს, რომ ქართული ხელნაწერების მოვლისა და დაცვის ამჟამინდელი მდგომარეობა ფრიად და ფრიად საეალალოა და იგი არ შეეფერება თანამედროვე მუზეუმთმომცემობის მიერ გამომუშავებულ ტექნიკას. მრავალსაუკუნოვან ხელნაწერებს, როგორც მოგვხსენებთ, საგანგებო მოვლა ესაჭიროება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სათანადო სათავსოები, ხელნაწერები ხომ თანამედროვე სტამბური ნუსით დაბეჭდილი ნივნები არაა, რომელთაც შესაძლებად თაროები და უჯრები



ეყოფათ. ხანდახან მტერის გადაცლა და ნე-  
მის არიდება. ხელნაწერების სეოფები უნდა  
ინახებოდნენ ისეთ სათავსოებში, სადაც ზა-  
მთარ-ზაფხულ და ცული იქნება შესაფერ-  
ისი ატმოსფერული რეჟიმი. ცნობილია, ქა-  
ლადი განსაკუთრებული სისწრაფით განიც-  
დის დეფორმაციას სამხრეთის კლიმატურ  
პირობებში. ვგონებ, ზედმეტია იმის შეხვე-  
ნებაც, თუ როგორ უვლიან ხელნაწერებს  
ლენინგრადის ბიბლიოთეკაში, პარიზულ ნა-  
ციონალური ბიბლიოთეკის, „ბრიტიშ მუზე-  
უმისა“ და ვატიკანის ხელნაწერების საცა-  
ვებში. თანამედროვე ქიმიის მიერ მოპოვებუ-  
ლი საშუალებანი რომ არ მოუშველდნიათ,  
უფოლად დაიდუღებოდნენ როგორც ზემოთ  
ხსენებული ბიბლიოთეკების საგანძურები, ისე  
რაფაელის სტანკები და უფფიცებში დაცუ-  
ლი ძველთაძველი ხელნაწერები.

ანალოგიებისათვის რაღა შორს ნავიფთ. მე  
შემთხვევა მქონდა ამ უკანასკნელ წლებ-  
ში არაერთხელ დაამთავრებინა ვრეცნის  
„მატენა დარან“, სადაც სომხურ ხელნაწე-  
რებს ისე უვლიან, როგორც თვალის ჩინს,  
ე. ი. როგორც ეს ვაადრება კულტუროსანი  
ერის სულიერი მემკვიდრეობის შენახვის  
ტრადიციის. ხელნაწერების შენახვის საქმეში  
კიდევ ერთი მომენტია საგულისხმო. გან-  
საკუთრებით ქაღალდზე დანერგილ ხელნაწე-  
რებს სისტემატური რესტავირება ესაჭირო-  
ება. ჩვენ ვნახეთ სანყალობელი სურათი კიე-  
ვა, თუ როგორ ჩაუყრიათ ქაღალდის კონვე-  
რტებში დანერგილი, დაჩითული ხელნაწერე-  
ბის ნაშუსრევეჭა. საქართველოს მუზეუმის  
დირექციამ შემოგვჩივლა, რომ მას არ გააჩ-  
ნია სათანადო საშუალებანი ხელნაწერების  
რესტავირებისათვის, არც სათანადო შტატი  
უკვე დაღუპვის კიდემდის მისული ზოგიერ-  
თი ხელნაწერის აღსადგენად და არც ატმო-  
სფერული რეჟიმის დასამყარებლად. გარდა  
ზემოთ მოხსენებულისა, კომისიას მოუცი-  
ლებლად მიაჩნია გაეკამათებინათ თქვენი გუ-  
რადლება ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარე-  
მოების მიმართ. ჩვენის აზრით, საქმროვა ეთ-  
ხოვოს საქართველოს მეცნიერებათა აკადე-  
მიის პრეზიდიუმს, რომ აღძრას მუამდგო-  
მლობა ზემდგომი ორგანოების წინაშე, რათა  
დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები ხე-  
ლნაწერების დასაცავად რკინაბეტონის სახ-  
ლის ასაგებად სხვადასხვა მოულოდნელი და  
უსიამო შემთხვევებისათვის. ჩვენი დედაქა-  
ლაქის პირობებში არც ისე ძნელი იქნება  
მთანმიწნის ან სეთობადის ქარაფებში ამენ-  
დეს ასეთი საფარი, მითუმეტეს, რომ ჩვენ  
ვგახსოვს, თუ როგორ საფრთხეში ჩავარდა  
ქართული ხელნაწერების ფონდი უკანასკნე-  
ლი სამაშელო ომის დროს“.

5.

„...საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
გასული წლის მუშაობის ანგარიშში, ჩვენდა  
სასიხარულოდ, მართებულადაა აღნუსხული  
მრავალი მიღწევა ჩვენი მრავალრიცხოვანი  
ინსტიტუტებისა, ...ინც ამ ანგარიშს გულ-  
დასმით შეისწავლის, უფოლად დარწმუნდება,  
რომ იგი შედგენილია საქმის რიგანი ცო-  
დნითა და მიღწევათა ანალიზის თვალსაჩი-  
ნი უნარით. ის მიღწევათა ჩვენი მეცნიერუ-  
ლი დისციპლინებისა, რომელნიც მოპოვებუ-  
ლია საბჭოთა ხელისუფლების გულისხმი-  
ერი დახმარებითა და აკადემიის დიდი კო-  
ლექტივის გულმოდგინე შრომით, ვეროვნად  
შეფასებულია.

მიღწევათა ჩვენია და მათ ვერაგინ ნაგვა-  
რთმევს. ვგონებ, ურიგო არ იქნებოდა ჩვენი  
კოლექტივის ყურადღება გაავიზახვილებინა  
ზოგიერთი ინსტიტუტის მუშაობაში დაშვე-  
ბული ნებითი თუ უნებლიე შეცდომებისა,  
ხანაც სამწუხარო ხელის მოცარვისა, ზოგ-  
ჯერ სავეალალო მარცხის მიმართ, რომელთა  
ვამო ანგარიშში, სამწუხაროდ, სიტყვააც  
არაა დაძრული.

მე შეეხება ორიოდე ინსტიტუტის მუშა-  
ობაში დაშვებულ დეფექტებს, მხოლოდ იმ-  
ისთვის, რომ მათმა ხელმძღვანელობამ მხე-  
დელობაში მიიღოს ეს ყოველივე მომავ-  
ლი მუშაობის პროცესში.

ანგარიშიში მუტად სქემატურადაა მოხსე-  
ნებული რუსთაველის სახელობის ინსტი-  
ტუტის მუშაობა. მოგესხენებათ, ქართვე-  
ლი ხალხის ცნობიერების კეთილად წარსა-  
მართავად უმთავრესად იყო, არის და იქნება  
მისი მწერლობისა და მისივე გმირული წარ-  
სულის ისტორია.

როგორც ვვლა ჩვენი უმადლესი სასწავ-  
ლებლის, ისე ამ ინსტიტუტის მუშაობას ახ-  
ლო წარსულში ერთი საზიანო ტენდენცია  
ახლდა თან, სახელდობრ: გაიოლებული გა-  
ცემა ხარისხებისა. ჩვენ არაერთხელ საჯაროდ  
გვიჩვენია ინსტიტუტის ხელმძღვანელთა-  
ვის, რომ ეს ტენდენცია ცუდ სამსახურს უნ-  
ევს ჩვენს ახალგაზრდობას და ჩვენს ხალხს...

მეცნიერული ხარისხების მიღების მანია  
ისე შორს მიდოდა, რომ დისერტაციას სწე-  
რდნენ ისეთი, ვითომდაც „მწერლების“ გა-  
მო, რომელთაც ნამდვილ მწერლობისთან  
არაფერი აქვთ საერთო... თუ ჩვენმა ხელი-  
სუფლებამ ენერგიული ზომები არ მიიღო,  
გუთნები, დაზგები, სეკატორები, წერაქვები  
და ბარები მოხუცებას და ქალბუ შერჩებათ  
ხელში. დაიცილება სოფელი, ნამდვილი სა-  
ფუძველი ჩვენი რესპუბლიკისა, ახალგაზრ-  
დობა არ ინდომებს ქარხნებსა და სახე-  
ლოსნოებში მუშაობას. ყველა ფილოსო-  
ფოსობას, ლექტორობას და პოეტობას მო-



ვერდება. ეს ამბავი დიდ საფრთხეს უქადის ჩვენს ერს. წლების განმავლობაში ეამბოხი ტრიბუნებიდან: ჩვენ არ გვესპეცირება 10.000 მომღერალი და არტისტი, ამჟამად დოცენტი და მწერალი, ასპირანტი და დოქტორი. ეს პიპერტროფული პროდუქტობა ნახევრად განსწავლული „მეცნიერებისა“, სიკეთეს არ უქადის ჩვენს ქვეყანას...

უკვე ოცი წელია, რაც რუსთაველის მოედანზე ძვლებია აგებული. 40 წლის წინათ რომელიღაც გერმანელ ფარმაცევტს კერძო აფთიაქი უქონდა და რუსთაველის მოედნის მკვირვალ თითქმის მთელი ჩვენი ინტელიგენცია ასე ამბობს: „ზემელზე შეეხვედით ერთმანეთს“.

ქართული ციფრების ხსენებას ხომ სავესებით გადაეჩვია ინტელიგენცია. ეს შეტყველების კულტურის დემონიზაცია იმის მომხმანებელია, რომ, სამწუხაროდ, ჩვენმა უნივერსიტეტმა და მრავალრიცხოვანმა ინსტიტუტებმა ვერ გაზარდეს მთლად უზადო კადრები. წლების განმავლობაში ეღებულობ პირად ბარათებს ჩვენი დოცენტების, სტუდენტების, ინჟინრების მიერ დანერგულს, უნდა მოგახსენოთ გული შემღერვა, როცა გარგონულ ენაზე დანერგილი ამ კორესპონდენციებს თვალს გადაავლებ.

ეს ყოველივე შედეგია „შენი ჭირიმი, უშველს“, ნათესაური პროტექციებისა და ყოველივე გაიოლების ტენდენციებისა, რომელთაც ყველა ხედავს, მაგრამ ხმის ამოღებას არავინ აპირებს.

რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტს რომ მივუბრუნდეთ, მე თქვენს წინაშე დავაყენებდი ერთ საკითხს: ამის გამო განსვენებულ აკად. ს. ჯანაშიასთან ხშირად მქონდა საუბარი, მაგრამ ეს იყო ისეთ პერიოდში, როცა უცხო ენების ცოდნად სააუტო იყო.

დაწიქს, გოეტეს და შექსპირის სახელობის სამეცნიერო საზოგადოებანი და უწყებანი არახოდეს არ შემოიფარგლავენ ხოლმე თავის მუშაობას მარტოოდენ ნაციონალური ლიტერატურის კვლევით.

საბჭოთა რუსეთს მოეპოვება მთელი ინსტიტუტი — მსოფლიოს ლიტერატურათა შემსწავლელი. ჩვენ გვეგონია, არ იქნებოდა ურიგო, რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტს უცხო ლიტერატურათა მკვლევარ კადრებს შეემატებოდათ. რეგლამენტი ნებას არ მამძღვეს, თორემ ამ ინსტიტუტისათვის გუზის მისაცემად მრავალი რამა სათქმელი.

ანგარიშიში მართებულადაა შეფასებული ის დიდი მუშაობა, რომელსაც ეწევიან ჩვენი სახელოვანი ენათმეცნიერები აკად. ბ. ჩიჭობავას

მეთაურობით, განმარტებითი ლექსიკონის შედგენის დიდ საქმეში.

მე არ ვგუთვნი კატეგორიას იმ ადამიანებისას, რომელთაც შურისაგან თვალნათესაობაში სხვათა მიღწევების შემხედვარეთ და მუდამ სხვათა შეცდომების ჩხრეკით სჭამენ პურს.

პრესაშიაც ეს აზრი გამოითქვამს და ამ ტრიბუნებიდანაც ვიმეორებ: ამ ლექსიკონის გამოცემა არის ჩვენი ეპოქის დიდი საქმეთაგანი, საბჭოური ხელისუფლების დახმარებითა და ჩვენი ცნობილი მეცნიერების წვლილით შექმნილი. ამ ლექსიკონის გამოცემა ვერცხლი წერილი გამოვაქვეყნე პრესაში მარშალს.

ჩვენი აკადემიის მუშაობის ანგარიშიში მიჩნევათმებულია ის დისკუსია, რომელიც მოაწყო ისტორიის ინსტიტუტის დირექციამ, საქართველოს ისტორიის მკვლევის გამო...

ამხანაგებო, ყოველ მეცნიერს, ყოველ მწერალს, ყოველ პათოსან მოქალაქეს უნდა ახსოვდეს ერთი შეხვედით თითქოს ტრივიალური, მაგრამ მიუშვდარი ჭეშმარიტება: ვისაც პატრიოტიზმის მყარ ნიდაგზე არ დაუდგამს თავიხი სასახლის ან ქობის კედლები, მისი ნაღვანი ქვიშაზე აგებული ხუხულა აღმოჩნდება უთუოდ.

თუ შესაძლოა ფილოლოგი გენიოსად იქნეს შერაცხული. აკად. ნ. მარი აბსოლუტური გენიოსი იყო. მან სხვა დამსახურებათა შორის ისიც ქნა, რომ ქართული ენისა და კულტურის საკითხებს საერთაშორისო რეზონანსი მინიჭა. ამის პირველი მაგალითი მას მარი ფელისიტე ბროსსემ მისცა, მაგრამ ნ. მარის დამსახურება უფრო დიდია.

არა ერთგზის გადამიკითხავს მისი „ვიშაპს“, „ანისი“, „მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში“, „ქართული ენის კულტურული მუღლი“ და დღესაც ქაბუკურის ალტაცებით ვათვალთვრებთ მათ.

ამხანაგებო! არც ერთ მეცნიერს, არც ერთ მწერალს და სხვა რომელიმე კულტურულ მუშაკს არ უნდა დაავინყდეს, რომ ის პრივილეგიები, რომელთაც გვანიჭებს ჩვენ პარტია და ხელისუფლება, არსებითად ემყარება მშრომელ მარჯვენას ქართველი ხალხისას მათ შესაქმნელად მუშაობენ ჩვენი ქარხნების მუშები და კოლმეურნენი. ასეთი პირობები: სანატრელი უქონდათ ჩვენს დიდ ისტორიკოსებს: ვახუშტი ბატონიშვილს, თედო ჭორდანიას, განსახლებულ პერიოდში აკადემიკოსებს: ივანე ჯავახიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს და კორნელი კეკელიძეს და ისინი არ გააჩნია დღესაც ჩვენს თანამედროვე, ამჟამად რანგის ისტორიკოსს პავლე ინგოროყვას“...

1957. წ. 28 მარტი.

6.

„ამხანაგებო! უნდა მოგახსენოთ, მე განვიცადე დიდი სიამოვნება და სიხარული, როცა ამ ანგარიშს გავეცანი. ჩვენ რომ 40 წლის უკან გავიხედოთ და შემიძვე ნინ, დავინახავთ, რომ ეს არის დიდი პროგრესი ჩვენს მეცნიერებაში, ეს არის შედეგი ჩვენი პარტიის პრძნული პოლიტიკის. ამ 40 წლის წინათ შეუძლებელი იყო ამხუე ოცნება; ქართველი ხალხის ზოგიერთი მტრები ამბობდნენ, რომ ქართველი კაცს არ ეყოფა ქეკუა მათემატიკის გახედვს, ქართველი კაცს შეუძლია ლექსები წეროს, ან იმღეროს და იცუკოს.“

მე ამბოდა შემთხვევა. პრესაში აღმნიშნა ასეთი ამბო, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოხდა დიდი, ზომიხე მეტი ზრდა ჩვენი კულტურის და ეს აზრი ოდნე უნდა შევანეროთ სიმაღლესა და სიგანეზე და სიღრმისაკენ უნდა გავაფართოოთ. ეს ეხებ კულტურის ყველა დარგს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დიდი ინტერესია მეცნიერებისადმი, ხელოვნებისადმი. სად იყო ამდენი ინსტიტუტი, სად იყო აკადემია... ეს დიდი სახელის ამბავია, მაგრამ... ჩვენ უნდა ვუქონდეს მეცნიერებაში ერთი რამ, პასუხისმგებელი ამხანაგებისადგან გავიწილი მაქვს, რომ ეროვნულის ზრდა მარტო ინტელექტუალური ამბები ცხოვრებისა არ არის, ცოტა რამ ხდება ჩვენში ხალხის საზიანოდ? იმდენად, რამდენადაც ქართველი კაცი არ ამირებს სოფელად მუშაობას და ვეღვს უნდა, რომ დისერტაცია წეროს. მაგრამ მთავარი რა არის? ინსტიტუტების ზრდა უნდა მოხდეს ხარისხიანობის ნიადაგზე.

ძალიან საინტერესო საკითხი დააყენა აკად. კ. ერისთავმა და პრეზიდენტმა. როგორ შეიძლება ინსტიტუტს არ უქონდეს დაცვის უფლება? თუ ინსტიტუტს არა აქვს დაცვის უფლება, ამასი ნაწილობრივ ჩვენცა ვართ დამნაშავენი...

მე მინდა მოგახსენოთ უბრალო მასწავლებლის ნიკო ჯანაშიას ნაწერებზე. უნდა ნახოთ, ეს ნაწერები არაფრით არ ჩამოუვარდებია ზოგიერთ მეცნიერებათა კანდიდატების ნაწერებს. ამას წერდნენ მასწავლებლები... ყველა იდეოლოგიურად გამართული ფრწალისტური ხასიათის ვარჯიში კანდიდატის ხარისხით მტკიცდება. ეს არ არის სწორი.

ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი კულტურის დიდი კერა არავის არ დაუანებოთ. ყოინი ხარისხისათვის მეცნიერებაში, მწერლობაში ყველგან უნდა იყოს!...

1958 წ. 25 აპრილი.

7.

„ამხანაგებო! აქ ისეთი საყურადღებო გამოხატულება იყო, საფუძვლიანი და კარგი, რომ ჩემი გამოსვლა მართალი მოგერყევენათ.“

დიდი ყურადღებით მოვისმინე ჩვენი აკადემიის აკადემიკოს-მდივნის დურმიშიძის სიტყვა, გადავიკითხე, თუმცა ასეთი საანგარიშო მოხსენებები ერთი კვირით ადრე უნდა ურიგდებოდა მეცნიერებს. მე გუშინწინ მივიღე ეს დოკუმენტი. ასე არ შეიძლება. იგი დიდი ყურადღებით უნდა ნაკითხოს...

ყოველი პატრიოტი ჩვენი ქვეყნისა გაიხარებს, როცა ამ ანგარიშს გავეცნობა, რა თქმა უნდა, ეს დიდი პროგრესია ჩვენი ქვეყნისა. მე მახსოვს ძველი დროს, კომინტერნი იყო ერთადერთი მალაზია და ერთადერთი კაცი განაგებდა მას. ელტრინაში გამოყენილი იყო ილიასა და აკაკის ფერმკრთალი ბროშურები.

დღეს, კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკა დიდი ინტერესით უძღვება ჩვენს მეცნიერებას, მწერლობას, ლიტერატურას და საერთოდ კლასიკურ მემკვიდრეობას. ამის შედეგია, რომ ილია და აკაკი ხელახლად იბეჭდებოდა. ეს ნიღნები მასების საყურებდად გადაიქცა.

სიამოვნებით ნაკითხე აკადემიის ანგარიში. დიდი ყურადღებით ვისმინე დღეს აკად. დურმიშიძის მოხსენება. ამ მოხსენებით დიდად კმაყოფილი დავრჩი. მხოლოდ ერთის მუშინია ასეთი დიდი მომავლის მქონე ხალხს თავებზე არ დაახვიოს ამ ნარმატებამ და სადაც არ ნაიბორძიკოს. ეს რომ არ მოხდეს, თითოეულ ნაბიჯს კარგად უნდა დაუფიქრდეთ. ჩვენ ვამჩნევთ მუმანიტარულ მეცნიერებაში აუარებელ რიცხვს მეცნიერებათა კანდიდატებისა, დოქტორებისა. ყველა რომ მეცნიერი გახდეს, ბოლოს და ბოლოს, ჩვენს სოფელს, ჩვენს მეურნეობას ვიღამ მოუაროს?

მე არავითარი თანამდებობა არ მომცა ღმერთმა და ხელისუფლებამ, მაგრამ ხშირად შევალაქებოდა მეგზავნიან ზოგიერთთა დისერტაციებს. თვალყურს ვადევნებ მეცნიერებს, მათ შრომებს, ჩემი აზრით. მეცნიერული შრომები უნდა რაიმე სიხალეს შეიცავდეს და არასოდეს არ უნდა იყოს დაწერილი ისეთ თემაზე, რომელიც უკვე დაწერილია.

ყოველი მეცნიერული შრომა ერთი ციდას მიიწე უნდა უმატებდეს ახალს, იმას, რაც დაწერილია.

მე ყურადღებას ვაქცევ რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მუშაობას და ამ შემიძლია არ მოგახსენოთ ჩემი აზრი ამ ინსტიტუტის შესახებ.

ძალიან ვნუხვარ, რომ აქ არ ვხედავ აკად. გ. ლეონიძეს... ერთი უნდა ვიცოდეთ, ეს ინსტიტუტი მარტო ქართული ენის ინსტი-

ტუტი არ უნდა იყოს, არამედ აქ უნდა შედოდეს უცხო ლიტერატურათა ინსტიტუტიც. უნდა შეიქმნას ცენტრი რუსთველოლოგიისა, რუსთველოლოგები ძალიან ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ, მაგრამ ბევრსაც ურევენ (სიცილი). მივესალმები რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ხელახალ გამოცემას...

დიდი საქმე გააკეთეს აკად. ჩიქობავამ და მისმა კოლექტივმა და სხვა აკადემიკოსებმა, რომელნიც განმარტებით ლექსიკონს სცემენ. ამ ლექსიკონის შესახებ მე პოლემიკა მქონდა აკად. ჩიქობავასთან.

ასევე უნდა აღინიშნოს ქართული ენციკლოპედიის გამოცემის დიდი მნიშვნელობის შესახებ.

დასასრულს, მინდა შევებო პატივცემულ აკადემიკოს ნ. კეცხოველის ძალიან დამაფიქრებელ სიტყვას.

როდესაც ენგურის ქალაქის ქარხანა შენდებოდა, მე შევეკრთი. იმ დღიდან სწორად ვიტყვადი: ეს კომბინატი უთუოდ განადგურებს სეანეთის ტყეს და ეროზიას შექმნის.

მქონდა ბედნიერება დამენერა წერილი მცენარეთა და ნადირთა დაცვის შესახებ. ხელისუფლებამ კანონიც გამოსცა ამის გამო.

აკად. ნ. კეცხოველმა სასიხარულო ამბავი გვაუწყა ვაზის მოშენების შესახებ... ჩვენი ხალხისთვის საჭირო არის ვაზი და სიმინდი. გამოირკვა, რომ სიმინდი ძალიან საჭირო ყოფილა (სიცილი), საერთოდ, ვისაც საქართველოში სწორად უმოგზაურია, ის შენიშნავდა, რომ ჩვენი ტყეების მდგომარეობა არც თუ ისე სანაქებოა.

ეს ის საკითხია, რომელზედაც, ვგონებ, ღირდა თქვენი ყურადღება შემეჩერებინა“.

1962 წ. 13 აპრილი

8.

„ამხანაგებო! ის ანგარიში ჩვენი აკადემიის მუშაობისა, რომელიც ჩვენ დაგვირიგეს, ისეთი სიხარულის მომნიჭებელია, როგორსაც კარგი პოემა ან კარგი რომანი მოგვცემს.“

ჩემს თავს ვთვლი ბედნიერად, რომ, მიუხედავად იმ შეჭირვებისა, რომელიც ჩვენ განიცადეთ, დიდ ამბებს მივალნიეთ. ჩემს დროში სამი ინჟინერი გვეყავდა ბაქოში და ზემოთად ვიცოდით ისინი როგორ ცხოვრობდნენ. ესლა კიბერნეტიკაზე ილაპარაკა ამხ.

ჭაჭანიძემ და ყურები გამიფართოვდა. ჩვენ ბედნიერი ვართ იმით, რომ ასეთი გიგანტური ნაბიჯები გადავდა ქართულმა კულტურამ და ჩვენმა მეცნიერებამ, ჩვენმა ფილოლოგებმა გეოლოგიამ და სხვა დარგებმა.

ჩემი გამოსვლა გამონეველია აკადემიკოს გიორგი ახვლედიანისა და აკად. კუპრაძის გამოსვლად. ზოგიერთი მეცნიერი ჩაკეტილია თავისი დარგის ჩარჩოში, ევროპაშიაც ბევრი პროფესორი მინახავს, რომ არც კანტი და არც გოეთე აინტერესებს.

მე დიდი პატივი ვარ ჩვენი მეცნიერების და მქონდა ბედსაყოფი და ძემეგობრნა ჩვენს აკადემიკოსებთან. ემეგობრობდი პროფ. რაზმაქისთან. მთელი ღამეები ვუსმენდი მის შესანიშნავ, ბრძნულ საუბარს მათემატიკის ირგვლივ. შარშან მოსკოვში ვიყიდე წიგნი ჩვენს მათემატიკოსებზე და ოთხჯერ წავიკითხე ჩვენი სახელგანთი მათემატიკოსის აკადემიკოს მუსხელიშვილის შესახებ. მე მაინც და მაინც დიდად არ ვერკვევი, ნიუტონის შესახებაც ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს, მაგრამ კაცობრიობამ იცის ნიუტონი ვინ არის. ისეთი მეცნიერები, როგორიც არიან აკადემიკოსები მუსხელიშვილი, ბერიტაშვილი, ზურაბაშვილი, ნულუკიძე, ჯანელიძე, ხარაძე, კეცხოველი, კუპრაძე, დვალი, მახლდიანი, გულიასვილი, ნეერ-კორესპონდენტი აბულაძე, აკადემიკოსი თაყაძე, ყოველ ერს მოენატრებოდა, მე ვამაყობ ასეთი ადამიანებით. ყურს ვუვადებ ყოველ მათ გამოსვლას. ყურს ვუვადებ ჩვენი აკადემიკოსების სახელი რომელ პრესაში მოხვდა.

აკადემიკოსმა კუპრაძემ შესანიშნავად ბრძანა, — კმარა კარჩაკეტილობა, პროვინციალიზმი. ბერძენებმა შორს გაიტანეს თავისი კულტურის სფერო იმიტომ, რომ იყენენ უდიდესი პატრიოტები.

შესანიშნავი იყო აკადემიკოს დურმიშიძის გამოსვლა, აკადემიკოს ახვლედიანისაც.

გულწრფელად მოგახსენოთ, მე არ მომწონს ისეთი გამოთქმების ხმარება ქართულ ენაში, როგორიც არის „საზოგადოებრიობა“, „სახელმწიფოებრიობა“. არ მესმის რას ნიშნავს ასეთი გამოთქმა, როგორიც არის „ებრივი“, რატომღაც ჩვენთან ქართულ ენაში მწერლები და პროფესორებიც მოიკოჭლებენ...

თქვენ იცით, რომ ქართულ მეცნიერებას ამკობენ ასეთი მეცნიერები, როგორიც არიან აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი, გიორგი ახვლედიანი, არწილად ჩიქობავა, ალექსანდრე შარაშიძე, შულვა ამირანაშვილი, ილია აბულაძე და სხვები.



ამხანაგებო! ჩვენ მოვდევართ აქ, აკადემიაში იმიტომ კი არა, რომ მარტო ხელფასი მივიღოთ, არამედ, რაიმე სასარგებლო გავაკეთოთ და შევქმნათ. ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ქართული ენა, ქართული მეცნიერება თავის სათანადო სიმამლუჯე იყოს აყვანილი.

ქართული ენაზე უფრო ძვირფასი მთელ მსოფლიოში ჩვენთვის არც ერთი ენა არ არის. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორცაა: კიბერნეტიკა, მათემატიკა, ბიოლოგია, გეოლოგია, რომელსაც სახელოვანი მეცნიერი ალექსანდრე ჯანელიძე მეთაურობს.

არის მთელი რიგი სხვა დარგები, რომლებიც ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია და მათ დიდი წარმატებები აქვთ...

სამჯერ დავენერე წერილი ქართული შრიფტის შესახებ. ვინ უნდა ითავოს ეს, თუ არა ჩვენმა ენათმეცნიერებმა აკად. ჩიქობავამ, აკად. შანიძემ, აკად. ახელედინამ და ჩვენ ყველამ. ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. აქ უნდა ითქვას, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, ქართველოლოგია გადაინაცვლებს ევროპაში. ამის გამო ჩვენი განსვენებული დიდი მეცნიერი კორნელი კეკელიძე ჩიოდა კიდევაც: არ დავანებოთო უცხოელებს ჩვენი მეცნიერება. ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება და აკად. გიორგი ლეონიძეს, ჩემს ძვირფას მეგობარს, საყვედური უნდა ვუთხრა, ხნოვანებით მასზე უფროსი კაცი ვარ და მპატიებს. არ არის საქირო გაბერვა კრიტიკული ტომებისა მე-19 საუკუნის უნიჭო მწერლების შესახებ.

უზარმაზარი ტომი მზადდება მე-19 საუკუნის მწერლების შესახებ. ორი კვირა მამუშავა გიორგი ლეონიძემ. ეს ტომი გაეკრიტიკეთ და საკმაოდ კარგად. მე ერთხელ ვკითხე აკად. ივანე ჯავახიშვილს, თქვენ დაიწყეთ, რომ გელაპარაკებათ თანამედროვე მწერალი, ხომ უნდა ნაწილით ენა წინ. მითხრა — რას ბრძანებთ, ბატონო კონსტანტინე, ვე იქნებოდა უდიდესი უბედურება, ეს ასე რომ არ იყოსო“.

1963 წ. 14 მარტი.

9.

„ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი ძვირფასი აკად. ნ. მუსხელიშვილი წინააღმდეგი თუ ზრუნება, ისეთი საკითხები მინდა დავაყენო,

რომელნიც პირდაპირ არ ეხებოდა აქ დასმულ საკითხებს, მაგრამ ამაზე მალაღობრივუნა მე არ მვლულება და ამიტომ ვუბნებო ზოგ-ზოგ პრობლემას.

ამას წინათ დიდუბეში გახლდით და გული მეტკინა — საფლავი ისეთი დიდი მეცნიერისა, ისეთი დიდი მოღვაწისა, როგორც ბრძანდება ჩვენი ან განსვენებული აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, უპატრონოდაა...

მინდა აქ დავაყენო საკითხი — ექვთიმე თაყაიშვილის ნეშტი გადმოვიტანოთ მთაწმინდაზე, ის ღირსია ამისა. ექვთიმე თაყაიშვილის სამარხი მთაწმინდის პანთეონში უნდა იყოს.

ისტორიის ინსტიტუტი ამჟამად საიმედო ხელშია. მე ძალიან ვაფასებ აკად. გ. შელიქიშვილს. იგი ავირჩიეთ ერთხმად. უბა მომეტეცა ლაპარაკით — გამოეცეთ მარი ბროსეს ტომები ქართულად და ფრანგულად, გამოეცეთ ვახუშტი ბატონიშვილის ისტორია. უკვე გამოცემული იყო ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფია, იგი ნიგნის ბაზარზე არ მოიპოვება. გამოეცეთ საბა ორბელიანი, დიმიტრი ბაქრაძე და თედო გორდანიას.

ერთ საკითხს მინდა შევეხო. ნურვის გეგრნებათ მე პირველობას დაეუთმოთ ვისმე ჩვენი მუზობელი ერების პატივისცემა-სიყვარულში. განსაკუთრებით პატივისცემე ჩვენ მოძმე რუს ერს, მის მშობლიურ ენას.

დიდი ყურადღებით ნაეკითხე ჩვენი აკადემიის ანგარიში, დაწერილია როგორც მხატვრული ნაწარმოები, აქა-იქ კი არის „რიგი“ საკითხები და „ხაზგასმა“. ეს არ არის ქართული. მისი ავტორი ჩვენი მწერლობის მეგობარია და შესანიშნავი ქართულის მყოფნე. უნდა მოგახსენოთ, ასეთი დიდი დაწესებულების სახელით როცა იცემა რაიმე, სკრპულულო. ზურად უნდა განვიხილოთ ენა. აგერ აკადემიის შენობაში არის წარწერა „ბუღალტერია“. ხშირად ისეთ წარწერებსა და ასუშებს აკრავენ, რაც აკადემიის კედლებს არ ეკადრება.

მე დიდ პატიუს ვეცემ პროფესორს ლ. გოკიელს, მაგრამ რატომღაც მარტო რუსულად სცემს თავის „ლოგიკას“, რატომ? ეგებ მე მინდა ქართულად ნაეკითხო. ეს თქვენ არ გეკადრებათ [ლ. გოკიელი — სხვა შრომებში მაქვს ქართულად]. ეს რატომ არ გამოეცით ქართულად. არ ვარგა ეს.

დღეს საინტერესო სიტყვით გამოვიდა აქ პატივცემული აკად. ვ. თოფურია. მეც მისი მეგობარი ვარ და საქიროდ მიმართა გამოვეხმარო მის ნათქვამს. იგი ეხებოდა ისტორიული ძეგლების მოვლის საქმეს. ჩვენ სა-

მოქალაქო ძეგლებით განებივრებული არა  
 ვართ. შესანიშნავი დარბაზები ბოჭორშია  
 და ლეთისმშობლის ტაძარი ჩაქცეულია.  
 როცა ვიკითხე ვისი ნახელება, — შარ-  
 შან ჩენი „ბანდიტები“ იყვნენო. კაცი რომ  
 გაღაბო — დაგიჭერენ, ირემი რომ მოკლა —  
 დაგსჯიან და ამხელა ძეგლებია დაზიანებუ-  
 ლი და არაფერი. უნდა მივიღოთ ზომები.  
 ჩვენი პრეზიდენტის საყურადღებოდ მინდა  
 განაცხადო, აქ ცენტრალური კომიტეტის  
 წარმომადგენელია და უნდა განაცხადო —  
 აუცილებლად საჭიროა სიძველეთა დაცვის  
 კომიტეტი შემოეწერათოთ სპეციალურად აკა-  
 დემიას და მისი ხელმძღვანელობით იმუშა-  
 ოს ამ დანებებულებამ. იქ წარამარა ნიშნა-  
 ვენ ზოლმე ისეთ კაცს, რომელსაც არ ესმის  
 თავისი საქმე.

მშენიერად ბრძანა პატივცემულმა აკად.  
 ვ. თოფურიაშ ანბანის შესახებ. ათი წელია

ამის გამო ვიბრძვი. რა გახდა ასეთი, ქარ-  
 თული შრიფტი რიგიანად ვერ ჩამოვასწო-  
 რამდენჯერ გამოვედი მწერალთა კავშირში,  
 აკადემიაში, პრესაში. ჩვენ გვაქვს შესანიშნა-  
 ვი ასოები, ქართულმა ხალხმა შემოგვიანა  
 ბრწყინვალე ალფაბეტი და გვიმახინჯებენ...

კლასიკოსების გამოცემის შესახებ. მართალი  
 იყო აკად. ვ. თოფურია. არ ვეთანხმები ჩვენს  
 პრეზიდენტს, რომ ეს გემოვნების საკითხი  
 იყოს. მე კლასიკოსების მტრებს ვეძახი, ვინც  
 მათ სუსტ ნაწარებსაც სცემს, ერთმა შეშლი-  
 ლმა გერმანელმა პროფესორმა გამოსცა ახ-  
 ლახანს გოეტეს ქრისტეს ჩასვლა ჯოჯოხეთ-  
 ში და ჩირქი მოსცხო გოეტეს. როცა აკადე-  
 მიის სახელით ვცემთ ნიგნებს, ძალიან გაუ-  
 ფრთხილდეთ ფასეულობას, გემოვნებას და  
 შემდეგ ესთეტიკას“.

1966 წ. თებერვალი.



პიორგი ზივლაძე

### ექვთიმე თაყაიშვილი

დაბადების 190 წლისთავის გამო

როცა დიდ მეცნიერს მშობელი ერთ ძეგლს აღუშართავს. ყველამ კარგად იცის, რომ ეს სამახსოვრო ისტორიული აქტი უფრო მეტად ხალხს ეხაპირდება, ვიდრე თვით მოღვაწეს. შარშან, 30 მაისს, ღიბაურში ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლის გახსნა ამ კვლევითების უტყუარი დადასტურებაა.

ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე მეორე მხარე: ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლის გახსნის მთელ ცერემონიალს ეწოდა „წევობრივი გმირობის უკვდავება“ და ამით იგი ნამდვილად განსხვავდა ანალოგიურ ღონისძიებებთანგან. ექვთიმე თაყაიშვილის მთელი ცხოვრება მართლაც რაინდული შემართება, წევობრივი გმირობა იყო, ხოლო ასეთ შემთხვევაში უკვდავებას როდეს შეუძლია უკან დაიხიოს.

ვინ იყო ექვთიმე თაყაიშვილი? ქართველი მოღვაწე, ისტორიკოსი, მეცნიერი კაცი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, როგორც იტყვიან, ყველაფერი სამშობლოს, მშობელი ერის სამსახურს შეაღია. ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს ძეგლი აღმართა და საქართველომაც მას ძეგლი აღუშარტა!

ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი დაიბადა გურჯაის ერთ-ერთ ღამაშ სოფელ ღიბაურში, 1868 წლის 3(17) იანვარს. დედა — ნინო, გვარად ნაკაშიძე, დიასახლისი იყო, ოჯახს უვლიდა. მამა — სიმონ ზეჟანის ძე, საქართველოს ხალხღვარს იცავდა როლოქის წყალზე თურქთა ხელუფლებისგან.

პირველდაწყებითი განათლება ექვთიმეს ოჯახშივე დაწარმოეს სხსწავლებელში მიუღია, შემდეგ სწავლა გაუგრძელდა ფოთში, აქიდან კი ქუთაისის კლასიკურ პროგიმნაზიაში. სხენებ-

ულ სკოლას იმ დროს „განაგებდა ინსპექტორი იუდიანი. მას მწვენიერად მქონდა დაყენებული საქმე და ხახულგანთქმულიც იყო“. — წერს ექვთიმე ავტობიოგრაფიაში.

1888 წელს ექვთიმე თაყაიშვილი ამთავრებს ქუთაისის გიმნაზიას და იმავე წლის სექტემბერს შედის პეტერსბურგის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტს იგი ამთავრებს 1897 წელს, კანდიდატის ხარისხით და ბრუნდება საქართველოში, პედაგოგიურ ასპარეზზე სამოღვაწეოდ. თავდაპირველად, სხვადასხვა დროს, ლათინურს, ბერძნულს, ისტორიასა და გეოგრაფიას ასწავლის თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში, შემდეგ კი, როდესაც იმ სკოლაში, სადაც ცნობილი პედაგოგი ალექსი კვიციანიძე მოღვაწეობდა, მდგომარეობა ვართულდა, ექვთიმესაც ასევე ხარუნავა გაუწინდა. „როდესაც მარტო ორი კლასი დარჩა, — იგონებს ექვთიმე, — სკოლის გამგებ — ალექსი კვიციანიძემ მას თავი დაანება. მე მომძალიეს სკოლის გამგეობა. მოვიტოვე, რომ ყველა ის უპირატესობა, რაც სახანაო გიმნაზიაში იყო მასწავლებელთათვის, ასეთივე პირობები შეექმნათ ჩვენ გიმნაზიაშიდაც. ეს ასრის მიიღეს. რაკ არ მომწუენ, მე უარი ვერ ვუთხარა, მით უმეტეს, რომ მიიხრეს არა გყავს სხვა კანდიდატი“. ეს იყო 1894 წელს. შემდეგ სხენებულა სკოლა ექვთიმეს წყალობით გიმნაზიად გადაკეთდა.

ასეთ მიმე მდგომარეობაში იყო ქართული სკოლა რევოლუციამდე, მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ჩვენი ცნობილი განმანათლებლები ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, ძმები ლოლობერიძეები

და მრავალი სხვ. თავდადებით იბრძოდნენ ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამოღების, მისი კულტურის, მისი სწავლა-განათლებისათვის. თვითონ ექვთიმე წერს, რომ პეტერსბურგიდან დაბრუნებულს 1857 წელს, თბილისში „ქართული საზოგადოების ვითარება“ ძალიან არ ენათხოვრა. როტომ? იმეორე, რომ თბილისში „სულ ორი ქართული დაწესებულება იყო იმ დროს — ბანკი და სათავადაზნაურო სკოლა, და ერთი საზოგადოება — წერა-კითხვის გამავრცელებელი. ბანკისა და იმ საზოგადოების თავმჯდომარე ილია კუჭუვაძე იყო, ბანკის ერთი დირექტორი — ვანო მანანდელი, მეორე — ალექსანდრე ჩოლოყაშვილი. ერთადერთი ქართული გაზეთი გამოდიოდა, „ივერია“, რომელიც ჩვეულებრივ 800 ცალი ხბუბდებოდა, კვირისობით კი 1000 და აქვს ის იუბილეობა. თუმცა იყო კიდევ ერთი ქართული საზოგადოება — დრამატული (რომელიც მაშინ გამოცემული თეატრული თავმჯდომარეობა), მაგრამ მას ნივთიერად ძალიან უჭირდა და სულს ღაფავდა. ეს იყო და ეს...“<sup>1</sup>

ასეთი იყო მაშინდელი თბილისში ვითარება, როცა პეტერსბურგის უნივერსიტეტბადავარცხნულმა, 24 წლის კახუმა ექვთიმე თაყაიშვილმა მასწავლებლობა დაიწყო. 1857-1864 წ. წ. სკოლებში ის ასწავლიდა რამდენიმე საგანს, ამავე დროს, პარალელურად იკვლევდა საქართველოს ისტორიას მნიშვნელოვან საკითხებს. საერთოვ მასწავლებლობას რაც შეეხება, ექვთიმე თაყაიშვილი თვითონვე აღნიშნავს: „თავდაპირველად ზომ ლათინური ენის გაკვეთილები მქონდა, მერე გეოგრაფიაც მომცეს, მერე — ბერძნულიც და სულ ზოლოდ დროს — ისტორიაც, რომლის გაკვეთილებიც ცოტა იყო. რაც შეეძლო, კეთილსინდისეობრად ვეყოფებოდი გაკვეთილებს, ზერითვედ აზარტის სწავლება არ მიწოდდა. მგავალითად, გეოგრაფიის მასწავლებელი ვალდებული იყო დაფარე გამოცემა აზია, აფრიკა, ევროპა და ა. შ. მიწინდებოდა, მაგრამ გავიფარე შე და ვისწავლე რუკებს ხატავდა... იანოსკი წიღედავნი ერთხელ უსათუოდ გვეწვეოდა ზოლზე სარევიზოად. ერთხელ მოსულიყო და შევიდა კორმე ამ კლასში, რომელშიც აფრიკა მქონდა დახატული. ძალიან მოსწონებოდა და ეთხოვ, ვინ დახატა? კუიინაძეს ეთქვა და გამოიძიებეს. «Это Вы? — მომპარდა — Ну и прекрасно, так и надо!» ერთხელ ლიბატინსკი გამომიგზავნეს რევიზიაზე და ჩემს ბერძნულს გაკვეთილს დაიწყო. თითონ სწორედ ბერძნულს სეცუადასტი იყო და ძალიან მოეწონა გაკვეთილი. მზრუნველს მოხსენება წარუდგინა და, წინააღმდეგ სხვა რევიზორთა ერთობლივი უარყოფითი აზრისა, კარგად დაახსნათა ჩვენი სკოლა: „იქაც ისევე კარგადაა სწავლების საქმე დაყენებული, როგორც ჩვენს

გიმნაზიებში“ (ჩვენი სკოლა ერთი სასწავლებელიად ითვლებოდა, სახელმწიფოს სკოლა არ იყო). მართლაც, ჩვენი მოწოდებები კარგად იყვნენ ხოლმე მომზადებული. კლასში არავინ არ ჩაბნობდა და ყველა პ-იანებსა და პ-იანებს იღებდა ნიშნებად“.<sup>1</sup>

ამა მართლ მასწავლებელიად, ამ სკოლის გამგედ — ალექსი კუიინაძის წასვლის შემდეგ — ექვთიმემ მთელი ათი წელი იმუშავა — 1864-1864 წლები. თუ რა იყო ეს დრო მისთვის, როგორც პედაგოგისა და გამგისათვის, როგორ გადააკეთა ოპელისინი ერთი სასწავლებელი გამგისადა, რომელსაც „სათავადაზნაურო კი ერთკვა, მაგრამ გლმოსა და სხვადა შევლებსაც ხშირად“ დებულაოდნენ, თუ სწავლა შეეძლოთ, თვით ექვთიმეს აღწერალი აქვს თავის ავტობიოგრაფიასა და „მოგონებებში“. გიმნაზიის ახალგაზრდა გამგეს გლმოსა შეიღების მიღების გამო „მზრუნველებსაგან საუვედრებები“ მომდინარე, მაგრამ ის შეუდარებელი იყო — საქმეს უძვევეზოდა ერთხელ არჩეული სწორი გზით. ნებერი, მტოდენ, ენერგიული, პატრიოტული გრძობებით სავსე ეს ახალგაზრდა კაცი ყველას მიზღავდა თავისი არჩევულებრივი პასუხისმგებლობით, საქმისაში თვითადებით, მახვილი აღლოთი და უანგარობით.

როგორც აღნიშნული გვაქვს, პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ახალგაზრდა ექვთიმე თაყაიშვილმა ხელი მიჰყო მეცნიერულ კვლევებებსა და ამ ღარჯში პირველი გამოჩინისთანადე დიდი წარმატება მოიპოვა. უკვე ღრმად მოხუცი, იგი ასე იკონებდა თავის ნახატებს მეცნიერებაში: „1850 წელს დიპტრი ბაქრაძის ჩაგონებით დავცხამებ გაზეთ „ივერიაში“ რამდენიმე ზელსაწერთა აღწერილობა და ამავე წელს გამოვეცე ე. წ. სამი ისტორიული კარნოკა. ამ სწულელებს სახელი გამოქვე. ილია კუჭუვაძეს ძლიერ მოეწონა და დიდი კება მიძღვნა ცნობილმა [მტოდენმ] ძველი და ახალი ქართული ლიტერატურისა ნაკო დადიანმა არჩილური შევიდათვის სახელით მომიძღვნა აკრისტიხი. ამრიგად დაეწივე სრულიად მეცნიერული მუშაობა, რომლის შედეგები კარგად არის ცნობილი“.<sup>2</sup>

ეს პირველი შრომები, რომელსაც ექვთიმე ზოგადად ახახლებს, დაიბეჭდა 1850 წლის „ივერის“ მრავალ ნომერში. იქვე განმარტებულია, თუ რას წარმოადგენდა სტენბული „სამი ისტორიული კარნოკა [ქართლის მოქცევისა, სუბატისა ხაგრატიონების შესახებ და მესხური დავითისა]“. მოხდენო 1851 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ისევ გამოქვეყნა თავისი ნა-

1 ექვთიმე თაყაიშვილი, „რჩეული ნაშრომები“, თბ., 1968 წ., ტ. I, გვ. 353-354.

2 1953 წლის 19 იანვრით დათარიღებული ავტობიოგრაფიიდან. იხ. აგრეთვე: ექვთიმე თაყაიშვილი, „რჩეული ნაშრომები“, 1968 წ., ტ. I, გვ. 183.

1 ექვთიმე თაყაიშვილი, „რჩეული ნაშრომები“, თბ., 1968 წ., ტ. I, გვ. 352.

შრომი, რომელსაც ეწოდებოდა „ახალი ვაჩიან-  
ტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი  
ქართლის მოქცევისა“. ამ შრომებით ექვთიმე  
თაყაიშვილი ქართველ საზოგადოებას წარუდგა,  
როგორც ღრმად ერუდირებული მეცნიერი-ის-  
ტორიკოსი. მართლაც საწინდელი და საყვარელი  
იყო მისი პირველადი მეცნიერული მიხედვრები,  
აღმოჩენები, ნაუოფიერებები.

თუ რა დიდი ღირებულება ჰქონდა ექვთიმე  
თაყაიშვილის ადრინდელ გამოკვლევებს, ჩანს  
შემდეგი ფაქტითაც: მისი ორი შრომა მოსკოვში  
დაქილდოვებს ოქროს მედლებით. „1904 წელს  
დამთავრდა ბევდვა ჩემი ნაშრომისა, — წერს  
ექვთიმე თაყაიშვილი, — «Описание рукопи-  
сей Общ. Распр. Грам., т. I, вып. 1—4».  
და პეტერსბურგის სამეცნიერო აკადემიამ ამ ნა-  
შრომისათვის დამაქილდოვა ოქროს მედლით  
1907 წელს. მოსკოვის არქეოლოგიური საზო-  
გადოების გამოცემის — «Материалы по архе-  
ологии Кавказа»-ს XII ტომში მოთავსებუ-  
ლი ჩემი შრომებისათვის ხსენებულმა საზოგა-  
დოებამ 1910 წელს დამაქილდოვა დიდი ოქ-  
როს მედლით. ორივე ჯილდო ქართველი მეც-  
ნიერის გამოკვლევათა საუოველთაო აღიარების  
ბრწყინვალე დადასტურება იყო.

შემდეგ წლებში ექვთიმე თაყაიშვილი არა-  
ჩვეულებრივი ნაუოფიერებით მუშაობს, როგ-  
ორც მეცნიერი — საქართველოს ისტორიის  
მკვლევარი. წყაროების გამომცემელ-კომენტა-  
ტორად და რედაქტორი, წყვეტს გაურკვევლ-  
რობულ პრობლემებს. ამ უამრავ შრომათა მოკ-  
ლე დახასიათებას ჩვენ ბოლოს შევხვებით, რათა  
წარმოვდგინა მივცეთ მკითხველს, თუ რა კო-  
ლოსალური შრომა ვასწია ექვთიმე თაყაიშვილ-  
მა, როგორც ღრმად განათლებულმა მკვლევარ-  
მა — მეცნიერ-ისტორიკოსმა. ახლა კი აქ ცალ-  
კე გვინდა მოვიხსენიოთ ჩვენი გამოჩენილი ის-  
ტორიკოსის მოღვაწეობის მეორე მხარე — სა-  
მეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობა.

ექვთიმე თაყაიშვილმა 1907 წელს დააარსა და  
შემდეგ, წლების მანძილზე (1907-1921) იგი  
იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრა-  
ფიო საზოგადოების თავმჯდომარე (საზოგადოე-  
ბა მოთავსდა თბილისის უნივერსიტეტის ახლან-  
დელ შენობაში), კავკასიის არქეოლოგიურა საზ-  
ოების თავმჯდომარე (1917-1921), წერა-კითხვის  
გამოვრცელებელი საზოგადოების (1888-1921),  
პეტერსბურგის არქეოლოგიური საზოგადოების  
(1911-1921), მოსკოვის არქეოლოგიური საზოგა-  
დოების (1901-1921) წევრი და ამავე საზოგა-  
დოების კავკასიის განყოფილების წევრი-მდივანი  
(1901-1921). ყველგან, სადაც უზღებოდა მუშა-  
ობა, იგი იჩენდა არაჩვეულებრივ ენერჯიას, სა-  
ქმის ცოდნას, პატრიოტულ თავდადებას. ავტო-  
ბიოგრაფიული ხასიათის მასალებში გვხვდება

ცნობები იმის შესახებაც, რომ ექვთიმე თა-  
ყაიშვილს 1900 წელს დაუარსებია საზოგადოე-  
ლის ისტორიისა და ლიტერატურის მოუფრეულ-  
თა წრე“, შეუდგენია ჩვენი დიდი პოეტის ნიკ-  
ოლოზ შარაიაშვილის „ლექსებისა და წერილ-  
ების ზედმწერათა მისიხილვა სრული აკადე-  
მიური კრებულისათვის, რომელიც გამოცემა ეყ-  
ატ. მიხ. ახ. ერისთავმა“. 1902 წელს იგი არჩეუ-  
ლი იყო „კავკასიის ბუნებრივთა საზოგადოების  
გამგეობის წევრად“, შემდეგ კი, იმავე წელს  
„თბილისის სამეურნეო საზოგადოების გამგეობის  
სარევიზიო კომისიის წევრად“. 1902 წელს  
ექვთიმე თაყაიშვილი იყო, აგრეთვე „თბილისის  
სათავადუნაურო ხანის წლიური კრების თავ-  
მჯდომარე“. 1921 წლიდან 1942 წლის ჩათვ-  
ლით იგი საფრანგეთში უწინააღი იყავდა ქარ-  
თულ ტრავნულ განმეულობას, რაც დღეს საუო-  
ველთაოდ არის ცნობილი. აქ, პარიზში, 1922  
წლის 18 ნოემბერს ექვთიმე აარჩიებს Societe  
Asiatique-ს საბჭოს წევრად.

უფროაღებოდა ვერ დატოვებოთ იმ ფაქტე-  
ბსაც, რომ 1908 წლის 22 მაისს ექვთიმე თაყა-  
იშვილს ირჩევენ „აღმოსავლეთმცოდნეთა საზო-  
გადოების თბილისის განყოფილების წევრად“,  
1918 წლის 8 აპრილს — „ქართული კულტურის  
მოყვარულთა საზოგადოების სამატიო წევრად“.  
იყო კიდევ ბევრი სხვა საქმე და თანამდებობა,  
რასაც დიდი მეცნიერი ღირსებულად ემსახურე-  
ბოდა.

თავის ზანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ექ-  
ვთიმე თაყაიშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონ-  
და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დიდ ქარ-  
თულ მოღვაწეებთან. მან შემოკვირება ფრიად  
მწიშენელთან მოკონებაში ილია ჭავჭავაძის,  
აკაკი წერეთლის, დიმიტრი უიფიანის, ვაჟა-ფშა-  
ველას, იაკობ გოგებაშვილის, ივანე დე ილია  
პოლტარაკების, ილია წინამძღვრის, ვი-  
ორჯი წერეთლის, ეგნატე ნინოშვილის, აღექ-  
საძვრე ცაგარელის, პეტრე უმიკაშვილის, დიმი-  
ტრი ზაქარაძის, თედო ყორღანიას, შიხე კანაშვი-  
ლს, ზესარიონ და ნიკო ლოღობერიძეების, ცნო-  
ბილი პედაგოგების — აღექსის ჭიჭინაძის, არი-  
სტო ქუთათელაძის და მრავალ სხვათა შესახებ.  
განსაკუთრებით მჭიდრობა მისი მოკონებებზე  
ილია ჭავჭავაძეზე. ადრევე „ივერიის“ თანამშ-  
რომელი, რომელმაც ილიას გაზეთში წლებს  
მანძილზე არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნა, ძა-  
ლიან საინტერესო ცნობებს ვაწვდის დიდი  
მოღვაწის როგორც პირადი, ისე საზოგადოე-  
ბრივი ცხოვრებიდან. შემთხვევითი არ არის,  
რომ „მოკონებებში“ უფილანზე დიდი ადგილი

1 ექვთიმე თაყაიშვილი, „მოკლე ავტობიოგ-  
რაფია“, 1946 წ. 25-XII თარიღით.

1 უტორო დაწერილობით: ექვთიმე თაყაიშვილი,  
„რჩეული ნაშრომები“, თბ., 1968 წ., ტ. I, გვ.  
186-188.

ილია უკავშირებთ ერთობა. მისი მხედლობა თვითონ შემოწამებული მოღვაწეა შესახებ, ისეთივე გამოწვევის გარდა, ვინაშინაც კი იმპეტროსობა, მიუხედავად, ზუსტი შეფასებით. საბუნებისმეტყველო შეიძლება მოვლასთან მოვლასებები ნიკო მარის შესახებ. ექვთიმე თაყაიშვილი და ნიკო მარის ურთიერთ მშვიდობრივი ურთიერთობა სწავლობდნენ ქუთაისის გიმნაზიაში. მარის თაყაიშვილისებური შეფასება კომენტარებს არ საჭიროებს, უკლებლივ ისე ნათელია.

„ნიკო მარის დახასიათებისაშენი სპეციალური ნარკვევები და წიგნებია მიძღვნილი, — წერს ექვთიმე თაყაიშვილი, — მაგრამ მე, როგორც მისთვის მიძღვნილი და თურქიაში ჩემ წასვლამდე მის მხედლობით აღამიანს, ბევრი რამ მახსენდება მის შესახებ ისეთი, რომელიც შეიძლება სხვამ არ იცოდეს ან ვერ შეამჩნიოს და ინტერესს კი არ იყოს მოკლებული მისი პიროვნებისა და მუშაობის შესახებ წარმოდგენის შექმნის თვალსაზრისით. ზოგი რამ ზემოთ უკვე აღვნიშნე, სხვა საკითხებთან თუ სხვა პირებთან დაკავშირებით, ზოგად ახლა ვაპიხსენებ.

ნიკოს ვერ კიდევ რუსეთში წასვლამდე ძალიან მოსწონდა, უფროა ერთი ქართველი ქალი, მაგრამ ეს უკანასკნელი ძალიან შორს იჭერდა და არ თანაუგრძობდა, ვეცხ სულაც ნიკოს აშკარად უყნაობა ზასიათის გამო. ნიკო გაუბედურა იყო ზეკარაულის საქმეში და გულმოდურად გაემგზავრა პეტერბურგს. სწავლა რომ დაასრულა და მშენებელი მუშაობას მიშრო ბედა, გაღწეულია დროება და მომწერა: შენ კი იცი, ვინც შევარდა და მიუვარს, მაგრამ შენ მას არაფრად მივაჩნევარ და ახლა რა ვქნა? შეერთებ ამ რუსის ქალს, მომივლის მაინც და ნუშაობაში მაინც შემიწევს ბეჭედი. თითქმის შემოდის შემოდისა. ცოლი [ტელუხის ქალი] იმ მხრივ მართლაც გამოადგა. შერე ირი ვაჟიშვილი იყო. ირავე ძალიან ნიჭიერი აზრდებოდა, მაგრამ ერთი სულ ემაწვადი მოკვდა. ბოლო მერხე კი, როგორც ცნობილია, თვალსაზრისით ირანისტი შეიქნა, თუმცა ქვეყნში იმასაც ნათელიად მოუწერაფი დედა...

ვინ არ იცის, თუ რამდენი ნამდვილი გაუბედობა შემოიტანა ბოლო წლებში ნიკო მარის ენათმეცნიერებაში, თავისი თეორიების გადამკიდებ, მაგრამ მაინც არ შეიძლება მის წინააღმდეგ ისე მუცხე ტონით წერა და ისე დარწმუნებულად ამხედრება, რაც ვერ კიდევ ილიამ და იწყო... ნამდვილად უადრესად ნიჭიერი კაცო იყო და, ადრე მაინც, ახლენი და ისევარა შესანიშნავი, სრულიად ახალი აზრი გამოუქვამს და ახალი მრწამსივალე გამოკვლევები დაუწერია, რომ ბოლოდროინდელ უკველგვარ აზრებულ-

ული ნაყოფია ეოფა-ცხოვრების, ამერიკის დასავლეთის აოჯინებისა და ზედის ეანრულად მსიმე ხედებისა, რომლის მეტყველებული ლობელი ანალოგი მწელად არის მოხალოდნული რომელიმე სხვა ქვეყნის ფოლკლორში. ამ ფოლკლორული წყაროდან მომდინარეობს ტვენის მოთხრობების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა — „ხემატე კაცი“. ანტი-ტენტლმენი, რომლის შეხედულებათა შეუხაზამობა მორალისა თუ წესებერი ეოფა-ქვეყნის ოფიციალურ კოდექსთან, და ამისი თხრობის მიაბიტური კილო, მისი კომიზმის საფუძველს წარმოადგენს. „ხემატე კაცის მიაბიტური ლოკიკის შეჯახებიდან არსებულ ცხოვრებისეულ ურთიერთობათა ლოკიკისთან ანალოგია ტვენის მოთხრობების კომიკური ეფექტი“.<sup>1</sup> ამ შეჯახების, ამ კონფლიქტის გაშლა მ. ტვენის მოველისტყავში უადრესად სპეციფიკურ, ამერიკული „დასავლური იუმორის“ პოეტკის პრინციპებს ენაწარება. ამ პრინციპისათვის დამახასიათებელი გადაკარბების, მიპერბოლიზების ხერხი, ეოფიკური ანსურდის ფორმებს იღებს. „შე მას თავი ვაეუტე და ჩემს ხარტზე დავახალდაე“...—ისე გვაუწყებს ტვენის მოთხრობის გმირი, სხვა მოთხრობის გმირი როგორც ჩვეულებრივ ამბავს, ისე უანხობს მსმენელებს, თუ როგორ ვაეწწწრდა შეხატყეს: „შე მას წაშე მოვედუ ბოლო და სიაოვრებით ავაცალე სკალი“.<sup>2</sup> ტრახახას მიპერბოლიზება ხრულ ლოკიკურ ანსურდამდე მიყვანობი, ეს ამერიკული იუმორი ტვენმა ევროპულ სიამივლოებსაც მიუხადავა. როდესაც ამერიკულ ტურისტს მუწეუდში ფარაონის ზემის უტყვენბენ, იგი ანსურდებს, რომ „ნახმარა მიცვალებულები“ არ აინტერესებს, სხვა ნაწარმოებთ დათოვლიერებდა „კარგ ანელ ვაგამ“. თუ რაოდენ მჭიდროდ არის დაკავშირებული ტვენის კომიზმი ხალხური ფოლკლორის ტრადიციასთან, ეს ამაშიც ჩანს, რომ მისი არაერთი მოთხრობის საოვეტო დანავლური ანედოტობიდან მომდინარეობს. ურწმოდ, ასეუ ნაწარმოებთა რიცხვ განეუთებება მწერლის ერთი საოვეტესო მოთხრობათაგანი — „ცნობილი მტობარტე ბაუაუი კალავრახადაქ“.

მარკ ტვენის გადავეყარბი ისეთ ნაწარმოში, სადაც სავლენი, სისბოსლტრა და სხვა ტრავიკული ხიტუეკობი კომიზმის მიზეზი ზდება, რადგან კარნავალური ატმოსფერო ის სტიქიაა, რომელიც ეოველეთის იგოინობა მწერლას მოთხრობებში. მარკ ტვენის მოთხრობათა კომიზმს კვებებს ხალხური ფოლკლორული იუმორიდან მომდინარე ექსცენტრულობა. ეს ექსცენტრულობა კარნავალური ხასიათისაა. „ესა კარნავალური მსოფლგაეკების განსაკოორბებული კატეგორია, რომელიც ორდენულად უეაწწრდება ფაილიარული კონტაქტის კატეგორიას: აღ-

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, თხულებანი, 1, 1962, გვ. 288.

<sup>1</sup> A. C. Pomm, Mark Twain, M., «Наука», 1977, стр. 51.

ამაინთა შორის სპეციფიკური ურთიერთობა უაღრესად მნიშვნელოვანია. „ამაინის მოქმედება, ფესტი და სიტყვა განთავსებულია ურთიერთდასაყრდენი იერ-სახეობის მდგომარეობის (სოციალური ფენის, წოდების, ასაკისა და ქონებრივი მდგომარეობის) შედეგად. ამიტომაც, როგორც მთლიანად განაპირობებდა, მთა არაქანაველური ცხოვრების დროს, და ამიტომაც მისი მოქმედება, ფესტი და სიტყვა ექსცენტრიული და არაქანაველური ცხოვრების ლოკალისათვის შეუსაბამო ხდება“. 1 ეს ექსცენტრიულობა, ეს სრული შეუსაბამობა ურთიერთდასაყრდენი ურთიერთობის წინაშეა. „რას იხმობთ თქვენ, თავი რომ გავიშოთ თქვენი დედეკოსათვის იმის გამო, რომ მან წედმეტად დაჯერებულ დღის უკან? თქვენ იტყვიან, რომ, ვიდრე დასვენება გამოვტანდეთ, ხაჭორა ჩვენი ახსნა-განმარტების მოსმენა“. ახსნათა ტყენის მოთხოვნათა ექსცენტრიული ლოკალია.

ამ ექსცენტრიულობა, ამ განრულ პოეტკას არ მოელოება ამაღლი კართულ ლიტერატურაში. მაგრამ საერთო მომენტი მარტ ტყენის შემოქმედებასა და ქართული კრიტიკული რეალიზმის წარმოშობაზეა. შორის ისაა, რომ სოციალური სანამდვილის დაუნდობელი მზიდება, რეალისტურ განწყობებათა დამატებლობა და სიმართლე, მზატრულ სახეთა (გზონათ) პლასტურობა მზირად უკავშირდება სატირასა და იუმორს. როგორც აღვნიშნეთ, ტყენის კომიზმის გენეზისი და პოეტკა ფოლკლორული წარმოშობისაა. რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის კომიზმს, ეს უკანასკნელი ევროპული ლიტერატურის ტრადიციას მიეყვება. მაგრამ, გარკვეული თვალსაზრისით. შეიძლება ლაპარაკი იმაზეც, რომ ქართულ დიდ რეალისტთა სატირასა და იუმორის წყარო მზირ შემთხვევაში ფოლკლორული ხასიათისაა. მზავსად იმისა, რომ ტყენის მრავალი იუმორისტული მოთხრობის სოცეტურ-კომიზიციური თავისებურება „სამზირეთული“ ანუ დოტის სტრუქტურას იმერტებს, შეიძლება ვარაუდებ გამოიქმნა იმის თაობაზე, რომ აკაც წერეთლის მთელი რიგი იუმორისტული და სატირული მოთხრობები („სამგვარო ხიყვარული“, „სიყვარული ანუ დარც და მარც“, „სიკვდილი“, „საავადმყოფოში“, „ქართული ფულის თავდასავალი“ და სხვ.) ხალხური ანუ დოტის პირდაპირი ემუარება. ამ ვარაუდის სასარგებლოდ შეტყველებს ეს დეკორაცია, რომ აკაც წერეთლის „სატირულ-იუმორისტულ თხზულებათა გარკვეული ნაწილი სწორედ აუტორიტული თავდადასავლის ფორმით არის

შესრულებული. ზოგიერთი მათგანი პირდაპირ ანუ შთაბეჭდილებას ახდენს. „სამგვარო მოქმედება პირს ნამდვილად აუტორიტეტისა და დიდებისა ასეთი ხალხური ანუ დოტის ხასიათი აქვს, მაგალითად, ცალკეულ იუმორისტულ ეპიკოდებს, რომლებიც ჩართულია აკაც წერეთლის „ჩემს თავდასავალში“. როგორც წერეთელმა შეურაცხყოფისათვის ფოსტის ფურცლისა უჩივდა გუბერნატორთან, როგორც წერეთელმა თავი ანუ იმართლა: „დედა იმპერატორმა აღუქსანდრე პირველად დამამტკიცა თავად როგორც წერეთელად, ნიკოლაშმა ხელი მოაწერა, აღუქსანდრე მეორემ ბეჭედი დაუსვა, და ახლა, ეს ვიღაცობერია, სამი დიდი ხელმწიფის მონიჭებულ წყალობას ისე მართმევს და მხდის, თითქოს მავლისი შეტრიალი ზონა-ნახაი იყოს“. აკაც იუმორისა და სატირის ფოლკლორულ ხასიათზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ აკაც გაუტრის კომიზმის მიზნით გამოყენებული ეპითეტებისა და შედარებების „საგანგებოდ დახვეწისა და სტილიზებისა“. 1 მთა ლიტერატურულ დამუშავებას და ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმას ანიჭებს: „წინ შე ვაუბრბოდი ურდელმთავრად და უკან ისინი მომდევნდნენ კთინით“ (42), „ამოიხმება მანწავლებელმა და ურდელმთავრად აღარ მაქცევდა, თითქო ერთი ჭრკი გდებულყოლ“. „რას აწვევ თავს ქუციან ცხენივითა“ (45) და სხვ.

ილია ჭავჭავაძის მზატრულ პროზაში სატირა უფრო გამოკვეთილია და ხაჭორობი, ვიდრე იუმორი. მისთვის, ასევე როგორც, საერთოდ ქართული კრიტიკული რეალიზმის კომიზმისათვის, უცხოა ტყენისეული ექსცენტრიულობა და ფარსება და კლოუნადეს ფორმათა გამოყენება. მაგრამ ხალხურობა ილიას კომიზმისა მდღევანდებია არა მხოლოდ იმაში, რომ სატირისა თუ იუმორის ფორმებით წარმოსახული სანამდვილე შეესაბამება ცხოვრებისეულ სანამდვილეს და კონკრეტულ-ისტორიულ ეპოქას ხალხის ცხოვრებაში. ილიას პროზაში სატირულ ზეარბთა შორის უმთავრესი ადგილი იართისას უკავია, რაც უცხო არაა არც ლიტერატურისა და არც ფოლკლორისათვის. ზეარბი მოთხრობის ინტონაცია, დამახასიათებელი ტყენისათვის, ილია ჭავჭავაძის „აკაცა ადამიანი“ ახალ მოდიფიკაციას პოულობს. ფესტი არაა არც ილიასათვის ანუ დოტური საწყისის გამოყენება. მაგრამ თუ ტყენის მოთხრობებში ანუ დოტური საწყისი ექსცენტრიულობის, ლოკალური ანუ დოტის სახე იღებს, ილიას მოთხრობა „აკაცა ადამიანი“ აწვევ საწყისი სატირისტული ხასიათისა: დარეგანა უფროს ლუარსებს, რომ „რუსთ ხელმწიფის ხალხი ერთი ოქროს ოთახია, იმაში არის ხე კეთილისა და პირატისა. სულ იაგუნდის ფოთლები ახსიათი“. დარეგანი შემდეგ თხზავს: ზონიკარის ფერის მოუპარნია ერთი

1 M. Бахтин, Проблема поэтики Достоевского, М, 1965, стр. 164.

1 გრ. კტაბე, ივჯე

დიდი აღმასი, „ჩაუვლავს და ისე გამოპარულა“. — „ნეტავი მე მომეპარა, — თქვა ლუარსაბმა“.

„ცალკე უნდა ითქვას სატირული გამოსახვის იდეური მიზანდასახულობის შესახებ. ამ მხრივ ტვენის შემოქმედებაში უმაღლეს გამოვლინებას წარმოადგენს „იანკა არტურ შეფის კარზე“, ხოლო ქართული კრიტიკული რეალიზმის პროზაში — ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?“. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა აღვნიშნავთ მისი ვტოვებო ცალკეულ მნიშვნელოვან განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს: ტვენის რომანი ფსევდონიმითაა დაწერილი შეხასიათებელი მასალის ვაგებდენი, ხოლო ილიის მოთხრობა თანადროულ სოციალურ თემისათვისა და დაკავშირებული. ვარდა ამისა, ამ ნაწარმოებებს განასხვავებს სხვა ფანარული და სიუჟეტურ-კომპოზიციური მომენტები (მაგ., ფანტასტიკური საწყისის გამოყენება მარკ ტვენის რომანში და სხვ.) მაგრამ საკულისებო და ანგარიშგანსწავლი სწორედ ისაა, რომ ამ სხვაობათა მიღმა ჩანს არა ნაკლებ ანგარიშგანსწავლი მხვავება კაცისა, ადამიანის დანახვა-გააზრებისა, ორივე მწერალმა უნდა აღვნიშნოთ ცენტრში დაყენება შეხასიათებელი სოციალური ინსტიტუტების პრობლემაზე ჩამოვალბებულად ადამიანის ზნეობრივი სიმამინჯის პრობლემა. მარკ ტვენი და ილია ჭავჭავაძე გვიჩვენებენ, რომ ეს მამხინჯი სოციალური ინსტიტუტები ადამიანს აქცევენ ისეთ არსებებად, რომელშიც შეტრთებულა ისეთი უტიპიკრისპაირისპირო საწყისები, როგორცაა „ცხოველი“ და „ბავშვი“. ტვენის რომანის დიდი მრავალი მაგდის რაინდები — დიდი ბავშვები არიან, მიაშტი, დაუნაწვრებელი, „ბავშვერი“ ცნობიერების მქონე ადამიანები. მიაშტიცა, გულბრტვილობა მათი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, რაც მათ ვარკვეულ მომზადვლდობასაც კი ანიჭებს. ასეთია, მაგალითად, რაინდი ღანსელტოტ — ღიდი, კეთილი, მიაშტიცა ბავშვი. ასეთი ბავშვერი თვისებებით გამოირჩევა, ვარკვენი, ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიც. ასაკოვანი ადამიანისათვის შეუფერებელი მიაშტიცაბით, ბავშვერი გულბრტვილობით არის აღსავსე ლუარსაბის ყოველი მწველობა: საკმარისია ვაგისხნოთ თუნდაც უცე მოყვანილი მაგალითი, სადაც: დარკანში უთხრა ლუარსაბს, რომ რუსთ ხელმწიფის ზღვი ერთი ოქროს ოთახია, იმაში არის ზე კეთილსა და ზორრტისა. სულ იავუნდის თვლები ასხიოა. ხონიქარის ფერისა მოუპარნია ერთ დიდი აღმასი, მოვლევია, ჩაუვლავს და ისე გამოპარულა.

— შენი პირივე, შეიბახს ვერ გვივლიდენნი რომ ცუდიათ? — მართლთა, ევ აღარ მომავრდენი.

მაგრამ დიდი სატირისებში ამასთანავე გვიჩვენებენ, რომ შეხასიათებელი სოციალური ინსტიტუტები წარმოშობენ ისეთ ადამიანებს, რომლებშიც ბავშვერობა შეთავსებულია პირუტყვობასთან, და სატირული მხვადილი ამ უკანასკნელისადმია მიუპრობილი. ვაგისხნოთის ეპიზოდი, როდესაც იანკა ათავსულდება დიდგვაროვან ქალბატონებს, რომლებიც თითქოს დატყვევებულნი არიან ზორრტიცა ჯადოქრის მიერ, შემდგომ, დავიკრებისა, ირკვევა, რომ „ქალბატონები“ არაან ღორები, ხოლო სასახლე საღორე ყოფილა. „ინგლისელ აიხსტიკრატთა პირუტყვობა უფრო მეტია, ვიდრე მათი ინფიდიდალური ნიშან-თვისება. ეს არის ტიპური და ისტორიულად განაირობებული ნიშან-თვისება“. ი ილია ჭავჭავაძეც ხაზს უსვამს იმ ვარკვეობას, რომ ლუარსაბისა და დარკანისნაირთა ბავშვერობა და გულბრტვილობა ორგანულად არის დაკავშირებული პირუტყვობასთან, რაც არსებული სოციალური წყობითა განაირობებული. ერთი მხრივ, დიდი ბავშვი — „ჩვენი გულწრფელი თავადი“, „უთხრობოთ ლუარსაბი“, მეორე მხრივ, პირუტყვის მდგომარეობაშივე მისული ცოცხალი არსებაა. შემთხვევითი არაა, რომ ტანის ზღნიანობაზე ვარკვეულ ცრურწმენაზე საუბრისას მწერალი ასეთ ირონიულ კომენტარს მიმართავს: „მართლდ არის, პირუტყვები სულ იხსავან აიან ბედნიერი?!. თუ ეს ტუფილია, ბევრი ჩვენგანი პირუტყვობას რადა მსდვილობს? იმისათვის, რომ პირუტყვები ბედნიერები არიან, ბედნიერები კიდევ იმისათვისა, რომ ტანზედ ზღანი აქვთ...“ ლუარსაბის პირუტყვობას აწკვართებს, ვარკვენი, ვტორის შემდეგა მიაშტიცა თავისი ბავშვი — პირუტყვი ვიარსადმი: „შენ სცხოვრობ — რომ სვა და ტამო, და არა იმისათვის სჯამ და სჯამ — რომ იხსივრო...“ ასევე მარკ ტვენი სხვადასხვა ვარსადმი ნათელყოფს, ბავშვერ თვისებებთან ერთად, პირუტყველი, ცხოველური საწყისის თანარსებობას.

მარკ ტვენის ფერა მორგანას ახასიათებს ის ბავშვერი უწერი ახირებულობა, რომელიც მისი პირუტყველი დაუნდობლობის, სისახტიკისა და საღიზიანის მიზევი ხდება: „რას ბრანდებით, ეს ბუმბრობა იყო მზოდოდ. მე ვანგებ ვუბრანდე ჩემს ამაღას შევაქაროთ, რადგან ვავშული მქონდა თქვენი უძლეველობის ამბავი. მინდოდა მეიძულებინოთ სასწაულო ჩაგედინათ. ვიმედოვნებდი ქალისნურ აღმა ვავრვედით მათ და შიგ ამოვბუვადით. თვითონ მე, სამწუხაროდ, სასწაულების ჩამდენი ვერა ვარ და მი-

- ნეტა მე მომეპარა, — თქვა ლუარსაბმა.
- ხომ დაგაბრძობდენ.
- რომ არ შევატყობინებდი: ჩაველაპავედი და მტუელს ხომ არ გამოტყობდენ.
- ვაგებრიდენ კი არა, მტუელს ვივამდენ
- რა ეცოდინებოდათ, რომ მე მაქვს?

1 A. C. Romm. Mark Twen, «Наука» M; 1977; стр. 157.



ხაროდა, ახლა მაინც ვახილავ ნამდვილ სასწაულს-მეტყი, შე ხომ ბავშვით ცნობისმოყვარე ვარ". — გულდაწყვეტით იმართლებდა თავს ფერია მორგანა იანკის წინაშე, „უცნაური ქალი იყო დედოფალი მორგანა, — დასძენს შემდეგ იანკი, — მსგავსი ქალი ცხოვრებაში არ შემხვედრია. მერტვია რა დამახასიათებელი იყო სწორედ მისთვის ეს საქციელი. სიტყვა „ფოტოაპარატის“ მნიშვნელობა მორგანასათვის და აი იმ ქორისათვის ერთნაირად ნაცნობი და გასაგები იყო, მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ დახნეულა. მაშინათვე მიხვდა, რომ ნაჭახისათვის უნდა დაველო ხელი და აი უზედური მოხუცებისათვის თავები წაეგდებიანინა".

აქვე შეგვიძლია ვავიხსენოთ, რომ სასასტიკე და დაუნდობლობა არც ლუარსაბისთვის არის უცხო. მოთხოვნაში წაჩვენებია, რომ ბატონუმოხა ძალადობასა და ფიზიკურ სასჯელს ემყარება. ვავიხსენოთ დათოს ირონიული სიტ-

ყვები ლუარსაბისადმი: „სწორედ მანა ბრძანდებით და ჩვენ შეილება ვართქმუნ სადგახან გაგვეწყვრებით, ავცილებთ, წაგვართმევთ კიდევ რა? სულ ჩვენი სიკეთისთვის არის...“

ილია ჭავჭავაძემ თავის მოთხოვნაში სატირული ზერზებით გვიჩვენა ადამიანის პირუტყველი მდგომარეობა მისი არა შეინაგანი თვისებების, არამედ სოციალური დეტერმინატების გამო. ადამიანის პირუტყვეობის ამგვარმა ახსნამ ორივე მწერალს საშუალება მისცა დაეძლია სექტიციზმი და შეენარჩუნებინა ჰუმანისტური მრწამსი. ილია ჭავჭავაძის სინაწული კაცობის, ადამიანობის დაცემის გამო მისი მოთხოვნის სათაურშივე ჩანს, იგივე მდგავენდება ავტორისეულ კომენტარებში. მარკ ტვენიც ამ თავის შესანიშნავ როლში ინარჩუნებს ადამიანის მაღალ ჰუმანისტურ რწმენას: „ადამიანი ყოველთვის ღარჩება ადამიანად, — აცხადებს ტვენის გმირი, — ჩავჯობისა და ძალადობის საუკუნეებ ვერ ჩაკლავენ მასში ადამიანობას“.

## ადუარდ როზენბალი

### კონგოს ნაპირებზე

ავიკომანია „ლინ-კონგოს“ მომცრო თვით-მფრინავმა ასაფრენ ზოლზე ჩაიჭრა და მსუბუქად აიჭრა ჰაერში. ბრაზავილის თავზე წრე მოხაზა, უკან დარჩა სტადიონის სილუეტი. ლუდ-სახდელი ქარხნის შენობა, რომლის თავზეც უშველებელი წარწერა კიაფობდა— „კონგონუ-რჯი“; უკან დარჩა შთა კროსმენში ჩაფლული თეთრი ვილები, ზოგიერთი მათჯანის ეზო-კარს, საცურაო აუზების ციხრად მოცოპცივი თაღები რომ ამშვენებდა, უკან დარჩა ზღბით გავსებული ქუჩები. ეს აუო „ეგრკოული ცენტრა“, ხილი გარეუბანი წარმოადგენდა გეომეტრიულ კვადრატებს ჩაეშებულა, შავი კვარტალებისას — ერთსართულიანი ბარაკის ტიპის სახლების წყებას, სადაც არც გამოწვანება აუო სადმე და არც რაიმე სიკოცხლის ნიშანწყალი შეგარძნობდა. ეს იყო ჩვეულებრივი კლდონიადური ქალაქი მისთვის დამახასიათებელი დაგეგმარებით. წყალუბო კონგოს ვაღმა ნაპირზე შეკვირდ იმტებოდა ზაირის დედაქალაქის — კინშასის ეთამბჭენთა კონტურები. მალე ისინიც შორი-ზონტზე გაწოლილ იხელ ბურუსში გაუჩანარდნენ. თვითმფრინავს კურხი ზრდილოეთისკენ, ხაოლქო ცენტრ ოვანდოსკენ ეჭირა, ბრაზავილიდან ორი საათის საფრენზე რომ მღებარეობდა. როგორც კი ღრუბლის ქულას წაეწყდებოდათ სადმე ჩვენი თვითმფრინავი შეზისავან შეკახებდებოდა, მალეა შეტებოდა, ანდა ძირს ჩაეურთუნაღადებოდა, რათა „სიფათისა-ფოს“ თავი აერიდებინა. მსუქანა, გულეეთილ-კონკოელი მფრინავი უკველი ასეთი მალაიის შემდეგ გემრიელად გადახარხარებდა ზოლმე, ღრუბელთა ფანქრებიდან მოჩანდა ტყეების მწვანე მახვიები, მუქ-მწვანე კაონარა მინდვრები, მოუავიფრო კვაზისფერი სავანა. ჩემსკენ გადმობრლიმა თანამშენებმა თითი ბარკმლის მინაზე მიამჩანა — კვეზოთ, ტყეაანკაუთი რა-მდენიმე ქიხი დაჩანა.

— სოფელი ედუა — ისე ხმაყალდა დაიუვი-რა მან, თვითმფრინავის მოტორის ხმაყ კი ჩა-ახში — აქ დაიბადა ჩვენი პრეზიდენტი დენის ხასსუ-ნგეოსხოსი...

ოვანდო ერთი მომცრო სოფელი აღმოჩნდა. მართალია, მას ქკონდა თავისი საკუთარი წყალ-სადენი და ელექტროსადგური. მაგრამ წყალ-სა და ელექტროენერჯიას აქ აწვდიდნენ შხოლ-ოდ დიდ დღესასწაულებში. თხიერი სწვავი სა-კმარისი იყო მხოლოდ გადახატანი ნავთის ლა-მებისათვის, რომლითაც სარგებლობდნენ ხო-ლმე აქაური მკვიდრნი.

ოვანდოში არის სარტერანსლაციო სადგური. რომელმაც უნდა მიიღოს გადაცემები ბრაზავი-ლიდან და თანაც ფერადი გამოსახულებით, მა-გრამ მასაც ხომ სჭირდება ელექტროენერჯია. რომლის ნაკლებობასაც აქ ასე განკადიან. ჩვე-ნმა მკითხე ქვუფმა ოვანდოში გაათთა ერთი და-მე, მართლაც ზღაპრული აფრიკული დაშე: ზნე-ული, კუნაქეტი, უცნაურად მშინჯარე ვარსკლა-ვებით ინკუსტრირებულა. ელექტროგანათება რომ უოფლიყო ერთის მხრივ კარგი იქნებო-და, რა თქმა უნდა, მაგრამ მეორეს მხრივ ერთი-ან მოუთავებდა ხელს მოელ ამ განუშეორებელ სიღამაზეგ. დღას, ოვანდოსთან დამშვიდობე-ბისას, შაინც უფსურევე რეგიონალურ პრეზიდ-ენტს ელექტროენერჯიისა და წყლის მოწოდებ-ის მწვანე პრობლემის უმოკლეს დროში მოგ-ვარება.

ოვანდოდან რაონულ ცენტრ მკვამდე, და-ხლოებოთ, ერთი საათი ვიფრინეთ. დავეშვით პე-რდაპირ ვაშლილ მინდორზე, მოხიბინე ხალაბე-ბში. ოვანდოსთან შედარებოა მკვეა ერთ მთვა-რდნილ სოფლად მოგებჭვენებოთ. და ასეც არის სინამდვილეში. აქ დამხვდა ჩემი ძველი ნაცნობი ვი წგანა. ამჟამად ოგი ადგილობრივ ლიცეუმ-ში უფროსკლასებლებს ფილოსოფიას ასწავლის. მასთან ერთად ეველგანმავალ „დენდ-როვეტი“



ბრუნისაჲს ვაჲსწიეთ. ეს აჩის წამდელი აფრკულე სოფელი. თავისი პირველყოფილი იდელიათ. მაკავში, ასე ვთქვათ, ბრკუალებში ნაგულისმწვეი თანამედროვე ცივილიზაციის ურველგვარი ნიშანწყალი კრება...

ჩვენ მდინარე ლეკვალას ხეობას მივუყვებით. ზუსტად ეკვატორის ღერძის ვაჲსწარავ, ჩრდილო და სამხრეთის განედების ნოღ გრადუსზე. ეს-ეს იყო დამთავრდა წვიმების ხეზონი, ვა ალა-ალავა წყალს დაფარა. დატბორილ ადგილებში მანქანას უჭირდა მოტარობა და კუს ნახიჯთ ფრთხილად მიჰყვებოდა წინ. რაათ სადამ თხრალინი არ ჩავარდნილიყო, ასეთი ორმოგბა ურველ ნახიჯზე გვჭადვებოდა.

ფიქრებში ჩაიძრულს გაცოცხა მიპყრობდა — აი, მივჯავაყუებ სადამ ტროპიკული აფრიკის ტარამალებზე უველგანმავლით და აქვე, ხედლის განედებზე ახეთი უდაბური ადგილებია მთელი ორმოცდაათი-სამოცა მილიონი წელი რაიმე ცვლილება რომ არ ვარტყლია, ასე ვთქვათ. თანამედროვე ცივილიზაციის სფეროვად კი არ ვაქარება. ამ ცოტაოდენი ხნის წინ რამდენიმე აფრიკელი მეცნიერი ამ ადგილებში ევებდა... ცოცხალ ბრონტოზაურს არც შეეძი, არც ნაკლები. ჩვენ ვიპოვებოდი ჩაიონში, სადაც პართალია, ბრონტოზაურები არ ბინადრობდენ მარგამ... სამაგიეროდ შემონახული იყო პირველყოფილი თემური წყობილებას გადმონახობა. არა და კონგოს სახალხო რესპუბლიკა ზომ ურვე თხუთმეტ წელზე შეტია, რაც სოციალისტური ორიენტაციის გზით ვითარდება, აი, ასე უცხადრად აჩის აქაური ისტორია აფრიკულ ზეგბებასეთი კონტრასტით აღსავსე. და ასე ვთქვათ. უცხადრად დასრუბილი.

როცა აფრიკაზე ჩამოვარდება ბოღმე ხაუბარი პირველ რაგში იპაერთა ეგზოტიკა ანტერუხებს ყველას. იგი აქ პართლად თავსესავარია. აფრიკის ზუნდა გაცადებით ცხოველი, მრავალფეროვანი და მდიდარია ჩვენსაზე. ავადლოუნდაც აფრიკელი უნაკლური ევკალიპტები და ბაობაბები. მათი „უცხადრობის“ თაობაზე ვის არ სმენია — ჩვეულებრივი აკაციას კონტროლებში აძენს რადაც ეგზოტიკურ ნიშანთვისებებს. აქაურ აკაციას უშველებელი კობრები აქვს. რომელიც მჭიდრობს ხანს ჩვენებური აკაციის კობის მსგავსად კი არ სჯდება, დობიის მარცვალზე სამჭერ მსხვილ ნაყოფს შრამნელდით მოიხერის საქმოდ შორ მანძილზე და თუკი იგი შუბლში მოგვდება, კოტრა გამოწერილი გაქვს მე აკაცის „საფანტმა“ ხაქმოდ სჭელი ღამის შუშა გამოიტება. ამ დროს აკაციის ზე ჩემს თავს ასე, ოცოოდ შეტრიათ მაინც იყო დაშორებული.

ასევე გრობესულია აფრიკის ფაუნაც. წარმოიდგინეთ ათოღვე ჩვენებური ტარაკანა ერთად და მიიღებთ ერთ აფრიკულ მათ თანაზონებს. ომოდლად აქვე დროს მშვენიერად დაფრჩხავს. ასევე განცვიდრებაში მოგვიყვანს ჩი-

ტისხელა: დამის პეალები. ფარანები, ფროსანს ლეკვებს რომ გვანან შესახებდა. დამის გუნდებდა დაფრჩხავენ ისინი, ბოღმე დამის მსგავსად ადვირა ხის ტოტებზე კუდებით დაკიდებულნი. ისვენებენ, ნეტარ ძილს მისცემან. მსგავს ეგზოტიკურ უცნაურობებს უშალვე ვჩვევია. მათ შესახებ კი სათოხით შეიძლება ლაპარაკი.

მარგამ არ, გვხვდება სხვა სახის ეგზოტიკაც. კონგოში ჩახედის პირველ ხანებში მე ისეთი გრძნობა შეჩნდა, თითქოს ყველა ერთ სარტუნავს შეუბერო — რადაც ვახადებინა, გაყვარდა და მართლაც, საცალი საქონლით მოვაპრტებს აქ შეხედებით ყოველ ნახიჯზე მთელი დღის განმავლობაში. ერთხელ ასეთი სურათის მოწყვე გახვდი. დედაქალაქის ლიკუემის მახლობლად ზიქუნა მანგოს ხეების კორკმს ქვებით უმასპინძლებოდა. მწიფე ნაყოფის ჩამოგდება და მობდა და არც თუ აშად, ბოლოს მან რამდენიმე ცალად დააქუჩა ისინი და ას-ას ფრანკად დაუწყო გაყიდვა. მალე ველოსიპედისა ზიქუნა გამოჩნდა საიდანაც, მის სახარავლზე დადგმული იყო ნაუანთი სავსე მაციურის უფთი. იგი მანგოს გამოიდველ ზიქუნას მიუახლოვდა და რადაც საუბარი გაება მასთან, ბოლოს მათ ხანმოკლე მოლაპარაკების საფუძველზე თავიანთი საქონელი გაცვალეს. ერთი გროვა მანგოს მწიფე ნაყოფში ველოსიპედის პატრონმა ორი ცალი ლიმონის ნაუნი გაუხვია ბანანის ფროთლში თავის პატრონობს. რამდენიმე ხნის მერხე ორივე გამოიდველი დიდ შესვენებაზე გამოხედ ლიკუემის მოსწავლეებზე ასალებდენ თავიანთი საქონლებს.

და მაინც, ძალიან რომ შეეცადო აქაური ეგზოტიკური, წეს-ჩვეულებებიდან უმთავრების გამოყოფას, ეს აღბათ იქნება ცეცა. საერთოდ, აფრიკელბის მიდრეკილება ცეცისადმი. ისინი ცეცავენ წებისმიერი მოვლენის აღსანიშნავად მთელის გრადებითა და საიპოვნებით. კორწული, ზავშვის დაბადება, გასვენება, სადირობა, ხუნათება, მოსავლის აღება, სტუმრის მიღება და მრავალი სხვა მოვლენა ცეცით აღნიშნება. თანაც ყოველი ცალკეული შემთხვევისა და მოვლენისათვის განსხვავებული რეპერტუარი აქვთ შემუშავებული. აფრიკელი ცეცით ზულდგმულბის, ცეცა მისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი და უცვლდებითა როგორც კეცა და ძილი. ამ საიდუმლოს მალევე ჩაქვდი, მარგამ ერთი რამ დღეხაც ვერ გამოვიცა — როგორ შეიძლება მშვენიერებლად რამდენიმე საათი იცეცოს და ამინაშა ერთხელ, ქალაქ დუბოშოში. სიად ლიკუეს ეროვნული ანსამბლის მსახიობებთან ერთად ვერწებოდიოდი სახალხო ზეიმს, როგორცაჲ ჩვენც მკვიცივის საცეცადოდ, აღარაფერს ვიტყვი საერთარ თავზე, მარგამ ჩვენს პრეტენზიონლ მოცეცავეებზეაც საქმოდ მალე გამოიტყლათ აჩქათი. მხედველობაშია მისადეხა ერთი გაწირობება — აქაური სიტყვ. აფრიკელებია კი. თითქოს აქ არაფერი, ისე თავი-

სუფილად, ძალდაუტანებლად და ღამაზად ცვა-  
ვადენ, თვალს ვერ მოსწყვეტავ. ტაქტიკების  
რატომღაც უცნაურად უფროთი მუცლის კონთე-  
ნი, მთლიანად მუცელი, შხრები, ფხვები, ზღვე-  
ნი ცალ-ცალკე და ამავე დროს ერთად: ვაძრე  
სხეულის ერთი რომელიმე წაკეთი რატომღაც  
მიძრაობს, ტოკავს, მორთვ ამასობაში მოდენენ-  
ბულია, ისვენებს. აღნაპ ამითაც იხსნება აფ-  
რიკელების საოცარი გამძლეობა საცუვარი შო-  
ვანზე.

ფორმულად ცუდებზე ბლომად არის მოთხრო-  
ბილი და დაწერალი. ავი ასეთ უფროსელებს წამ-  
დავალად იმსახურებს. მაგრამ ცუდის რატომღაც  
უფრო დარღვევით ხშირად ანეთიარებენ ფილო-  
სოფიურ და პოლიტიკურ კონცეფციებისა. და  
ხშირად ეს კონცეფციები არც თუ ისე შიშო-  
ბური და უწყინარია პოლემ. ასე, მაგალითად,  
სენეგალს უოფილი პრეზიდენტის ლეოპოლდ  
სენგორის სენგორის აზრით, ცუდის რატომღაც—  
ეროვნული ფილანტროპია და ტრადიციული ხა-  
ლხური შემოქმედების ერთ-ერთი გამოვლინება  
— აუცილებელი შემეცნებისა და ქმნადობის სა-  
ფუძვლიან-საფუძვლად ჩანს. სენგორს შოკებს  
დესკანის ცნობილი ფორმულია — „მე ვარჩი-  
ვებ, ესე იგი, მე ვარსებობ“ და ამტკიცებს, რომ  
ეს გამოხატულება ესადაგება შიშოდან თეთრკა-  
ნიანთა ცხოვრების არსს. აფრიკელი კი, მისი  
სიტყვით, აზროვნებს არა გონებით, არამედ  
გრძნობებით: „მე ვცეკვავ, ესე იგი, მე ვარსე-  
ბობ“.

თქმა არ უნდა, გრძნობა და საერთოდ, ფსი-  
ქიკა განუხადვრად როლს თამაშობს შემეცნე-  
ბის პროცესში. ესმარება გონებას, აშლიდრებს  
და აღამაზებს მას ცხოველყოფილი ტონებით.  
გრძნობად-აქალი იღებდა და შეგონებანი გულს  
არ ეკარება, მაგრამ სენგორის კონცეფცია ქა-  
დავებს „შემეცნების უმადღესი ფორმის“ და-  
უფლებას არა გრძნობისა და გონიერების შერ-  
წყობის გზით, არამედ „გონიერების სფეროში მა-  
გაურისა და არაციონალურის შეგრძობის საშუალებ-  
ობით“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გრძნობით კი  
არ ავსებენ და ერქვანად გონიერებას, არამედ  
ენიანადმდებებთან მას. სენგორი წერს: „უცნ  
ღამეზავით მუქიანანი ნეგროფორული კი ვერ  
შედავს საგანს, არამედ შეგარძნობს მას. იგი  
სამუაროს აღიქვამს თავისი გრძნობების გამოშ-  
ვლადი ნერვოზი“. ასე იქმნება შიში აფრი-  
კელთა განსაკუთრებულობის თაობაზე. აფრიკე-  
ლი ცხოვრების განსაკუთრებულობაზე. აფრი-  
კელ რეპოლიტოლოგი. აფრიკელ ბოციალურზე.  
სენგორის რომ დაუფერარი, კლასიზივი ბრძო-  
ლა, შიშოდ ეგრძობის ქვეყნები რომ მოიცვა თა-  
ვის დროზე, ახსოვდებოდა მუდგებულა აფრი-  
კისათვის. მის ადგილს აჭრის მოცუვავე ხა-  
სიფელი თემის იდეალი.

დღეს სენგორის კონცეფცია დასავლეთის შრე-  
ვალმა სოციოლოგმა გაზიარა. ფრანგი ფილო-  
სოფოსი როვე ვაროდი ამტკიცებს, რომ „რატ-

მული ვიბრაცია — ეს იქნება ცუდითი რატომ-  
თუ კადოქიის მოთქმა-გოდება „მისივე მოღ-  
თამაშობის აფრიკელის ცხოვრებაში“ (სენგორი, 1973).  
ღობს ასევე აფრიკელ რეპოლიტოლოგი. როგორც  
განსაკუთრებულ მოვლენაზე, რომელიც კლასი-  
ზივი ბრძოლის შედეგად კი არ წარმოიშვა  
არამედ „სულს დათოური გაყისკროვნი“-  
შედეგად და ასკენის, რომ მარქსიზმი აფრიკე-  
სათვის შეტად უფრო და მიუდებელი მოვლენაა,  
რომ აქაური გარდაქმნები სხვა ეტალონებსა და  
მოვლედებს უნდა ევრდნობოდეს.

ამ იდეოლოგიური მიზის წარმოქმნაში არა-  
ნაკლებმნიშვნელოვან როლს თამაშობს არაცი-  
ონალისტური ტადლები, მძლავრად რომ ვადა-  
უარა დასავლეთს. ევროპელი ფეტრიზისტები უფ-  
რო და უფრო ხშირად მიმართავენ აღმოსავ-  
ლურ ფეტრებს. ასინი ეძებენ პასუხებს კოს-  
ვეტზე, ფრანგი მეცნიერი, ეთნოლოგის სპეც-  
ალიტი ენა ფეტრ წერს: „არწმინა ფეტრების  
არსებობისა და ამინაენებს განუტკიცებს არწმინას  
სუფთა, სამართლიანი და სეტაკი შორეული  
ქვეყნებისა და ზალბების არსებობის შესახებ,  
ზალბების, რომლებიც გამოარჩევიან თავიანთი  
სიწმინდით, უანგარობითა და სამართლიანობით,  
ეს ზალბები შათივის მაგალითს და ზნის იმედს  
წარმოადგენენ“.

ასე მსჯელობენ ისინი. შიშელი ანდრეულების  
მარქლეზ დასავლეთი აქრობდა აფრიკელი  
მიწებს, შიშობ და მამულით წვადა და ანად-  
გურებდა მათ ფეტრებსა და ღმერთებს, რათა აქ  
საუფროდ დაემკვიდრებინა თეთრი ავსი ქიას-  
ტი. აფრიკელი ცუდებზე სასაცილოდ იყო ავ-  
დებული, ვანუთარებელი ამორავების კუ-  
ლტურად იყო მიჩნეული. ამორავებისა, რომ-  
მელთაც ზოგად მიიხსენებდნენ. ხოლო ახლა  
ხანს ჩამოშორდა მათგან და ნათლავდენ.

კოლონიზატორების დაარსებულ ლიკეუ-  
მებსა და კოლექტში კონკრეტულ ბავშ-  
ვებს ზაუნერგავდნენ ურველად ადგილი-  
ბრივის. ტრადიციებისა და წეს-ჩვეულები-  
თა სიძულვილს, ცდილობდნენ მათ სულში ძირ-  
ფესვიანად აღმოფხვრათ ეროვნული განწყო-  
ბილებანი, ჩავსოთ ეროვნულა ხიამავე და თავ-  
მოყვარებობა. და, ი, უცხად ირცევა, რომ აფ-  
რიკელები თურმე მდამალი კი არა მადღაგა-  
ვითარებული არსებებია ასინი ერთიანად აიანს  
შერწყმული კოსმოსის, მათ ვარს აკრავი  
ზღაპრული ბუნება და ამიტომაც მათი გრძნო-  
ბება დანაწევრებული როდია, არამედ შერწყ-  
მულია ამ გატეხილული ბუნების პრავლფე-  
როვნებასა და მთლიანობისთან, და, მართალია,  
ისინი არსებობენ გრძნობათა ხამუარობი, მაგ-  
რამ მათ არ აწუხებთ ეს გრძნობები და განც-  
დები.

შეზღვეულებათა ამ შეტამორფოზში არის  
თავისებური ლოგიკა. თუკი ყარგად დაუფიქრ-  
დებით, დასავლელი სოციოლოგების ხატოვ-  
რი ჩვენთვისაც ნათელი შეიქნება. აქ, რა თქმა

უნდა. საქმე ედება არა ზღაპრული ბუნებისადმი ნოსტალგიას და არა ცეკვებს, არამედ უფრო თანამედროვე, კაპიტალისტური სამყაროსა და მისი ცხოვრების წესისათვის წინადასრული რეაქციებს, სადაც მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „წივების დაგროვებასთან ერთად აზრდება უცხო დებულებათა მოშლაცარება, რომელიც სტრეობაშია ექცევა თვის ადამიანი“. კაპიტალიზმი თავისი საგნობრივი დამოკიდებულებებით სინამდვილეში ამდაბლებს ადამიანში თავისთავადსა და ბუნებრივს, ამხანაგებს მის სულს. და აი, იძულებულა ხდება გადაიღოს ის, რაც მას არ გააჩნია. მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ ამ პროცესში თავისი შებედილუბანი როგორმე ისე წარმართოს, რომ ადამიანთა აზრი შეაპროს არა კაპიტალისტური ჩაცვრისაგან განთავისუფლებას აუცილებლობას, არამედ აქცენტი გადართოს ფსუტატურა მატერიებისაკენ.

ასე იქმნება ლეგენდა პრამიტული აფრიკელ-განთავისუფლებულზე, რომელსაც უმღერა თავის ლექსებში ცნობილმა ინგლისელმა პოეტმა ემე სეზერმა:

დიდება, ვინაც ღირებული რამ ვერაფერი შექმნა ცხოვრებაში.

სანუღვეში რამ ვერაფერი ვერ მოიფიქრა, ვერ დააბურა ნეტარებით მოყვასი თვისი. მაგრამ საგნების არსში განიფული შიანც არსებობდა.

და უნებურად მიპყვებოდა მათ მოძრაობას, დღევანდელ დღეზე არც უფიქრია, მაგრამ ცხოვრობდა მით ეშვით და

სილამაზით.

ქუშმარტიო მსახური ბუნებისა...

სულის ვარება

ქვეყნის ქარებისთვის რომ განუბნია და ტარი თვისი უცხოებასზე აზრითებულ სამყაროსათვის...

...მთელი უფრადების დაძაბვა დამპირდა რომ სუბერის ეს სტრაქონები გაშვებნებინა როგორმე. ამასობაში კი, ჩემს გვერდით მოკალთებულმა წაგვა შეიარსებლად ჩაფრწნოდა „ღუნდარ-როვერისს“ საქმე. ვერაფერ იტყოდა მასზე პრამიტული აფრიკელით. ვერც მასზე და ვერც სხვა ახალგაზრდა კონკოლეტზე, მე რომ ვაყვანი აფრიკაში მოგზაურობის დროს. მათ განსაკუთრებით აინტერესებდათ მეცნიერების სოციალური დარგები — ფილოსოფია, პოლიტიკონომია, მეცნიერული კომუნიზმი და სიმოცნებოთა ეტულებოდნენ მათ. პირველ ხანებში, ბუნებრივად, უჭირდათ, მაგრამ თანდათან უფრო და უფრო გააზრებულად, დრმად და შემოქმედებითად ერკვეოდნენ ისინი დიალექტიკისა და მატერიალიზმის პრინციპებში. რატუნდა არც უნდა. არც ცხარე კაბით იყო გამოირსებული, ჩვენს შეუადინებას უბედობდა კლდე-

ვაც აზრთა გაცვლა-გამოცვლა, იგი მერ სარწმუნობება და ინტერებს სტენდარტს და წასწამოვნო იყო იმისა აღმოჩენა, რომელსა მომწიპალებში როგორ თანდათან იცვლიდნენ თავიანთ შებედილებებს, ელეოდნენ ძველსა და დროშუმულს და თანამედროვე პოლიციებზე დაგობდნენ, ასე თევისებდნენ ისინი. პროლეტარიატის დიქტატურის იდეოლოგიას. შეუადინობას და სახარულს მრავალი მათგანი უკვე დამოუკიდებლად ედოლობდა გარკვეულიყო ხაზინაო და საგარეო, მთავარ და მეორეხარისხოვან საყობებში. ანტაგონისტური და უკანასკნელი რევოლუციების წინააღმდეგობებში. ანაღიზებდნენ კლასობრივი ძალების მდგომარეობას, განსაზღვრავდნენ ქვეყნის სოციალისტური განვითარების პერსპექტივებს, ერთმანეთისაგან არჩევდნენ შტერსა და მოყვარებს.

წაგნავს უფერად ამილკარ კაბრალის სიტყვების გაშორება: „როცა შენი ქოხი იწვოს ტამბები ვერაფერს გაშველიან“. გვინა-ბიანუს რევოლუციის ბელადი აფრიკაში განთავისუფლებული მოძრაობის მთავარ ნაქლს იმაში შედავდა, რომ მას ხშირ შემთხვევაში არ გააჩნდა სათელი იდეოლოგიური მიმართულება, კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობის შეგნება, სწორედ ეს, რასაც ხეგჯორა მთავარ დარსებდა მიინცვდა. ინტერალიბიტებმა მოკლეს კაბრალი, მაგრამ მას დარჩა მრავალი თანამოაზრე. წაგნავს ერთ-ერთი იმთათანაო. წაგნავს ცოცხალი უარყოფა საევეო წალაებევისა, თოქოს აფრიკელის სული სტატკურია თავისი ბუნებით, და რაცოწალურს იდეოლოგიის შეგნენება მას არ ძალუდა.

...ხოლოს ჩვენ მივადწივთ ერთ სოფლამდე, რომლის აღწერასაც ამემათ არ შევუდგებო, შიოხველა ალბათ ხზარად უფურებს ხოლმე სატელევიზიო გადაცემას — „კონომოგზაურთა კლუბი“. ასე რომ აფრიკული სოფლის გახსენებაზე მას მუისიერად თვალწინ წარმოუდგება ხოლი მთავარ ქუნკლების თავზე. უცნაური ტერმინები, უფრარსტაკი, ჰალისქედინარი ქოხები, თეირად მზხინვარე ნიხამაკილებიანს ამორიგენების მოციანარი ხაზებში, ერთა სიტყვით, ტროპიკული სამყაროს სტრეოტიპი ყველა მისი გამოვლინებითა და კომპონენტით.

სიამაღლე ვითხარა, ამეამად, განსაკუთრებით მოსკოვური თოვლებუპობის ვაშს, მე თეთრონაც გარდასულ დღეებს რომ ვავიხსენებ ხოლმე. პირველ რიგში ეს თბილი მთავარე და მზხინვარე ნიხამა კლუბები წარმომიდგება თვალწინ, ასეთია, ეტყოთ, მახსოვრობის თვისება. მისი კი, კარგად მახსოვს, როგორ ვწარალედიდა შოლამისას მაგარ სარწოლში. მართალია, მე, როგორც სტუმარს განსაკუთრებული პატივი მიზაგებს და ხის ხარული დამიბიუნს, მოზადილი ქიხის კლუბში რომ იდგა, ეს ხარული წაგნავს შეგობრის, აქაური ცნობილი მონადირის მუამბესა გახლდათ. შედ სუთი შეწარის ეფრის, რაც აკვას



ტომში დიდ ფუფუნებად იყო მიჩნეული. ამ ანე ვწრიალდები ამ საწოლში ზუღაღისას და ძილურანში ჭნგდღებსასათვის დამასასათებულ იდუალებით აღსავსე ხმებს ვაუტრადებდა. ხან-გამოშვებით გარედან ნადელიანი კვიათისა თუ პოპულური ხარხარის ხმები აღწევდა ჩემს უფრო-თასმენამდე. ჭნგდღებში თამაშდებოდა იპაურა კომედია და ტრაგედია. ერთხმად ზუგოდ-ნენ კოდები, ცდილობდნენ და არც თუ უშუ-დეგოდ დამყველ ხადებში შემოძვრომას. მე ოფლში ვიხითქებოდი და მშურდა წაგახა, ტყილ ძილს რომ მისცემოდა და კოველივტ მას ანუშვიც არ ავდებოდა.

აკვას ტომთან ორი დღე ვავატარე. მონაწი-ლეობა მთავალ მაიჭუნებზე ნადირობაში, იპა-ურს მსუპოტრებლებთან ერთად ვაუოფდი ტრა-გეზს და კოდვ და კოდვ ვტყებოდი მათი ში-მისილვა ცუკვით.

...ტრადიციული ცეკვა ბუგა ბუნებრივი გავ-რძელება იყო ტრადიციისა. მოცუკვავებში კრავდ-ნენ წრებს და ჭერ ნელა ამოძრავებდნენ ფეხებს ადგაღზე, შერე კი ტამტამების რიტმულ ტემპს აჟღელდნენ. თანდათან დაძრებოდნენ. ფეხს აუნ-ქარებდნენ, ერთი მოხატა წრებს გამოეყოფოდა. შიგ ზადებოდა და სოლი პარტიას ასრულებდა. მერე ადგალს უთმობდა სხვას, რომელიც ახლ-თავის ნომერს ცუკვავდა.

ზოგჯერ მოცუკვავს მაიმუნის ტავი-სავან შევრილი პარიკი ეტურა. წაგვან ამოხსნა, რომ ასეთი პარიკის ტარების უფლება მხოლოდ ტომის რჩეულებს ჰქონდათ. მათ აქაურა წესათა და კანონთ ნაწილობით, საერთოდ, ნა-დავლის განაწილებისას უყუთებს უღუფაც ხედ-ბოდათ. რჩეულებს მუავად სხვებზე მეტი ცოდვ-ბი, ხანდაზო ოცდაათამდე ცოდვი კი. პოლივა-მისს ქვეშ არც თუ იწვიათ იმალეობდა და ახლაც იმალეობა მრავალრიცხოვანი ცოდვების დაქირავებული მუშა-ხელის კვალბაზე ექს-პლუატაცია. ძირითადად იხინი ამუშავებდნენ ში-წას.

მთუბედავად მიწის ფორმალური ნაციონალი-ზაცია მრავალ ხოფლში მას ძირითადად ტო-მის ბელადები, ანდა გვარის უფროსები გან-გებენ. მიწათმქმედებათთან დაკავშირებით ვუ-ვლა საკითხზე მათ უნდა მიმართონ დანარჩენებ-ში. ამჩრადე. ტომის რიგითი წევრებისა და თა-ვაცების ურთიერთ დამოკიდებულება ნახევრად-ფეოდალური ხასიათისაა. ტომის ბელადის მიერ გამოყოფილი მიწის საზღვრად რიგითი წევ-რები ახლევნ მას მოსავლის ნაწილს ანდა გარ-კვეული დროის მანძილზე ამუშავებენ მის კუთვ-ნილ საჯარულებს. სხვა ხასის შემოსავლები-დანაც ვეალებათ რიგით წევრებს განკუთვნილი ნაწილი უზიარონ ტომის ბელადს. ეს იქნებო-მოსავლი, ნაწილობით თუ თევზი. ასე რომ ახ-ლადან რომ ზაუკვირდეს ადამიანი, აფრკიულ ტომის უოფითა ურთიერთობის მოხაყა არც თუ ისე იდეალურ სურათს წარმოადგენს, რი-

გორც ამას გვიხატავენ პარპიტული პაროგ-დოებისა და მისი შორალის ანტირეგულაცი-დღის ცხოვრების პატრიარქალური წესი. გიწი შეურელებლად ინტრევა. მართალია, ერთ-ობ ნელა ტემპით, მაგრამ ტექნიკური პროგ-რების მაისე იჭრება ქვეყნის მთავარდნილ კოზი-ტში. ეს საერთა თაგზე განიცადეს თვით ვუ-ლაზე ჩამორჩენილი მაგმების ტომებზეც კი. დღეს მათ არც თუ იწვიათად იუნებენ როგორც დაქირავებულ ძალას ხელონურ სამუშაოებზე მო-ხოფლო-სამუშაონეო ფერმებს. იზრდება ში-რათობა ქვეყანაში კოპიატრული შეურე-ბების ჩამოსავალიებლად. სოფლის შეურჩე-ობის კოპირირების იდეა თანდათან უფრო პოპულარული ხდება კონკოველებისათვის. არიან, რა თქმა უნდა, ისეფებიც, გარდასულზე რომ დაჩდობენ და ძველი უოფის შემორჩენებაზე ოცნებობენ.

**შედეგებს ბანანარეზებზე? არა, საბოტაჟი!**

...იდეოლოგები თხზავენ არაკებს ირაციონალ-ური აფრკიული სულს იმპორტზე. იმპერიალის-ტები კი აჭრდებენ აფრკიული სემიდირე-ბის ძარცვას და იმპორტს ამ კონტინენტადან, ეს არის ოქრო, ჭიჭიფასი ქვები, ნავთობი, ურ-ანი, კობალტი.

...კონკოს იმ ნაპირიდან, სადაც ცაში ელ-ველაობენ კონსანის მრავალსაოფლიანი კორ-პუსები შიფლი დღეების განმავლობაში მოის-მოდა საავიაციო ძრავების განუწვევებელი გუ-გუნი. თითქოს მაერეც ცატაბებდაო არგვლა, საწინელი ზანზარა გაქონდა უკვალაობს. ეს ამერკიული „ლოკობლები“ ეზიდებოდნენ ზო-რის დედაქალაქში იარაღს, საბრძოლო მასა-ლებს, საწვავს. ერთდროულად სამხრეთში, ში-ბას პოლიციისაში სხდებოდნენ საფრანგეთის საზღვარგარეთული ლეგიონის ქვეგანაოფები და ბელგვილი პარაშუტისტები. დასავლეთის ქვეყნებს კი კოდვ ერთხელ სცადეს დახმარება აღმოეჩინათ შობუტუს სულთმობრძავი და ხალ-ხისათვის საძულველი რეჟიმისათვის. ჭერ კი-დევ ჯდმოსხდომამდე ფრანკი პილოტები რეი-ადებს ამოსცილებდნენ ზაირის შეაარაღებულ ძალებს „შირავებში“ აგანებულთა წინაღ-დეგ და იხინი რომ არ გამოეცნოთ ხაზებს შავად იმურავდნენ.

ზაირის რადიოს ვერსიით ფრანგი გარისკე-ბი ახრულებდნენ „კუმანარ მისას, აცუადნენ უცხოელი მოკალაქეების უზაფრხოებასა და ქონებას აგანებულთა ხელყოფისაგან, რომ-ლებიც მოსკოვისა და მადანის ინსტრუქციით მოქმედებდნენ“. ზაირის ტელევიზიით აჩვენებ-დნენ დაზოცილებს და ღაპარაკობდნენ „სამპოტო და კუბელ დაქირავებულთა“ მხეცობაზე. ასევე სამპოტო აცურირის მხეცრუებაზე — ხელში ჩა-რგდეს ზაირის კობალტის, ოქროს, ალმასები-

სა და ხაილენის მდიდარი სახაღობი. კომუნის წევრების იდეოლოგიურ ექსპანსიულ აფრიკის ქვეყნებში და მრავალ სხვაზე.

ნორმალურ ადამიანი. ელემენტარული აზროვნების უნარი რომ გააჩნია, მსგავსი ტვინი უნდა იქონიებდა არ გაუჭირდება. უბრალოდ, საჭიროა ცხოვრების რეალურ ვითარებაში ვარკვევა. ამერიკული კაპიტალი შტატებში დაშვიდრდა ზაირის მოშორებულ, ტერატორიულ და ნეოლოზალურად მშენებელ ინდუსტრიაში. ბრატანთაბა კი — სოფლის მეურნეობაში, დასავლეთატლანტიკაში — სატყეო მრეწველობაში, საფრანგეთისა — ვადამშენებელ სფეროში, იამბოისა — სახაღობის დაშენებებში, ბელგიაში — შიდა და საგარეო ვაჭრობაში, აქ მხედველობაშია მისაღები ის ვარაუდებიც, რომ მულტინაციონალური მონოპოლიებისა და კომპანიების ზღაპრული ვაჭრობების კვალბაზე კატასტროფულად თვალხიზაცემად იცემა მშრომელთა ცხოვრების დონე, თავისი დღიური ხელფასი სასოფლო-სამეურნეო დარგის ზიარულ მუშას ნახევარი კილო პურის საყიდლად ძლიერ ჰყოფნის. საქარისია მიეღო ეს ციფრები და ფაქტები შოგიშედეგილი და უმაღლე ნათელი გახდება ვის აძლევს ზღუს დღევანდელი ზაირის რეჟიმის სტაბილიზაცია.

მე მომეცა საშუალება კინსასში მოგზაურობისა, ზაირის სანაოსნო კომპანიის აუროლებულმა, ხანავე უსთივით გაბინებულმა, ბრაზავალში მოსაქმე ზარბელი ვაჭრებით, სემუ-ლიანტებით, ჭურღებით და შევაჯებიტ გაქვდილ-და ბორანმა წელა გადახვარა მდინარე კონკო რომლის სიგანეც ამ ადგილას ზუთ კილომეტრს აღწევს. და, აი, შე ვდგევარ ამ ცათამყენებთან, მრავალმეტრ რომ დამიღლიდავს მდინარის გაღმა ნაპირიდან. უველავი შალაი მათ შორის მთლიანად გუთონის ბრალადტებით მოვაჭრე სერკოშორისო კონსორციუმს. ცენტრალურ შეხასვლელში ულტრაპოდური „როდს-როისება“ და „შერსედებება“ ზიზნიშებენ, და იჭვე ახლოს მტევნებმოყვითოლ შილავეებს იჭვეტენ კეთილგონი მათობტრები. საილას ვადამეოფობით დაეკიდებულნი კი თავისთი დასიებულთ ფეხების დემონსტრაციით ცდილობენ გახვედლეთა უტადებებს მიაჭრობას. იბზოვენ მოწუალებას. ახეთია ფუფუნება და სიღატაკე ნეოკოლონიალიზმისა.

ახეთია არა მითორი, არამედ რეალური დამოკიდებულება დასავლეთისა აფრიკისადმი. ამპერიალიზტური ძარცვა ვრძელდება.

„...მუნტ-ნუარი სიტყვა-სიტყვით „შეწერტილს“ ნიშნავს. ოდესღაც ეს იყო წერტილი აფრიკაში, საიდანაც ახალ სამუარობა ეზადებოდანე ცოცხალ საქონელს, შეეკანაჲ ყუმბის გამოწვარაშემოს თანახმად აქედან წაუვანილია მილიონზე მეტი ადამიანი.

შარლოტა სუზა სასტუმროს მენატრონე ქალმა გამაცნო, ბუნდ-ნუარის ამ სასტუმროში

ცოტა ხნით ვიყავი გაჩერებული. მენატრონე ქალმა ვახვამზე მიშპატია და შეშპირდა, რომ თავის მეგობარს, ფრანკო-კონგოელს ნიკო-თობკომპანიის — ელფ-კონგოს პაროტეჟე შირულ აქტივისტს, „მეტად საინტერესო ადამიანს“ გამაცნობდა, რომლის უარსაც ზიარად „მშპაქციებში კი უწევდნენ ანგარიშს“.

სალამის მეორე ხართულზე ავედით სასტუმროს მენატრონესთან. მისი ოთახის ზღერბლთან ვიღაცის მხრანებულურს ხამ შემაჩერა. მან გამართული რუსული ენით მომმართა: „შოიტა ფული, თავხელი!“ ჭერზე დაკიდებული გალიიდან თვალდაუხვეტილი შემომცქეროდა ხიოვანებისაგან ფერახუნებული თეთიყუმი. შემომცქეროდა უოფრად და მომხიბვნილად. შე ვეცუბნედი რეკლიმდებლობისაგან, მან კი, უთუბა, მეტად ნაბამოვნებმა თავისი იდეტტური გამობდომით, შემოიკვებლურად მიხარა: „კარგი, გაიარე, უტიფარო!“

მენატრონე ქალმა გაიცინა: — ეც თქვენმა შეთვევებმა, მაჩქეს. მეტად სასაცილო რამეა, ლანარაკობს ფრანგულად, ესპანურად, მაგრამ უმარატესობას მაინც რუსულს ანიჭებს.

როცა ჩვენ მავიდას მიუხებდით და ვახვამს შევეცქეით თეთიყუმად არ დახანა და კვლავ დაიძაბა: „ღორა, ზეოქე კომპოტა, მხუფე რამეა!“

შარლოტა სუზა — 1963 წლის აგვისტოს რევოლუციის აქტიური მონაწილე აღმოჩნდა, რევოლუციისა რომელმაც დაამბო ფ. იულენ ნეოკოლონიალიზტური რეჟიმი და დახანა არაკაპიტალისტური განვითარების გზა კონგოში. შარლოტა რამდენიმე ხანს საფრანგეთში ცხოვრობდა. სწავლობდა უნივერსიტეტის დაუსწრებელ კურსებზე, სადაც იგი მოაწვევს ქმრას ახანავებებს, ბუნისიტებმა. ესწრებოდა საქარს ლექციებს, კონს კათოლიკობდა კონგოში დაბარუნებხანავე შევიდა კონგოს მშრომელთა პარტიაში, რომელაც 1969 წლის ბოლოს დაარსდა. პირველმა მმართველმა პარტიამ აფრიკაში თავისი საქმიანობის საფუძვლად შარტისშეღინაზის იდეოლოგია იარჩია. ერთდროულად კონგო ვამიცხადდა სახალხო რესპუბლიკად, რომლის დროშაზე გამოსახულია შრომის ნივთები — პალმების ტოტებისაგან ვერტკვიწმონწეული ოქროს ვარსკლავი და მის ქვეშ გადაჭვარედიბებული ჩაქობა და თიხი.

ეს არის პირველი წილელი დროში აფრიკის კონტინენტზე, სადაც სულ რაღაც ცოტახნის წინათ ვანუოფლად ბატონობდნენ იმპერიალისტები, მშენაარებდა ანტიკომუნისმი და რელიგიური ცატრწმენებს ბოპოქობდნენ. რევოლუციამ მშრომელ მასებს რწმენა და სიყუდიტარი ოპტიმიზმი ჩაუსახა გულში. შარლოტა სუზა აქტიურად ჩება შერეული ნავთობმომკვებელი კომპანიის — „ელფ-კონგოს“ პაროტეჟეშირულ საქმიანობაში, სწორედ აქ ჩა-

ხედა იგი საბოლოოდ, რომ პოლიტიკური და მოუკიდებლობის გამოცხადება და წითელადროშის აღმართვა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა სრული თავისუფლების მოპოვებას.

— ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის, რომ საკუთარი ძალებით ფინანსური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით არ ძალგვიძს მთელი ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისება. ისიც გავგეგვება, რომ ფრანგ კომპანიების, რომელთაც შეეღწის დამუშავება ითვეს თავზე ხელს რადი გადამცემსა და სხვა, ჩამორჩენილობისათვის მძიმე გადასახადს შევადრებდნენ. მაგრამ ჩვენ ვიფიქრებდით, რომ ნავთობიდან მიღებული შემოსავალი კვეყანას დაეხმარებოდა გაკონსერვებული კრიზისიდან თავის დაღწევას. უნდა ითქვას, რომ თავიდან უველიადერი კარგად მივიღო, მარტო 1972 წლიდან დაწყებული 1974 წლამდე ნავთობის მოპოვება 14 ათასიდან ორ მილიონ ნახევარ ტონამდე გაიზარდა. ფრანგულ კომპანიის „ელფის“ შეთანხმების თანახმად პროდუქციის წილი თითოეულ პარტნიორზე მისი მოპოვების კვალობაზე განისაზღვრება. წლიურად სამ მილიონ ტონამდე ნავთობის მოპოვების შემთხვევაში კონკოს წილად მიიღოს მთელი ამოდებული ნავთობის 20 პროცენტი, ხაზიდან 10 მილიონ ტონამდე ამოდებულ ნავთობიდან კი ჩვენი წილი იზრდება 25 პროცენტამდე. ხოლო 15 მილიონისა და მეტის მოპოვების შემთხვევაში ჩვენ გვერგება უკვე 40 პროცენტი.

წარლტა ერსიხანს გასულიყო, ჩაფიქრებულმა კოწით ყავას მოურია. თუთუღშეც ისარგებლა შემთხვევით და ეს ჩამოვარდნილი პარუზისებე შეავსო, უპაეღად გამოაცხადა, რომ წვიმა იქნება. აქერად ფრანგულად იტება ხაუბარი. ხოლოც კი ესანერად დაამატა, რომ მას ძლი ნებაა. ჩვენმა მასპინძელმა მხუტუქი საჭერა გადააფარა გაღიას, წარლტა სუზამ ეს განაგრძო თავისი საუბარი:

— ნავთობის მარწყვლობასთან დაკავშირებულ საკითხებს თვით განხევენბული პრეზიდენტი მარიან ნუზუბი განავტება. იგი ხშირად ჩამოდიოდა პუენტ-ნუარში. მასვე ვერუონის ჩვენთან ნავთობის გადაქარავი ქარხნის მშენებლობის იდეაც. გადამუშავებული სახით მისი ვაყიდვა გაცილებით მოგებინანია ვიდრე გადამუშავებულბია. ამასთანავე კვეყანა მომარავდებდა საკუთარი სათბობით, ბენზინით. ამავე დროს ქარხანაში უამრავი უმუშევარიც დასამუშებოდა. საწარმო საზღვარგარეთ შემუშავებული ტექნოლოგიით აშენდა. თქვენ თვითონაც იუავით მანდ და დათავაღერებთ იგი. დამეთანხმებით, რომ სოლიდერა საწარმოა.

— მართლაც თანამეტკდავა. ოღონდ რატომია გაბერებული? მე შევნიშნე, მუშებმა უსაქმურობისაგან აღარ იცოდნენ რა ექნათ და ეროში ყუავილების რგვით ერთობოდნენ.

— უველიადერი მარტივად ახსენება. ტექნო-

ლოგიამ არ გაამართლა. მწურობიდან გამოვიდა. — განაგარიშებებში დაუშვებს შეცდომას? — შეცდომა რომ იყოს, რა უნდა გეხდებოდეს? — ვითომ საბოტაჟი?

— ეჭვგარეშე, საბოტაჟი! ნავთობის დარჯეი ექსპერტებმა შეისწავლეს დოკუმენტაცია და აღმოაჩინეს, რომ მთლიან სქემაში გამოტოვებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი ნავთობის გადამუშავებისა, მაგალითად ისეთი მომენტი, როგორცაა ნავთობის მასიდან ზღვის მარილების ნაერთთა გამოცალკეება. როცა მთელი ქარხანა დამონტაჟდა, აღმოჩნდა, რომ იგი გათვალისწინებული იყო სულ სხვა სტრუქტურის ნავთობისათვის, ა.ი. მაგალითად, ხაუდის არაბეთის ნავთობისათვის.

— იქნებ მართლა განაგარიშებებში მოუველიათ შეცდომა?

— გამორიცხულია. მეზობელ გაბონშიაც ააშენეს ქარხანა, მაგრამ მშენებრად მუშაობს. ჩვენმა კი მთელი ამ წლების განმავლობაში ერთი კილოგრამი ნავთობიც ვერ გადამამუშავებდებოდა ილუსტრაციათა ნეოკოლონიზმის სახელმძღვანელოსათვის, ხომ მართალია?

— თქვენ, აღბით, პროტესტი გასაყვადეთ...

— შერიც! აქლაცაა შევიტანეთ მაგაც საერთაშორისო ტრიბუნალზე და მოვითხოვეთ სასამართლო ვარჩევა ამ საქმისა.

— ისე, როგორ მიდის ნავთობის მოპოვება. იზრდება?

— არც თუ მთლად კარგად. მე ზემოთაც აღვნიშნე, რომ სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან მისი მოპოვება კარგად წარმოართამეთქი. მაგრამ მას მერმე ადგილზე ვბუქნაობთ. ორ მილიონ ნახევარ ტონას ვერა და ვერ გავცდით წლას განმავლობაში.

— სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, კონკო დებულობის წაღის სახით მხოლოდ 25 პროცენტბ. არა?

— დიახ. ასეა. მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში როდი გახლტე. ვფიქრობ, რომ პრობლემა უფრო პოლიტიკური ხასიათისა ვიდრე ეკონომიკური. არჩეულ ორინტენტაციაზე უარი რომ გავცავსაბოლო, ე. ა. სოციალიზმიდან გადავუხვიოთ, ნავთობის ამოდება საგრძნობლად გაიზრდებოდა. ჩვენთან არიან ძალები, რომლებიც ასეთ ცვლილებაზე უარს არ იტყოდნენ. კაპიტალისტურ ვაზს დაადგებოდნენ. ისინი გვარწმუნებენ, რომ ჩვენთვის ასეთი ცვლილება მომგებინანი და ხელსაყრელი იქნება. ნათქვამის დასტურსაყოფად ნავთობის მოპოვება თქმა უნდა, ეტ ხსნულდოდა. აიღეთ მეზობელი ზაირი, რომელიც კონგოზე გაცილებით მდიდარია. და მერც, რა? ცხოვრების დღეებ იქ გაცილებით დახალია ჩვენსაზე. თუმცა მე რას ვამბობთ, თქვენც მშენებრად მოგვხსენებთ ეს ამბავი. მიუშვიტ მათ თითი, ამწუფთი მოგუამენი ასე რომ გვიჩვენებია საკუთარი ვიო



ვიარით. მაგრამ ვიდრე საკუთარ ფეხზე შეარად დადგებოდეთ ათხანაირი ლაფირება გვიხდება, ხხვა რა ჩარაა, იმპერიალისტებს შორის შექმნილი წინააღმდეგობა უნდა გამოვყენოთ როგორმე. ამჟამად პუნტ-ნუარში შეღლის დამუშავებზე აქტიურად მუშაობს იტალიური კომპანია — „აჯიპი“. იგი, მე მგონია, ჩვენს „ელფსაჲ“ შეუფუძვნებებს.

მოვლენებს გავუწვდებ და ვიტყვო, რომ ამ ბოლო დროს ნავთობის მოპოვება მკვეთრად გაიზარდა. ის კი არა, ამჟამად ნავთობის ბუმზეც კი ლაპარაკობენ კონგოში.

როცა ჩვენ დავმშვიდობებთ ერთმანეთს შარლოტამ მოთხრა, ზომ არ მწნებადა ნავთობის პლატფორმების დათვალეირება. მე ვუთხარი. დიდი საიმოვნებით, მაგრამ ხეალ ბრახავილიში უნდა დავბრუნდე აუცოლებლად-მეთქი.

— მაშინ ხხვა დროისთვის გადავდოთ. როგორც კი ჩამოხვალთ მაშინათვე დამირეკეთ.

მეორედ პუნტ-ნუარში მოსკოველ მასწავლებლებთან ოდნეც ცუკანოვთან და იური კისილიანთან ერთად ჩავედი. ჩვენ მოხსენებებით გამოვდიოდით მუშების წინაშე. მუშათა კლასი კონგოში ნელა ტემაით, მაგრამ მტკიცედ იზრდება. განსაკუთრებით ეს იტქმას პუნტ-ნუარზე, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ ცენტრად არის მიჩნეული.

შარლოტა ხუზა ხიტუვის პატრონი აღმოჩნდა. დილაადრია ჩვენ შევხვედით ერთმანეთს კომპანია „ელფ-კონგოს“ ერთ მომსახურე დრომზე. გამოირკვა, რომ ჩვენს ვიზიტზე თანხმობის მიღება არც ისე ადვილი იყო. აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ხელს არ აძლევდათ ეს ამბავი. ისინი ისმენდნენ ჩვენს გამოხედებს რადიოთი და ბევრი რამ ჩვენი ნათქვამიდან არ მოსწონდათ. მაგრამ მათ უარი ვერ უთხრებს პარტიაკეშირების მოთხოვნებს და გულში წუენაჩამარბულები გაატრუნენ. აეროდრომზე ერთს ცოვად შევხვდნენ. შარლოტამ გვითხრა, ამას უურადღებას ნუ შიაკტევეთო. ვიდრე შეუღლმფრენში ჩავხდებოდით ჩვენ გვითხრეს, გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვის ანდერძი დაგვეწერა. ოდნეც ცუკანოვმა სერიოზულად შეითხა ჩვენს შევზურს კონგოში ანდრე ონგანის, ჰყავდა თუ არა შეიღები. როცა გამოირკვა, რომ ერთი გოგონს პატრონი იყო, ანდერძში ჩაწერა, რომ რაიმე უხედურების შემთხვევაში მთელ მის უძრავ-მოძრავ ქონებას ურსულას, ე. ი. ჩვენი შევზურის ქალიშვილს უტოვებდა, რაზედაც მიშეღმა — შევუღმფრენის პილოტმა; რომელიც მთელ ამ პროცედურას სექტიკურად ადვენებდა თვალუფრს თავი ვერ შეიკავა და ერთი ხარხარი ასტება.

□დასასრული იქნება□

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11,  
მთ. რედ. მოადგილას — 93-55-18, პ/მგ. მდივნის  
თა ვანყოფინებების — 93-55-15; 93-55-17,  
93-55-20.

საქ. კა ცკ-ის გამოშვებლობა, 1983.

გადაეცა ასაწყობად 14. 3. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 4. 83, წ., ასაწყობის ზომი 71/4 X 12, ქალაღდის ფორმატი 70 X 108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღ-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უფ 07070. ტირაჟი 32.700. შეკვ. 716. საქ. კა ცკ-ის გამოშვებლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

6<sup>2</sup>/85

3360 80 333.



საქართველოს  
რესპუბლიკის ეროვნული  
ბიბლიოთეკა  
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ